მოამბე

ოვიერი ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ VI

ივნისი, 1895

ტფილისი
[illegible]
1895

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
I	ცოლ-ქმარი.—მოთხრობა იასონ ნიკოლაიშვილისა.	1
II	ოქრი ოგოლი.—ამბავი ი. ეგდოშვილისა	23
III	*** (ჰეინედან).—ლექსი შ. მღვიმელისა	40
IV	უდანაშაულო მსხვერპლნი.—ამბავი შეღაგაიშვილისა	41
V	განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი (გაგრძელება)	95
VI	ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—

8(05)
380

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეორე

P-23824

№ VI

ივნისი, 1895

ტფილისი
1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюля 1895 года.

შინაარსი

		ესკ.
I	ცოლ-ქმარი.—მოთხრობა იასონ ნიკოლაიშვილისა.	1
II	ორი ოგოლი.—ამბავი ი. ევდოშვილისა	23
III	*** (ჰეინედან).—ლექსი შ. მდივანელისა	40
IV	უდანაშაულო მსხვერპლნი.—ამბავი შალვაიშვილისა	41
V	განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკაისა (გაგრძელება)	95
VI	ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—

ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ

მოთხრობა

II*)

ამას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, დიდმარხვაც დადგა, და ბასილა ჩვეულებრივ ხვნა-თესვის უღელში შეება. ბატონის მოურავ-მეველეები ახლა აღარ აწუხებდნენ და, რაც ერთს მარტოხელს კაცს გაუვიდოდა, კარგაძალი მოჰხნა-მოჰთესა. ამასობაში დღესასწაულიც მოახლოვდა. წითელ პარასკევს ბასილამ მახლობელს სტანციაზე გოჭი და ქათმები წაიყვანა გასასყიდად და იმათის ფასით ცოლს ლამაზი ჩითის საკაბე და სახოცი უყიდა და ორი იაფ-ფასიანი, ყვითელი კოჭით შეზავებული პასკა. დადგა ბრწყინვალე დღესასწაულიც, აღდგომა ქრისტესი... გათენებამაც მოაწია და საჯავახოს წმ. გიორგის ეკლესიიდან ჰაერში ზარის გუგუნი გაისმა...

ქალაქელი მკითხველი უთუოდ გაოცებით იკითხავს: „აღდგომას ზარის რეკა გათენებისას ვის გაუგონიაო?“ ნუ გაიკვირვებთ, ქალაქელო! სოფელში ბევრი რამ სხვაც ასე უკუღმართად არის მოწყობილი. გათენებისას დარეკენ, მაგრამ წირვის დაწყება კი რომელსამე სოფლის ბობოლას ნებმზეა დამოკიდებული. სოფელში თითო-ოროლა ბობოლა არ გამოილევა. სადაც თავადი არ არის, იქ აზნაური მაინც იქნება და, თუ აზნაურიც არ არის, იქ წურბელა ვაჭარ-ჩარჩები ბობოლაობენ. სანამ ეს სოფ-

*) «მოამბე» № V.

ლის ბობოლა კარგა არ გამოიძინებს და მერე წირვაზე წასვ-ლას არ ინებებს, მანამ შემოსილ მღვდელ-დიაკვნებმა უნდა იცადონ და არაკუნონ ზარები.

როგორც იქნა ეშველა და თავადი შამილიც მობრძანდა. კნეინას თავის ტკივილი მოემიზეზებინა და წირვაზე აღარ წამობრძანებულა. დაინახეს თუ არა მომავალი თავადი, მაშინვე მღვდელ-დიაკვნებს აცნობეს. იმათაც სანთელ-საცეცხლური მოამზადეს და წირვას შეუდგნენ.

წირვაც გათავდა. სახე გაბრწყინვებული გლეხები ერთმანერთს ჰკოცნიან და კვერცხს უცვლიან. „ქრისტე აღსდგა!“ — „ჭეშმარიტად!“ განუწყვეტლივ მოისმის აქეთ-იქიდან... პატარა ბიჭებს მალე დიდებმაც წაჰბაძეს და ასტყდა კვერცხების ჩაკაჩუკი. მღვდელ დიაკვნებიც საყდრიდან გამოვიდნენ და საკურთხს მიაშურეს. ყოველ მიცვალებულის საფლავის თავთან ანთებულია შინ ჩამოქნილი წმინდა თაფლის სანთელი; იქვე აწყვია რამდენიმე წითელი კვერცხი და პატარა იაფ-ფასიანი პასკები. ზოგიერთ ახალ მიცვალებულისთვის შეძლებულს ჭირისუფლებს საკურთხად მთლიანად შემწვარი ბატკნებიც კი მოუტანიათ. ოლარგადაკიდებული მღვდელი საცეცხლურით ხან ერთს საფლავთან მიდის ხან მეორესთან და ლოცვებს უკითხავს; დიაკონი გრძელის ჯოხით პატარა ბიჭებს ერეკება, რომ კვერცხები არ მოსტაცონ. გაათავებს თუ არა მღვდელი ლოცვას, დიაკონი კვერცხებსა და პასკას მაშინვე თავის ხურჯინში მოაქცევს. ცხვრების მომტანნი დაკურთხების შემდეგ ხალხს ეპატიჟებიან, მიცვალებულის სულის შესანდობარი მიირთვან და ელოგია *) მიიღონ. ნელ-ნელა ხალხი იშლება და ეკლესიის გალავანი ცარიელდება.

რადგანაც სადილისათვის წინდამითვე ყველაფერი დამზადებული აქვთ, აღდგომას სადილი ადრე იციან. ნასადილევს დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზდა ყველა სასეიროდ მინდორში მიეშურება. ყველას სახეზე მხიარუ-

*) ელოგიას აღდგომის საკურთხს ეძახიან.

ლი ღიმილი უთამაშებს და უზომო ბედნიერება გამოიხატება. გლეხმა, საზოგადოდ, როგორც შრომა-გარჯაში არ იცის ზომა, ისე არც მხიარულებაში. მართალია, ძლიერ იშვიათად მხიარულობს, წელიწადში სულ ორჯერ-სამჯერ, მაგრამ მაშინ კი მთელის თავის არსებით თავდავიწყებამდე ეძლევა მხიარულებას. ვერც ერთს მოწყენილს ვერა ჰნახავს, ვერც უზომო მთვრალს; ყველა ზარხოშად არის; ყველა მხიარულობს.

მალე ეკლესიის მახლობი კარგა მოზრდილი მინდორი სხვა-და-სხვა ფერად მორთულ ქალითა და ვაჟით გადაჭრელდა. აქ-ყიპინდა გარმონიკები და გაცხარდა ლეკური. ლეკურს სიმღერები მოჰყვა და სიმღერებს—ბურთის თამაში. ყველა იქ დამსწრე მამაკაცნი ორ დასად გაიყვნენ: ერთს მხარეზე უცოლოები დადგნენ, მეორეზე—ცოლიანები და ბურთი გააგდეს. გასათხოვარი ქალები უცოლოებს აქეზებენ: „ღმერთი არ გაგიწყრესთ, ბებრებმა არ გაჯობონო!“ თავგამეტებით იბრძოდნენ ცოლიანებიც, არ უნდოდათ გამარჯვება „ბაღანებს“ დარჩენოდათ, მაგრამ ამაოდ. გამარჯვების ტაში ბოლოს მაინც უცოლოებმა დაჰკრეს და სიმღერებით შინისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

ამ მომხიარულე ხალხს თითქო ბუნებამაც თანაუგრძნო. მშვენიერს დღეს ღამეც საუცხოვო მოჰყვა. ბნელი ზეწარი თან-და-თან გაირღვა და დედამიწას დააშუქა პატარძალივით მორცხვმა სავსე მთვარემ; ურიცხვ მოციმციმე ვარსკვლავი მოკრიალებულ ფირუზის ფერ ციდან ქვეყანას ღიმილით მიესალმა: „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგაო!“ გრილმა ნიავმა ცელქად ჩამოიქროლა, აქ ვარდს დაეკონა, იქ—იას, მერე ზამბახს... ყველასაგან აიღო ხარკად მათი მშვენიერი სუნი; მერე მაღლა შეინავარდა, ფრთები დაიბერტყა და ჰაერი გულის წარმტაც მშვენიერ სურნელებით შეაზავა. დაწინაურებულმა ბულბულებმაც დაუსტვინ-დაარაკრაკეს... ამ საუცხოვო ღამემ ყველანი გარედ გამოიტყუა. ყოველი მხრიდან, ყოველ ეზოდან „ქრისტე აღსდგა!“ და სხვა-და-სხვა გვარი მშვენიერი ხალხური სიმღერები მოისმოდა.

შამილს დღეს უცხო სტუმარი არავინა ჰყოლია. სადილობამდის რამდენიმე გლეხი კი შევიდა მისალოცავად, ისიც მათი ნათლიმამ-ნათლიდედები, სხვა არავინ და ცოლ-ქმარმა მთელი დღე „სკუჩნად“ გაატარა. მხოლოდ „საღამორელე“ ეზოში ცხენები ჩამოაჭენეს გუძა მაზაკვალიამ, უჩანა ფიფიამ და გუჯა ვახანიამ. ცხენის ფეხის ხმაზე მასპინძლები აივანზე გამოცვივდნენ. სტუმრებმა ცხენები ბიჭებს გადასცეს და მასპინძლებს დღესასწაული მიულოცეს. მასპინძლებს წარბი გაეხსნათ და სიამოვნების ნიშნად ახალ მოსულებს ბეჭებზე ხელსა სცემდნენ და დასანაყრებლად ეპატიჟებოდნენ. ცოტა ხანს შემდეგ ამათ წამოემატა კიდევ იმერეთიდან, როგორც ამბობდნენ—კნეინას ახლო ნათესავი, თავადი პეტრე თავაძე სამიოდე თავისის მხლებელის აზნაურით. ამათმა მოსვლამ შამილი და კატო, უფრო კი უკანასკნელი, მეტად გაამხიარულა. სალამისა და მოკითხვის შემდეგ შამილმა ცაცხვს ქვეშ სუფრა გააშლევინა და დასანაყრებლად სტუმრები გარედ გაიწვია. საუზმეს ვახშამიც მოჰყვა და კარგა გაბმული სმა გაიმართა. როცა სუფრაზე მსხდომთ სადღეგრძელო მოთავდა, შემდეგ გარეშე ნაცნობ ტოლ-ამხანაგების დღეგრძელობას მიჰყვეს ხელი. ადღეგრძელეს ყველა, ვინც კი მოაგონდათ, არც ერთი არ დაუტოვებიათ. **საქართველოც ადღეგრძელეს** და შემდეგ ვარდ-ბულბულებზე გადავიდნენ.

— ჰო, ყმაწვილებო! წამოიძახა შამილმა,— კინაღამ არ დამავიწყდა! ეს ღმერთმა გოუმარჯოს ბატაია გერიას!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—მოისმა ყოველ მხრიდან.

— ვაი, რა ბიჭი იღუპება!.. მურტალ ყაძახს ცხვირი მიაჭრაო და ამისათვის უნდა დაიკარგოს ალმასივით ბიჭი!.. ჰაი, დედასა!....

— არც ასეა საქმე, ჩემო შამილ! მგონია, ბატაიამ იმ ყაძახს მალე ყურებიც დააჭრას.

— არა, თუ გიყვარდე, პეტრე, მართლა?

— მართლა, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს. ძაან კარგათაა მისი საქმე.

— რავა, შე კაცო, ოკრუჟნი სუდში საქმე ქე არ წააგო?

— ოკრუჟნი სუდში კი წააგო, მარა პალატაში გადიტანა.

— პალატაში კი გადიტანა, მარა ძალიან ვეჭვობ, ვაი თუ იქაც წააგოს.

— არა-მეთქი, კაცო, არ გესმის! იქ ისეთი შემწე ყავს, რომ უსათუოდ გაამართლებენ.

— როგორ, თუ ღმერთი გწამს? ვინაა ის მამა-ცხონებული?

— არ გახსოვს ვარია ქორაძის ქალი?

— ვარია ქორაძის?.. როგორლაც არ მაგონდება.

— როგორ არ გახსოვს, კაცო, ჭომაში რომ გვყავდა საქეიფოდ და სანდრომ რომ იმის გამო ვანიას ხანჯალი გაუყარა ბარძაყში?!

— ჰო, ჰო, ჰო! ლეჩხუმიდან რომ გამოქცეოდა ქმარს, იმას არ ამბობ?

— დიახ, დიახ.

— მერე იმას რა უნდა შეეძლოს?

— არ დამაცლი, კაცო! ვიღაცა მდიდარს სომეხს ეს ჩვენი ვარია ხასად აუყვანია. შარშან თუ შარშან წინ, კარგად არ მახსოვს, ის სომეხი გადაბრუნებულა და მომკვდარა. მრთელი მისი ქონება კი ვარიას დარჩენია. ახლა რომ ვარიას სახლში შეხვიდე, ასე იფიქრებ, აქ ვინმე პრინცი იდგომებაო.

— მერე?

— მერე ვარიას პალატის პროკურორი გადაჰყრია და საწყალს სულ ცეცხლი მოსდებია. ძაან ლამაზი კია ის წყეული, შენი მოწონებული სონია მოახლედაც არ ეკადრება... ჰო, იმას ვამბობდი... როგორც ამბობენ, პროკურორი ახლა ვარიაა არისო. რაც უნდა, იმას აქნევინებს თურმე თავის სატრფოს.

— აი, ვაცხონე მამა-მისის სული, აფერუმ ქალო! მაშ დაიხსნის, დაიხსნის?

— იმე, აკი მოგახსენებთ! უეჭველად დაიხსნის.

— უჰ, ძალიან მასიამოვნე, პეტრე, შენ ნუ მომიკვდე! იმისთანა ბიჭის დაკარგვა საცოდაობა არ იქნებოდა? იმისთა-

ნა ლეკურის მოქნევას ტყულა ნურავინ დაიქებს. გახსოვს, შარშანწინ ელიობას რომ ყაძახებს ჩხუბი აუტეხა! მისი ლეკურის ფრიალიზა რომ გეყთრებიათ, მზერით ვერ გაძღებოდით. იმოდენა ხალხი ესია კეტებით, მარა ერთიც არ მოხვედრია. პირ იქით, ზოგს მხარი მიაჩეხა, ზოგს თავი გაუხეთქა და ერთი ღორივით კიდევაც ჩაკლა თხრილში. სწორედ მდევია ვაჟკაცად, მდევი! ძაან კი გამოძვრა იმ საქმიდან. არ მეგონა, თუ უციმბიროთ გადარაებოდა.

— ეჰ, რაღა გამოძვრომაა, შენი ჭირიმე, მთელი თავისი საცხოვრებელი ზედ გადაალია!

— რას ამბობ, რა საცხოვრებელი?! ქვეყანა მისი არაა! იმისთანა ვაჟკაცს რომ რამე დავუკავო, პირში ჩასაფურთხებელი არ ვიქნები?

— მართალია, მარა ყოველთვის სამათხოვრად ვის უნდა მიადგეს?

— სამათხოვროდ? განა შენ ჩემთან თხოვნა გინდა? მოგეწონა რამე ჩემი, მომწონს-თქო, მიბრძანე, და მიირთვი. ეინ სულ-წაწყმედილის შვილი დაგიკავებს რამეს?... ეი, ყმაწვილებო, რავა მოგიწყენიათ! ვისზეა ყანწი? ო, გუძა, რავა არა გრცხვენია, ბატაიას სადღინძელოს არა სვამ?!.

— რავა იკადრებთ, ბატონო! იმის სადღინძელოს ამბთ კი არა, თუ გნებავთ, „ქარცეცხლით“ დავლევ, ო, თავი არ მოუკვტეს გუძაიას.

— „ქარცეცხლით“ არა, ჩემო გუძა, ეს კი გამოსცალე და მეზობელს გადაეცი! „ქარცეცხლის“ გამოცლა თუ შეგიძლია, ამასაც ვნახავთ. ზეგ პრისტავი მეყოლება სადილად და მაშინ დაგვჭირდება. ასწი ოჰ, ასწი, გუძა! აბა, ბიჭებო ჟამიერი!

დაძახებისათანავე იქვე მახლობლად მსხდომმა ბიჭებმა შემოსძახეს გურული გმირული მრავალჟამიერი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ შამილს, როგორც კარგს მოქეიფე კაცს, ღვინის სასმისი ჭურჭლებიც განსხვავებული ჰქონდა. თუ სტუმრები ნაკლებად ჰყავდათ, პატარა, ჩარექიანს ყანწს

ხმარობდა. დიდ-სტუმრიანობისათვის კი მას ორი, ერთი მეორეზე უფროსი ყანწი და ვეება, ჩამურის ტოლა კათხა ჰქონდა დამზადებული. სამივ მშვენივრად შეეერცხლილ-შესევადებული. უმცროს ყანწში ჩარექა ღვინო ჩადიოდა და „ძირტკბილა“ ეწოდებოდა. „ძირტკბილას“ დალევა მართლა რომ სასიამოვნო იყო. იმისი დალევა მსმელს კაცს მხოლოდ შეაზარხოშებდა და სიცოცხლისა და სიმღერის გუნებაზე დააყენებდა. მეორეში ჩარექაზე მეტი ჩადიოდა და „ძირმწარა“ ეწოდებოდა. დიაღ, „ძირმწარა.“ ბევრისათვის ჩაუმწარებია ამ ყანწს რამდენისამე წუთით ადრე გამოცდილი სიამოვნება. ბევრჯერ მინახავს ამ ყანწის შემდეგ ამტყდარი შფოთი და ხანჯლების ტრიალი. ბევრჯერ მინახავს, თავიდან გადმონახეთქი სისხლი რომ წურწურით კათხაში წითელს საჯავახურს ერეოდა და გრძნობა-დაკარგული, განადირებული ვაჟბატონები ამ სისხლნარევ ღვინოს ხარებივით ეწაფებოდნენ... აი, ამ უკანასკნელს კათხას, ეწოდებოდა „ქარცეცხლი“, რომლის გამოცლაც გუძაიამ დაიტრაბახა. შამილის კათხა განთქმული იყო არა მარტო გურიაში, არამედ იმერეთ-სამეგრელოშიაც. იმისი დამცლელი კაცი იშვიათი იყო. ვინც იმას დასცლიდა, „თავზე-ხელაღებულ“ ყმაწვილ-კაცობაში დიდი სახელი დაუვარდებოდა. ეს კათხა ერთხელ დაეცალა ერთს შორაპანელს აზნაურს, ვარდენ მორგვაძეს, მეტს ვერავის, მაგრამ იმასაც, ამდგარა თუ არა სუფრიდან, ფეხი ვეღარ მოუცვლია, იატაკზე დაცემულა და მკვდარივით ჩასძინებია. ბევრს ახალგაზდას ენატრებოდა ამ კათხის დაცლა, მაგრამ შუამდისაც ვერ დაიყვანდა, ისე ჩამოეძინებოდა სუფრაზე. ამ კათხის ჩამოტარების დროს ადამიანურ ლაპარაკის ნაცვლად რაღაც მხეცური ღმუილი და დუდღუნი მოისმოდა. ღვინისაგან გალექებული სტუმრები ზოგი ერთ კუთხეში ეყარა, ზოგი—მეორეში, ზოგიც სტოლს ქვეშ თავის ნარწყევში ჰგორავდა. ამ საზიზღარი სურათით დიდად ნასიამოვნები კნეინა ხან ერთს „ჩაბარებულს“*) მიათრევინებდა კისკისით ბიჭებს დასაწვენად, ხან—მეორეს.

*) ჩაბარებულს კნეინა უგრძნობად მთვრალს ეძახდა. ჩაპბარდა პატრონსარ

მაღალი სადილობა იყო მოწეული, როცა ჩვენმა მოქეიფეებმა გამოიღვიძეს. ამათ ძილის დროს ახალ მოსული სტუმრები ბანქოთი და ნარდით იქცევდნენ თავს. სტუმრების შემომატებამ ყველა ძლიერ გაახარა. საუზმეს ჩვეულებრივ სადილიც წააბეს. ზოგს წინაღამის ღვინოც არ ჰქონდა კარგა გამონელებული და ძლიერ ეჯავრებოდა სმა, მაგრამ, ახალ მოსულებთან რომ არ შერცხვენილიყვნენ, თავს ძალა დაატანეს და თითოოროლა ბოთლი ვაჟკაცურად „გადაქუშეს". კიდევ დალევდნენ მესამესაც, მეოთხესაც და თუ საქმე გაჭირდებოდა, მანამ სვამდნენ, სანამ ადამიანურს სახეს არ დაჰკარგავდნენ და კნეინას თქმისამებრ „პატრონს არ ჩაჰბარდებოდნენ", მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, კნეინა სადილიდან ადრე წამოდგა და სტუმრები გლეხების თამაშის საცქერლად მინდორში გაიწვია.

აი, ეს ბატონები გახლდნენ, რომელთ დანახვამაც ერთ წუთს შეაჩერა იმდენი მომხიარულე ხალხის სიმღერა-თამაში. საზოგადო სალამის შემდეგ შამილმა რამდენიმე ყაძახი არჩევით გადაჰკოცნა.

— აა! ქრისტე აღსდგა, ჩემო ბასილა! აღდგომის ხათრია; თვარა მე შენ ენას არ გაგცემდი. ყველანი მოვიდნენ, მომილოცეს და შენ რაღაზე გამოაკლდი, აგია შენი კაი? ვნახოთ, თავს რით იმართლებ!

— ვერ გავბედე, ბატონო, ხლება! თქვენი სასახლე ყოველ დღე სავსეა უცხო-უცხო სტუმრებით. იმდენ დიდკაცებთან, იმდენ პატიოსნებთან ჩემთვის სად გეცლებოდათ?!

— ტყუილი თავის მართლებაა. სტუმარი ჩემ ერთგულ ნაყმევის პატივის-ცემას ვერ მომიშლის: აბა ხვალ მაინც მოხვალ, ცოლიანად მოხვალ, სადილად! უთუოდ უნდა მოხვიდეთ. გესმის? თორემ წახდა ჩვენი მოყვრობა! ეი, რავა გაჩუმებულხართ? მიუბრუნდა შამილი ხალხს, ჩვენი მოსვლა გეწყინათ თუ? აბა, ფაირა და მუზიკა!

კნეინამ ქალებს უცებ წრე გააკეთებინა და ისევ უწინდელებრ შეიქნა ცეკვა-თამაში. მალე ბურთიც გააგდეს და კარგა ბინდამდის ხალხი არ დაშლილა.

III

შამილის ალერსმა მწარე საგონებელში ჩააგდო საწყალი ბასილა. ვერ წარმოედგინა, თუ რისთვის აკოცა ბატონმა. ვითომ აღდგომის წესს ასრულებდა? აა, შენც არ მომიკვდე! მან კარგად იცოდა, რომ ბატონი ყაძახს ისე არ მოეფერება, თუ რისიმე წართმევა არ უნდა. ალბად ბასილასაგანაც უნდა აიღოს სამაგიერო. მაგრამ რა? დიდ ხანს იფიქრა საწყალმა ბასილამ, თუ რა სამაგიეროს ითხოვდა მისგან ბატონი, მაგრამ ვერას გახდა, ვერაფერი მოიფიქრა. ბოლოს დაჭრილ დათვივით ზეზე წამოიჭრა და გიჟივით წამოიძახა: „მეტი არ ენახოს შენს თვალებს ხვალის სინათლე, შენ ჩემი ცოლი ვერ ნახო! აა, წყროსმით რომ არაფერი გაგივიდათ, ახლა მოფერებით გინდათ გეიტანოთ? ველარ მოგართვით, ბატონო! რაც შეგრჩათ, ისიც გეყოფათ, ჩემგან ვერაფერს გეიტანთ.“

ნამდვილის მიზეზის გაგებამ საწყალ ბასილას მთელის დღის სიამოვნება ჩაამწარა. რა ჰქნას? წავიდეს—ვინ იცის ეშმაკის გზა და სავალი; არ წავიდეს-და—ამ სოფლიდან ხომ ბარგი უნდა აიკრას და სადმე სხვაგან გადასახლდეს. ამ ფიქრებმა საბრალო ღამეც აღარ მოასვენა. ბოლოს ისევ წასვლა ამჯობინა. „რავა ღმერთი გოუწყრება, იმდენ ხალხში რა უნდა გაბედოსო,“ ფიქრობდა ბასილა. ამასთან გადასწყვიტა, მომეტებული ღვინო არ დაელია და ქალისათვის თვალი არ მოეშორებია.

მთელის ღამის უძილოს ცოტა გათენებისას წაეძინა და ამიტომ გვიან ადგა,

არც მისი ცოლი იყო უკეთეს მდგომარეობაში. საბრალოს უნდოდა ქმრისათვის გაემჟღავნებია, თუ როგორ სდევნიდა კნეინა, მაგრამ ვერ გაებედა მისი შეწუხება. „ვაჟკაცია, ჩემდენი ჭკუა ნეკში აქვს, თვითონაც კი მიხვდებოდაო,“ ფიქრობდა საწყალი და წარბ-შეკრულ ქმარს გულის ტკივილით შესცქეროდა.

— რეიზა არ ხაზირობ, ხომ არ დაგავიწყდა, ბატონებმა რომ დაგვპაიჯეს?

— რავა დამავიწყდა, მარა რაცხა გული კაის არ მიჩივა, ჩემო ბასილაი, ნუ წავალთ! იმ ვეშაპის ძალიან მეშინია.

არც ბასილას „უჩიოდა გული კაის“, მაგრამ რა უნდა ექნა?!

— ვეშაპი? გადაგყლაპავს თუ? თუ მაინცა და მაინც გადაყლაპვა შეუძლია, ნუ გეშინია, აქანაიც კი მოგაგნებს. ნულარ იგვიანებ, გადეიცვი ნაკაბევი და წევიდეთ. შენ თუ კი არ გინდა გადაეყლაპინო, ძალად ვერავინ გადაგყლაპავს.

— კი, მარა რა ვიცი, მეშინია.

— მარტუაი ხომ არ იქნები? სადაც მე ვარ, იქ ნურაფრის გეშინია!

რაღა გაეწყობოდა, მაიამ გადაიცვა თავისი საგარეო კაბა და გაჰყვა თავის ქმარს. როგორც მოელოდნენ, სასახლეში ისე ტკბილად ვერ დაუხვდნენ და ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ბასილა გაათამამა. ზოგიერთა სალახანა სტუმრები ერთმანერთს მაიაზედ ანიშნებდნენ და მგლურის თვალებით უყურებდნენ. საწყალი მაია დიდ განსაცდელში ჩავარდა. საითკენაც კი გაიხედა, დაინახა, რომ ყველას თვალები დაეშტერებინა მისთვის. სირცხვილისაგან საბრალოს ხან წითლად უპრიალებდა პირის კანი, ხან ლურჯად... ბოლოს ძირს დაიხედა და თავი მაღლა აღარ აუღია. მისდა ბედად ეზოში ცხენი ჩამოაჭენა მაზრის უფროსმა, ბ-ნმა კნუტოვმა, რომელსაც უკან ადგილობრივი ბოქაული და რამდენიმე ყაძახი რუსი მოსდევდა. მასპინძლები და სტუმრები უფროსს გამოეგებნენ და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს.

მაზრის უფროსის მოსვლის შემდეგ არ გასულა ხუთი წუთიც, სასახლის კიბესთან ცხენი მოაგდო კოტე ჭავჭანიძემ: ამისმა მოსვლამ ყველანი გიჟურს აღტაცებაში მოიყვანა. კნეინას სიხარულისაგან თვალები დაელამა და ფოსოებიდან ასკდებოდა. სუყველანი კოტეს შემოეხვივნენ.

— ო, კნიაზ კოტე! Ваше сіятельство! სიდან სადარ, წმინდა საბაო?—ეძახოდნენ აქეთ-იქიდან.

„კნიაზ კოტეც“ აქეთ-იქით სალამს აძლევდა. შემდეგ კოტე შამილმა მაზრის უფროსს გააცნო. იმათ ერთმანერთი თვალით გაჰზომეს და, როგორც ეტყობოდათ, ერთმანერთი მოეწონათ.

— რა წოდებისაა, კნიაზო, ეს ყმაწვილი? — ჩუმად დაეკითხა შამილს კნუტოვი.

— რა წოდებისა? ყაძახია, მაგრამ აფსუს! ერთი შეჰხედე, ყაძახათ წასახდენია?! ნამდვილი თავადური შეხედულობა არა აქვს! კნიაზ კოტე, რაც უნდა სთქვან, ვერ დავიჯერებ, შენ, უეჭველად, თავადის თუ არა, აზნაურის ბუში მაინც უნდა იყო.

— თავადის, ბატონო, თავადის! ის სულ-განათლებული ბაბუა-თქვენი თურმე ცხონებულ დედა-ჩემთან... ასე მოგახსენებენ, ნამდვილი უნდა იყოს.

— ნამდვილია, ნამდვილი! — შესძახეს აქეთ-იქიდან სიცილით სტუმრებმა.

„კნიაზ კოტე“ გახლდათ პატარაობითვე ტფილისის სასტუმროებში გამოზრდილი სალახანა, იმერელი გლეხის შვილი კოტე ჭავჭანიძე. თუმცა თვითონ გლეხი იყო, მაგრამ ყაძახის ხსენებაზე რაღაც ზიზღით აიპრუწავდა ხოლმე ტუჩებს. მუდამ გლეხების ძაგებაში იყო და თავადებს ეტანებოდა. თავისი ნამდვილი გვარი, ჭავჭანიძე, ჭავჭავაძედ გადაეკეთებინა და უცხოებს თავადობით აცნობდა თავს. ამიტომაც იმის ნაცნობ-მეგობრებს „კნიაზ კოტეს“ სახელით მოენათლათ და მუდამ ასე იხსენიებდნენ. „თავზე ხელ-აღებულთ“ შორის ცნობილი იყო, როგორც კარგი მოქეიფე, ჩინებული მეთარე და მომღერალი და ამიტომ ყველას სასურველი სტუმარი იყო. ქალების საზოგადოებასაც კოტე დიდად მოსწონდა, მისი ბელვედერის აპოლლონისებური შეხედულობა მნახველს აღტაცებაში მოიყვანდა... ტყუილს კი არ ამბობდა შამილი: „კოტე ყაძახათ წასახდენი არ არისო“. გარეგანის სიმშვენიერით მართლა რომ

უხვად იყო ბუნებისაგან დაჯილდოვებული, მაგრამ რა? მშვენიერი ჭურჭელი იყო მხოლოდ ათასის სიწამხდრისა და გარყვნილებისა. არა ვგონებ, კაცმა ისეთი სიბილწე რამ მოიგონოს, რომ კოტეს არ ჩაედინოს. წუთიერების სიამოვნების დასაკმაყოფილებლად არავითარი ადამიანის ღირსების დამამხობელს ღონის-ძიებას არ დაერიდებოდა. კოტეს ასეთი ხასიათი მისმა მეგობარ-ამხანაგებმა კარგად იცოდნენ და იმიტომ უფრო კარგადა ჰყავდათ მიღებული.

ვიდრე სტუმრები კოტესთან ლაზღანდარობით ერთობოდნენ, სუფრაც გაჰშალეს და დიასახლისმა ყველანი სადილად შეიწვია. სუფრა ორ რიგად იყო გაშლილი. ერთი საპატიო სტუმრებისათვის—შუაზედ და მეორე მომღერლებისა და გლეხებისათვის—კუთხეში. სუფრის თავში კნეინა დაჯდა, ბოლოში შამილი, სტუმრებიც, ღირსების კვალობაზედ, თავ-თავის ადგილს დასხდნენ. ორ-სამ სტაქნის დაცლის შემდეგ ტოლუმბაშობა კოტეს მიულოცეს და შეიქნა სმა გმირული, მამა-პაპური... ღვინის სმაში გამოჯეკილი ვაჟბატონები რვა-რვა, ცხრა-ცხრა სტაქანს ვაჟკაცურად სცლიდნენ და ერთმანეთთან ალლავერდს გადადიოდნენ. ერთგვარს მრავალ-ჟამიერს მეორე მოსდევდა და მეორეს—მესამე. გახურდა „რეჩებიც“... სანამდე „ძირტკბილას“ ჩამოატარებდნენ, სხვა-და-სხვა გვარი ტკბილი სიმღერები კაცის გულს სიამოვნებით ავსებდა, მაგრამ „ძირტკბილას“ შემდეგ კი მომღერლებსაცა და „მორეჩეებსაც“ ენის ჭახრაკი მოუცვდათ და რაღაც საზიზღარი ბლუკუნი-ღა მოისმოდა. შაზრის უფროსს სუფრაზე ჩაეძინა. როცა დალევის რიგი მოუწეედა, „давай“-ო წამოიძახებდა, ხელებს მოაფათურებდა, თვალ-ხუჭია ერთბაშად გადაჰკრავდა და ისევ თვლემას დაიწყებდა. გუძაია მაზაკვალიას, რომელიც კათხის გამოცლას ტრაბახობდა, Თკამი წამოექცა და სტოლს ქვეშ შეგორდა. მაგრამ მისთვის ვის ეცალა, რომ წამოეყენებია, საბრალოს აქვე დაეძინა. საწყალი ბასილა ბევრს ეცადა, რამდენიმე სტაქანი თავიდან აეცდინა, მაგრამ ამაოდ, შამილის დამქაშებს მკაცრად ეჭირათ იმაზედ თვალყური.

— ბასილა არ მომიწყინოთ, კარგათ დაალევიეთ!—რამდენჯერმე გადასძახა შამილმა მეორე სუფრაზე მსხდომთ. ერთხელ თვითონაც მივიდა ალლავერდი და გადაჰკოცნა. „ძირტკბილას“ ჩამოტარების შემდეგ მანდილოსნები სუფრიდან ადგნენ და სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

კატომ მაია ვითომც ახალის კაბის საჩვენებლად თავის საწოლ ოთახში შეიყვანა და ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო.

— ოჰ, უკაცრავად! შკაფის გასაღები სტოლზედ დამრჩენია. ცოტა მომითმინე, ამ წამს შემოვბრუნდები.

კატო ზალაში გავიდა და თავის ქმარს რაღაცა ანიშნა. შამილი მაშინვე გარედ გამოვიდა და რამდენიმე მომღერალი ბიჭი ჩუმად გამოიხმო. ისინი კნეინას საწოლ ოთახის კარებთან დააყენა და უბრძანა, როცა დავახველებ, რაც შეიძლება მაღალის ხმით დაიწყეთ თათრული ხელხვავიო. ამასთანავე უბრძანა, არაფრის გულისათვის ამ ოთახში არავინ შემოუშვათო.

კნეინას მოლოდინში მაია ამ მდიდრულად მორთულს ოთახის დათვალიერებაში იყო გართული. უცებ კარი გაიღო და შიგ შემოიზლაზნა თავადი შამილი. მაია შეჰკრთა. ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და მთლად კანკალმა აიტანა. შამილმა კარები ჩაჰკეტა და ხელ-გაშლილმა მაიასაკენ მიიწია ჩასახვევად. მაია ხელიდან გაუსხლტა. ის წუთიერი შიში რაღაც მანქანებით ერთბაშად გაჰქრა. გარყვნილ თავადის შილწის ხელის მიკარებამ ეს საცოდავი გლეხის ქალი უცებ გააფთრებულ ვეფხად გარდააქცია. პირ-გამეხებული ცოტა მოშორებით გულადად გაუჩერდა და თვალებ-ანთებულმა მრისხანედ შესძახა:

— ტყუილად დამცდარხარ, ვაჟბატონო! მაშ შენმა აშარმა ცოლმა ამისათვის შემომიტყუა? შერცხვეს თქვენი პურ-მარილი, თქვე უნამოსოებო, თქვენა!

— ო, გენაცვალე მაგ სულის კლიტეში! არა გავხარ ზოგ გიერთა მჩვარ დედაკაცებს! აი, ამისათვის მომწონხარ, ჩემო სიცოცხლე! ვეფხიჟ, ვეფხი ქალად, მე და ჩემმა ღმერთმა!

შამილმა კვლავ ჩასახვევად მიიწია.

— გამშორდი! ახლო არ მომეკარო, თორემ ისეთს დავიკივლებ, რომ მთელს სტუმრებს თავზე დაგაყენებ, შე არამზადავ, შენა!

თავადმა დემონიურად გადაიხარხარა.

— მერწმუნე, შენს კივილს ჩემსა და ამ კედლების მეტი ვერავინ გაიგონებს.

შამილმა ფანჯრის დარაბები მიხურა და ხმა-მაღლა დაახველა.

მოისმა საშინელი მაღალი თათრულ ხელხვავის, „თათარი და რუსი ჩხუბობს“, ხმა.

— აბა, ჩემო სიცოცხლე, დაუძახე შენს ბასიკელას, მოგეშველოს! მგონია, ახლა იგი თავის ნაყრიელაში დაგორავს და შენთვის არა სცხელა. ტყულად თავს ნუ იწუხებ, ხომ ხედავ ჩემი ლუკმა ხარ. ღმერთმა შენი თავი ხელში ჩამიგდო და ფიქრობ ისე მოგეშვები? ააა, არ მოგიკვდეს შამილი!

თავადმა მაიას კვლავ ხელი მოჰხვია და საწოლისკენ გაიტაცა.

საბრალო ქალმა ერთი ცივის ხმით საშინლად შეჰკიელა და შამილს ეცა წვერებში შეიქნა ბრბოლა საშინელი... გაოფთრებული ქალი ამ ტყის ნადირს წვერ-ულვაშს მუჭა-მუჭა აგლეჯდა და სახეს უკაწრავდა, ისიც, ნდომისაგან გამხეცებული, ტანისამოსს ატრეტდა და ლოგინზე მის დამაგრებას ცდილობდა. ამ საზარელ სცენის მოწმე სარეცელი, თითქო სიბრალულით, საცოდავად კვნესოდა და ჭრიალებდა. რამდენ ხანს უნდა გაძალიანებოდა დეევით ვაჟკაცს საბრალო სუსტი ქალი! თან-და-თან ღონე ელეოდა და მუხლი ეკეცებოდა. ბოლოს, ის-იყო, ამ ბოროტ ადმიანს თავისი მხეცური სურვილი უნდა დაეკმაყოფილებინა, რომ საბრალო ქალმა შამილის მკლავი მოიგდო ხელთ, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და საშინლად უკბინა. ტკივილისაგან გამწარებულმა თავადმა ხელი გაიქნია, უეცრად ნიდაყვი ქალს საფეთქელში მოარტყა და სული გაა-ფრთხობინა.

ამ დროს კარებთან თოფმა დაიჭექა. უეცრად სიმღერა შესწყდა და საშინელის ღრიანცელის ხმა მოისმა.

ბასილას მაიას კივილი ყურში მეხად ჩასმენოდა, კარებთან მოჭრილიყო და გაშმაგებული იწევდა შიგ.

— არ გოუშვათ! აბა, ბიჭებო, მაგრად! დაიჭით, შეჰკიჟ ჭეთ!—მოისმოდა ბიჭების არეული ხმა გარედან.

— დასჩეხეთ, დაჰკეპეთ ეგ მ—ლი!—ზარივით გაიწკრიალა კნეინას ხმამ.

— კაცი ალარ ვყოფილვარ, შენი სისხლი თუ მაინც არ ჩევიქცია, შე ქვეყნის ბოზო!—ხრინწიანის ხმით შესძახა ბასილამ, ერთს დამხვდერთაგანს ხელიდან სატევარი გაჰგლიჯა და კნეინას სტყორცნა. ნატყორცნი სატევარი კნეინას შუბლში მოხვდა და მისი შვენიერი სახე წითლად შეიღება. ქალბატონმა უეცრად შეჰკივლა და გულ-შემოყრილი იატაკზე დაერეხვა.

ოთახიდან ქაჯივით თმა-წვერ აბურძგვნილი შამილი გამოვარდა. ბიჭებს ზოგიერთი სტუმრებიც დაეხმარნენ და ბასილა გაძაგრეს. შამილმა რომ იატაკზე განართხული, სისხლში მოსვრილი თავის ცოლი დაინახა, მაზრის უფროსს მიაშურა.

— არიქა, მიშველე! დაეიღუპე, ცოლი მომიკლეს!..

— А? Что? Что такое?

— ცოლი მომიკლეს! დამღუპა ბასილა უღრეკაშვილმა.

ამ სიტყვებმა კნუტოვი უცებ გამოაფხიზლა. ჩხუბის ალაგას გაიჭრა და კნეინას დაუწყო სინჯვა.

— ცოცხალია, ცოცხალი! არიქა ჩქარა კაცი ექიმთან!

ამას შემდეგ კნუტოვმა ბოქაული მოიკითხა. კარგა ხანს ძებნის შემდეგ კუთხეში მიძინებული იპოვეს, მაგრამ ვერას გზით ვერ გამოაღვიძეს. გაჯავრებული კნუტოვი ფაექანა და მძინარე ბოქაულს წიხლი ჩაჰკრა.

— ეს რა ამბავია; აქ ხალხსა ჰხოცვენ და შენ ყურსაც არ იბერტყავ!..

მოგეცათ ღვთის წყალობა, მაზრის უფროსის წიხლმა ბოქაული ფიცხლავ ფეხზე წამოახტუნა. მაშინვე ყაძახი რუსებიც მოიკითხეს, მაგრამ ისინიც ძალზედ დამთვრალიყვნენ და ეძი-

ნათ. იმათ მოსაყვანად უფროსმა ბოქაული გაჰგზავნა. იმანაც მთვრალი რუსები კარგა ხანს ანჯღრია, ხან წიხლი ჰკრა, ხან ხელი, მაგრამ, სანამ ხუთ-ხუთი მათრახიც კარგად, ბოქაულურად კისერში არ გადააწნა, ვერას გზით ვერ გამოაღვიძა. ბოლოს დიდი ვაივაგლახითა და ფეხების ბაკუნით გაირეკა წინ. როზგის მოყვარულმა კნუტოვმა ყაზახები რომ დაინახა, შეკრულს ბასილაზე ანიშნა:

— აბა, როზგი ამას!

ყაზახებმა სიხარულით ხელი სტაცეს, შეკრული კაცი მიწაზე დასცეს და შეუდგნენ ბრძანების ასრულებას. ერთი იმათგანი ბასილას ფეხებზე დააჯდა, მეორე—კისერზე, ორიც აქეთ-იქით მათრახებით დაუდგა და აუყენეს ჟაპა-ჟუპი. საწყალი ბასილა ბევრს ეკვედრა: „ნუ გამროზგავთ და, გინდათ, დამარჩვეთო“, მაგრამ ვინ შეუსმენდა. მის ზურგზე მათრახის ტყაპუნი მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც კანი დაუსკდა და სისხლით მთლად შეიღება საბრალო.

— ეყოფა! ახლა ნაობახტში წაათრიეთ, ხვალ კი ოზურგეთს წარმომიდგინეთ და მერე მე ვიცი!—უბრძანა მაზრის უფროსმა მამასახლისს.

საწყალს ბასილას დაავლეს ხელი და ნაობახტში წაათრიეს. ამასობაში ექიმიც მოვიდა და დაჭრილებს მიაშურა. კნეინას ჭრილობა მსუბუქი გამოდგა, მაგრამ მეორე კი, ივანიკა მრუდაძე, შამილის ერთგული მოსამსახურე, რომელსაც ბასილამ დამბაჩა დაახალა, ძლიერ მძიმედ იყო დაჭრილი. ექიმმა გრძნობაზე მოიყვანა. მღვდელმა რომ ზიარება მიაწოდა, მომაკვდავმა ხრიალით წარმოსთქვა: „ჩემს სიკვდილში ბასილა უბრალოა, ეშმაკმა გადამიყოლიაო“ და სული განუტევა.

ესენი რომ „პროტოკოლის“ წერაში იყვნენ გართულნი, ვილამაც ლოგინიდან ნახევრად გადმოკიდებული ბასილა უდრეკაშვილის ცოლის უსულო გვამი იპოვა და ეს ამბავი მაზრის უფროსს მოახსენა. ყველანი მაშინვე ოთახში შეცვივდნენ. ექიმმა მიცვალებული დიდ ხანს ატრიალა, მაგრამ ჭრილობა ვერსად ვერ უპოვა. შემდეგ ზეწარ-გადაფარებული ცხედარი გასაჭრელად

სახლს უკან, თხმელას ქვეშ დაასვენეს. ექიმმა წინსაფარი შემოიკრა, სახელოები წაიკაპიწა და საქმეს შეუდგა. კარგად გამოცდილის ყასაბივით მარჯვედ ატრიალებდა დანას და რამდენისამე წუთის განმავლობაში ერთიანად გადმოალაგა მრთელი შიგნეულობა. თვისის ბეცის პანსნეთი აღჭურვილის თვალებით ექიმი კარგა ხანს სინჯავდა გულ-ღვიძლს, უნდოდა სიკვდილის მიზეზი იქ ეპოვნა, მაგრამ ამაოდ. გულიცა და ფილტვებიც მიცვალებულს სრულიად საღი აღმოაჩნდა. ექიმი ცოტა უფრო გამჭრიახი კაცი რომ ყოფილიყო, უთუდ შეჰნიშნავდა მიცვალებულის საფეთქელსა და მკლავებზე ერთიანად დალურჯებულს ხორცს. ვინ იცის, იქნება კიდეც შეჰნიშნა, მაგრამ განძრახ თვალი აარიდა. რადგანაც ექიმმა ნამდვილი მიზეზი ვერაფერი იპოვა, მისი უეცარი სიკვდილი ნერვების სისუსტეს დააბრალა და ოქმშიაც ასე ჩაწერინა. საღამოზე მაზრის უფროსი ბოქაულითა და ყაძახებით ოზურგეთში წაბძანდა. დანარჩენი სტუმრები, რომლებისთვისაც იმ **სეირზე** დასწრება ბედს არ ერგუნებია, ენეინას შემოეხვივნენ და დაწვრილებულს ამბავსა ჰკითხავდნენ. ისიც გატაცებით უამბობდა, თუ როგორი გმირობა გამოიჩინა. გუძაია მაზაკვალია თავის ქნევით და კბილების კრაჭუნით მრისხანედ გაიძახოდა: „სად ვიყავი, რომ ამ ჩემს ხანჯლის წვერზე არ წამოვაგე ის წუნკალიო!“

მართალია, ისინი დიდად არა სწუხდნენ მაინცა და მაინც, „რა ვუყოთ, ყაძახმა ყაძახი მოკლა და ერთი ყაძახის დედაკაციც ზედ წააკვდა, მეტი ხომ არაფერია?“—ამბობდნენ ისინი, მაგრამ ვახშამმა მაინც ძლიერ უგემურად ჩაიარა. „ენიაზ კოტე“ ძლიერ გაჯავრებული იყო იმ ტუტუც ყაძახზედ, რომელმაც ისეთი ჩინებული ლხინი ჩაგვაშხამო.

— ტყუილად კი არაა ნათქვამი: „ლორის ტილი რომ ფეხზე დაისვა, თავზედ აგაცოცდებაო!“ ის ტურის გაგდებული თავადმა გვერდში მოიჯინა, მისი პურ-ღვინით გასქდა და კიდევ მას უპირებდა მოკვლას?!. ჩემი ნება რომ იყოს, ყაძახს რავა გავუშვებდი ცოცხალს, სუყველას დავარჩობებდი?..

P-23824

— მაშინ თქვენს ბრწყინვალებასაც...—უხუმრა მეზობელმა.

— რაო, რაო? კნიაზო, მე თქვენ აბიდას მაძლევთ! ამისი მოთმენა კი არ შემიძლია!

— ჰო, რა იყო, რა აბიდა? რას წიწმატობ, თუ იცი!

— როგორ თუ რა აბიდა! აბა ყაძახს როგორ შემადარე? მე თქვენა გთხოვთ უკან, უკან დაიბრუნოთ თქვენი სიტყვები!

— მე ნათქვამი სიტყვის უკან წაღებას ჩვეული არ გახლავარ, ვნახოთ, რასაც მიზამ!—უპასუხა შეურაცხმყოფელმა.

აქედან „კნიაზ კოტე“ წამოვარდა, იქით—ის და უთუოდ სისხლი დაიღვრებოდა, მოჩხუბარნი რომ შამილს არ დაემშვიდებინა.

— რაც დღეს აქ სისხლი დაიღვარა, აღარ კმარა, რომ თქვენაც ჩხუბობთ?! არა გრცხვენია, კოტე, რომ ხუმრობის გატანა არ იცი?

— ხუმრობის გატანა როგორ არ ვიცი, მაგრამ ის რა ხუმრობა იყო! გამლანძღა, ყაძახი დამიძახა.

— ჰო, კარგია, კარგი, თუ გიყვარდე! თავი დაანებე!

„კნიაზ კოტე“ ცოტა კიდევ „შექუჩმაჩდა“, მაგრამ ბოლოს მაინც დაწყნარდა. სტუმრები სუფრიდან წამოდგნენ და მალე დასაძინებლად თავიანთ ოთახებში გავიდნენ.

არარავის ახსოვდა საბრალო მიცვალებული; არავისის თანაგრძნობის ცრემლი არ დასცემია მის გაცივებულს მცწედარს. მისი საწყალი ბასილა სოფლის ნაობახტის მტვერში ეგდო შეკრული და ცოლის სიკვდილის ამბავი არც კი იცოდა. მართალია, მთელს სოფელს საშინელ მეხად დაეცა ამ ამბის გაგონება, მაგრამ რა უნდა ექნათ?! თავიანთ მწუხარებას ისევ ჩუმად იკლავდნენ გულში. ადამიანებისაგან დავიწყებული ზეცამ არ დაივიწყა. უეცრად ქარმა საზარლად დაიწუწუნა... ცა მოიღრუბლა და ცოდვილს დედამიწას მსხვილი ცრემლი გადმოაფრქვია. წვიმის შხაპა-შხუპი ნაქეიფარს ვაჟბატონებს ნაზ ნანინად ეყურებოდათ და მალე ტკბილად დიაძინეს.

წვიმამ მხოლოდ გათენებისას გადაიღო. ხელებ-გაკრული ბასილა საპყრობილიდან გამოიყვანეს, წელზე მსხვილი ბაწარი მოაბეს, რომლის ერთი წვერიც სოფლის ერთს მოხელეს მისცეს, და საბრალო პირუტყვივით წინ გაიგდეს. ასეთის მძიმე დანაშაულის ჩამდენი რომ მართებლობას ხელიდან არ წასვლოდა, ბასილას გამოსაყოლად მაზრის უფროსს ორი ყაძახი რუსი დაეტოვებინა. ცხენოსანი ყაძახები ძალზე მოქანცულს ბასილას მათრახებით აჩქარებდნენ. არც ქვეითს მოხელესაც ასცილებია ყაძახთა მათრახები, რადგანაც იმასაც, ვითარცა ადამიანს, გაუჭირდა ცხენებთან ძუნძული.

დაბლა სადილობა იქნებოდა, როდესაც ჩვენმა მგზავრებმა სუფსას მიაღწიეს. წინაღამის წვიმისაგან გადარეულს მდინარეს ნაპირები გადმოელახა და მღვრიე ტალღებს მრისხანედ მოაგორებდა. ამ გაშმაგებულის სტიქიონის წინაშე ყაძახებმაც კი გაიხარეს ქედი და გასვლა ვერ გაჰბედეს. მაგრამ ბრძანებას ხომ ვერ გადაუვიდოდნენ, რაც უნდა მოსვლოდათ, მაინც უნდა გასულიყვნენ. მაშინვე მენავე დაიბარეს და მეორე ნაპირს გაყვანა უბრძანეს. მენავე დიდს უარზედ დადგა, მაგრამ, როდესაც ყაძახები ციმბირს დაემუქრნენ, მეტი რაღა გზა ჰქონდა, უნდა დაჰმორჩილებოდა ხელმწიფის კაცების ბრძანებას. ყაძახებმა ცხენებს აღვირები წაჰხსნეს, მდინარეში შეაგდეს და ქვები დაუშინეს. ცხენები ერთ ხანს კი გაჯიუტდნენ, თავი უკან იბრუნეს, მაგრამ, როდესაც გამოღმიდან ნასროლმა ქვებმა ზურგის კანი აუწვა, მწარე ხვედრს დაჰმორჩილდნენ და რის ვაი-ვაგლახით მეორე ნაპირს გავიდნენ. როდესაც ყაძახებმა ცხენები მეორე ნაპირს გასული დაინახეს, თვითონაც ნავში ჩასხდნენ. მენავემ პირჯვარი გადაიწერა და ნიჩაბი მოუსვა.

— აი, ხსნა სადაა! —გაიფიქრა გულში ბასილამ.—ჩემი საქმე გათავებულია: სარჩობელა თუ არა, ციმბირი მაინც აუცილებელია. თუნდა ციმბირსაც გადავრჩე, გაროზგვილმა კაცმა სირცხვილით თავი სადღა უნდა გამოვყო?! არა! აქაფებულო მდინარევ, ჩემი უკანასკნელი სუნთქვა შენმა მღვრიე ტალღებმა უნდა მიიბაროს! შენს ნაპირას უნდა გამითხარონ სამარე

და ზედ მომაყარო შლამი და სილა! შენ უნდა დამიტირო და მიგლოვო შენის განუწყვეტელის ჩახჩახ-შუილით!.. დიახ, შენ უნდა იქნე ჩემი უკანასკნელი სავანე! მშვიდობით, საყვარელო სოფელო! მშვიდობით, მოხუცებულო დედავ და საყვარელო მეუღლევ!..

ამ მწარე გარდაწყვეტილებისათანავე ბასილამ ყაძახებს ზიზღით გადაჰხედა, ნავის გვერდს ღონივრად წიხლი ჩაჰკრა და გადააბრუნა.

რაღაც ბრმა შემთხვევის წყალობით მდინარემ ბასილა უვნებლად ნაპირს გამოაგდო. ბასილამ რომ მახლობლად მდევარი ვერ შეჰნიშნა, იქვე ტყეში შეძვრა და ხშირს ჯაგებში მიიმალა. აქ იმან კარგა ხნის ცოდვილის შემდეგ ხელებიდან თოკი მოიხსნა და თავი გაითავისუფლა, სანამ კარგა არ დაღამდა, ბასილა ადგილიდან არ დაძრულა. თუმცა მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ბასილამ მთელი გზა შეუმჩნეველად, მშვიდობიანად გაიარა და პირველ მამლის ყივილისას თავის ქოხს მიადგა. სახლის კარები გარედან გადარაზული დაუხვდა და ამ გარემოებამ მეტად გააოცა. მართალია, რაღაც წინაგრძნობა ყურში ჩასჩურჩულებდა: „ნუ შედიხარ, იქ შენს გასახარელს ვერასა ჰნახავო“, მაგრამ მაინც შევიდა და ლოგინზე ხელის ფათური დაიწყო. როდესაც ვისაც ეძებდა ლოგინზე ის ველარ ჰნახა, სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „დედავ! მაიავ! აღარა ხართ?“...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!... მოისმა ლოგინიდან რაღაც ცივი, ხრინწიანი, შემზარავი ხარხარი... ბასილა შეჰკრთა და ის-იყო უნდა დაეყვირა, რომ უცებ თავისი მდგომარეობა მოაგონდა და უცებვე თავი შეიკავა. შეშინებული ბასილა სახლიდან გამოვარდა და თავის ბიძისკენ გაიქცა.

გაბილა უდრეკაშვილი, ბასილას ბიძა, ამაოდ ცდილობდა როგორმე დაეძინა, მაგრამ ამ ორის დღის განმავლობაში ნანახი საშინელი სურათები გონებიდან არა შორდებოდა და მის ცრემლებისაგან დაღალულს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. „ვაი, უბედურო ბასილავ!“.. ამოიოხრა გაბილამ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ამ დროს შემოესმა კარების წყნარი კაკუნი. გაბილა უცებ წამოდგა ლოგინიდან და გარედ გამოვიდა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ ბასილაი. არიქა, ნიგუზალი და ნაჯახი გამეიტანე, იქნება მივუსწროთ იმ წყეულს! შინ, ლოგინს ქვეშ, ქაჯი დამხვდა, ძლივს გამოვასწარი.

გაბილა თითქო გაშეშდა, ადგილიდან არ იძროდა.

— კაცო, რას გაჩერებულხარ, ჩქარა! ჩუმად გამოიტანე, დროვინ შეგიტყოს! ნენაი და მაიეი ხომ შენსასაა?

გაბილამ მეტი კი ველარ მოითმინა და ტირილი წასქდა.

— რა იყო: რა ამბავია? აღარ იტყვი, კაცო?

— რაღა რა ამბავია! აღარა გვყავს მაიეი, დღეს დავასაფლავეთ. ისიც, შენ რომ ქაჯად მოგჩვენებია, საწყალი დედაშენია. ველარ გაუძლო საწყალმა ამდენ უბედურობას და გადეირია. ვაი, ამ გაძაღლებულს მოხუცებულობას!

ბასილა თითქო გაქვავდა, ცრემლიც კი არ გადმოჰვარდნია... ცრემლი-მეთქი!.. ამისთანა უბედურთათვის ცრემლი კი არა, ოხვრაც მთელი ბედნიერებაა! ტყუილად ხომ არ უთქვამს პოეტს, „ოხვრა არის შვება უბედურისაო“. გაშეშებული იდგა გაბილას წინ, რომელიც ფლიკვინით დაწვრილებით უამბობდა მაიას სიკვდილის მიზეზს და დედა მისის შეშლის ამბავს. კარგა ხანს იდგა ბასილა მის წინ გაშტერებული... არა ვგონებ, რომ გაბილას ამბავი მის ყურს მიჰკარებოდეს. ბოლოს ხმაამოუღებლივ უკან გამობრუნდა და თავის ქოხში შევიდა. აქ კედლიდან ჩამოიღო მამა-პაპეული „მაჭახელა“, ტყვირთ კარგა დატენა და კარებთან მიაყუდა. ლოგინის ქვეშიდან დრო-გამოშვებით შეშლილის ხარხარი მოისმოდა, მაგრამ ბასილა ყურს არ უგდებდა. ზანდუკში ხელებს აფათურებდა და რაღასაც დაეძებდა. კარგა ხანს ძებნის შემდეგ „მუმიათ“ შენახული, ჩვრებში გახვეული სპიჩკის კოლოფი იპოვა. შემდეგ სახურავიდან კარგა მოზრდილი ისლის კონა ჩამოგლიჯა, თაროდან სანავთე ბოთლი გადმოიღო, თოფი გადიკიდა და ფრთხილად სასახლისკენ გასწია.

მისდა ბედად ისე შეუმჩნევლად შევიდა, რომ ძაღლსაც არ დაუყეფია. ყველას ტკბილად ეძინა. ბასილამ ისლს ნავთი

გადაასხა და სასახლეს ცეცხლი მისცა. ზვითონ გამოსავალის კარის პირ-და-პირ ხეს ამოეფარა და ხელში თოფი მოიმარჯვა. მოგეხსენებათ, რა ტკბილია პირველი ძილი. სანამ ცეცხლი კედლებსაც არ მოედო, არავის შეუტყვია. გამომხმარს წაბლის ფიცრებს ცეცხლი კვარივით მოედო და მალე მთელი სასახლე კაშკაშით აპრიალდა. პერანგის ამარა გოგო-ბიჭები კარში გამოცვივდნენ და კიეილი და კიჟინა მორთეს. სოფელშიაც მალე გაიგეს ეს ამბავიდა მოსახმარებლად გამოეშურნენ. როცა სიცხემ ძალიან დააჭირა, შამილსაც გამოეღვიძა და გიჟივით გარეულ გამოვარდა.

— დამლუპა იმ ამოსაგდებმა ბასი....

უცებ იგრიალა თოფმა ლა თავადი პირქვე დაეცა. ბასილამ რომ შამილი წაქცეული დაინახა, მგლურის ძუნძულით აღმართს შეუდგა. ცეცხლის სინათლეზე ხალხი ნათლად ჰხედავდა მიმავალს ბასილას, მაგრამ მის გამოკიდებას და დაჭერას არავინ ფიქრობდა. ყოველივე ცდა სახლის გადასარჩენად ამაო იყო. გაძლიერებული ცეცხლი მალე სხვა ხის შენობებსაც მოეკიდა და რამდენისამე საათის განმავლობაში მთლად გადაჰბუგა.

დაიწვა შამილის სასახლე და მასთან დაიწვა მამა-პაპათაგან სიმართლ-სიბრუდით შენაძენი მთელი სიმდიდრე.

— ჰაი, ჰაი! რა სიმდიდრე დაიწვა.!!.. იძახდნენ თავის ქნევით გლეხები.— დაილოცა ღვთის განგება! მაგრამ, რაც აქ ცოდვა ტრიალებდა, ცეცხლი გასწმენდს?!..

„მერეო?“ იკითხავს ცნობის-მოყვარე მკითხველი. არაფერი! შამილს სასიკვდილო არაფერი დაჰშავებია. ჭრილობა მალე მოურჩა და მალე უკეთესი სასახლეც გამოსჭიმა. მართალია, საუკეთესო მამულები ვაჭარ-ჩარჩებმა ზედი-ზედ ხელიდან გამოსცინცლეს, მაგრამ ქეიფისათვის სულაც არ მოუკლია, დიაღ, ქეიფობს და ლხინობს ღირსეული ცოლქმარი!.. ბასილა კი... საწყალი ბასილა ბევრის დევნის შემდეგ ძაღლივით ჩაჰკლეს სადღაც სურების მიყრუებულს მთებში.

იასონ ნიკოლაიშვილი

22 წიფლბისთვე 1894 წ.
დ. ძველი სენაკი.

ორი ოგოლი

(ამბავი)

ზამთარია... შუადღე გადასულა. სუსტი მზე ოდნავ ეკარება მთის თეთრს მწვერვალებს. ტიკმა ნიავმა დაჭბერა, თოვლმაც შრიალით მისცა ხასუსი, მაგრამ მალე გატრუნა სული და ქვებუდანად ჭგზავნიდა სიცივეს ნაბერწკლებს ჭაერში. ქუჩებზე ფეხოსანთ ნაბიჯს უმატეს, ეტლები გაჩქარეს. კომლი ბურჯდულ-ბურჯდულად ამოდიოდა ბუხრებიდან. სწორედ ამ დროს ორი მოხმებში გასვეული არსება იდგა სამ-სართულიან სახლის აივნის ქვეშ. ეტუობოდათ, რალაც თათბირში იუვნენ.

— არა გოგო!—სთქვა ერთმა მათგანმა,—ამ სახლთან ტუ�დად გავხერდით, აქ ნუ შეკალთ.

— რატო?—მიუგო ტიტამ,—ამ სახლში, როგორც ეტუობა, მდიდრები უნდა სცხოვრობდნენ და...

— ეგ მართალია,—ჩამოართვა სიტყვა ბირველმა ტიტას,—მაგრამ გუშინ ხომ ჭნახე, სწორედ ამისთანა სახლი იყო, ბიჭებმა რომ გამოგვეარეს.

აბრასძულ-დაბრასძულებმა დაათვალიერეს სახლი, რომელიც მეტ დიდურად გადმოჭყურებდა გასიერს ქუჩას და რომლის მცხოვრებნიც ალალტნაირ ზღაბრულ არსებად წარმოიდგინეს.

— მგონი თეითონ ეს სახლი იყო...

ეკლავ არ დასცალდა ტიტას სიტყვის დათავება, რომ აივნიდან მოისმა მრისხანე ხმა.

— ეი, თქვე მაწანწალანო, კიდეკ მოეთრიენით? დაიკარგეთ აქედან, თორემ, რაც გუშინ დაგაკლდათ, ახლა შეგისრულებთ!

ალვანზედ გადმოდგარიყო მოსამსახურე ბიჭი, ტოტი ხელში ეჭირა და ალვასა ჭგვიდა. მეორემ, რომელიც შემდგარიყო ფანჯარაზედ და შუშებსა სწმენდაკდა, ბანი მისცა თავისს ამხანაგს.

— ჯოხი მაგათ, თეოდორე, ჯოხი! ეს, მაგათ შიშით კაცს ვერა გოუშვია-რა ეზოშიდ. ეგენი მეაბარაკდნენ გუშინ ტაშტს, თვარა სხვა კინ იქნებოდა.

— და ჩვენ კი გვაზღვევინა «ასზეინმა»,—სთქვა თეოდორემ; მოამარჯვა ხელში ძელი ტოტისა ტარი და კიბეზე დაეშვა. უბედურებმა ერთის ფესით გაასწრეს გადმოქნეულს ჯოხსა და მუხლამდის თოვლში გადაყრიენენ. ბიჭიც აღარ გამოეკიდა და ლანძღვა-ჭინებით ავიდა ისევ ალვანზე.

ეჰ ტოტა ხანს შეესწეტაკთ ჩვენს მოთხრობას და მოკლედ გაუწყებთ ამ გოგო-ბიჭის წარსულს.

ტიტა და კანო და-ძმანი იყვნენ. ბირველი იყო შვიდის წლისა, მეორე ორის წლით უფროსი იმაზე.

მამა მათი ზალიკო და დედა მარიამი ს. ყორეთის მცხოვრებელნი იყვნენ.

გამრჯელმა ზალიკომ ყაირათიანის ტოლისა და უფროსის გაყის—ლექსოს შემწეობით, უკან წასული ოჯახი წინ წამოსწია. სცხოვრობდნენ ისე, როგორც უმამულო გლეხს შეეფერებოდა; რადგანაც, ზალიკო ჯერ ისევ გამოუცდელი იყო, როდესაც მამა მოუკვდა და ერთის დღის ვენახი მედუქნემ კალში ჩამოართვა, დიდ ხანს იყო შეიწროებაში. «გული მიგვდებაო,—იტყოდა ხოლმე ზალიკო,—როდესაც მედუქნეს ტოლ-შვილს ვხედავ ჩვენ «შინა-ვენახში».

— ედგას შენი ტოდვა, კინც შენ ეგ ხელიდან გამოგაცალა. ბაბა სად გაისარჩო ჩემმა შვილებმა? კიწს ვერასად ასწეკეტავენ, რო უნდოდეთ, კიწს! ტაბარეკი კაცი სოფელში ბანაბენი არ არის. ბაბ შენი ჭირიმე, ხვალე რომ გადაკბრუნდეთ და დაგიხოტნეთ, რა უნდა დარჩეთ ჩვენ შვილებსა? რით უნდა შეინახონ თავი? შესასვაით ხსვის კარზე უნდა გამოიზარდნენ წვიოთ და დაგეით და თავისი დღენი ხსვის სამსახურში უნდა დალიონ! ან კინ იცის, ორი ძმა ერთად აღარა დგება ამ დროში, ღმერთმა კი ღმე მისცეს ჩემს ლექსოსა და კანოს, ხვალე რომ დაშორდნენ ერთმანეთს ერთი ქოხის მეტი

რა ვაკეთებთ? ერთი რომ აქ დაგუმნდეს, მეორე სათოლა წაიდეს, გეთაყვანე? არა, არა, უნდა წელებზე ფეხი დაიდგათ, ჯანი უნდა გაიგდებინოთ და ჩვენს შეიღებს კი ერთი-ორი ადგილი მაქვეს შეგძინოთ როგორც იყოს.

—«დაგწერილშეიღდი—დაიწია, დამეზარდენ—აიწეოოჯ,—უპასუხებდა ამაზე ზალიკო იმედიანად.—ვენაცვალე ღმერთს, ლექსო მოგესწრო, მაგე კანოტ შეიძლებს სასრის აღებას და სასასლესაც შეეძენთ და საკენასესაც.

თითქმის ყოველს საღამოს, როდესაც დამაშვრალი ზალიკო წამოწვებოდა დარაკრაკებულს ეზოში, ტოლსა და ქმარს ამისთანა მესაიფი ჭქონდათ ხოლმე. მერე შეუდგებოდნენ იმას ფიქრს, როდის დაგაქორწინებთ ლექსოსაო, როგორი ქალი კითხოოთ და სხვა ამისთანები. მაგრამ ნათქვამია: «კაცი ბეჭობდა, ღმერთი იცინოდაო»! სწორედ ასე დაემართათ მომავლით აღფრთოვანებულთ ჩვენს ზალიკოსა და მარიამს.

ქ—ს მსარეს უბედურება ეწვია. ოთხს წელიწადს ზედ-ზედ მოსავალი არ მოვიდა. დაიმშა ავრედვე ს. ყორეთიც. საწყალი ზალიკო სრულიად მოუმზადებელი დასდგა ამგვარ შემთხვევას. ღღიური მუშა იყო და, ერთს დღეს თუ სელს არ გაიქნევდა, მისი ტოლ-შეილი მშიერი უნდა დარჩენილიყო. ასლა რაღა ექნასე? სამკალი არავისა აქვს და სათოსია. ბუერის ჭამისათვისაც კი აღარავინ იშველიებდა; ყველას თავისი თავი გასჭირებოდა. მაგრამ ეს არ აკმარა ბედმა ზალიკოს. ლექსო, ეს «ოჯასის დედაბოძი» ლექსო, სალდათად წაიყვანეს. მერე რა დროს! მაქვე, როდესაც «დანა უჭელთანა ჭქონდა ფიბეკნილი»!

— კაი, რა უდრო-უდროდ ჩამომცალეს მარეკენა! ვამბობდი, ერთ-ერთი სასლში დაკტრიალდებით, მეორე ან ქალაქისაკენ წავა, ან ლეკში, ეგებ ერთი-ორი გროში ვიშოვოთ-მეთქი და დასე, დასე რა მოგვიეიდა! ვის მიგატანო? რა წესლში ჩავარდე? წაიდე სათმე სამუშაოდ, აქ ტოლშეიღი ვის სინანბარას დაკტოვო, მერე მაშინ, როცა მეჭაზე დაყრა არა აქვო-რა! ან ხელი როგორ მოგაწვდინო იქიდან ან სმა? კაცს ჯანი მთელი ჭქონდეს, მკლავში—ძალა, მუსლში—ღონე და შინ ტოლ-შეიღი კი მშიერი ესო-

ცებოდეს! გაგონილა!? არა, არა! ყველაფერი მინახავს, ყველაფერი, ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს, თავზე თორემ სხვაფერივ ყველა ტანჯვა გამოიცადია და ესეთი კი არას დროს, ოჰ, ღმერთო! რათ აიღე ჩვენზე სული? რაზე გაგიწყვიტე კარტლში სეფისკვერი?

ასე მოსთქვამდა გულ-დაკოდილი, გულსულ-დაკრეფილი ზალიკო და მიაშურობდა ტრემლიანს თვალებს სახლის პირ-და-პირ, პატარა მთის წყვრზე აშენებულს ეკლესიას.

შემოესმოდა ზალიკოს ამ დროს ტირილი პატარებისა, რომელნიც შეჭლნაოდნენ დედას და სთხოვდნენ პურს. თითქოს ლასვარი დაუტარეს ზალიკოს გულ-ღვიძლსაო, ისე დაეშრანტებოდა სოლმე სასე, დაეშტერებდა თვალებს პატარებსა, მაგრამ ისევ მაღე მოარიდებდა პირსა და მოჭყვეტოდა ჩუმად ქვითინსა. რასაკვირველია, არც მარიამი იყო ამ დროს მოსვენებაში. მდევიეთ დედაკაცი, რომელზედაც მეზობლები იტყოდნენ სოლმე: «კაი კაკაცს შეეჭიდებაო» ჩამოლსვა, თვალები ჩაუცვიდა და ოდესღაც ლაღაა ლოცებს სიყვითლე გადაეფარა. დარდისაგან გონება დაეზლუნგდა და მკვირცხლი, ყველაფერში მოაზრებული მარიამ, ასლა ძლიეს-ღა დალასლასებდა დანით სელში და ბოლჩით იღლიაში სოფლის ორღობეებსა და ბაღჩებში ჭინჭარ-მსალ-საჭიჭორას საკრეფად და ამგვარად ორი-სამის დღის მშიერები უმარილო წყალში მოთუთქულ ბალახით იბრუნებდნენ სულს. თან-და-თან ამისთანა კვების სალსარიც ილეოდა და დიდი-პატარამდე მოჩვენებას დაემსგავსნენ. საწყალმა ზალიკომ მსოლოდ ესლა გამოიმეტა თავისი ერთად-ერთი ოთხფეხა პატარა ხბო. ორ მანათად მიჰყიდა მედუქნე ივანეს. შვილიეთ ლუკმით გაზარდა ზალიკომ ეს ხბო და მომავალში დიდი იმედი ჰქონდა მისი, ისევე შესტრფოდა თითქმის, როგორც თავის ღვიძლ შვილს ვანოს. თვით ცოცხასა და ვანოს ამ ხბოს გაყიდვით მოსწყდათ გულიდან უსაყვარელესი ამსანაგი და ისეც ნაღვლიანი მათი გული მწარედ მოიწამლა. ოჰ, რა ტუტუტი ბალახი ჰქონდა! რა ალერსიანი თვალები, რა საყელურით იყო მორთული მისი კისერი! როგორ გვიდოკავდა სელებს სიყვარულის ნიშნადაო!

მედუქნე ივანემ წაიყვანა მათი «გუდვარდა!» მაგრამ ამ ორის მანათით რა მარჯილი უნდა გაეკეთოთ ზალიკოს ტოლ-შვილს. დუქნის კარებზეკე უკანკე მისცა ივანეს ეს ფული და სამაგიეროდ ნახევარი კოდი ბური გამოართვა. ეს დღესა ჭყოფნოდა! ხვალა, ხვალზეკითა, ერთი კვირა, მერე? მერე ისეკ ან შიმშილით დაკიხოტებით ან მსალ-საკიკორ-ღოლოტოფა გადაგვიტანსო. დიდ სანს ებრძოდა ზალიკო ამ აზრს: წავიდე თუ არა ტოლ-შვილით ქალაქისაკენა. და ანლა კი გადასწყვიტა, მაგრამ მაინც გული სხვას ეუბნებოდა: «ასდ მიხვალ, რომ მისვალ?—ეუბნებოდა ერთი გული,—შენს სოფელში სიკვდილი გერჩიენოსო». ტკბილი ყოფილა სული, ტკბილი! ბოლოს მაინც მიატოვა ზალიკომ თავისი კოშკია ქანი, საყვარელი სოფელი და მეზობლის ქირაზე მიმავალ ურმით ქალაქში ჩამოვიდა ტოლ-შვილით; მაგრამ სწორედ აქა ჭეშა ზალიკომ ის, რასაც სოფლიდან გამოექცა. სამის თვის შემდეგ გამოესალმა თავის ტოლ-შვილს სამუდამოდ. რკინის გზაზედ, საცა ისა მუშაობდა, ორთქლის მტარებელმა იმსხვერეა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისი, რომ დღეს კანო და ციცა სამათხოვროდ დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა. ესეკ იყო მიზეზი, რომ ამდენ დარდ-ბოროტისაგან ისეც ჯან-გატესილი მარიამი ლოგინად ჩავარდა.

— რა უნდათ, კანო, იმ ბიჭებს ჩვენგან?—ჰკითხა კანოს ციცამ, როდესაც ისინი შესდგნენ და დაინახეს, რომ ბიჭი აღარ მისდევდა.

— ისა, ციცა, რო ნუ მთხოვრობთო.

— მაშ რა ვსაქმოთ, რომ არ მოვითხოვოთ? არა, მაგისთვის არა. განა დედამ მოგვატყუა, რომ გვითხრა: წადით, შეიღებო, ითხოვეთ, ღვთისნიერი კაცი არსად არ დაიღვეა, ღუმმა ბურს მოგაწვდიანო?—ჰკითხა კვლავ ციცამ.

— რა ვიცი,—უპასუხა კანომ,—ჩვენ კი ვერაფერი ვაშოვეთრა და...

— იქნება მაგათ ისე ჰგონიათ, რომ ტყუილად ვთხოულობთ?

— რიგორ თუ ტყუილად?—დაეკითხა თავის მხრივ კანო.

— ისე რომ, გასხოვს მე, შენა, ნენე რომ «მთხოვრობიანა» ვთამაშობდით ხოლმე?

— მაშინ, ციცი, ვსუმრობდით, ესლა კი მართლა ვთხოულობთ, მაშინ რად გვინდოდა, რომ გვეთხოვნა: მამა ცოცხალი გვყვანდა და დედაც ავად არ იყო.

ორივენი ჩაეფიქრა ამ მოგონებამ, მერე შეჭსედეს ერთმანეთს და ცრემლებით აემღვრათ თვალები.

— საწყალი დედა!—წარმოსთქვა ციცამ ტირილ-მორეულის ხმით:—წყალის გამომეღვიძა და ისეთი კვნესოდა, ისეთი, რომ ჭა! მერე რაღაც ლაპარაკი დაიწყო, მამას ელაპარაკებოდა; ასე ეგონა, მჯმა ისევ ცოცხალია; მე შემეშინდა და საბანში გავეხვიე.

— სიცხეში იქნებოდა, ციცი, შარშან შენც რომ ავად იყავ, ძილში რაღაცეებს ლაპარაკობდი. გუშინ და დღეს არა უჭკამია-რა, წამო ჩქარა, კიშოვოთ რამე და წავუღოთ!—ცრემლების წმენდითა სთქვა ვანომ.

— არა, ვანო, დილას კეკითხე: დადი, ხომ არა გშიან მეთქი—და ერბაო, წყალი კი ბევრი, ბევრი დალიეა,—უპასუხა ციცამ.

— როგორ არ ეშიეების, წამო, წავიდეთ, როდემდის უნდა ეიდგეთ აქა!

— აბა, საით წავიდეთ?—დაეკითხა ციცა.

— აგერ იმ ქუჩას დავუვეთ,—სთქვა ვანომ და გაიწოდა სელი ერთს კიწრო ქუჩისაკენ. ორივენი გავიდნენ იმ ქუჩაზედ და გასჩერდნენ ერთიან სასლის წინა. ჭსედავენ: ციცასტოლა ქალი შემჯდარა ფანჯარაზე, მარჯვნიე მოუსვამს ერთი მუჭა ძაღლი, პატარა ფინია, მარცხნიე—ბოსკერა კატა, რომელნიც ერთ ეში ჩამტკრეულს პურს შეეძეტეიან. ვანომ ჩასჩერდა, იქნება პატარა ქალბატონმა ეურადღება მოგვაქციოსო. მართლაც, პატარა ქალბატონმა გადმოიხედა ძირს და დაუწყო ამაოდ ეურება, თითქოს ეუბნება: «ეე ეიშერაცა მეკვს და ციცუნიაცა, ჭსედავთ როგორ კაძღობ რძიითა!» მერე ეიუტია ეიშერა, რათა ეჩვენებინა მათთვის მისი უნაჩი. ეიშერამ ეფორო დაიწყმუტუნა, ეიდრე დაჭყეფა.

— წამო აქაი, წამო, ძაღლმა არ დაგეგლიჯოს!—გამოსწია სელით შეშინებულმა ციცამ ვანოსა.

— ნუ ეშინიან, ციცი, ფანჯარას ხომ ეერ გამოამტვრეეს?—მიუგო ვანომ და შემდეგ დარცხვენით მიჭმართ პატარა ქალბატონს;—ეგასჩუქე რამე, ობლები ვართ!

— დედა შინ აკათა გვეკვეს!—დაუმატა ციცამ. მაგრამ ბატარა ქალბატონს არც კი გაუგონია მათი სიტყვები. ის იცინოდა, უსაროდა გიშერას ყეფა და უფრო ასილიანებდა. ამ დროს მეორე ოთახიდან გამოვიდა შუასნის ქალი, ძიღისაგან თავლებ-შეშუებული. ეტყობოდა, მოსვენება დაეფრთხოთ მისთვის. ქალმა სამდურავით მიჭმართა ბატარა ქალბატონს, რომელიც ტაშის ცემით ასალისებდა გიშერას.

— არა გცხვენიან, ნინიჩკა, რა სმაურობაა? «ბამბაშა» და «ბაბაშა» გამოადგიმე!

— მერე რა ჩემი ბრალია?—იცრუა ნინიჩკამ.—აგერ იმ ალეფეს გიშერა!

— აბა, ვინა?—ჰკითხა ქალმა.

— აგერ, გადაისედე ფანჯარას ქვეშ ვინა დგანან?—უპასუხა ნინიჩკამ და თანაც კანოსა და ციცაზე მიუთითა. ქალმა გადაისედა და მართლაც ჩვენი მათხოვრები დაინახა, რომელნიც ელოდებოდნენ: ან ასლა გადმოჭყოფენ მოწყალე სელს, ან ასლაო, მაგრამ, მათდა საუბედურად, მოწყალე სელის მაგიერ გადმოეყარა თმა-ბურძგნილი თავი. განრისხებულის თვალებით.

— ჭი თქვე მსეტებო, მსეტის შვილებო, რაგორ გაბედეთ ამისთანა თავხედობა? თქვე ქუჩა-ქუჩა მათრეკლებო! დაიკარგენით აქედან, თორემ დაკუმბსებ ბიჭებს და სულ კისერში ცემით გავარეკვინებთ!

კანომ და ციცამ განაბეს სული და ციკად მოშორდნენ იმ სასლს. მიდიან თავ-ჩაღუნულები, გულ-დაწყეტილები. უცებ უკანიდან მოესმათ სიცილ-სარსარი. მიისედეს და დაინახეს ორი ყმაწვილი და ორი ქალი. მათ ციცასა და კანოს ასლო გაუარეს, მაგრამ ბედნიერებას დაბრმავებინა მათი თვალები და ციცასა და კანოს სამოწყალოდ გაწვდილი სელი ვერ შეჭნიშნეს. იქაც, რამდენისამე ნაბიჯის სიახლოვეს, ეკლესია იყო, და ჩვენი ბატარები მიეიდნენ და მეეუდნენ მის გალავანს უიმედოდ. კელავ უშოვიათ ცოტა რამ მაინცა და დღეს კი სრულებით ბედი არა სწყალობთ. იდგნენ ბირ-მოკუმულები, სმაგაკმედილები. ორივენი ფიქრმა წაიღო. ვინ იცის, რა ბალღაძი სწაწყვნიდა მათ ნორჩ გულს! მალი-მალ დაეპრანწკებოდათ სასე და ისეთსა ამოიოხრებდნენ, თითქოს ქვა ედვათ გულში და მის ამოგდებას

ტდილობენო. უცებ ჭაერში გაიზრიალა მედგარმა სმამ. ვანო და ციცა შეკრთნენ. ეს საღამოს ლოცვის ნიშანი იყო. ზარის რეკა იწვევდა ქრისტეანთ ტაძარში საღოცავად. აგერ ერთი ტულუფოსანი გადმოსტა კიდეც ეტლიდან, მიბრუნდა აღმოსავლეთისაკენ და რამდენჯერმე დაიწერა ჯვარედინი, მერე გაუმართა ტაძრისაკენ. ვანომ გადადგა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი და სელი გაუწოდა მოწყალებისათვის. ტულუფოსანმა შუბლი შეიკრა, ჩასისხლიანებული თვალები გადმოაბრიალა და ჯოხი, რომელსაც აქნობამდის მაათრევდა, ასლა სელში მოიმარჯვა. «წყეულები გზასაც აღარ აძლევენ მლოცველს!» წაიბუტბუტა მან და შეკიდა ტაძარში. ვანო კვლავ აეუფდა კედელს ციცას გვერდით და ორივენი კარგასანს იყვნენ გაჩუმებულნი. საცივემ აიტანა მაღე ორივენი. მალი-მალ იორთქლებდნენ სელებზე და ნასვერად ტიტველა ფეხებს გამსმარს თოვლზე აფსაგუნებდნენ. სმის ამოღება გერტერთს ვერ გაებედნა, თითქოს თვითი იყვნენ მაზეზნი თვისის უბედურებისაო. სუსხიანმა ნაკვმა მათი ზირისასკენ ვერ აარითოლა, მერე გაალურჯა. მათს ლოყებზე აქნობამდის შეუმჩნეველი ბუსუსები ასლა ულსზე შედგა. კბილებმა ძაგძაგი დიუწყეს. თვალებიდან ცრემლები გადმოსტვიდათ სიცივის სიმწარეთა. აგერ ერთი ცრემლი ციცას თვალებიდან თოვლს დაეცა, მას მოჰყვა მეორე, მესამე. ასლა კი კედარ შეიმაგრა თავი ციცამ და ქვითინი დაიწყო. ვანოს, რომლის თვალებიდანაც არა ნაკლებ გადმოდიოდა ცრემლი, ენა დადა შეეეენებინა უკვე ყელში მობჯენილი გმინვა, მაგრამ კედარ დასძლია და ტირილითვე თანაუგრძნო დას. სტირიან ორივენი. ცრემლებიც თითქო ეშურებიან ჩქარა შეუერთდნენ ტივს ჭაერს და მოგორავენ ლოყებზე შეუწყვეტლივ. ვანომ ერთს წუთს, როგორც იყო, შეიძაგრა თავი, წაავლო ციცას მკალაკებზე სელები და მუდარა დაუწყო:

— სუ, ციცა, ნუ სტირო, შენი ჭირიმე, გოგო, დაჩუმდი...

ციცას უფრო გული ამოუჯდა. ვანოს უნდოდა რითიმე ენუგეშებინა ციცა, მაგრამ, რომ ვერა მოიგონა-რა, თვითონაც ისევ ტირილი დაიწყო. მუშებს სამუშაო აეშვათ და ფეხ-აკრეფით მოდიოდნენ. ვანოსა და ციცას ასლო გამოიარეს. ერთი მათგანი, რომელიც, როგორც ემჩნეოდა სიარულზე, ფეხი უნდა სტკიებოდა, სან-

სალით მიეკუდა მათს ასლოს და, რა გაიგონა ბავშვების ტირილი, დაეკითხა:

— რათა სტირით, ბატარებო?

ბასუსი არ იყო.

— გტემათ კინმე?—კვლავ ჰკითხა მუშამ. მისი ალერსიანი კილო ეამა ციცასა და ვანოს. იმისთანა თვალებით შეჰხედეს მუშას, რომ აშკარად ეუბნებოდნენ: «გეკითხე, კიდევ გეკითხე რამე, გეიმპ შენი ლაპარაკიო». იმასაც, თითქოს მიჰხვდაო, სული გადუსვა ვანოს თავზე და კვლავ ჰკითხა ტირილის მიზეზი. ვანომ ასლა კი უამბო მოკლედ თავიანთი უბედურება.

— ღმერთო, ღმერთო მოწყალეო!—ამოიოხრა მუშამ და თავი ჩაჰკიდა.

ლოცვა შეკვე გათავებულიყო, სალსი გარედ გამოვიდა. მუშამ სანსალით გასწია მაკვეს, მოისადა ქუდი და თან მობუზულ ბავშვებზედ ანიშნებდა; მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. «ოჰ, რამ გაუქვავა ამ სალსს გული!» წარმოსთქვა კვნესით მუშამ და კვლავ აეუფლა ვანოს, ეკერდით. ტოტასანს შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რალაც ძონძი ამოიღო და ჩსრეკვა დაუწყო; მერე გაიწმინა თავი და უიმედოდ გადაჰხედა ბავშვებს.

— ამაშიაც არა გდია-რა, ამ ტიალაში!—მწარედ წაიდუდუნა მან და ჩაჭყუნა დაბუსულის სელებით ძონძი ისევ ჯიბეში. ეხლა ისე ეს ბავშვები არ იტანჯებოდნენ, როგორც ეს მუშა, რომელსაც უნდოდა ენუგეშებინა ისინი, მაგრამ ქისაკ უმტყუნა.

— წადით, წადით შინ, დედასთან!—უთხრა გულდაწყვეტილმა მუშამ და სანსალით გადგა თავის გზასა.

ციცა და ვანო ისევ მარტონი დარჩნენ. ტირილმა სეკდა შეუმსუბუქა; შიმშილი გადაეარდათ, მაგრამ დედასთან მაინც სელცარიელთ არ უნდოდათ მისვლა.

— კიდევ ვიარეთ, ციცი, ეგები ვიშოვოთ რამე!—უთხრა ვანომ.

— წავიდეთ,—უპასუხა ციცამ და ჩვენი მგზავრები მეორე ქუჩას მიეფარნენ.

შებინდდა... ქუჩაში ფარნები აანთეს. ზოგმა დუქანს ნასეკრად დარაბები აუყარეს, ზოგი კი ისევ გაჭეიოდა და აქეზებდა თვისთა საქონლის ღირსებას. ერთი დუქნიდან თარის წკრიალი გამოდიოდა, იქ ტკბილის ნიშადურს უგვე ცისე აელო, რადგანაც ერთმანეთში ურევდნენ: «შენ რა გინდა, მე რომ კლოთობ, ძმობილო»... «სიცილვე ვერას დაგვაკლებს, თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს...» აგერ სამთა სულ-გადასვლულთ შეაკასუნეს ტრაქტირის კარები, საიდანაც სშირი ორთქლი გამოკარდა და ჭაერში გაიბნა ზღაზვნითა. აგერ კიდევ ორნი გაჩერებულან შუა ქუჩაში და, დილით ერთმანეთის მტერნი, ძმად იფიცებიან ახლა, თუმცა ენა აღარ ემორჩილებათ და ფესვებსაც ძლივს-და იმორჩილებენ. მეორე უფრო განათებულს ქუჩაზე, ერთს სასლის კარებთან, დიდი ფაცა-ფუცია. მარდად შეაბიან და გამორბიან მოსამსახურენი. ქალბატონი და ბატონი სადღაც ემზადებიან. დიდი სანია რაც ეტლი უცდია. ამ დროს ორი ბატარა არსება გამოვიდა ქუჩის ცერიდან და ეტლისკენ მიიმართნენ. ეს კანო იყო თვისის დით. კანომ ქუდი მოისადა და მიჭმართა მეეტლეს.

— გვაჩუქე რამე, აგრემც ღმერთი შეგეწეკა!

მეეტლემ გვერდზედ გადმოისედა და, რა დაინახა სამოწყალოდ გამოწვდილი სელი, დაეკითხა.

— რაღადროს საშოკარზე სიარულია ამ შუაღამისას?

— რა ვქნათ, რომ შუადღეს აქეთ დავდიკართ და ვერა ვიშოვეთ-რა!

— რატომ დილიდანვე არ გამოსულხართ? — ვეღარ დაეკითხა კანოს. მეეტლე.

— დედა შინ აკად არის და თავი ვერ დავანებეთ. — უპასუხა კანომ.

— ძმა არა გყავთ? — ჰკითხა კიდევ მეეტლემ და თან სელი წაიღო ჯიბისაკენ.

— არა, — უპასუხა ნაღვლიანად სმაო ტიცა.

— ახლო მოდი, — უთხრა მეეტლემ კანოს და ჩაუგდო გამოწვდილს სელში ფარი, თანაც დაუტანა: — აქ მოიცადეთ, სანამ ქალბატონა გამოვა და გაჩუქებთ რასმე.

ვანომა და ტიტამ არ იცოდნენ, როგორ გადაესადნათ ამ გეთიოლის კეტისათვის მადლობა. მაგრამ მათი თვალები აშკარად ამბობდა იმას, რაც მათს გულწრფელს ენას ვერ გამოეთქვა. საწყლები ვერ იშვნევდნენ ახლად დაწყებულს სელობას და მათსოვრის ლაბარაკი ვერ არ შეესწავლათ. დიდ სანს არ მოუსდათ აქ მოცდა: კარები გაიღო და ქალბატონი გამობრძანდა, რომელსაც უკან ბატონი მოსდევდა.

ქალბატონმა კაბის სწორებაში წინ დაისედა და თვალი მოჭარბაწია ძაღლს.

— უი, დამიდგა თვალები!—ისე შეჭეიელა, გეგონებოდათ, დიდი რამ უბედურობა მოსდაო,—აგერ, აგერ შენი გამგონი ბიჭები! რამდენჯერ გითხოვე, ესენი დაითხოვე, სხვები დაიჭირე-მეთქი და არა, არ იქნა, შენ ყურიც არ შეიბერტყე? ერთი ბეწო სათრი არა გაქვს ჩემი, ეჰ, უბედური ვარ, უბედური!..

— საკვირველია, ღმერთმანი, აბა რა გატირებს, ქალო! მაშ კიდასი სათრი მაქვს, თუ არ შენი?

ქალბატონი თავისას იმეორებდა: უბედური ვარ, უბედურია!

განრისხებული ბატონი მოსამსახურეებს მიუბრუნდა:

— თქვენ ჯანის მეტნი არა ხართ-რა! არა, ეს ერთი ბაწია ძაღლი ვერ შეგინახავთ? ნახბრძანები არა გქონდათ, გარედ ნუ გამოუშვებთო! იცოდეთ, ამ თვის ჯამაგირს შუა გაგიყოფთ!—და განკარგულების შემდეგ, რომ ძაღლი შინ შეუყვანათ, გეეთბოთ, ეჭმიათ და მეესვენებინათ, გააგლო თავის სიცოცხლეს მკლავში ხელი და ეტლს მიუახლოვდნენ.

— ესენი რას გაჩერებულან აქ?—იკითხა ქალბატონმა, როდესაც ვანო და ტიტა შენიშნა ეტლის გვერდით.

— მოწყალებას თხოულობენ,—მიუგო მეეტლემ.

— დაიკარგენით აქედან, მოწყალებას კი ნუ თხოულობენ, შრომით იშოვნონ ლუკმა, მაგრამ რომ ზარმაცნი და მატანტალანი არიან! უშრომოდ არავის-რა მოსდის, ჩვენ თუ გვაქვს, კიდეც ვშრომობთ!—და აქ შეჭსედა თავისს კაბატონს, რომელმაც სახის მეტყველებით აგრძნობინა, შენი ნათქვამი სალანძღავია.

ეტლი დაიძრა თეატრისაკენ.

— დრამა «ორი ობოლი», ვინსოთ რა იქნება, სათაური კი მაგდესი არაფერია! ჰა, შენ რას იტყვი, ჩემო იულია?—ისეთის კილოთი დაეკითხა ვაჟბატონი თავისს იულიას, თითქოს ემუდარება: «შენი ჭირიმე, აქ მაინც მელაპარაკე, თუ თეატრში სმას არ გაძ-ცემო». მაგრამ მის იულიას არც კი გაუგონია მისი ლაპარაკი. ის უკვე თეატრში იყო, ანტრაქტზედ, ფიქრიო, და იმ ყმაწვილს, რომელზედაც გული შეჰვარდნოდა, ტკბილად ემუსაიფებოდა. მარ-თლაც, ამ დროს რომ მისთვის შეეკესდნათ ასლოდან, შეატყობდით, უკვე «ოპერაში იყო შესული». ლოჟები ასწითლებოდა, თვალები სან მაცდურად ეს-უჭებოდა, სან აღგზნებული ტრფობის ნაპერწკლებს ისეროდა; ტუჩები უთრთოლავდა. დღესაც, როგორც ყოველთვის, ეს ქალბატონი დიდ სანს იდგა სარკის წინა და კარჯიშობდა, როგორ დაეიჭირო თავი, როგორ მოეისმარო თვალები, რომ მიეხ-�eს გულს ისარი გაეგუწონო ტრფობისაო. ასლა ეკერეთ, როგორ თავ-ბრუ დაჰსეიოს იმ ყმაწვილს, რომელსაც უეჭველად «ბრედლოუესეს» გაუკეთებდა, ქმრიანი რომ არა ყოფილაყო.

ვანრამ ზიზღით თვალი გააყოლა ეტლს და მერე ციცას მიუ-ბრუნდა.

— წამო, ციცი, ამ ბაურისა ბური ვიყიდოთ და შინ წავიდეთ, ასლა მოთხოვნის დროც აღარ არის, დაღამდა.

— არა, მაშ.... ისეთი მეშინიან, რომ ჰა! გასსომს, ტოფიანმა ძაღლმა თინა რომ დაგლიჯა?—სთქვა ციცამ და ეაქეო-იქით მიისედა შეშინებულმა.

— ტოფიან ძაღლს რა უნდა აქ, ქალაქია, განა სოფელია-რა? ასე ლაპარაკით მიგიდნენ ბურის მცხობელთან, იყიდეს ბაურის ბუ-რი და გაეშურნენ შინისკენ. მიისწრაფიან სმა-ამოუღებლივ და მხო-ლოდ იმას-ღა ფიქრობენ: როგორ გავასარებთ დედას, ბურს რომ მიეგუტანთო. მაგრამ უცებ შესდგნენ და თითქმის ერთსმად წამოი-ძახეს:—გზა კი არ აგვერიოს-და...

— მართლა ეს ქუჩა სრულებით არ მენიშნება, ბაბა ჩვენი სასლი-საით უნდა იყოს?—დაეკითხა ციცა ვანრას.

— ბაბა, რა ვიცი, აგერ სიდი მგონი იმ მსარეს არის და ჩვენ-სომ სიდზედ უნდა გავიარეთ?

— არა, ვანო, იქით კი არა, აი აქეთ უნდა იყოს სიდი,— მიუგო ტიტამ და გაიწოდა სელი,—მაგრამ რომელ გზით გავალთ ამ მსარეს? ეს წყეული ქუჩები სულ ერთმანეთსა ჰგვანან!

— ვკითხოთ ვისმე.—სთქვა ვანომ.

— ვკითხოთ, მაგრამ რუსული რომ არ ვიცით!—უპასუხა სასოწარკვეთილებით ტიტამ.

— ჩოხიანი გამოიელის ვინმე და იმასა ვკითხოთ.

— ჰო, ჩოხიანი ქართველი იქნება!

მათს ბედზედ მართლაც ვიღაც ჩოხიანმა გამოიარა.

— სიდი, არ იცი, საით არი?—დაეკითხა ვანო.

— რომელი სიდი?

— აი მოაჯირი არა აქვს, ის სიდი.

— არ ვიცი, ძმია, აქ სულ მოაჯირიანი სიდებია. რად გინდათ სიდი?

— სასლისაკენ გზა ველარ გაგვიგნია და, თუ სიდი ვეპოვეთ, მერე მივაგნობთ,—მიუგო ვანომ.

— რომელი სიდი გინდომებათ თქვენ: ვუკიისა, ვერისა, აველაბრისა?

— არ ვიცი სასელი,—კვლავ მიუგო ვანომ ჩოხიანს, რომელმაც არსეისად განგრძო თავისი გზა.

ექვსი თვე იყო, რაც ვანო და ტიტა ქალაქში სტუდენტობდნენ და მხოლოდ ერთი ქუჩა იცოდნენ, ისიც იმიტომ რომ ამ ქუჩაზედ დადიოდნენ მაინასთან იქ, სადაც მუშაობდა სიტყვასელში. თვითონ ვერ გადიოდნენ ქალაქში, რადგანაც დედა აუთხილებდა, თვიტონმა არ გაგაწყვიტოთო და მას კიდევ სადა ჰქონდა იმდენი მოტელა, რომ ისინი ეტარებინა. იმიტომ მოსდა, რომ დღეს ასე უტეხ აერიენთ გზა.

— მაშ, რა ვქნათ, ვანო?—დაეკითხა უიმედოდა გულ-დაწყვეტილი ტიტა.

— კიარეთ, როგორმე მივაგნებთ სიდს და მერე ს

გაუდგნენ გზასა. ერთის ქუჩიდან მეორეში გადადიან, მეორიდან მესამეში, სან ერთისა და იმავე ქუჩაზე რამდენჯერმე უსდებათ გავლა, მაგრამ ვერ ამჩნევენ. ერთის სიტყვით, დაებნათ გზა და მაინც მიდიან, მიისწრაფიან დაუსვენებლივ.

შუადამე გადასული იყო. ქუჩებზე სმაურობა ადარ ისმოდა, მხოლოდ სანდისსან ასასი თუ დასხვეულებდა სადმე მადაზიის წინ მიწოლილი. თოვლი ნელ-ნელა ჭბარდნიდა ერე-მარეს. ამ დროს ორი ბატარა არსება გამოჩნდა ელექტრონით განათებულ ქუჩაზე. შესდგნენ, რადაც ითათბირეს, მერე მიიმართნენ იქავე მადაზიისაკენ და ჩაიხოქნენ კედლის ძირას სათვარ ქვეშ.

— ისე გუშოთ,—წარმოსთქვა ერთმა მათგანმა.—ტოტა შეგისვენოთ და მერე წავიდეთ ისევ.

— ჭო, ჭო! ამდამ თუ დედასთან არ მიგვიდით, არ იქნება!— მიუგო მეორემ აკანკალებულის ხმით.

რასაკვირველია, მისვდებოდით, ვინ იყვნენ ეს მოსაუბრენი. ტიტა და ვანო დიდ ხანს ისხდნენ გაჩუმებულნი. დაღლილებს ძილი ერეოდათ. ძილს უმაგრდებოდნენ, მაგრამ, თავისდა უნებურად, მძიმე-მძიმედ იშლებოდნენ ტავს ქვაზე. ბოლოს მოიკრუნჩნეს ტანი, გადასვიეს ერთმანეთს მკლავები და წუთს შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს. სძინავთ... მაგრამ ვაი ამისთანა ძილს: ხან ერთი შესტება და წამოიძახებს «ვაი, ვაშ», ხან მეორე. როგორც იყო, დამშვიდდნენ და ხაზარელის სიზმრების მაგიერ ახლა ხასიათმოგონებარებოდათ; ჭსედავენ, ვითომ სოფელში არიან. სადამოა. თავიანთ ქოხ წინ «ცხენობას» თამაშობენ. გარბიან და გამორბიან. ხან ერთის ცხენი გაჩერდება, ხან მეორისა; უსარიანთ, იცინიან, იცინიან! აგერ მათი დედა, რომელმაც შეჭამადის კოჭობი შემოსდგა ტენტლზე, მოდგა კარებზე და ეუბნება: «გეყოთვა, შვილო, თამაშობა, ტოტა ხანს ჯოხები დაჭყარეთ და «ციკვიანდან» წყალი გადმოარბენინეთ. მამა-თქვენი მოვა დაღლილი და ტივი წყალი ეამება». ისინი შეტვიდნენ სახლში ჭურჭლებისათვის.

— ეს კოკური მე უნდა წავიღო!—შეეტილა ტიტა ვანოს.

— არა, ტიტი, შენ ვერ მოერევი, გასტეხავ. მაგას მე ავიკიდებ.

— დიაღ, დიაღ, კერ დაკმარამ! შენ კი დასძრამ და მე კი კერარ?—თავმომწონედ უპასუხა ციცამ. როგორც იყო, მოშველდნენ. მიდიან წყალზე; «ბროლიაც» თან დაედევნათ. ბოსტნის გვერდზე ჩაიარეს. აქ დედამ ერთი კვალი დაუთმო. ბევრი რამ დასთესეს კანომა და ციცამ ამ კვალში, აგერ იმათ «მზესუჭერეტას» როგორ ამოუყვია თავი; პირდაპირ ამათ უყურებს! აგერ აკაკის სესთანაც მიგიდნენ.

— ციცი,—უთხრა კანომ:—შარშან სომ აგერ იქითა ტოტზე გვება საქანელა, წელს აქეთ ჩამოკაბათ, ეს ტოტი უფრო კარგია.

— არა, კანო,—მიუგო ისეთის კილოთი ციცამ, თითქო დიდი მტოდნეაო:—ისევ ისა სჯობია!

ეი ორღობეშიაც ჩაიდნენ. აქ ციცა მიუბრუნდა კანოს:

— კანო, გახსომს, დედამ რომ «ქადა-ქადა» *) გაგაკეტეინა?

— როგორ არ მახსოვს,—მიუგო კანომ.—მე ადგ კუნლის ძირში დაკაწყე.

— მე კიდევ აქ, სწორედ აქ იყო, ეი ასკიდის ტოტი, რომელზედაც ავასხი ყველი, ერბო, ქადა.—სთქვა ციცამ. მიდიან ასე ლაპარაკით. ყოველ საგნის დანახვაზე აგონდებათ რამ შემოსვლა. ყოველს სესთან, ქვასთან, კედლის ნანგრევთან უეჭველად რამ ერთობა აქვთ ორთავეს. ეი წყალზედაც მიგიდნენ. ეცალებიან ერთმანერთს, არა მე უნდა ავავსო წინ, არა მეო. ააკესს ორთავ და ჭერი შინისკენ, კინ წინა და კინ უკანა! «ნელათ, შვილო, ნელათ, ჯურჯელი არ დაამტვრიოთ», უძახით დედა, რომელსაც ელში ტოტი უჭირავს და ეზოს აგრიალებს. მიცვივდნენ ქასქასით ეზოში. მამა მოსულიეო, გული გადაეღეღნა და შეგლზედ ოფლს იწმენდა. ორთავ მიურბენინეს მამას წყალი; ორთავეს უნდათ თავის მიტანილი წყალი დალევინონ. მამაც არცერთის არ იმდურებს, ორივეს ჯურჯლიდან სვამს. მოკვრეტ ამოვიდა. დედამ კასშამ გამოიტანა მოუსხდნენ ხონჩას. მოიდგეს ჯამები და გულიანად შეექცევიან. კანო თავის «ბროლიას» არ იგიწყებს, ციცა თავის ღრეტუნა «მაშას». ერთს ლუკმას თვითონ შესჭამენ, მეორეს იმათ მიაწვდიან, პირში

*) ყველიერში იციან, ბალღებს გააკეტევენ სახლიდან ყველ-ერბო-ქადაო, ვინ-თ ომ თაგვებიც თან გაპყვებიანო.

შესტქერიან, და თან იცინიან, სარსარებენ. დედ-მამაზე ადრე გაათავეს ჯამა. დედამ ქვეშაგები გამოიტანა და ეზოში გაშალა. ბავშვები გაგორდნენ ქვეშაგებზე, მაგრამ არ ეძინებათ. «ბროლია» და განაყოფიანთ «ტუგია» ერთმანერთს ეთამაშებიან. თვითონ იცინიან, ტლინკებს ისვრიან, სტემენ ერთმანეთს ფესებსა. როგორც იყო, ძილმა აჯობა ტალქებს. სძინავთ ყველას. მთვარემაც აიმაღლაურა და ბედნიერ ოჯახს პირდაპირ დაუშქა თავის მგრთალი სათელი. ამისთანა საზმრებში არიან კარო და ტიტა. თოლი კი თან და თან ძრიელდებოდა და თეთრი საბანი მალე გადაჭსურა. ქარი გულსაკლავის ხმით ნანას ეუბნებოდა მძინარეთა.

უცებ ზემო სართულში მოისმა ტაშის ცემა და კაშას ძახილი: ეს ამბავი თეატრში იყო. სცენაზე «ორი ობოლია» წარმოდგენა იყო და მაყურებელნი ტაშითა და «კაშას» ძახილით მსახიობთა ასაჩუქრებდნენ. ბეკრს მაყურებელს მოულბო გული სცენაზე წარმოდგენილმა დრამამ და ორის ობოლის უბედურებამ ბეკრს მოჭგვარა თვალებზედ ცრემლი. «ოჭ საწყალია»! იძახიან ერთნი, «ოჭ, რა უბედურებაა»!—იძახიან მეორენი. თვით იმ ქალბატონს, რომელმაც კარნოსა და ტიტას «ზარმაცები» უწოდა, ეკვლაზე ძლიერ ჩამოსდიოდა ცრემლები, ეკვლაზე მეტსა სწუხდა და, «კაკალურს» რომ არ დაეგურგულებინა, როგორც პაწია ბალღი უგურგულებს სოლმე წითელ კაშალს, რომელიც წუთის შემდეგ პირში უნდა გაჩქანოს, უეჭველად ისტერიკა დაემართებოდა. აგერ მოვიდა ერთი ობოლთაგანი წყლის პირას, საცა გადაკარდება თავის დასარჩობად! მსახიობმა ისეთის სელოვნებით წარმოადგინა ეს სურათი, რომ მაყურებელთ ტანში ყრუანტელმა დაუარა, სკამებიდან წამოიწიეს და წესიერების დარღვევისა რომ არ შეეშინებოდათ, სცენაზედაც კი გადაიჯრებოდნენ.

მესამე დღეს გაზეთში გამოჯიმული იყო მეთაური წერილი და ქებითა და დიდებით ისსენიებდნენ მსახიობთ; მეჯეერ-მეტუველებით იყო აგრედვე აწერილი ეფექტი წარმოდგენისა. ამაკე გაზეთში, ასალ ამბავთა შორის, მოთავსებული იყო შემდეგი: «გუშინ X-ის ქუჩაზედ, თეატრის ქვემო სართულის კედელთან, იპოვეს ქალ-კაკი ერთმანეთს გადახვეულნი, პაწია ბარკით; როგორც ემჩნეოდათ, მთხოვარანი უნდა ეოფილიყვნენ. უბედურნი გარედ დარჩენილიყვნენ და

თოკლს დაერჩო. ამაკე ღამეს ძალათ-უბნის ერთს ქოხში გარდაიცვალა უპატრონო ქალი, რომელსაც შემდეგი მოწმობა აღმოაჩნდა: «მე სოფელ ყორეთის მამასახლისი, კაძლეკ ამ მოწმობას ამაკე სოფლის მცხოვრებელს ზალიკო სახრიშვილს თავის მეუღლე მარიამითურთ და მტირე წლოვანის ქალ-კაციოთურთ, რათა ჩემი მსრიდან არაფერი დაბრკოლება არა აქვთ ქალაქში ყოფნისა სამუშაოდ ერთის წლის კადით, რომელზედაც სელს კაწერ ს. ყორეთის მამასახლისი იკანე ჯაჯუნაშვილი 189...» როგორც აღმოჩნდა, ორი ზემოსსენებული, თოკლში გაყინული უმაწვილი ამ დედაკაცის ყოფილა. ასე დაიღუბა უბედური ოჯახი სულ ერთიანად!» დასძენდა გულშემატკივარი მოამბე გაზეთისა.

ი. ეკდოშვილი

1893 წ.

* * *

(ჰეინედან)

დღეე თოვლმა ჭოვრონს მიწა,
სსტუდეს სეტყვა-სიაკეღვარი,
ქარიშსალმა გაბრაზებით
არასუნოს ირგვლივ კარი.

—

არ ვინაღვლი, გაზაფხულის
გულმა იგრძნო უკვე ძალა,
მის და სატრფოს ღვთიურ სასით
გაიცინ და გაიმსჭვალა.

შ. მღვიმელი

უდანაშაულო მსხვერპლნი

(ამბავი)

I

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ვანო ბადუაშვილი შინ დაბრუნდა სამსახურიდან. მისის სახის მეტყველებას რაღაც არა ჩვეულებრივი სიამოვნება ემჩნეოდა; მისი მუდამ დაღვრემილი, დანაოჭებული სახე დღეს რაღაც მანქანებით მთლად შეცვლილიყო; ყოველივე მისი მოძრაობა, ყოველივე სიტყვა, დღემდის უფერული და უსიცოცხლო, დღეს სიცოცხლით აღვსილიყო. „პელო!“ შემოსვლისთანავე მიესალმა ვანო თავისს სიცოცხლით სავსე მეუღლეს: „ხვალ, მუშტაიდში ლატარია-ალეგრი არის და იქ უნდა წავიდეთ“. ამ სიტყვებთან ერთად ვანო მიუახლოვდა პელოს და სიხარულით აღფრთოვანებული სამჯერ ლაზათიანად ჩაეკონა პელოს ვარდისფრად გაფურჩქნილ ტუჩებს. პელო ამ მოულოდნელმა ალერსმა ფრიად გაანცვიფრა და რაღაც გამოურკვეველ ყოფაში აგრძნობინა თავი. აგერ ხუთი წელიწადია, რაც პელომ ვანოზედ ჯვარი დაიწერა, და ასეთი ბედნიერი დღე ამ დროს განმავლობაში პელოს არ გასთენებია. თავის-დღეში ვერ მოიფიქრებდა, რომ ვანო, ის ვანო, რომელიც ოც და ხუთის მანეთისაფვის მთელ სიცოცხლეს კანცელარიაში ათენებ-აღამებდა, დღეს ასე მხიარული, სიცოცხლით აღვსილი შინ დაბრუნდებოდა და პელოს სიყმაწვილითვე ჩათუთქულ გულს ლმობიერის მოპყრობით გაახარებდა. პელოს თვალწინ ერთბაშად სარკესავით დაე-

ხატა ის იმედებით სავსე წამი, როდესაც ისა და ვანო ეკლესიაში მიდიოდნენ ჯვარის დასაწერად. ვინ იცის, რა ბედნიერებით სავსე ცხოვრებას ითვალისწინებდა მაშინ პელო! ვინ იცის, რა იმედებს არ ამყარებდა მომავალ ახალ ცხოვრებაზედ, მაგრამ ყველა ეს იმედები და ოცნებით წარმოდგენილი ბედნიერება პელოს გაუცრუვდა, ბედნიერების მაგივრად თურმე მხოლოდ ჭაპან-წყვეტა მოელოდა და მართლა ასეც უნდა მომხდარიყო. ვანო, როგორც ცოტა ზევითაც მოვიხსენიეთ, გახლდათ „კაკარდიანი“ მოხელე ერთის კანცელარიისა, საიდანაც ოც და ხუთ მანეთს იღებდა თვეში. ეს ოც და ხუთი მანეთი იყო ვანოსათვის ერთად-ერთი საღსარი, რომლითაც უნდა გასძღოლოდა ოჯახის ყოველსავე საჭიროებას და ისიც ქალაქ ადგილას. ცოლი, შვილი, მტერი, მოყვარე, ნაცნობნი და ამხანაგნი ყველა მისი სავაივაგლახო იყო, ყველასათვის, როგორც ოჯახის უმფროსს, ღირსეული პასუხი უნდა გაეცა და ეს კი ყოვლად მოუხერხებელი იყო ასეთის მცირე ჯამაგირით. ეს იყო მიზეზი, რომ, ერთი წელიწადიც არ გასულა დაქორწინების შემდეგ, და ვანომ ყოველივე კავშირი შესწყვიტა ყველასთან. თუმცა ძლიერ საგრძნობელი იყო ვანოსათვის და მით უმეტეს პელოსათვის ნათესავ-მეგობრებთან ყოველისავე კავშირის გაწყვეტა, მაგრამ უამისობაც შეუძლებელი იყო. ვანო, ითენებდა თუ არა, კანცელარიასაკენ მიეშურებოდა. სამ საათზედ ილაჯ-გაწყვეტილი, დაქანცული და დაღლილი ვანო შინისაკენ მიეშურებოდა სადილად. შესჭამდა ორიოდე ლუკმას თუ არა, ისევ კანცელარიაში გარბოდა და თერთმეტ-თორმეტ საათამდე იწყალებდა თვალებს ქაღალდებში კირკიტითა. პელო კი, სადილის თავდარიგს მორჩებოდა თუ არა, მოჰყვებოდა ოთახის დასუფთავებასა და ფუსფუსს სხვა წვრილმან საოჯახო საქმის გასაკეთებლად. მისთვის არც მისვლა იყო სადმე, არც მოსვლა და არც გასეირნება, თუნდ ათასში ერთხელ მაინცა. მოკლებული იყო პელო აგრედვე ქმრის ალერსსა და მისგან ტკბილ სიტყვების გაგონებას; ან კი რა ეტკბილსიტყვებოდა და რა ეალერსებოდა ვანოს, როდესაც ყოველ წუთს

სარჩობელასავით თვალწინ უდგა თავისი უნუგეშო მდგომარეობა და შიში, ვაი თუ ცოლ-შვილი შიმშილით ამომიწყდესო. მიდიოდა დღევანდელი დღე ისე, როგორც გუშინდელი, და ხვალინდელი კი, როგორც დღევანდელი. ამ ერთგვარ ცხოვრების მიმდინარეობას დაარღვევდა ხოლმე, ისიც კვირაობით, პეტო მამიაშვილი, ვანოს ამხანაგი, რომელიც ზოგჯერ იმიტომ მოდიოდა ხოლმე, რომ ვანოსთან ერთად ემუშავნა. ამ გარემოებათა შორის მყოფი პელო, დიდად გაიკვირვებდა, რასაკვირველია, ვანოს ასეთსს ალერსსა და ცოტაოდნად გამოერკვა თუ არა ამ მოულოდნელ სიხარულიდან, მაშინადვე, გულაჩუყებული, თვალებში ცრემლებ-მორეული შეეკითხა ვანოს: „ეგ რა შაბათი გაგთენებიაო?“ ვანომ დამშვიდებით და კმაყოფილებით უამბო პელოს, რაც იყო მიზეზი მისის განუსაზღვრელის სიხარულისა. „დღეიდან,—განაგრძო ვანომ:—ჩვენის ცხოვრების სურათი, ასე თუ ისე, საკეთილოდ შეიცვლება; ჩემი დაუღალავი და ერთგული შრომა ღირსეულად იქმნა დაფასებული. დღეიდან მე „სტოლ-ნაჩალნიკი“ ვარ და მასთან ხუთი თუმანი ჯამაგირი მექნება“. ვანოს განუსაზღვრელი სიხარული პელომაც გულითა და სულით განიზიარა. ეგ კი არა, გაუორ-სამკეცდა კიდეც, მით უმეტეს, რომ პელოს ახლა იმედი მიეცა, ღმერთი არ დაგვაგდებს, ამოდენის ხნის ვაივაგლახს და ჭაპან-წყვეტას გვაკმარებს და ჩვენს დაღონებას სასიხარულოდ შესცვლისო. სიხარულით აღტაცებულნი ცოლ-ქმარნი იმედიანად მოუსხდნენ სუფრას და, ძველის დროის ვაივაგლახის მოგონებაში წასულნი, თვალებში ბედნიერების ცრემლებ-მორეულნი შეჰხაროდნენ მომავალ ცხოვრების გაუმჯობესობას.

III.

კვირა დილა გათენდა. პელო მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, როცა ისა და ვანო ერთად მუშტაიდში კონკით წავიდოდნენ, მის წინ სივრცე-სიგანით გადაიშალა მთელი სურათი სიყმაწვილის ცხოვრებისა: მოაგონდა ის ნეტარი დღეები, როდესაც საეპარქიო სასწავლებელში სწავლობდა, თვალ-წინ წარმო-

უდგა მთელი გროვა ამხანაგებისა მასწავლებელ-აღმზრდელებითურთ; მოაგონდა თვითეული ყვავილი, თვითეული ბუჩქნარი, თვითეული ხე, რომლის ძირში ისე მხიარულად, ბედნიერად, ბავშურის სიცელქით, ისე უდარდელად დაცქრიალებდა ამ ხუთი-წლის წინად. ხუთი წელი—„მწარედ მწველი“, ნუ თუ ასე შეუბრალებლად მოჰქმედობს კაცის თავზედ, რომ ოცის წლის ქალს უკვე დარბაისელ ჭკუა-დამჯდარ დედაკაცად ჰქმნისო, ჰფიქრობდა ოცნებით გატაცებული პელო. „მაგრამ არა უშავს-რაო“,—ელვასავით გაურბინა ფიქრმა პელოს თავში:—„ჯავრმა და ვაივაგლახმა უფრო უარესიც იცის; უნდა ვეცადო ჩემი ცხოვრების გაუმჯობესებასთან ისევ ის ცქრიალა, იმედებით აღსავსე ქალი ვიყო, როგორიც ვიყავ ამ ხუთის წლის წინად.“ ვინ იცის, რამდენს ხანს კიდევ იოცნებებდა პელო, რომ პეტო მამიაშვილს არ შეეშალა ხელი მისთვის. პეტომ, ბისალმებისთანავე, მოულოცა პელოს ვანოს წარმატება სამსახურში და თან დაუმატა, ვინძლო თქვენი და მელოც თქვენისთანავე ილბალს შეჰყაროთო. პეტო და პელო დიდ ხანს ბაასობდნენ ვანოს ახალ ადგილის შესახებ. ჩემის აზრითო, ამბობდა პეტო, ვანო ისეთი ნიჭიერი კაცია, რომ მთელის კანცელარიის უმფროსობასაც მალე ჩაიგდებს ხელშიო. ეს უსათუოდ ასე მოხდება და მე კი სტოლის უმფროსობა, ვანოს წყალობით, არ ამცილდებაო, არწმუნებდა პეტო პელოს. ამ ლაპარაკის დროს ვანოც მოვიდა ბაზრიდან, და მართალია უნდა ვსთქვა, ძალიანაც გაეხარდა პეტოს სახლში დახვედრა.

— „გამარჯვება, პეტო!“—ღიმილით მიესალმა ვანო:—„კარგი გიქნია, რომ მოსულხარ. დღეს, ძმაო, ერთად ვისადილოთ და შემდეგ მუშტაიდში წავიდეთ ლატარია-ალეგრიზედ. ზივიხედ-მოვიხედოთ, თვალს წყალი დავალევინოთ“. პეტოსაც ეს უნდოდა; ამიტომ სიამოვნებით გამოუცხადა, რომ თანხმა ვარ სადილად დავრჩეო. სადილობამდის სტუმარმა და მასპინძლებმა ზოგი რა ილაპარაკეს, და ზოგი რა. ამ ლაპარაკის დროს პეტო, როდესაც კი თვალს მოარიდებდა ვანოს, რაღაცას საიდუმლოდ წასჩურჩულებდა ხოლმე პელოს, რაც ვანოს შეუმჩნეველად არ

დარჩა. ვანომ ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა პეტოსა და პელოს. რომ უფრო საფუძვლიანი ყოფილიყო მისი ეჭვი, დერეფანში გავიდა და თავი ისე მოაჩვენა, ვითომდა სხვას ველაპარაკებიო, მაშინ როდესაც ვანო მთელის თავისის გონება-არსებით ოთახს არა სცილდებოდა.

პეტომ, რაკი ვანო დერეფანში გავიდა, მაშინადვე საზოგადო ლაპარაკს თავი დაანება, წინანდელი საიდუმლო ბაასი დაუწყო. ამ ბაასში ვანომ მხოლოდ ორ-სამ სიტყვას მოჰკრა ყური. გარკვევით შემოესმა დერეფანში პეტოს მუდარება და ხვეწნა: „პელო, ვანოს ნუ გაუმჟღავნებო“. ეს სიტყვები საკმარისი იყო ვანოსათვის, რომ ნათლად გაეთვალისწინებია პეტოს კარგი კაცობა. ბრაზ-მორეული, მთელის სხეულის რხევით, რევოლვერით ხელში ოთახის კარებისაკენ მიდის, რომ ერთის დაჭექებით ორ საზიზღარ არსებას სიცოცხლე მოუსპოს.

ერთი ფეხის გადადგმა კიდევ და ვანო თავის განზრახვას აასრულებდა, მაგრამ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა და თან ყურში ჩასჩურჩულა: „საზიზღარო, განა მხოლოდ სამი-ოთხი ცარიელი სიტყვა საკმარისია მისთვის, რომ მოუსპო სიცოცხლე ღვთის მსგავსად და ხატად გაჩენილ არსებას!“ ამ ხმასთან ერთად ვანომ რევოლვერი ჯიბისკენ გააქანა, თავის დაქნევით: „არა უშავს-რა, თუ ჩემი ეჭვი ოცნების ნამყოფი არ არის, უფრო მარჯვე დრო მომეცემაო.“

III

საღამოს ექვსი საათია. მიხეილის ქუჩა ვარანცოვის ძეგლიდან დაწყებული ვიდრე მუშტაიდამდის ფეხად არის სავსე სხვა-და-სხვა ჯურის ხალხით. კონკა კონკაზედ, ეტლი ეტლზე ერთ და იმავე ადგილისკენ მიეშურება. კონკაზედ ხალხის ტევა არ არის. საბრალო კონდუქტორი ილაჯ-გაწყვეტილი ყველას ემუდარება, ადგილი არ არისო, მაგრამ ხალხი ამისდა მიუხედავად იერიშით მიდის კონკაზედ. ეს აუარებელი ხალხი, მაღალი, საშვალო თუ მდაბალი წოდება, დიდი თუ პატარა,

ყველანი ერთის აზრით გამსჭვალულან, ყველანი მუშტაიდისაკენ მიისწრაფვებიან და, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა მივიდნენ დანიშნულს ალაგსა! უნაწილოდ არ დარჩენილან ამ საერთო ლიტანიაში ჩვენი უკვე ნაცნობნი ვანო, პელო და პეტო. რადგანაც ამათ კონკაში ადგილი ვერ ეშოვნათ, ამისათვის ფეხით მიდიოდნენ. საოცარ და საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ვანოს სახის მეტყველობა. აშკარად ემჩნეოდა სიძულვილი, სირცხვილი, სიამაყე და თან განუსაზღვრელი სასოწარკვეთილება. „განა ამას მოველოდი ჩემი ჭირისა და ლხინის გამზიარებელ პელოსაგან!..“ ებუტბუტებოდა ვანო თავის თავს: „განა ახლა მღალატობს, ახლა მასხამს თავზედ ლაფს ჩემი პელო, ახლა, როდესაც სიღარიბესა და სიღატაკეს თავი დავაღწიე, ახლა, როდესაც ქვეყანაში კაცს მეძახიან!.. ნუ თუ უნდა დავიჯერო ყოველივე ესე?!.. შეიძლება ჩემს მშვენიერ პელოს ცილს ვწამებ!?.. არა, რა ცილის წამება, რის დაუჯერებელია?!.. თუ მართლა ვცდები, მაშ პეტო საიდუმლოდ რად ჩასჩურჩულებდა პელოს ყურში: „ვანოს ნუ გაუმჟღავნებო“!.. არა, ეს წარმოუდგენელია!..“ ვანო სხვა-და-სხვა ფიქრებით ისე იყო გატაცებული, რომ არც კი გაუგია, როგორ მივიდნენ მუშტაიდში, მის შეუმჩნევლად დარჩა აგრედვე ის, თუ როგორ აიღო პეტომ ალაყაფის კარებთან ბაღში შესასვლელი ბილეთები. შეიძლება ვანოს დიდ ხანს ვერ დაეღწია თავი ელდასავით გულის გასაგმირავ ფიქრებისათვის, შეიძლება კიდევ დიდ ხანს მისცემოდა შავ და უნუგეშო ფიქრებს, რომ ერთბაშად მუსიკის ხმას არ გამოეყვანა განურკვეველ მდგომარეობიდან. ვანოს ბაღში არა ეხალისებოდა-რა; ერთის გულით იფიქრა კიდეც, მე აქ რის მაქნისი ვარო, მაგრამ ეს ფიქრი ვერ გაუმჟღავნა პელოს, მით უმეტეს, რომ მათი პაწაწკინტელა ოთხის წლის ქალი ნუცა წამ-და-უწუმ გაიძახოდა: „დედიკო, უკულე ახლა ამას, უკულე ახლა ამას.“ ორი საათი, რომელიც ჩვენმა ნაცნობებმა ბაღში დაჰყვეს, ვანოსათვის მთელ საუკუნედ გადაიქცა. ცხრა საათზედ ყველანი შინ დაბრუნდნენ. ბნელი ღამე იყო. კონკების წამ-და-უწუმ ზარების რაწკა-რუწკი, ეტლების ელვასავით

ტრიალი და რახა-რუხი თითქო ვანოს ყურში ჩასჩურჩულებდა: „უბედურო, ვერა ჰხედავ, რომ ყველანი ბედნიერნი და დღევანდელი დღის მადლიერნი არიან და შენ კი... საბრალოვ!..“ ვანო თან და თან უფრო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. პეტომა და პელომ თითქო იგრძნეს ვანოს გულის გასაგმირი პასუხი და მთელი გზა კრინტი არ დაუძრავთ. მათ შორის რაღაც იდუმალი შავ-ბედითი მდუმარება ჩამოვარდა. ამ დუმილით მოცულნი მიუახლოვდნენ ვანოს სახლის კარებს, სადაც პეტო უნდა გამომშვიდებოდა მასპინძლებს. უმთვარო ღამე იყო და პეტომ გამოთხოვების დროს რაღაც ბარათი ჩაუდო ხელში პელოს. პელომ კარგად იცოდა ამ ბარათის მნიშვნელობა და მაშინადვე ჯიბისკენ გააქანა ხელი. ახლა კი დარწმუნდა ვანო, რომ ჩემი ეჭვი მართალიაო და იფიქრა დიდი უბედური კაცი ვარო, მაგრამ თავი შეიკავა. „დავიცდი წერილის შინაარსსაც გავიგებ და მერე კი“...

IV

ღამის თერთმეტი საათია. ვანოს ოთახში ოდნავ ბჟუტავს პატრუქ-ჩაწეული ლამპარი. გარშემო სამარისებური სიჩუმეა. ამ სიჩუმეში წამ-და-უწუმ საათის კაკუნივით გაისმის ვანოს გულის ბაგა-ბუგი, პელოს უკვე ჩასძინებია, ხოლო პატარა ნუცა, რომელიც დედის გვერდით წევს, პაწაწინა ნუკრივით თრთის, და ხან ბალიშზედ გადააგდებს თავს და ხან დედის მკერდზე დაეყრდნობა. ერთი წამიც და ნუცაც ტკბილს ძილს მიეცემა. ამ დროს ვანო გაშმაგებულია ლომივით მიიჭრება პელოს კაბასთან და ხელების ცახცახით იღებს ბარათს. ჯერ წერილი არ გაუხსნია და რაღაც ჟრუანტელმა მთელს სხეულში ელექტრონივით დაურბინა. თვალებზედ ბინდი გადაეკრა. ბოლოს მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე და გაფითრებით თვალები წერილს დააშტერა. პირველსავე სტრიქონში ამოიკითხა: „ჩემო ძვირფასო, დაუფასებელო და ტკბილო პელო!“ ამ სიტყვების ამოკითხვამ ვანოს თავს ზარი დასცა. ვანოს აღარ შეეძლო მთელი წერილი გადაეკითხა და არც საჭიროდ მიაჩნდა:

ეს ერთი სტრიქონიც ბევრს რასმე საგულისხმოს მეუბნებაო. ვანომ ხელმეორედ გადაიკითხა საზარელი სტრიქონი, თვალები ხომ არ მატყუებსო, და შემდეგ წერილის ბოლოს დაჰხედა, სადაც გარკვევით ამოიკითხა: „თქვენი მარადის პეტო მამიაშვილი“. ამ სიტყვებთან ვანომ რევოლვერს მოავლო ხელი და გაშმაგებული პელოს ლოგინთან მიიჭრა. პელოს ეტრატივით თეთრი მკერდი დამშვიდებით ადიოდა და დადიოდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. მკრთალი შუქი ლამპრისა მზის სხივებივით თრთოდა პელოს ბროლივით ამომჯდარ მკერდზედ. აგრეთმა დიადმა სურათმაც ვერ მოალბო სიბრაზით გამხეცებული გული ვანოსი. ერთი კიდევ გადაჰხედა წერილის საზარელ სტრიქონს და რევოლვერმაც ჭექა მოიღო; ერთს სროლას მოჰყვა მეორე და მეორეს მესამე. „ვანო!... ნუცა!...“ ერთი კი ძლივს-ღა ამოიხრიალა პელომ და იქვე სამუდამოდ განუტევა სული. პელოს უმტვერო ქაღალდივით თეთრი მკერდი ამ დროს შადრევანს წარმოადგენდა, საიდანაც წითლად სჩქეფდა სისხლი. პატარა ნუცას, რევოლვერის გრიალზედ, თავი დედის მკერდზედ დაეყრდნო და ოთხად გასტეხოდა, საწყალი, პაწაწკინტელა, თმა-ქუჩუჩა ნუცა სისხლის მორევში სცურავდა. ვანო თვალის დახამხამებაში ბოქაულთან მიიჭრა და გამოუცხადა: „მე მოვკალი ჩემი ცოლი პელო და საყვარელი ქალი ნუცა. მიზეზს, რისთვისაც მოვკალი, აი ეს წერილი გაუწყებთ“. ბოქაულმა ჩამოართვა ვანოს წერილი და მდაბალის ხმით დაუწყო კითხვა: „ჩემო ძვირფასო, დაუფასებელო და ტკბილო პელო! დიდი ხანია მინდოდა გამემჟღავნებია თქვენთვის ჩემი გულის პასუხი, მაგრამ დღემდის გარემოება ხელს არ მიწყობდა. დღემდის ვერ შევარჩიე დრო, და დღეს კი თქვენს საერთო ბედნიერებას დაჰრთეთ ჩემი ბედნიერებაც. მე მსურს სამუდამოდ შევუკავშირო ჩემი სიცოცხლე მშვენიერს, ღვთაებრივ მელოს.....“

ამ უკანასკნელ სიტყვებზედ ვანომ შეშლილივით საზარლად შეჰყვირა: „პელო!... ნუცა!...“ და იქვე განუტევა სული.

შელაგიაშვილი

განთიადი

მოთხრობა ეკისა

VIII*)

მოკრა მართალს ამბობდა. აურზაურის მიზეზი მისი შვილი იყო. კონაკიდან ამის შესახებ ცნობა მოუვიდა კიდეკა და უთხრეს, ფაშამ მოგიხმოვო. ფაშამ მოკრა გვერდით მოისვა და ტკბილის ლიმილითა ჰკითხა:

— ახლაც იტყვი, შვილების გაზრდა სამზღვარ-გარედ სჯობიანო?!

— ეისმაითა (ბედია), ფაშა ეფენდიმ,— უპასუხა მოკრამ.

— შენ ამას გულწრფელად არ ამბობ.

— მე იმას ვამბობ, რაც შენა სთქვი იმ უბედურების მიზეზად, რომელიც ახლა ეს მეორეჯერ მატყდება თავსა. მე რომ ეს არ მეთქვა, იძულებული ვიქნებოდი, შენთვის მეკითხნა, და შენც მიპასუხებდი: ეისმაითა.

— ასე რადა ბგონია?

— რომ მეთქვა: მცირე წლოვანია, თითქმის ბავშვია, დამიბრუნე-მეთქი, რას მეტყოდი?

— დაბრუნებით არ დაგიბრუნებდი, ის კიჰ, რომ ნებას მოგცემდი სატუსაღოში გეელო მასთან და დაგეჯერებინა, ყველაფერში გულწრფელად გამოტეხილიყო.

— განა ცოცხალია?— ჰკითხა მოკრამ.

---

*) «მოამბე» № 7.

— ცოცხალია, წადი, ნახე. ჭკვიანი დედაკაცი ხარ და თვითონ უკეთ იცი, რაც უნდა უთხრა, რომ ჭეშმარიტების გზაზე დააყენო. იმისი სასჯელი იმაზე იქმნება დამოკიდებული, თუ რას იტყვის.

— განა ჯერ არ დაგისჯიათ? მე მგონია, მცირე-წლოვან ბავშვს სრულიად ეყოფა ის სასჯელი, რაც გამოიარა.

— ნურც მაგრე ამბობ! ამ ბავშვმა ორი ჟანდარმი დასჭრა, ერთიც მოჰკლა.... ამ გვარ ცელქობის პატივება არ შეიძლება.

— სულთანს განა ცოტა ზაფთიები ჰყავს?—უთხრა მოკრამ.

— ცოტა ჰყავს თუ ბევრი, საქმე ეგ არ არის,—უპასუხა ფაშამ.—ის გირჩევნია, მოიფიქრე და შვილი როგორმე დაიხსენი: ექიმს მანამდე არ დავაყენებ, სანამ, რასაც აღა ჰკითხავს, იმის პასუხს არ მისცემს. გესმის, ჯანუმ?—ჰკითხა ღიმილით ფაშამ.

მერე ტაში დაჰკრა და ოთახში შემოსულ ადიუტანტს უბრძანა, მოკრა სატუსაღოში შეიყვანე შვილთანაო.

კონაკის სატუსაღოს გვერდით, სადაც ერთს დროს მეამბოხეთა მოჭრილი თავები ეწყო, ერთი ოთახიც იყო, დროებითის სატუსაღოს მაგიერი. ამ ოთახში იწვა დრაგანი იატაკზე, დაფლეთილისა და გასისხლიანებულის ტანისამოსითა. ეტყობოდა, ვიღასაც საჩქაროზედ შეეხვია ჭრილობანი ხელებსა, ფეხებსა, გულსა და თავზე; შეეხვია ჭრელის შალის ხელსახოცებით და მერე ისე დაუდევრად, რომ არც კი მოებანა იარანი. ყოველ ამის გამო ავადმყოფი შესაზარი სანახავი იყო. დაჯეჯგვილსა და დაიარავებულს პირისახეზე ადამიანის ნიშან-წყალი ძლივს-ღა ეტყობოდა.

მოკრა წყნარად მივიდა შვილთან და გვერდით მოუჯდა. ჯერ დაკვირვებით დახედა სახეზე, მერე დაიხარა და ჩუმად უთხრა:

— დრაგან!

დრაგანი თვალებ-დახუჭული იწვა. ეტყობოდა, დედის ხმა გაიგონა, სახე ოდნავ შეენძრა, ისე როგორც მცირე ფრთონა წყალის დამშვიდებულ ზედაპირს გადურბენს ხოლმე, ნიავის დროს. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ შეეხმიანა მოკრა.

— შვილო, ჩემო ძვირფასო!

— დედი...—ჩურჩულით წარმოსთქვა ავადმყოფმა და თვალები გაახილა. ამ დროს სატუსაღოში ფეხის ხმა მოისმა. მოკრამ შვილისკენ დაიწია და ჩუმად, მაგრამ გარკეევით უჩურჩულა ყურში:

— აღა მოდის და როცა გამოკითხვას დაგიწყებს, ისეთი არა უთხრა-რა, რაც კომიტეტს ავნებს... გესმის?

დრაგანმა თვალები გაახილა და დედას აღტაცებით შეჰხედა.

მოვიდა აღა; თან მოჰყვებოდა ქაოიბჩა და ჩუბუხჩა; ჩუბუხჩმა იატაკზე ფარდაგი გაშალა, აღა კიდევ ზედ დაჯდა. უბრძანა, ჩიბუხი მომიტანეო, მერე მოკრას მიჰმართა და გამოძიება დაიწყო:

— უთხარ შენს შვილს, სიმართლე სთქვას, და ექიმბაში უწამლებს... თუ არა, ჯანიც გაჰვარდნია... ეს უთხარი კარგად, რომ გაიგოს.

— შვილო...—დაიწყო მოკრამა:—ხომ გაიგონეკი, რაცა სთქვა აღამ, ისიც ხომ გახსოვს რაც მე გითხარ? სინიდის ქვეშა სთქვი ყოველივე და იცოდე, მაღალი ღმერთი ყურს გიგდებს... ჩემი სიტყვები არ დაგავიწყდეს.

— კარგი.—უთხრა აღამ და გამოკითხვას შეუდგა.

დრაგანის მორჩენა შეუძლებელი იყო. ეს ფაშამაც კარგად იცოდა და მაინც ჰფიქრობდა, იქნება, მომაკედაეს გამოვტყუოთ რამ ცნობა იმ იდუმალ ჩოჩქოლის შესახებ, რომელიც ასე გაძლიერდაო. ეს ჩოჩქოლი, მართლაც, მოსვენებას არ აძლევდა მთავრობას. აი ამ აზრით მიიხმო პატიმრის დედა ფაშამ და პირობა მისცა—შვილს გაგითავისუფლებო.

დრაგანს ზოგი რამ ისეთიცა ჰკითხეს, რის პასუხიც სრულიად არ მისცა; ზოგისა სთქვა:—არ ვიცი... ხანდისხან კი

გარკვეულ პასუხს იძლეოდა. მაგალითად, რაიცა შეეხებოდა სამზღვარ-გარედ მისს ყოფნას, არაფერი დაუმალავს. როცა ჰკითხეს, აღკრძალული წიგნები ბოლგარიაში საიდან მოაქვთო, პირ-და-პირ უთხრა: „სტამბოლიდანაო“. **ქიათიბჩამ** (მწერელმა) ეს პასუხი დაჰნიშნა ქალალდზედ. დრაგანმა კიდევა სთქვა ცოტა რამ, მაგრამ ხმა თან-და-თან უსუსტდებოდა და კაცი ვეღარას გაიგებდა მისის სიტყვისას. ბოლოს სულ ხმა ჩაუწყდა. აღა ერთხელ დაეკითხა, დაეკითხა მეორედ; დედამაცა ჰკითხა იგივე და ერთბაშად წამოიყვირა:

— დრაგან!

სულთ-მობრძავმა ამოიხრიალა-ღა.

— ექიმბაში შემოვიდეს,—სთქვა აღამ, ყალიონი ჩუბუხჩის გადასცა და ზეზე წამოიწია.

ექიმი მაშინვე შემოვიდა და შეამოწმა—მომკვდარაო.

— უშველე!—გამწარებით შეჰკივლა მოკრამ.

— მკვდრის გაცოცხლება არ შემიძლიან.

— ჯერ ისევ თბილია,—უთხრა დედამ, როცა შვილს გულზე ხელი დაადო.

ექიმმა ხმა არ გასცა. მოკრა აღას მიუბრუნდა და სთხოვა:

— ჩემი შვილია... ეფენდიმ, ნება მომეც წავიღო.

— წაიღე,—უპასუხა მიმავალმა აღამ.

დედაბერი თვისის შვილის ცხედართან მარტო დარჩა. დაშორებას ვერა ჰბედავდა,—ვაი თუ პირობას გადავიდნენ და უარი მითხრან, აღარ დაგანებებთო. ეშინოდა აგრედვე სატუსაღოს მორიგის თავს-გასულობისა, — ოსმალები ყოველთვის ეზად არიან გიაურის ცხედარი სასაცილოდ აიღონო.

საჩქაროზედ მოიხსნა თვისი მოსახვევი, შვილს სახეზე დაუფარა, მერე ასწია და გარედ გამოიტანა. ერთმა ჟანდარმმა შეჰნიშნა:

— ვერ ატარებ, მძიმე იქნება!

— თუ პატარას ვატარებდი ხელით, დიდსაც ვატარებ.— უპასუხა დედა-ბერმა. ასე გაიარა კონაკის ეზო და მთელ ქა-

ლაქშიაც ასევე გაივლიდა, მაგრამ ალაყაფის კარებთან ნიკოლამ გააჩერა.

— მოკრა!—დაუძახა ყმაწვილმა კაცმა.

— ჰა...—შეეხმაურა დედაბერი.

— შენ მოხუცებული ხარ... მე კი — ახალგაზდა.

— რა ვუყოთ... ჩემი შვილია.

— ჩემი — ძმაა.

დედაბერი გაჩერდა. ნიკოლამ ცხენდარი გამოართვა და ქალაქის გზას გაუდგა. მიცვალებულის თავი ნიკოლას მხრებზე ჩამოეკიდა, ხელ-ფეხი კი მჩვარივით დაჰკიდებოდა, თავი მოსახვევითა ჰქონდა დაფარული: კაცს ეგონებოდა, ნიკოლას ავადმყოფი მიჰყავსო. კიდეც ამიტომ იყო, რომ გამვლელები მოკრასა და ნიკოლას დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ. ნიკოლამ მიცვალებული სახლში მიიტანა და ტახტზე დაასვენა. შინაურებმა ყველამ თავი მოიყარეს, მოვიდა დაცა და შეიქმნა ქვითინი და ცრემლთა ფრქვევა.

— ჩუმად!.. ჩუმად!..—ეუბნებოდა დიასახლისი.—დრაგანი უფალმა თავისთან მოიხმო... ჩვენის საღმრთო საქმისათვის თავი დასდო... წავიდა და ღმერთს უნდა შესჩივლოს...—ეს მეორე მიდის ჩვენის ოჯახიდან.

დედაბრის სიტყვები, ცოტა არ იყოს, ქვითინით იყო ნათქვამი; ცდილობდა თავი შეემაგრებინა და მხოლოდ დროგამოშვებით ისე ამოიოხრებდა, იტყოდით, გული თან ამოაყოლაო.

— შვილო!.. ჩემო ანგელოზო... ჩემო ძვირფასო!—იძახდა ხანდისხან დედა.—როგორც რიგია, ისე მაინც დავმარხოთ.

დედა დასაფლავების თავდარიგს შეუდგა. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ერთნაირი დედაკაცები არიან, მათი ხელობა მიცვალებულების დატირებაა; ამ დედაკაცებს არავინ იწვევს—ავითონვე მოდიან. მიცვალებულს დაჰბანენ, შესუდრავენ და გამოიტირებენ. ეს ჩვეულება ძველთაგანაა დარჩენილი. ერთს საათს უკან დრაგანის ტანი გულხელ-დაკრებილი, თეთრს სუდარაში გახვეული, ფარდაგ-გადაფარებულ საკაცეზე ესვენა. თავთით და-

იქით-აქეთ რამდენიმე წმინდა სამთელი ენთო. მღვდელმა წესი აუგო და მიცვალებულს იაზმის წყალი ასხურა. ხალხი თან-და-თან იყრიდა თავს, რომ უკანასკნელი ვალი გადაეხადნათ მიცვალებულისათვის. შემოდიოდნენ მეზობლები—ქალნი და ვაჟნი; ოხრავდნენ, ლოცულობდნენ, ჩურჩულებდნენ. ნიკოლას ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია და ყველას უხსნიდა მიცვალებულის სიკვდილის მიზეზს. წამ-და-უწუმ კითხულობდნენ, როგორ იყო, რა იყოვო. იმასაც მზადა ჰქონდა პასუხი:

— ოსმალებმა მოჰკლეს იმიტომ, რომ უბეში დამალულ ქაღალდების მიცემა არ უნდოდა.

— რა ქაღალდები იყო მაგეთი?

— არ ვიცი.

— ვისთან უნდა მიეტანა?

— ალბად რუშჩუკში უნდა მიეტანა ვისმესთვის.

— შეიძლება, ინგლისისა, საფრანგეთისა ან რუსეთის ელჩისათვის?

— შეიძლება... ის კი დაჭეშმარიტებით შეიძლება ითქვას, რომ ქაღალდები დიდის საქმისათვის უნდა ყოფილიყო; დრაგანმა ყველა გადაჰყლაპა.

ჰაჯი ქრისტოს ცოლი და ქალიც მოვიდნენ. ნიკოლამ ამათაც უამბო ყველაფერი, განსაკუთრებით მათი ყურადღება მიაქცია დრაგანის მამულ-მოყვარეობისათვის თავის დადებას.

— დრაგანი,—ამბობდა ნიკოლა,—გმირულად მოჰკვდა. ზაფთიები ოც და ათი მეტი იყო, ის კი მარტოდ მარტო. უნდოდათ ქაღალდები წაერთმიათ, მაგრამ არ დაანება. ყველა ბოლგარელი ასე უნდა მოიქცეს.

ტირილი დიდის ამბით გადიხადეს. მომტირალე დედაკაცნი ხმა-მაღლა გაჰკიოდნენ ცხედრის სახლიდან გამოტანის დროს და მაშინაც, როცა მიწას მიაბარეს. კუბოს თავზე ყვავილებითა და ფოთლებით შემკული კოლიო იდგა თეფშითა.

მოკრამ მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სადილი გაჰმართა. სტუმრები ბევრნი მოვიდნენ, ყველა სამძიმარს ეუბნებოდა. მოკრა ყველას ასეთს პასუხს აძლევდა:

— ჩვენის ოჯახიდან ეს მეორე მიდის ღმერთთან, რომ შესჩივლოს ჩვენის მტრების მტარვალობა. ის მენატრება,—ცოტა ბლომად გამოჩნდნენ ასეთი მომჩივნები და იმედია, მაშინ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ძნელი სათქმელია, რამდენად ესმოდათ სტუმრებს მისის სიტყვების აზრი,—ეს კია, რომ დედაბერს ყველანი ეთანხმებოდნენ. ისეთებიც იყვნენ, რომ მისი ნათქვამი ზედმიწევნით ჰქონდათ შეგნებული. ესმოდა ნიკოლას, სტოიანს, სტანკოს; ესმოდა ჰაჯი ქრისტოსაც. ჰაჯი ქრისტომ სიტყვის შებრუნებაც კი მოინდომა.

— მოკრა ჯან, ღმერთმა გამოსაცდელად წაგართვა შვილები,—ეუბნებოდა ჰაჯი ქრისტო,—და ყველანიც თანაგიგრძნობთ; მაგრამ სხვა ბოლგარელი დედანი კი ღმერთმა დაიფაროს ასეთის უბედურებისაგან.

— არა, ბატონო! მაგას ვინ მოგახსენებს... მე სრულებით არ მინდა, რომელსამე დედას ჩემსავით უბედურება თავს დაატყდეს,—უთხრა ამოოხვრით დედაბერმა.—მაგრამ არც ის არის სასურველი, რომ ჩვენი ახალგაზდობა წინანდელსავით მჟავდებოდეს და თავის თავს სამშობლოზე მეტად აფასებდეს. ჩემმა შვილებმა მაგალითი მისცეს, სცადეს... ამისთანა საქმის გაკეთებას, თუ არ გამოცდილი, ხამი კაცი ვერ შესძლებს. ბავშვი მხოლოდ მაშინ ისწავლის—ცეცხლს როგორ უნდა მოეკიდეს, როცა ხელფეხს დაიწვავს. ეს ყველამ იცის. მაგრამ მაინც საჭიროა ვისწავლოთ, ცეცხლს როგორ უნდა მოვეკიდოთ.

ასეთს ლაპარაკში იყო დიასახლისი და თან სტუმრებს უმასპინძლდებოდა. წინააღმდეგობას თითქმის არავინ უწევდა, თუმცა უმეტესი ნაწილი დარბაისელ სტუმართა—ვაჭარნი, საბჭოს წევრნი, ხელოსანნი და სხვ. გულში სრულებით არ ეთანხმებოდნენ მოკრას. „ძალა ოსმალების ხელთაა, და მათი გამკლავება ჩვენის მხრით სიბრიყვეაო!“—ასე იყო თუ ისე, მოკრას სიტყვები უმნიშვნელოდ არ იკარგებოდა. ორის, სიცოცხლით სავსე, ახალგაზდა კაცის სიკვდილმა სტუმრები არამც თუ დააღონა, დააფიქრა კიდეცა. ყველა იმათის სიკვდილის მიზეზს

იკვლევდა და ძალა-უნებურად ითვალისწინებდა დღევანდელ უსამართლობასა და შევიწროებასა. ამ გვარად, თვით სანდო კაცებს ძალა-უნებური, გამოუურკვეველი უკმაყოფილება, ებადებოდათ გულში იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც აქამდე კანონიერ და სამართლიან მთავრობად მიაჩნდათ. გაჩნდა რაღაც არევ-დარევა ფიქრ-აზრისა, რაიცა ამტკიცებდა, რომ ოსმალთა მთავრობის ჩარხს რაღაც გაჰფუჭებოდა. მაგრამ დარ-ბაისლები არა ცხარობდნენ. თავიანთს ესნაფს (ხელობას) არ ივიწყებდნენ და ოსმალებს წინანდებურად კარგად ეკიდებოდ-ნენ. სამაგიეროდ ახალგაზდობამ სულ სხვა კილოზე დაიწყო ლაპარაკი. ნავთ-სადგურთან მომხდარმა ამბავმა ყმაწვილნი კაცნი ძალიან შეაძრწუნა, ხოლო მიცვალებულის სადილზე ყოფნამ უფრო უარესად ააღელვა.

— მოკრა,—უთხრა როგორღაც ნიკოლამ,—მეც მინდა ჩემს სამშობლოს რითიმე გამოვადგე, თუნდაც ისეთნაირად მომეღოს ბოლო, როგორც შენს შვილებს.

— მარტო შენ რას გახდები?—ჰკითხა დედაბერმა.

— ჩემს გარდა სხვებიც არიან. ქალაქში ჩემისთანები ბევრი მოიძებნება.

— მაგალითად, ვინ გეგულება მაგისთანები?

— აი თუნდა სტოიანი... და სტოიანს გარდა...

— ჰმ...—გააწყვეტინა დედაბერმა.—მოელაპარაკე სტოიანს, აიღეთ, დაიღეთ, და, როცა დრო იქმნება, მე თვითონ გეტყვითო ერთი შვილიც დამრჩა და, მინდა, ჯერ იმასა ვკითხო რჩევა: ფილოსოფიის დოკტორია. ნეტავი ვიცოდე, რაში უნდა გამოადგეს ეს სწავლა?

ამ ლაპარაკს შემდეგ დიდს ხანს არ გაუვლია, რომ სტოიანი მოვიდა და იმავე საგანზე ჩამოუგდო სიტყვა მოკრას; მოკრამ იმასაც იგივე პასუხი მისცა და ურჩია, თავი ფრთხილად დაიჭირეო.

— ოსმალებს,—უამბობდა დედაბერი,—ყველგან ჯაშუშები ჰყავთ, ამ ჯაშუშებმა დააბეზღეს ჩემი დრაკანიცა.

მოკრა მესამე შვილის ლოდინში იყო და თანაც ძალიანა სწუხდა. რას იტყვის ფაშა? შარს ხომ არას მოსდებსო? გადასწყვიტა, ფაშასთან წავალ და ყველაფერს დანამდვილებით შევიტყობო. ფაშამ, როგორც საზოგადოდ, ალერსიანად მიიღო.

— ნე ვარ, ნე ჟოქ?

მოკრამ ამ ჩვეულებრივს მისალმებაზე შესაფერი პასუხი მისცა და პირდაპირ საქმეს შეუდგა.

— ფაფისგან დაშინებული დოს უბერავდაო,—დაიწყო დედაბერმა.—აი, ფაშა ეფენდიმ, როგორცა ჰხედავ, ორი შვილი დავკარგე; მითხარ, შენი ზაფთიები მესამე შვილსაც ხომ არ მომიკლავენ?

— ხომ არ იცი, უფროსი შვილი რისთვის მოგიკლეს?

— ვიცი, ფაშა ეფენდიმ.

— იცი, უმცროსი რისთვის მოგიკლეს?

— არა, ფაშა ეფენდიმ, არ ვიცი.

— სამზღვარ-გარედ ერთნაირი დასია, და ამ დასსა სურს, ბოლგარეთი სამზღვარ-გარეთიდანა ჰმართოს ფადი-შაჰის მაგივრად,—შენი შვილიც ამ დასში ერია.

— ვაი!—წამოიძახა დედაბერმა.

— განა არ იცოდი ესა?

— პირველად მესმის.

— ჰხედავ? მე კი ვიცოდი, სამზღვარ-გარედ რაცა ჰხდებოდა, და ვიცოდი აგრეთვე, შენი შვილი როდის უნდა მოსულიყო. შენმა შვილმა თავისი-თაკი თვითონვე მოიკლა. რაც მისი საქმე არ იყო, იქ რად ეჩრებოდა!

— მართალსა ბრძანებ, ფაშა ეფენდიმ,—უპასუხა დედაბერმა:—მეც იმიტომ მოვედი შენთან საკითხავად. შენ ყველაფერი იცი; მითხარი, ჩემს შვილს ხომ შეუძლიან დაბრუნდეს და თავისუფლად მოჰკიდოს ხელი ვაჭრობას?.. სამი ვაჟი მყვანდა, ახლა ერთის ანაბარა დავრჩი...—მოკრას ამის თქმაზე თვალთაგან ცრემლები წამოსქდა.

— **ᲑᲐᲥᲐᲚᲘᲛ** (ენახავთ),—უპასუხა ფაშამ. ტაში დაჰკრა და ადიუტანტს უბრძანა, რაღაც ქაღალდები შემოეტანა. ადიუტანტმა რვეული მიართვა. ფაშამ გადაფურცლა, მერე ნახევარ თაბახიანი ქაღალდი ამოიღო და ნელნელა კითხვას შეუდგა.

— პეტრე ზინოვი... ჰეიდელბერგში... სწავლობს... ფილოსოფიას დოკტორია... ჰმ... შენიშნული არაფერშია... ფილოსოფიის დოკტორი... ჰმ...

— ე ფილოსოფიის დოკტორი რაღაა?—ჰკითხა მოკრამ.

— რა არი-და, ისა, რომ შენი შვილი ბრძენია. თავისი ბრძენობა მშვიდობაში მოხმარდეს, მხოლოდ სხვის საქმეში ნუ გაერევა.

— მაშ ზაფთიები არ მოჰკლავენ?—გულუბრყვილოდა ჰკითხა დედაბერმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, არ მოჰკლავენ.

— არც სატუსაღოში ჩასვამენ?

— ხელსაც არავინ ახლებს.

— შენი სიტყვა, ფაშა ეფენდიმ, ჩემთვის ათას **მეჯიდიეზე** მეტად ჰღირს.

— ჩემი სიტყვა ესაა: შენს შვილს ცუდს არას შეამთხვევენ.

მოკრა სახლში დაბრუნდა თუ არა, უბრძანა, პეტრესათვის წერილით შეეტყობინებინათ, წამოდი, ფიქრი ნურაფრისა გაქვსო. ფაშამ, თავის მხრით, ბრძანება გასცა, პეტრე, როცა მოვიდოდა, გულდადებით გაესინჯათ.

ერთის კვირის უკან გემით ასე ოც და ხუთის წლის ახალგაზდა კაცი მოვიდა. მისაგებებლად მოკრა და ნიკოლა გავიდნენ ნავთსადგურზე. მაგრამ მისალმება მანამდე არ შეეძლოთ, სანამ ახალმოსულს ბარგსა და ჯიბეებს კარგად არ გაუჩხრეკდნენ. მისის წიგნებისა და ქაღალდების გასასინჯავად საგანგებოდ იყო გამოგზავნილი ერთი მოხელე,—მაშინადვე შეატყობდით, ბერძენი უნდა ყოფილიყო.

მოკრა ყველა ამის გჯთავებას მოუთმენლად ელოდდა და ბოლოს, როგორც იყო, ეღირსა კიდეც. მუშებს უბრძანა ბარ-

გი წამოელოთ, თვითონ კი შვილითურთ სახლში გაეშურა, რომ იქ თავისუფლად გადაჰხვეოდა და სიხარულის ცრემლი დაეფრქვია.

ახალგაზდა კაცის მოსვლის პირველი ხანი იმაში გავიდა, რომ დედა-შვილნი და ნათესავნი ერთმანერთს ეალერსებოდნენ. რამდენისამე წლის დაშორების შემდეგ ყველას უნდოდა გაესინჯა, მისის ყურებით გამამძღარიყო. მისის ცქერით სტკბებოდნენ დედაცა, დაცა, მოჯამაგირე-მოახლენიცა. ყველა იმას გაიძახოდა—გაზრდილა, დავაჟკაცებულა და გალამაზებულაო. პეტრე შავგრემანი იყო, სახეზე ეტყობოდა, რომ მხნე უნდა ყოფილიყო, შეუმდრკალი. თვალ-ტანადი არ იყო, მაგრამ, რაც უფრო ახლო გაიცნობდით, უფრო და უფრო შეგიყვარდებოდათ. როცა მანა და სხვებმა ერთმანეთი კარგად გასინჯეს, სხვადა-სხვა ამბავი იკითხეს და იწვრილეს, სადილად დასხდნენ და სუფრაზე გრძლად გააბეს ლაპარაკი. მეორე დღეს, პეტრემ რომ საკმაოდ დაისვენა, დედამა ჰკითხა:

— არ მეტყვი, შვილიკო, რასა ჰფიქრობ?

— რისასა, დედილო?

— შენის ძმებისასა?

ახალგაზდა კაცმა ამოოხვრით უპასუხა:

— ჩემს ძმებს წილად მძიმე ტვირთი ჰხვდათ—საქმის დაწყება. მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლებოდა. თუ არა სცადე საქმე, ისე თავის დღეში ვერაფერს გააკეთებ.

— მოკრა დარწმუნდა, პეტრე ძმებს არა ჰკიცხავს შეცდომისა და მარცხისათვისაო, და დაუმატა.

— ახლა მარტო შენ-ღა დამრჩი.

— მერე, დედილო? განა ერთსაც იგივე მოვალეობა არ აწევს კისრად, რაც სამსა?

— შვილო, ჩემო ძვირფასო, ჩემო ნუგეშო!—წამოიძახა გულ-აჩუყებულმა დედაბერმა.—ღმერთმა გაკურთხოს! მე არამცთუ დაგლოცავ, რაც შემიძლია, დახმარებასაც აღმოგიჩენ.

ეს ლაპარაკი შვილსა და დედას შორის მხოლოდ წინასიტყვაობა იყო; მერე ამ წინასიტყვაობას თვით მოქმედებაც მოჰყვა.

პეტრემ ჯერ ვაჭრობის საქმეები წეს-რიგზე მოიყვანა: შეადგინა დავთრები და ყველაფერს საუცხოოდ აწარმოვებდა; თუმცა ფილოსოფიის დოკტორი იყო, მაგრამ საქმე სულაც იმ გვარად არ წაუყვანია, როგორც მისმა ძმამ წაიყვანა, საკომერციო ისტიტუტში ნასწავლმა. არც სამკითხველო ავიწყდებოდა: რამდენიე ძვირფასი წიგნი შესწირა და იქ მოსიარულე ახალგაზდობის გაცნობასაც შეუდგა; დედამ მაშინადვე გააცნო სტანკო, ნიკოლა და სტოიანი,—სანდო და გამოცდილი ყმაწვილები არიანო. მაგრამ სტანკომ მაშინათვე უარი სთქვა, მაგ საქმეში მონაწილეობას ვერ მივიღებო; ასე რომ მარტო სამნი-ღა დარჩნენ. პირველში იღებდნენ და მხოლოდ ავრცელებდნენ აღკრძალულ წიგნებს, ახლა კი მარტო ნიკოლამ დაიჭირა სტანკოს ადგილი. ნამწყემსარი თავისს საქმეს ძალიან ოსტატურად ასრულებდა. ერთხელ მოკრასა და პეტრეს თვალწინ წიგნებით სავსე ყუთი გააღო და ოცნება დაიწყო:

— ნეტავ, როდის იქმნება ამ წიგნების მაგივრად ჩვენის მეომრების გამოყვანას შევუდგეთ ისე, როგორც ძველ ბერძნებს ტყუილ ცხენის მუცელში დამალულები ჰყავდათ თავიანთი მეომრები ტროიას საწინააღმდეგოდ!

— როგორ თუ ცხენის მუცელში?—ჰკითხა მოკრამა.

ნიკოლა ხის ცხენის ამბავს მოჰყვა.

— ადვილი საქმე ნუ გგონია,—შენიშნა მოკრამ.—ამისთანა ცხენის გაკეთებას ჩვენ ვერ მოვახერხებთ. ჩვენის ჭიდან კი რუშჩუკში ადვილად შემოვიყვანთ, მაგრამ საქმე ის არის, ეს ჭა ქვევიდან მიუვალია.

— რომელ ჭიდან?—ჰკითხა პეტრემ.

— აი, ბალში რომ არი.

მოკრამ ჯერ ორთავეს პირობა ჩამოართვა, საიდუმლო არავისთვის ეთქვათ, მერე მოუყვა ხვრელის ამბავს და იმას, თუ ერთხელ მთელის უბნის დედაკაცები და ქალები შიგ როგორ დაიმალნენ.

— დედი, შენ ხომ არა ყოფილხარ შიგა?—ჰკითხა პეტრემ.

— თავის დღეში.

— რახან აგრეა, საჭიროა, დავათვალიეროთ, ამისთანა დასამალი ყოველთვის გამოგვადგება. ნიკოლა, წავიდეთ.

პეტრე და ნიკოლა ჭის გასინჯვას შეუდგნენ მაშინვე: ჩაუშვეს ფანარი და გვირაბის შესავალი ნახეს. საჭირო იყო, გამოქვაბული ადგილი დაეთვალიერებინათ.

— მე ჩავალ!—სთქვა ნიკოლამ.

— დაიცა, ჯერ ვნახოთ, ჯაჭვი და ჩარხი მაგარია თუ არა.

— მე კი გამიძლებს და!

— აი ვნახავთ. მე კი მგონია, წყლით სავსე სათილაზე სავსე ხარ.

პეტრემ სათილი ჩაუშვა და თან-და-თან უფრო მძიმე ნივთებსა სდებდა შიგა. დარწმუნდა, რომ ორივეს თამამად შეეძლოთ ჩასვლა.

— ახლა მე ჩამიშვი,—უთხრა ნიკოლამ.

— ჩაგიშვებ, მაგრამ მანამ არ შეხვიდე, სანამ არ დარწმუნდები, რომ შიგ შესვლა შეიძლება.

— მერე დამშლელი ვინ მეყოლება?

— ჰაერის ბუღი. თუ კარგი ჰაერია, შედი; თუ არა და, შესვლით კი შეხვალ, მაგრამ უკან ვერ გამოხვალ.

— როგორ?—ჰკვირობდა ნიკოლა.—აქ ხომ სარდაფსავით არის. და სარდაფში კი სუნთქვა თავისუფლად შეიძლებაო.

პეტრემ უამბო ჰაერის თვისება და მოატანინა თოფი, გრძელი და მსუბუქი ლატანი და მეორე ფანარიც. ჩაუშვა და დაარიგა, გვირაბში თოფი რამდენჯერმე შეისროლეო. ნიკოლა ორის ფანრით ჩაუშვა: ერთი, ლატანის ბოლოს მიბმული, წინ უნდა გაემძღვარებინა, მეორე-კი ხელში დაეჭირა. ფანარმა ქროება დაიწყოს თუ არა, მაშინვე გამობრუნდიო, უთხრა პეტრემ. ნიკოლამაც ყველაფერი სიტყვა-სიტყვით აასრულა. გამოვიდა სათილიდან და გვირაბში შეჰყო თავი, მაგრამ იმ წამსვე დაბრუნდა და სათილში ისეთის სისწრაფით ჩახტა, რო, ცოტას გაწყდა, ჭაში არ ჩაჰვარდა.

— ამწიე!—ამოსძახა მაღლა.

პეტრემ რომ ამოიყვანა, ნიკოლას ნაცრის ფერი ედო.

— რა მოგივიდა?

— ძლივს გამოვსწარ.

— რა იყო?

— იქ... იქ... რაღაც თვალებია,—ბურტყუნებდა ნიკოლა.

— რა თვალები?

— დიდები.

— ფანრები რაღა უყავ?

— იქ დავყარე.

— მერე ხომ არ გამქრალან?

— არა.

— იქ, შეიძლება, გველებია, ხვლიკები, ღამურები, მელები,—ჩამოსთვალა პეტრემ.

— თვალები?—ჰკითხა ნიკოლამ.

— თვალები თუ მოგეჩვენა! აბა ვნახოთ, ახლა მე ჩამიშვი, მხოლოდ ჩარხი მაგრად დაიჭირე და ფრთხილად ჩამიშვი.

პეტრე ჩაეშვა, შევიდა გვირაბში და დიდ ხანს არ დაბრუნებულა, ასე რომ ნიკოლა შეფიქრიანდა. ბოლოს პეტრე გამოჩნდა, მშვიდობით მაღლა ამოვიდა და მოუყვა:

— გავკეთდით,—ისეთი რამ აღმოვაჩინე. შიგ ხუთასი მეტი კაცი მოთავსდება, მაგრამ სანამ კაცებისათვის დაგვჭირდებოდეს, იქ დავმალოთ ყველაფერი, რაც ოსმალებს ძილს უფრთხობს და ჩვენთვის კი აუცილებლად საჭიროა.

— რევოლვერები!—დაიძახა ნიკოლამ. სხვებსავითა სწამდა, ეს იარაღი დიდი რამ არისო.

— რევოლვერებიცა და სხვაცა.

— თვალები ხომ ნახე?

— კედელში რაღაც შუშის მინაგვარი ნატეხები იყო, ფანრის შუქზე ბრჭყვიალებდა, ალბად ეს ნატეხები გეჩვენა თვალებად. ვნახე ღამურებიცა, მელებიცა, სინათლის დანახვაზე ყველანი გაიქცნენ,—ბაყაყებიცა ვნახე. თუ კი შუშის ნატეხებმა შეგაშინა, ღამურები, ბაყაყები და მელები რომ გენახა,

ხომ მთლად გული გაგისკდებოდა! ოსმალოებს კი უნდა ვებრძოლოო,—ამბობ!

ნიკოლას საშინლად შერცხვა.

— ოსმალები სხვა საქმეა,—ბუტბუტებდა ნიკოლა,—მანდ კი, მიწის ქვეშ... თითქოს საფლავში ვარო... რაღაც შუვის.

— რომ შუვის, ჰაერია, განა ჭაში არ გაგიგონია! ეს გვირაბი იმითი არის კარგი, რომ ჰაერი შიგ სულ მუდამ იწმინდება. მე ბოლომდე გაველ: გასავალს მიწა აქვს მიყრილი და კლდე ჰფარავს.

პეტრემ ნიკოლა გაიყოლია და წავიდა, რომ დაეთვალიერებინა კლდის გაყოლება მიმავალი ქვის კედელი. გასინჯა იქაურობა, რაღაც მოისაზრა, ივარაუდა და ბოლოსა სთქვა:

— აქ, შეიძლება, ასაზიდი მანქანა გაკეთდეს და ბლოკების შემწეობით ნაპირიდან გვირაბში, რაც გვინდა, ყველაფერს შევზიდავთ. კონდრაბანდისტები ყუთებს პირდაპირ წყალის ნაპირად დააწყობენ და მერე თვითონაც არ ეცოდინებათ—კონტრაბანდა სად იმალება.

— ოსმალოები?—შენიშნა ნიკოლამ.

— ეს ნაპირი მიუვალი ჰგონია ყველასა; აქ დარაჯიც კი არ უყენიათ და არც როდისმე დააყენებენ. შესანიშნავი რამ ვიპოვეთ! მაგრამ ჩვენს ორსა და დედის გარდა ეს არავინ არ უნდა იცოდეს.

— ფიქრი ნუ გაქვს, არავინ შეიტყობს,—დაარწმუნა ნიკოლამ.

— რამდენიც უნდათ, თვალ-ყური ადევნონ ჩვენს სახლსა ოსმალებმა, ის კი აზრათაც არ მოუვათ, რომ ამისთანა სამალავი გვაქვს.

მერე ხელ-ახლა დაიწყო ყურება. ამოიღო უბის წიგნი, დახაზა, ივარაუდა, ჩაიწერა, გაზომა, მერე, შინ რომ მივიდა, ასაზიდი მანქანა დახატა, ზომებიც გამოიყვანა და ნაწილ-ნაწილად სხვა-და-სხვა ოსტატებს შეუკვეთა,—არ მიხვდნენ, რასაც აკეთებენო. ეტყობოდა, ძმების მაგალითს პეტრესათვის სიფრ-

თხილე ესწავლებინა; ერიდებოდა ყველაფერს, რაც კი ოდნავ მაინც ეჭვს დაჰბადავდა.

IX

იმ დროს, როცა რუშჩუკში მალულად მზადებაში იყვნენ, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ისეთმა ნიშნებმა იჩინა თავი, რაიცა ცხადად ამტკიცებდა ოტომანის იმპერიის აგებულების სისუსტეს, სნეულებას. სლავიანთ ერებში ხან ერთი წაავლებდა ხოლმე იარაღს ხელსა და ხან მეორე. ყოველსავე ამას შესაფერი მოქმედება ჰქონდა ბოლგარელებზე; ყველანი, ერთის მხრით, მოუსვენრობით სავსე მოლოდინში იყვნენ,—მეორეს მხრით—საიდუმლო საზოგადოებანი არსდებოდა. რა თქმა უნდა, განზე არც რუშჩუკი დარჩა; აქაც შეინძრენ, აქაც მოიფშვნიტეს თვალები. მეთაურებად ამ მოძრაობასა ჩვენი ნაცნობი პეტრე, სტოიანი და ნიკოლა უდგნენ.

განსაკუთრებით ნიკოლა ცხარობდა; ისე ეგონა, ჩვენი საქმე კუს ნაბიჯით მიდის წინაო. სტოიანი ბუქარესტში გაემგზავრა, გაიცნო სარევოლიუციო დასის წარმომადგენელნი და აღკრძალულ წიგნების შემოტანის საქმე უფრო გააფართოვა, ე. ი. წინანდელსავით კონებათ როდი შემოჰქონდათ, მარტო რუშჩუკის და მიდამოს დასაკმაყოფილებლად, არა,—ახლა მთელის ყუთობით ვრცელდებოდა წიგნები და გაზეთები. აი გვირაბიც აქ გამოადგათ. მეთევზე ნავს ღამით წყალის ნაპირთან მიაყენებდა, ყუთს გადმოიღებდა და წინდაწინვე დამზადებულ ბაწრით კავზე ჩამოჰკიდებდა. მეთევზე გაშორდებოდა თუ არა, თოკი გაიჭიმებოდა, ყუთს ჯერ ნაპირზე ათრევდა, მერე ზევითკენ ასწევდა, და კლდის შუაალაგას ყუთის კვალი იკარგებოდა. საქმე გაიჩალხა! აღკრძალული წიგნები ყველგან მოეფინა ქალაქებს, დაბებს, სოფლებს. კომიტეტებს ამაზე უფრო ჩქარა უნდოდა ემოქმედნა და ლაპარაკი ჩამოაგდო,—„მოციქულობა“ დავიწყოთო. ეს ამბავი სტოიანმა მოიტანა და თანაც აცნობა, რუმელიაში „მოციქულობა“ ძალიან გაძლიერებუ-

ლიაო. საჭირო იყო შეკრებილიყვნენ და ამ საგანზე მოელაპარაკნათ. ყველამ მოკრას სახლი დაასახელა შესაკრებლად, მაგრამ პეტრემ უარი სთქვა.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიქმნები თანახმა, ჩემთან შეიკრიბნეთ,—სთქვა მან,—თუ ისეთი სახლი არ აღმოჩნდა, რომელსაც თვალყურს არ ადევნებდნენ.

— ჩემთან შევიკრიბნეთ,—უთხრა სტოიანმა:—ჰაჯი ქრისტოს სახლში ცალკე ოთახი მიჭირავს.

— ბაღში არ შეიძლება?—ჰკითხა ნიკოლამ.

— არა,—უპასუხა სტოიანმა.

— იქ არ იყო, ჩვენა და სტანკოს თათბირი გვქონდა?

— მაშინ სამნი ვიყავით. ახლა კი, ვინ იცის, რამდენი მოვიყრით თავსა? ნიკოლამ თითებზე თვლა დაიწყო და შვიდი კაცი ჩამოსთვალა.

— უნდა ვუთხრათ, თითო-თითოდ მივიდნენ, ვითომც საქმე აქვსთ რამე.

სტოიანმა კრების დღე და ჟამი დანიშნა, ნიკოლამ კი ყველას შეატყობინა, ვისი მოწვევაც კი გადაწყვეტილი იყო. ნიკოლა ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ შესაკრებად ეს ადგილი დანიშნეს: იმედი ჰქონდა, ილენას, ერთის წამითაც არ, თვალს როგორმე მოვკრამო; დანიშნულ დღეს მოუთმენლად მოელოდა და სტოიანის სახლში პირველად ის გაჩნდა; სტოიანი სახლში ჯერ არც კი დაბრუნებულიყო.

— სტოიანი შინ არი?—ჰკითხა, ნიკოლამ მოახლეს.

— არა, ჯერ არ მოსულა.

— მაშ დავუცდი.

მოახლე იმ ოთახში შევიდა, სადაც ნიკოლა უკანასკნელად ილენკას ელაპარაკებოდა, და კარი ღია დაგდო. ახალგაზდა კაცი ეზოში იყურებოდა. კარ წინ რამდენმამე კაცმა გაიარა; ილენკა მაინც არა სჩანდა... ვნახოთ, ილენკა კარში გამოჩნდა.

— აა!..—გაიკვირვა ილენკამ ნიკოლას დანახვაზე.

— მე ვარ, — დაიწყო ყმაწვილმა კაცმა, მთლად დარცხვენილმა.

— ვხედავ,—უპასუხა ქალმა და ისეთ-ნაირად გაუღიმა, რო ნიკოლა ყურებამდე გაწითლდა.—ალბად, რამე საქმისათვის მოსულ ხარ?

— სტოიანი მინდა ვნახო.

— მგონია, შინ არ არი.

— არა უშავს-რა, დავუცდი, ძიელ საჭირო საქმე მაქვს.

— მგონია, მალე მოვა.

ახალგაზდა ქალი უნდა წასულიყო, რადგან ნიკოლა მის სანახავად არ მისულა. მაგრამ არ მიდიოდა; რაღაც იჭერდა.

— გავიგე, დერციკი მიგიტოვებია,—დაიწყო ქალმა და გულში თავის თავს აჯერებდა,—მარტო ეს უნდა ვკითხო ნიკოლასაო.

— მართალია, მივატოვე.

— ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა ვიყვე: დერციკთან, თუ ხუროსთან, მეწაღესთან თუ მჭედელთან, ოღონდ ლუკმა პური ვიშოვო-და.

— მაშ ყველაზე უფრო რა მოგწონს? რა გინდა, რომ იყვე?

— ერთხელ... ვინატრე... გედად გადამაქცია-მეთქი.

— რასა ხუმრობ,—უთხრა ილენკამ.

— სრულებითაც არა ვხუმრობ... გახსოვს, კვირა დღეს შენთან გატეხილ სამურაბეს შესახებ საკითხავად რო მოველ? აი, სწორედ მაშინ, აქედან გაველ და დუნაის ნაპირზე გადავ-ცქეროდი, ამ დროს გედები დავინახე... და საშინლად მომინ-და, გედად გადავქცევულიყავ.

— მერე რას იზამდი?

— მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი! შენთან მოვფრინდებოდი ხოლმე. შენ ბაღში იქმნებოდი, მე შენთან დავეშვებოდი, გვერდით ამოგიდგებოდი და შიგ თვალებში დაგიწყებდი ცქერას. მე—გედს, ხომ არ გამდევნიდი

ქალი ყურს უგდებდა და შეხედა, როცა ნიკოლს ამ უკანასკნელ სიტყვებს ამბობდა.

— ძველად ასე ყოფილა.—დაუმატა ნიკოლამ.

— როგორა?—ჰკითხა ილენკამ.

— აი ერთი ვინმე იუპიტერი გედად ქცეულა და დაჰფრინავდა თურმე დედოფალთან, რომლის სახელი ლედა იყო.

— მერე?

— დედოფალი...—ნიკოლა გაჩერდა.—ზღაპარიჰ.

— ზღაპარი იყოს, შენ რა გინდა, მე ყურს გიგდებ-და, —ჩააცივდა ილენკა.

— სხვა დროს გიამბობ. სადღაც ამოვიკითხე, ახლა დამავიწყდა კიდეცა.

— მაშ ის წიგნი მომეცი, მე თვითონ წავიკითხავ.

— ფრანგული წიგნია.

— აა!...—ქალმა მხრები შეიშმუშნა.—რა კარგი იქმნებოდა, ფრანგულს ვისწავლიდე.

— გასწავლიდი, მაგრამ ეს ენა მე თვითონ ცუდად ვიცი.

— მაშ კარგად შეისწავლე.

— არც იმდენი მცალია. ახლა ბევრი საქმე მაქეს და სამკითხველოშიაც იშვიათად შევდივარ ხოლმე. საქმე მალე, მგონია, უფრო მომემატოს.

— რა საქმე?—ჰკითხა ილენკამა.

— ჰმ... რა საქმე? რა და, შეიძლება, ბოლგარელი მეუმარი გავხდე.

ილენკას რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ერთბაშად მიტრიალდა და საჩქაროზედ მოშორდა. ნიკოლა ვერას გზით ვერ მიხვდა, რამ აიძულა, რომ ასე ჩქარა მომშორდაო. დიდ ხანს არ გაუვლია, ისე სტოიანიც მოვიდა. ნუ თუ ამის შეეშინდა? ნიკოლას ამის შესახებ, შეიძლება, კიდევაც ეკითხნა სტოიანისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს ერთი მოწვეულთაგანიც მოჰყვებოდა ახალგაზდების კრებაზედ დასასწრებლად.

— ბიჭოს, შენ კიდეც მოხვედი?—ჰკითხა სტოიანმა ნიკოლას:—ძალიან აჩქარებულხარ, აი!—და სანამ ნიკოლა რასმე ეტყოდა, ის უკვე კიბეს აჰყვა. სამივენი ერთს სადად მორთულ ოთახში შევიდნენ; კედლების მაგიერ განჯინები იყო, მათს გვერდით—ტახტები, იატაკზე კიდენ ჭილობი ეფინა. ერთი მაგიდა და ორი სკამიც იდგა. სტოიანი ოთახის ასეთს მორთულობას ბუქარესტში დაეჩვია და საჭიროდაც მიაჩნდა. სტუმრები ტახტზე დასვა, თვითონ სკამზე დაჯდა. ის იყო დასხდნენ, ამ დროს ორი მოწვეულთაგანიც შემოვიდა; მათ ერთიც მოჰყვა; ბოლოს, პეტრეც მოვიდა, და, ამგვარად, ყველამ მოიყარა თავი. პეტრემ დამსწრეთ უთხრა:—საქმეს შევუდგეთო და სტოიანსა სთხოვა, გვიამბე, რაც ბუქარესტში გსმენიათო.

— ბატონი ბრძანდებით,—დაიწყო ახალგაზდა კაცმა.—ამბობენ, ასაჯანყებლად უნდა მოვემზადნეთო, და ისე მოვიქცეთ, რომ ერთსა და იმავე დღეს იფეთქოს აჯანყებამ მთელს ბოლგარეთშიაც, რომელიასა და მაკედონიაშიაცაო. ამიტომ, საჭიროა ყველა ბოლგარელმა იცოდეს ესა და დანიშნულ დღისათვის მარაგად იყვეს.

— როდის-ღა უნდა მოხდეს აჯანყება?—სიტყვა გააწყვეტინა ნიკოლამ.

— დროს დანიშვნას მოვასწრებთ. ჯერ უნდა მოვემზადნეთ, ე. ი. სოფლებსა და ქალაქებში ყველას უნდა შევატყობინოთ ჩვენი განზრახვა.

— ყველგან წერილები უნდა დავგზავნოთ.—კვლავ ჩაერია ნიკოლა ლაპარაკში.

პეტრემ ნიკოლა გააჩუმა, სტოიანმა კი განაგრძო:

— პირველად სწორედ წერილებით უნდა ეცნობებინათ, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნენი ძლიერ ცოტანი გვყვანან, და მცოდნეებშიაც ყველა საიმედონი არ არიან, ბევრი ისეთია, რომ წაკითხვისათანავე, მუდირთან გაიქცეოდა დასაბეზღებლად.

— მართალია,—შენიშნა ნიკოლამ.

— ამიტომ, გადავწყვიტეთ „მოციქულნი“ დავგზავნოთ.

— გარდა ამისა, „მოციქულები“ სანდონიც უნდა იყვნენ,—დაუმატა პეტრემ.

— მაშ,—განაგრძო სტოიანშა,—გადაწყვეტილია, ვინც მოციქულად წავა, ფიცი უნდა დასდოს, რომ ამ წმიდა საქმეს არ უღალატებს და თავისს ძმებს არ გასცემს. ეი წესდებაც,—სთქვა მან და უბიდან ერთი თაბახი ქაღალდი გამოიღო, მხლად დაწერილი და ბოლოში ბეჭდებ-დაკრული.

— წაიკითხე!..—ყველამ ერთხმად შესძახა.

სტოიანმა წაიკითხა წესდება იმისა, თუ როგორ უნდა მოეხდინათ ხალხის აჯანყება სარდლებისა და ბაირაღთარების ხელმძღვანელობით. წესდებაში თექვსმეტი მუხლი იყო. თვითეულ საზოგადოებას თავისი გუნდი უნდა გამოეყვანა, მაშასადამე, თავისი სარდალი და ბაირაღთარიც უნდა ჰყოლოდა. ამ გვარად, ჯერ თვითეულ სოფელში ორ ორ კაცს ამოარჩევდნენ და ამ ზემოხსენებულ თანამდებობას დააკისრებდნენ, უკეთუ კეთილ-საიმედოდ დასახავდნენ. ყოველივე ესე დამსწრეთ ადვილი ასასრულებელი ეგონათ. წესდების კითხვამ მსმენელნი ძალიან ააღელვა. მათი აღელვება უფრორე გაორკეცდა, როცა სტოიანმა ფიცის ფურცელი წაიკითხა:

„მაღალო ღმერთო! ვფიცავ ჯვარსა და წმინდა სახარებას, რომ ავასრულებ ყველა ჩემს წმიდა მოვალეობასა, სიტყვიერად ნაკისრსა და წესდებაში ამოკითხულსა; ცხოველი მზე იყვეს ჩემის ფიცის მოწამე, და, თუ, ერთი ბეწოთიც არი, ფიცს ვუღალატე, გავიგმიროცა გულად მეომრების მახვილითა.“

— მე ახლავე ვსდებ ფიცსა!—დაიძახა ნიკოლამ.

— მეც!... მეცა!...—ბანი მისცეს სხვებმა.

— კარგი,—სთქვა პეტრემ:—მეცა და სტოიანიც ნაფიცები ვართ, ამიტომ შეგვიძლია თქვენ დაგაფიცოთ; მხოლოდ ჯვარი და სახარებაა საჭირო... ჯვარი ადვილი საშოვარია, სახარებას კი სტანკო მოიტანს... ყველანი სასაფლაოზე წავიდეთ, და ჩვენის წამებულების საფლავზე დაგადებინებთ ფიცსა... მანამდე კი „მოციქულობაზე“ ვსთქვათ რამე.

— სათქმელი რაღა უნდა იყოს!—დაიძახა ნიკოლამ:—მე მივდივარ.

— მეც წამოვალ!... მეც წამოვალ...!—ჰყვიროდნენ ერთიმეორეზე იქ დამსწრენი.

—მხოლოდ პეტრეს არ შეუძლია წასვლა,—სთქვა სტოიანმა,—რადგან ფაშაცა, აღაცა და ყველა ოსმალებიც თვალ-ყურს ადევნებენ.

— მართალია, მართალი!—დაეთანხმნენ ყველანი.

— გარდა ამისა,—შენიშნა ნიკოლამ,—რუშჩუკიდან ყველანი ხომ ვერ გავიკრიბებით,—საქმე აქაც საკმაო იქმნება.

ამას რომ ამბობდა, ნიკოლას აზრად ის გვირაბი ჰქონდა, რომლის არსებობა მისა და პეტრეს გარდა არავინ იცოდა.

— ეს ყველაფერი კარგი,—დაიწყო პეტრემა,—მხოლოდ ნება გვიბოძეთ, ერთი რამ გითხრათ: ყველანი გაიძახით—„მოციქულად“ უნდა წავიდეთო, და ყველანი კი შესძლებთ მაგ საქმეს?

— როგორ თუ ყველას შეგვიძლიანო?—უპასუხა ერთმა:—რა დიდი სიბრძნე ამას უნდა, რომ ვერ შევძლოთ?

— შენ სად დაიბადე?—ჰკითხა პეტრემ მოპასუხეს.

— აქ... რუშჩუკში.

— ჰო, ქალაქში რაღა... სად გაზრდილხარ?

— ქალაქშივე.

— მაშ შენ გლეხებთან ვერც ლაპარაკს მოახერხებ და ვერც საქმეს რასმე დაიჭერ... შენ?—ჰკითხა პეტრემ მეორეს. აღმოჩნდა, რომ მეორეც, მესამეც, მეოთხეც და დანარჩენებიც ყველანი ქალაქში გაზრდილან. ჯერი ნიკოლაზე მიდგა.

— მე ქალაქში ვარ დაბადებული,—სთქვა მან,—პატარაობითვე ცხვრებსა ვმწყემსავდი და ერთავად გლეხებში ვტრიალებდი.

— შენა, სტოიან?

— სოფელში დავიბადე, მექანეში გავიზარდე, და გლეხურად რო ჩავიცვა, ვერავინ იტყვის, თუ ბუქარესტში ვარ ნასწავლი.

— მაშასადამე, მარტო თქვენ ორს შეგიძლიანთ „მოციქულობა“, მით უფრო, რომ ჯერ უნდა სცადოთ... ყოველივე კი მაგ ცდაზე იქმნება დამოკიდებული... თუ ცდამ მარჯვედ ჩაიარა, მაშინ უფრო თამამად ვიმოქმედებთ. მაშინვე, წესდების თანახმად, დასებს შევადგენთ... წესდება ხო გახსოვთ?

— გვახსოვს, გვახსოვს!

— ხვალ, ალიონზე, სასაფლაოზე შევიკრიბნეთ, მანამდე კი ყველანი თავთავიანთ-სა წადით.

კრება გათავდა. ნიკოლა ისე გაიტაცა კრებაზე გაგონილმა ამბებმა, რომ ილენკაც კი დაავიწყდა!... მარდად კიბე ჩაირბინა და საჩქაროზე წავიდა სახლში. გაიარა თუ არა რამდენიმე ასი ნაბიჯი, მოაგონდა ილენკა, ანუ, უკედ, ისე საჩქაროდ რად მომშორდა ის ქალიო.

ძალიან მოუნდა ეს ამოცანა აეხსნა; მაგრამ ეს სურვილი სხვა ფიქრმა და აზრმა მალე დაჩრდილა და მისი ახსნა გადაიდო სხვა მარჯვე დრომდე. ახლა თვალ-წინ წარმოუდგა, ვითომ მთელი ბოლგარეთი სავსეა აჯანყებულ დასებით, რომლებიც მისს სამშობლოს ისე მოსდებიან, თითქო ცხვარი მოჰფენია ამწვანებულს ველსაო. ვითომ თვითეულს დასს წინ უდგას სარდალი, წინ უდგას ბაირალთარი; ქარი აფრიალებს დროშებს... სული ყმაწვილის კაცისა აღფრთოვანდა და გონება ძისი აღავსო საუცხოვო ოცნებამა; უნდოდა ეს ოცნებები ვისმესთვის გაეზიარებინა. მაგრამ ვისთვის? ნიკოლას ეს რო შესძლებოდა, იმაზე ბედნიერი კაცი იმ წუთს არავინ იქმნებოდა.

ნიკოლას უნდოდა პეტრეს მოჰლაპარაკებოდა. მაგრამ თვალ-წინ წარმოუდგა, რომ პეტრე მეტის-მეტი ახირებული კაციაო. ამიტომ რომ პეტრე სტოიანიდან დაბრუნდა თუ არა, დავთრებს მოუჯდა და, თითქოს არაფერი მომხდარაო, ანგარიში დაიწყო. ზის არხეინად, ანგარიშობს, დავთარში შემოსავალ-გასავალსა სწერს და ერთბაშად იძახის.

— ნიკოლა!

— რა იყო?

— რა და, რაც ქონი დუქანში გვაქვს, შენს გარდას, ასწონე, თორემ ანგარიში როგორღაც ამერია!

ბრძანება გასცა და ისევ არხეინად წერას მიჰყო ხელი, ვითომ აქ არაფერიო. ნიკოლამ ქონის წონვა დაიწყო, მაგრამ გადააკვდა და ვერას გზით ვერ შეიტყო, რამდენი იყო; აერია ქვები სასწორისა, ნიშნები და ვერ იქმნა, ველარა მოახერხა-რა. ასწონავდა და ხან მეტი მოუვიდოდა და ხან ნაკლები... ვნახოთ, მუშტარი შემოვიდა და პილპილი მოითხოვა... ნიკოლამ შაქარი აუწონა. მუშტარი წავიდა, და ნიკოლა მაინც ამ საბედისწერო ქონსა სწონავდა. როგორც იყო, ასწონა. პეტრე კი გულ-დამშვიდებით თავისს საქმეს აკეთებდა, ასე იტყოდით, ამის მეტი დარდი ამ კაცს არაფერი აწუხებსო.

ამ დროს კონაკის მოხელე, არისტარხი-ბეჯ, დუქანში შემოვიდა და პეტრეს ხელი შეუშალა.—არისტარხა-ბეჯ ერთი იმ მოხელეთაგანი იყო, რომელნიც მზვერავის თანამდებობას ასრულებენ; მზვერაობა საქებური ხელობა არ არის, მაგრამ იმისთანა სახელმწიფოსათვის, როგორიც ოსმალეთია, უიმისობა არ შეიძლება. იმის ნახვაზე ნიკოლამ ბრაზით ტუჩები მოკუმა, პეტრემ კი ალერსიანად გაუღიმა, გვერდთ მოისვა, შესთავაზა ყავა და ყალიონი და ბაასი გააბა,—როგორა ფიქრობთ, რა ბაასი? სარევოლიუციო კომიტეტი რა ყოფაშიაო?

— იმის წევრებს იცნობ?—ჰკითხა არისტარხი-ბეჯმ.

— დიაღ, ვიცნობ, ბუქარესტში გავიცან,—უპასუხა პეტრემ ცივად, თითქო ამ კომიტეტის ბედი და ილბალი მისთვის საინტერესო არ ყოფილიყო.

— უეჭველია, გთხოვდნენ, ჩვენს წევრად ჩაეწერევიო?

— მაშ! როგორ არ უნდა ეთხოვნათ, რა კი იცოდნენ, რა სახელი გაუთქვეს ჩემმა ძმებმა ჩემს ოჯახს. მაგრამ მათის ხელიდან თავი გამოვისყიდე.

— რამდენი გამოგართვეს?

— ხუთი დუკატი.

— ჰმ... ცოტაა, მე კი მეტი გამომართვეს. ხარაჯას დიდხან ვიხდიდი და ისინი კი ვერას მიმიხვდნენ: ერთბაშად თვა-

ლი აეხილათ! ერთხელ ჩემი წერილი ჩაუვარდათ ხელში; და ჩვენი მეგობრობაც ამით გათავდა. ეს ბრიყვი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, უეჭველად მათის კომიტეტის წევრი გავხდებოდი.

— ღირდეს მაინცა?—გულ-გრილადა სთქვა პეტრემ.

— სტამბოლში კი ეს საქმე ხუმრობა არა ჰგონიათ.

— შეიძლება, საჭიროდ მიაჩნდეთ, სხვები დააჯერონ, ეს სისულელე ღირსია იმისი, რომ კაცმა ხუმრობად არ მიიჩნიოსო.

— რა თქმა უნდა,—უპასუხა ბერძენმა:—პოლიტიკაში ასეთს ხერხსაცა ხმარობენ, ხანდისხან რწყილს აქლემს აშობინებენ ხოლმე... მათის გაზეთის უკანასკნელი ნომერი წაიკითხე?

— სად უნდა მეშოვნა?—უპასუხა პეტრემ მხრების შეშმუშვნით.

— გინდა, მე გიჩვენო,—და ამის თქმაზე არისტარხი-ბეჟმ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო. პეტრემ გამოართვა, გასინჯა... ამ ნომრის გაზეთებით სავსე ყუთი სულ ეხლახან შეათრიეს ხვრელში, მაგრამ პეტრეს გონება ერთს წუთსაც არ დაჰკარგავია და თავისს ხასიათს არ უმტყუნა.

— არ გინდა წაიკითხო?—ჰკითხა ბერძენმა.

— სიამოვნებით წავიკითხავდი.—გადასინჯა ნომერი, და, როცა არისტარხი-ბეჟს უკანვე უბრუნებდა, უთხრა:—მიკვირს, ღმერთმანი, რითი ვერ მობეზრდათ ერთსა და იმავეს წერა! აბა, თუ ერთი ახალი რამა სთქვან! უეჭველად უნდა გადაღეჭონ ის, რასაც ფრანგულსა და გერმანულს გაზეთებში სწერენ, სხვა რამის შნო მათთვის ღმერთს არ მიუცია. ჰგონიათ, რასმე ვსწერთო და ის კი არა, პირდაპირ გადმოსწერავენ ხოლმე სხვა გაზეთებიდან. ამას კონაკში გიგზავნიან?—ჰკითხა პეტრემ.

ბერძენი, ცოტა არ იყოს, აირივა.

— მართალია, კონაკშიაც გვიგზავნიან,—სთქვა არისტარხი-ბეჟმ,—მაგრამ ეს ნომერი კონაკიდან არ წამომიღია.

— შენ თვითონ მოგდის?

— არა, და ძალიან კი მინდა პირდაპირ მე მომდიოდეს.

— რედაქციასა სთხოვევი.

— არა, მათთან საქმის დაჭერა არ მინდა.

პეტრეც მიხვდა და იქავე მდგომი ნიკოლაცა, რის თქმაც სურდა არისტახი-ბეჟს,—იმედი ჰქონდა, იქნება პეტრეს წამოსცდეს რამეო, მაგრამ ფილოსოფიის დოკტორს ყური მახვილი ჰქონდა და, ისიც, მართალია, ბერძენს მეტად ალერსიანად ეპყრობოდა, მაინც ხაფანგში თავი არ გააბმევინა. პეტრემ სიტყვა ბანზე აუგდო. ყველაფერი რიგზე უნდა დავაწყოვო, ათასი თავში-საცემი და სადავიდარაბო საქმე გამომიჩნდაო და სხ. მისის ნათქვამიდან მაყურებელს ეგონებოდა—მარტო საქმის კაცი არ უნდა იყვეს ეს ადამიანიო. ნიკოლა დიდის სიამოვნებით უყურებდა თვისის პატრონის თავდაჭერილობას, და მისის მაგალითით წაქეზებულმა, თვითონაც დაიმშვიდა გული: ვინც პილპილს მოითხოვდა—პილპილს აძლევდა, და შაქრის მუშტარს კიდევ—შაქარსა. აზრები ცოტ-ცოტად დაულაგდა და საღამოზე კი აღელვება სრულებით არ ეტყობოდა. საღამო ხანს პეტრე დუქნიდან გავიდა, და მზის ჩასვლისას, ნიკოლამაც მიჰხურა დარაბები, დაჰკეტა კარები, შეაგროვა ფული და სახლში სავახშმოდ გასწია. ვახშამს მოკრა, ანკა, პეტრე, სხვა შინაურები და ნიკოლა ერთადა სჭამდნენ. ნავახშმევს ყველანი ოსმალურად მოსვენებას მიეცემოდნენ ხოლმე. ამ დასვენებას **რაჭათს** უწოდებენ. ამ დროს მამაკაცნი ყალიონსა სწევენ, არაყსა სვამენ, სხედან ოსმალურად და სთვლემავენ, ქალები კი სამასლაათოდ მიდიან. მამაკაცთაგანი აქ მხოლოდ პეტრე და ნიკოლა იყვნენ; ყალიონის მაგივრად პაპიროსებს ეწევოდნენ. არაყს არა სვამდნენ. მათთანა, ჩვეულებრივ, მოკრაცა რჩებოდა. საღამოს რაჰათების დროს სამივენი, აბა რა თქმა უნდა, იმასა ლაპარაკობდნენ ხოლმე, რაც უფრო ეინტერესებოდათ. იმ დღეს პირველად ლაპარაკი პეტრემ დაიწყო.

— იცი, დედილო, კომიტეტის განკარგულება მოვიდა,— „მოციქულები“ უნდა განვამზადოთო.

— რა მოციქულები?—ჰკითხა დედამ.

პეტრემ ყველაფერი აუხსნა.

— ეს იმასა ჰგავს, რასაც **ბაჩა-ეარო** სთავობდა, განა?

— ვინ ბაჩო-კირო?—ჰკითხა პეტრემ თავის მხრივ.

— ვანა არ გაგიგონია, ვინც იყო?

— არა.

— ბაჩო-კირო ყველგან დადის, გლეხურად ჩაცმული, და ბოლგარიის ამბებს უამბობს ხოლმე ხალხსა.

ბაჩო-კირო (ნამდვილი სახელია) პირველად მასწავლებელი იყო, მაგრამ სამშობლოს მსახურების სურვილმა ძალზე გაიტაცა და მასწავლებლობას თავი დაანება, ეჭირა პირში ყალიონი, ეკიდა ზურგზე გუდა, ეცვა გლეხურად და დადიოდა სოფლიდან სოფლამდე, ქალაქიდან ქალაქამდე და ხალხს ბოლგარეთის განთავისუფლებას უქადაგებდა. შემოიარა მთელი ბოლგარეთი, რუმელია, ფრაკია, მაკედონია; ბელგრადშიაც იყო და მინისტრების კაბინეთის თავ-მჯდომარე ინახულა; ბუქარესტში სარეოლიუციო კომიტეტთან საქმე დაიჭირა; ცარეგრადში სლავეიკოს ესტუმრა. გუდაში თავისი არხივი ჰქონდა; შიგ ინახავდა საკუთარის ხელით ნაწერებს, უმეტესი მათგანი მის მიერ შეთხუზული ლექსები იყო, ბოლგარულად და ოსმალურად დაწერილი. ამ ლექსებში ის აზრი ჰქონდა გამოთქმული, რომ ჭეშმარიტმა ბოლგარელმა თავისის სამშობლოსათვის სისხლი უნდა დაღვაროსო:

„ღმერთო, შემასწარ იმ დღესა,
„ბოლგარიასთვის ჩემს სისხლსა ვღვრიდე!

კარგი პოეტური ნიჭი არა ჰქონდა, მაგრამ მეტად თავისებურის თვისების კაცი იყო. მხოლოდ ერთს რასმე ნატრობდა: აღორძინდეს ბოლგარეთის დამოუკიდებლობაო. მთელი მისი არსება და ცხოვრებაც ამ ნატვრის განხორციელება იყო. აი სწორედ ამ კაცის ამბავს მოუყვა მოკრა შვილსა და ნიკოლას. კაცი იმასავით უნდა მოიქცეს,—სთქვა ნიკოლამ,—გლეხური ტანისამოსი გადიცვას და ღმერთი ახსენოს.

პეტრე და მოკრა დაეთანხმნენ. ცოტა ხანი კიდევ ილაპარაკეს და მერე წავიდ-წამოვიდნენ. სანამ წავიდოდა, პეტრემ ნიკოლას ახარა, სახარება ვიშოვეთო.

მეორე დღეს მზის შუქმა აღმოსავლეთით დუნაის მდინარის წყალი ოქროსავით დაჰფერა თუ არა, ქრისტეანების სასაფლაოზე შვიდი კაცი გამოჩნდა. შეთქმულებს სრულებით არა ჰგვანდნენ. ბოლგარელები საშუალ საუკუნოების სიმბოლისტიკას და ფორმალისტიკას გაურბოდნენ. არა ხმარობდნენ არც ტოლებსა და არცა-რა სხვა განსაკუთრებულ ნიშნებსა; არ იმოსებოდნენ ხოლმე მისტიციზმითა, რომელიც შემდეგ და შემდეგ რომანტიზმად გადაიქცა, თუმცა იმათაც კი არ შეეძლოთ ყოველთვის აეხსნათ, რა იყო მიზეზი მათის წარმატებისა. დარწმუნებულნი იყვნენ, ჩვენი დაწყებული საქმე მართალი საქმეაო, იმედი ჰქონდათ, სიმართლე დღეს იქნება, თუ ხვალ ფონს გავაო, და ალალბედზე მიდიოდნენ წინ. რიჟრაჟზე სასაფლაოზე შვიდი კაცი მივიდა; ეს ის ახალგაზდები იყვნენ, რომელთაც წუხელის ჰქონდათ მოლაპარაკება სტოიანის ოთახში. შვიდნივე დრაგანის ახლად-გაჭრილ საფლავს ახლო დადგნენ. საფლავს ქვა ედო და როცა სტანკო წარწერას დაამზადებდა, მაშინ უნდა ამოეჭრათ. სტანკოს უნდოდა, ახალგაზდა კაცის მოსაგონებლად ქვაზე ლექსი დაეწერნა, მაგრამ ლექსის შეეხზვა როგორღაც არ ეხერხებოდა. ბაჩო-კირო რომ ყოფილიყო, შეიძლება, ასე არ გასჭირებოდა საქმე; სტანკომ კი თუმცა ბევრი იმტვრია თავი, მაინც ვერას გახდა, და ქვა უწარწეროდ დარჩა. აი ამ ქვაზე პეტრემ სახარება და ჯვარი დაასვენა. ფიცის დასადებლად ხუთი კაცი მოემზადა, ყველანი გამწკვრივდნენ, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს, პეტრემ ფიცის სიტყვები გარკვევით უკანანახა და ამათაც მზის წინაშე ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცეს. ამ მარტივს წესს ფიცისას სადღესასწაულო ხასიათიც არ აკლდა. როცა ფიცის ფურცლის წაკითხვა გათავდა, ყველამ პირჯვარი გადისახეს და რიგით მიდიოდნენ ჯვრისა და სახარების სამთხვევლად; როცა უკანვე ბრუნდებოდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ—ჩვენში რაღაც ცვლილება მოხდაო.

ყველა მოჰხიბლა ამ წუთმა, ვერავინა ჰბედავდა სიჩუმე დაერღვია. ვინ იცის, ხმა-ამოუღებლად რამდენს ხანს იდგებო-

დნენ, რო სასაფლაოზე მოკრა არ გამოჩენილიყო. საფლავს აჩქარებით მიუახლოვდა და ახალგაზდა კაცებს განცვიფრებით შეჰხედა.

— აქ რას აკეთებთ?

— ფიცი დასდეს,— უპასუხა პეტრემ და გაფიცულებზე ანიშნა.

— კარგი... ვიცი, რისთვისაც უნდა გაფიცულიყავით... ღმერთმა გაკურთხოსთ.

— დედი, შენ რიღასთვის მოსულხარ?— ჰკითხა შვილმა.

— ყოველ დილით მოვდივარ.— მოხუცმა ამოიოხრა, შეხე- და საფლავის ქვას და ზედ დასვენებული ჯვარი და სახარება დაინახა. მივიდა, პირჯვარი გადიწერა, ემთხვია ჯვარსა, სახარებასა, გასწორდა, გულზე ხელები დაიკრიბა და სთქვა:

— აქ შვილს ველაპარაკები. მომიკლეს ერთი შვილი, მო- მიკლეს მეორეცა... შვილო ჩემო, აუწყე ღმერთსა ლოცვა ჩემი. ღმერთს ბოლგარეთს ვაველრებ, რომლის გულისათვის ორივემ თქვენი ახალგაზდა სისხლი დანსთხიეთ. ღმერთო, ნუ დაივიწყებ ამ მსხვერპლს! შვილებო... ჩემო ნუგეშნო!

ხმა უკანკალებდა, მაგრამ არ იტირა კი. იმიტომ გაჩუმდა, რომ მღელვარება გულშივე ჩაეკლა. შემდეგ ახალგაზდა კა- ცებს მიუბრუნდა:

— ძალიან კარგი გიქმნიათ, რომ ფიცი დრაგანის საფ- ლავზე მიგიღიათ... თქვენს ფიცს ღმერთს შეატყობინებს, და ღმერთიც დაუსჯელად არ დაგტოვებსთ, თუ დადებული ფიცი დაივიწყეთ. ახლა კი მშვიდობით; მარტო მინდა დავრჩე.

ყმაწვილები დედაბერთან მიდიოდნენ, ხელზე ჰკოცნიდნენ და შორდებოდნენ; მოკრამ ყველანი სათითაოდ დაჰლოცა.

მზის ალმაცერი სხივები ფოთლებზე ჩამოკიდებულ ცვარს ოქროს ფერად აბრჭყვიალებდა და ამ გულის ჩამწვდენს სუ- რათსაც ნათლად ჰმოსავდა. წვეთები ალმასებსავით ციმციმებ- და. ქორფა ბალახი მიდამოს მშვენიერ სურნელებასა ჰფენდა. სასაფლაოს ტოროლა დასტრიალებდა, ხოლო დუნაის და ნუ- ნაის გალმა მხარეს ბაბბის ქულა ნისლი გადაჰფენია. სულ უკა-

ნასკნელად პეტრე მივიდა დედასთან. დედამ შვილის თავს ორივე ხელები მოჰხვია და ჩუმისა და აღელვებულის ხმით ჩურჩული დაუწყო:

— ეს თავი შენია... შვილო... ჩემო კარგო... ღმერთი არც ისე გამწირავს... შეიბრალებს საწყალ ობოლს... მაგრამ, დეე, ასრულდეს წმიდა ნება მისი. შვილო, ჩემო ნუგეშო, ფრთხილად იყავ...—დედამ ჯვარი გადასწერა, და შვილიც მოშორდა.

მეორე დღეს, ნიკოლა, გლეხურად ჩაცმული, შუმლის გზას დაადგა. წასვლას არავინ უშლიდა, არავინ ეუბნებოდა—ნუ მიხვალო. სტოიანის საქმე კი სულ სხვა იყო. როგორც ჰაჯი-ქრისტოსთან მოსამსახურეს, იმდენი თავისუფლება არა ჰქონდა. ბუქარესტში წასვლა როცა უნდოდა, მაშინ შეეძლო, რადგან წასვლა-მოსვლას დიდი დრო არ უნდებოდა, გარდა ამისა, რისამე მომიზეზება ყოველთვის შეეძლო, ამიტომ რომ დიდი ვაჭრობა ჰქონდათ. ჰაჯი-ქრისტო აფრთხილებდა, ჭკუით იყავიო, მაგრამ მისის მოქმედების განხილვაში არ შედიოდა. ახლა კი, როცა სტოიანმა უთხრა, დიდის ხნით მინდა წასვლა, ბუქარესტში კი არა და არც სავაჭრო საქმისთვისაო, ჰაჯი-ქრისტომ საჭიროდა ჩცნო, მოჰლაპარაკებოდა.

—ნუ სულელობ!—დაიწყო ჰაჯი-ქრისტომ,—სხვასავით შენც ერთი თავი გაბია.

— ეგ მეც კარგად ვიცი,—უპასუხა სტოიანმა.

— რო დაიღუპო?

— რა ვქმნათ, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ... ერთხელ დავბადებულვართ, ერთხელვე მოვკვდებით.

— მართალია,—უპასუხა ჰაჯი-ქრისტომ და, ცოტა ფიქრის შემდეგ, დაუმატა:—იცოდე, რო ჩემს სიკვდილს შემდეგ ესნაფი დამრჩება და ესნაფთან ილენკაცა... გესმის?

სტოიანმა თვალი-თვალში გაუყარა.

— ჰა, აღარ იშლი? მაინც მიდიხარ?—ჰკითხა ჰაჯი-ქრისტომ.

— მივდიეარ, მაგრამ ისევე დავბრუნდები.

— დაბრუნდი, თორემ შენი ბრალი იქნება, თუ შენი ადგილი სხვამ დაიჭირა. პეტრე ჭკვიანი კაცია, თავისი საქმე ესმის და ანგარიშიც იცის.

ამ გაფრთხილებას სტოიანის შეკავება ვერ შეეძლო და ვერც შეაკავა. იმის წასვლის დღეს ილენკამ ანკა შუადღისას ინახულა. პირველადვე ნიკოლას ამბავი ჰკითხა.

— სად წავიდა?

— არ ვიცი, საღლაც გაემგზავრა.

— დაბრუნდება?

— არ ვიცი, შეიძლება, დაბრუნდეს.

რამდენმამე თვემ გაიარა მას აქეთ, რაც რუშჩუკში სტოიანი და ნიკოლა აღარა სჩანდნენ. პოლიტიკურსა თუ საზოგადო საქმეებს, რომლებზედაც ჩვენ ბაასი გვაქვს გამართული, თითქოს წინანდელი ფერი არ უცვლიაო და ეს საქმეები დაახლოვებით იმ ყოფაშივე იყო, რა ყოფაშიაც იყო, მაგალითად, დუნაი, რომელიც ერთავად მიდუდუნებს და მიდუდუნებს, თავისთვის. მისს ერთ-ფეროვან ზედაპირს ლაპლაპი გააქვს, ცა შიგ ინატება, მაგრამ, ვინ იცის, ფსკერზე რა ხდება? ეგების იქ სულ სხვა-და-სხვა მიმდინარეობა შეინიშნება? ან ეგების, მთელი კალაპოტი ქვიშით ივსება?

ახლა მოკრამ ოჯახს მიჰყო ხელი, პეტრე ვაჭრობაში გაერთო, ჰაჯი ქრისტოც წინანდებურად ცხოვრობდა, და მხოლოდ ის, ვინც რამე ცვლილების პოვნის ტრფიალია, შეამჩნევდა, რომ ილენკა ჩვეულებრივზე მეტად დაფიქრებული იყო ხოლმე. გასათხოვარი ქალი თუ დაფიქრებულია, ვერც ვერავინ გაამტყუნებს,—საფიქრელი, განა ცოტა რამა აქვს? ყველა ქალის მომავალი ბედი ამიცანაა, და ამიცანის გამოცნობა სულითა და გულით უნდა. ამიტომ საქმე ის კი არ არის, რომ ილენკა დაფიქრებული იყო, არამედ ის, რომ ჩვეულებრივზე ხშირად წაიღებდა ხოლმე ფიქრი. ქალის ამ ცვლილებას ყურა-

დღებას არავინ აქცევდა: არც მამა, არც დედა, არც ველკა,— მისი გამზდელი. ფიქრიანობის მიზეზს ილენკა არავის ეუბნებოდა და მხოლოდ (აი ამ „მხოლოდს“ შეეძლო ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა ის, ვისაც ამ კითხვის პასუხის გაგება სწადდა) როცა ანკას შეხვდებოდა ან თვისის დედ-მამის სახლში, ან სხვაგან სადმე, ცდილობდა, ლაპარაკი უეჭველად ნიკოლაზედ ჩამოეგდო და ამ შემთხვევაში ოსტატურადაც ეჭირა თავი. მაგალითად, ერთხელ უთხრა:

— მამამ სტოიანი დაითხოვა, როგორც პეტრემ ნიკოლა.

— მერე-და პეტრემ ნიკოლა როდის დაითხოვა?—გაიკვირვა ანკამ.

— ნიკოლა დუქანში საქონელს იპარავდაო.

— რასა როტავ!—შეუყვირა ანკამ ბრაზ-მორევით.

— რა ვქმნა, მე კი ასე მითხრეს-და!

— სტყუის, ვინც ეგ გითხრა! დედა-ჩემი შვილივით ენდობოდა და იმასაც ერთის გროშის საღირალი რამ, რასაც ჩვენ, სახელი ედო, თავისთვის არ მიუკუთვნებია. ძალიან მიუქარავთ. არა... არა... ნიკოლასთანა ჩინებული ყმაწვილი ჩემს დღეში არ მინახავს.

— ჩინებულია?—ჰკითხა ილენკამა.

— ჰო, ჩინებულია, ძალზე კარგი რამაა... შაქარსა ჰგავს...

— შაქარივით ტკბილია?

— ტკბილია მაშ! და ცეცხლივით ცხარიც.

— რა მაგრე აქებ,—იჭვნეულად შენიშნა ილენკამა.

— სრულებითაც არ ვაქებ, მხოლოდ იმას ვამბობ, რაც მართალია. მე გინდ ვაქო, გინდ ვაძაგო, მისთვის სულ ერთია.

ორ-ორ ძმის უბედურებამ ანკა ძალიან შეაწუხა და გადასწყვიტა, მონაზნად შემდგარიყო, ამიტომ ყოველსავე მისს ნათქვამს ნიკოლას შესახებ ილენკა დიდს მნიშვნელობას აძლევდა. რასაც იტყოდა, ყველაფერს მიუკერძველად ამბობდა. ახალგაზდა კაცისა ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ილენკა ისეთ ნაირად შეუჩნდებოდა, რაც იცოდა, ყველაფერს ათქმევინებდა. იცოდა, რომ ნიკოლას შინაურები ემადლიერებოდნენ პურს ერთად

სჭამდნენ; ხშირად ყმაწვილ კაცისა, ძმისა და დედის მისის ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე, მაგრამ ანკა მათს ბაასში არ ერეოდა. სულ სხვა იყო საგანი მისის ფიქრისა. ერთავად რუმინიის წმ. მაცხოვრის მონასტერზე ჰფიქრობდა და იქ ემზადებოდა წასვლას. წავიდოდა კიდეც, ყოველივე მაზე რო ყოფილიყო დამოკიდებული. დედა და ძმა მისს განზრახულებას ხელს არ უშლიდნენ, ხოლო ურჩევდნენ:

—ნუ ჩქარობ, კარგად ასწონ-დასწონე. ბოლოს არ ინანო.

ანკა მშობლებს დაეთანხმა. სცხოვრობდა სახლში, მაგრამ დღე-მუდამ მარხულებითა და ლოცვით მონოზნურ ცხოვრებისათვის ემზადებოდა. მეზობლები წმინდანს ეძახდნენ; ეპისკოპოსიც მეზობლების აზრისა იყო; ფაშა კი ანკის წადილს მოკრის გავლენას აჩემებდა და მთელი ოჯახი კეთილ საიმედოდ მიაჩნდა, თუმცა ორი მეამბოხეც გამოერია ამ ოჯახსა. არცა სცდებოდა: პეტრემ ვაჭრობას გატაცებით მოჰკიდა ხელი, ანკა ცოცხალი სამარისაკენ შიისწრაფვიდა,—ამისთანებს უკანონო რამის ჩასადენად არა სცხელათ. და ნამდვილად კი. სულ სხვა იყო.

ხუთი ჩვენი ნაცნობი შეთქმულნი ყურმახვილად იყვნენ ხალხს აგონებდნენ—ახალს ცხოვრებაში შევსდგათ ფეხიო; რაც შეიძლებოდა, ბლომად ურიგებდნენ და ყველგან ჰფენდნენ აღკრძალულ წიგნებსა, თუ გაზეთებსა. ახლა ეს წიგნები ხარა მარტო სამკითხველოში მიჰქონდათ, დუქნებსა, ყავახანებსა და კერძო სახლებშიაცა ჩნდებოდნენ, ხელში უვარდებოდათ როგორც ბოლგარელებს, ისე რუმინებს, ბერძნებს, ოსმალებსაცა კი. არისტარხი-ბეჲ ყოველ ღონესა ღონობდა, ამ საქმის ჩამდენი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ამაოდ. „აღკრძალული“ თითქოს ციდან სცვივაო. ზოგიერთთ იჭერდნენ კიდეცა, მაგრამ ვერც ამით გახდნენ-რას, რადგან დაჭერილებს იმდენადვე მიუძღოდათ დანაშაული, რამდენად თვით ფაშას. აკი იმის სახლშიაც მიდიოდა აღკრძალული! ამ ამბავმა მართებლობა ძალიან დააფაცურა, ელჩები საგონებელს მისცა. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით ერთმა კოსმოპოლიტიკურის შინაარსით დაწერილმა პროკლა-

მაციამ დააშინა. ერთმა ელჩთაგანმა, ამისთანა პროკლამაციის მიღებისათანავე, ფიცხლავ ფაშისაკენ გასწია, უჩვენა და ჰკითხა:

— თქვენო აღმატებულებავ, ნახეთ, რა არის?

ფაშამ ბალიშის ქვეშიდან ამისთანავე პროკლამაცია გამოაჩოჩა და ელჩს უჩვენა.

— ნეტავ ვიცოდე, ეს რასა ნიშნავს?—ჰკითხა განათლებულ სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

— რასა და იმას, რო განათლება გვეფინება,—უპასუხა ფაშამ.

— ბერლინში კი არა ხდება ამის მსგავსი-რამ?

ელჩი ცოტათი აირივა, მაგრამ ერთ ხანს დაფიქრდა და უპასუხა:

— რუშჩუკში რო კაცმა ძაფის ბოლოს ხელი მოავლოს, და გაჰყვეს, შეიძლება, გორგალამდე მიატანოს, ბერლინში.

— მგონია, უკეთესი იქმნება—ერთის ალაგას მეორე მოვაქციოთ,—ღიმილით უპასუხა ფაშამ,—ესე იგი, ბერლინში მოვძებნოთ ბოლო იმ ძაფისა, რომლის გორგალი ოსმალეთში შემოჰგორდა?

— ეჰ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრე როგორ იქმნება! საპოლიტიკო ინტერესებს და საზოგადო წესიერების საგნებს ერთმანეთშია ჰრევეთ.

— საზოგადო მშვიდობიანობა ჩვენში საზრუნველი არ იყო, სანამ ევროპის პოლიტიკა ჩვენს საქმეებში არ ერევოდა და თავისთვის განზე იდგა.

— მაშ, სჩანს, არ გინდათ ღონისძიება იღონოთ.

— სრულებითაც არა, მე მხოლოდ ჩემს თავს ნება მივეცი, აღმენიშნა თქვენი როლი, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე საზოგადო წეს-წყობილების შესახებ.

— ეს საქმე თქვენც იმდენადვე შეგეხებათ, როგორც სხვებს.

ფაშამ მხოლოდ მხრები შეიშმუშნა.

— წაიკითხეთ ერთი, თქვენო აღმატებულებავ!—დაიძახა ელჩმა და გაზეთზე ანიშნა.—ემანსიპაცია, ფედერაცია, რესპუბლიკა... ნამდვილი პოლონიური ინტრიგაა.

— ვისიც უნდა იყოს ეს ინტრიგა, ჩემთვის სულ ერთია. ბოლგარელებს, გარწმუნებთ, ამის არა გაეგებათ-რა; ჩვენში მათი ალაგმვა ძალიან ადვილია. საკმაოა, ვინმე ჩამოახრჩონ ან რომელისამე ბოლგარელის თავი ანძზე ჩამოჰკიდონ საჩვენებლად, — წესიერება მყისვე ჩამოვარდება. რუშჩუკშიაც ერთი ოჯახობა არის, მეტად კეთილ-საიმედო, — სულ იმის წყალობით კი, რომ ერთმა მისმა წევრთაგანმა თავი თითით საჩვენებელი გაიხადა. რას იზამ, ხან-და-ხან დროა ხოლმე ისეთი, რომ ამისთანა წარმოდგენის გამართვა საჭიროა.

— დღევანდელი წუთი... — დაიწყო ელჩმა.

— ზედ-გამოჭრილია, — სიტყვა გააწყვეტინა ფაშამ, — რომ ჩვენი ქვეშევრდომნი დავაშინოთ... შესაფერი განკარგულება კიდეც მოვახდინე... ვუბრძანე, ყველგან უეცრივ თავს დაესხნენ მცხოვრებლებსა... ახლა ქალაქებსა, სოფლებსა, მთებსა, ტყესა და მინდვრებში, ერთის სიტყვით, ყველგან, კომიტეტის წევრებს დასაჭერად დასდევენ.

— მინდვრებში რაღა უნდათ?

— არაფერი, — უპასუხა ფაშამ. — საქმე ის არის, ხალხმა იგრძნოს ჩვენი ძალა... ძნელია, ვინმე ხელში ჩაიგდონ, მაგრამ შიშის ზარს დასცემენ მაინც... ხალხიც მიხვდება, რომ შეთქმულებსაც ისე სდევნიან, როგორც ქურდებსა და კაცის მკვლელებს; დასჯა ყოველთვის შეიძლება, მხოლოდ როცა კაცს ხელს ჩაავლებენ, უნდა ეცადონ, გაამტყუნონ და კომიტეტის წევრობა დაუმტკიცონ.

— გასამტყუნებელი საბუთები ხო დაგჭირდებათ?

— საბუთები არ დაგვაკლდება, თუმცა საჭირო არც კია. მაგრამ რათგან ახლა ჩვენ განათლებაში ვდებთ თავს, ამიტომ არისტარხი-ბეკს მივანდევი შეიმუშავოს სამართლისა და გამოძიების წარმოების წესი.... როდესაც საქმის გარჩევა გვექნება, ელჩები უეჭველად ყველა უნდა მოვიწვიო... იმედია, — დაუმატა ფაშამ გესლიანობით, — წარმოდგენა სასურველად ჩაივლის.

— აქტიორები რომ არა გყავთ?

— ჩემმა რეჟისორმა, არისტარხი-ბეჯმ, უკვე რამდენიმე კაცი იპოვა, ხოლო უკვე თავსდასხმა იმათ სახელს გაუკეთებს.

მართლაც და, მთელს ბოლგარეთში, სადაც არ გაიხედავდით, ყველგან რაზმები იდგნენ და ჰდარაჯობდნენ. ერთ ამ რაზმთაგანს სტოიანი კრივენაში წააწყდა. მილიაზიმი, როგორც დავინახეთ, ვერც კი მიხვდა, რომ მის წინ კომიტეტის წევრთაგანი იდგა, გლეხურად ჩაცმული. სტოიანმა ტანისამოსი გამოიცვალა, ღამე მექანეში გაათია და, ინათა თუ არა, მამასთან ერთად ქუჩაში გამოვიდა. კაკლის ქვეშ სულთნის მეომრებს ეძინათ, დარაჯიც კი არა ფხიზლობდა. ამომავალმა მზემაც ყური ვერ გაბერტყინა ვერც იმასა ღ ვერც მისს ამხანაგებს. ერთი მარჯვენა გვერდზე იწვა, მეორე მარცხენაზე, მესამე პირქვე დამხობილა,—ყველას ეძინათ, მილიაზიმი პირალმა იწვა და ზევით აშვერილ ცხვირით სხვადა-სხვა ნაირად ხვრინავდა, ხან ისე, თითქო სწუხს და ჰკვნესისო, ხან თითქოს ლხინშიაო, ხანაც ისე უსტვენდა,—ყურები ხელით უნდა დაგეცვათ.

— ესენიც იტყვიან, ადამიანები ვართო?—სთქვა სტოიანმა, როცა შორიდან დახედა ამ სურათს.

— ძილში ჩვენც აგეთები ვართ.—უთხრა პეტრომ.

— საქმე ის კი არ არის, როგორა წვანან.

— მა რა?—ჰკითხა მექანჯიმ.

— ჩვენ, ვთქვათ, ნადირები ვართ, და ხონთქარი ჩვენზედ ნადირობს... ესენი კი?

— ძაღლები იქმნებიან, სხვა რა!

— ახ, რა რიგ მექავება ხელი: სად არი კაცი, მათისავე ხიშტებით ფერდები ჩაუმტვრიოს!...

— მერე შენ რა შეგემატებოდა?

— ისა, რომ ქვეყანაზე ოსმალები შვიდით ნაკლები იქმნებოდნენ.

— სხვაგან ბატონი ხარ, ჩემს სახლში კი ნუ იზამ.

— არა, და არ ვიზამ. მაგრამ მეც ხომ იმისთვის არ მითქვამს. ისე, თავისთავად წამომცდა. ცოდონი არიან, ძილს არ

დავუფრთხობ. მე კი რუშჩუკში გასვლას რომ მოვახერხებდე, ძალიან კარგი იქმნება, აი.

პეტომ თავი გააქნია:

— თუ აქ ჰდარაჯობენ, რუშჩუკის ბჭენიც უდარაჯოდ არ იქმნება. ვინ იცის, ეგებ, იქაც ისე ყარაულობენ, როგორც აქ. პეტომ უარის ნიშნად თავი გაიქნია და მერე უთხრა:—რამდენსამე საათს უკან აქ თათოარი (ფოსტალიონი) მოვა და იმას გაჰყვები. მანამდე კი ისეთს ადგილას წადი, რომ მილიაზიმმა თვალით არ დაგინახოს.

— სოფელში წავალ.

— წადი.

— გროუდანი შინაა?—ჰკითხა ახალგაზდა კაცმა.

— სახლშია. იცი, ჯვარი დაიწერა.

— გავიგე, ბალკანა შეურთავს.

— ჰო, და აი მისი სახლიც,—დაუმატა მოხუცმა და სოფლის ბოლოში ქოხი ანიშნა.

— იქ ხო წინად სტეფანე სცხოვრობდა,—უთხრა სტოიანმა.

— სცხოვრობდა, მაგრამ მერე გროუდანს მიჰყიდა ქოხი, თვითონ კი აიყარა და მდინარე ბელოის გაღმა დაესახლა.

ამ დროს კაკლის ქვეშიდან რაღაც ბურტყუნი მოისმა: მილიაზიმმა დუდღუნი დაიწყო და ძილში ბუზებს იგერებდა. მზე შიგ თვალში ჩასცქეროდა, მაგრამ ეს ბუზებსავით არ აწუხებდა. ბუზები შეუსვენებლივ დასეირნობდნენ მილიაზიმის სახეზე, განსაკუთრებით მისის ცხვირის მიდამოს ეტანებოდნენ; ძილში ტყუილად იგერებდა ფშვინვითა, ძარღვები რეფლეკტიურად ამაოდ შეუთამაშდებოდა-ხოლმე; ბუზები აფრინდებოდნენ და ისევ იმ ალაგს დაასხდებოდნენ; ბოლოს მილიაზიმმა წაიბურტყუნა და თავიც დაიქნევა,—ბუზები მოსცილდნენ. აი ამ ბურტყუნმა მიიპყრო მოლაპარაკეთა ყურადღება.

— იღვიძებს,—სთქვა სტოიანმა.

— ჯერ არა, მაგრამ ჩქარა კი გაიღვიძებს. ეს წყეული ბუზები ჯერ დააძინებენ. აბა მშვიდობით, გაეშურე.

სტოიანმა მოუხვია, და დანიშნულ ქოხთან აუჩქარებლივ ახალგაზდა ცოლქმარი კარში გამოეგებნენ. ქმარი ასე ოც და ათის წლისა იქნებოდა, ცოლი—ოც და ხუთისა. სწორედ ერთმანეთისათვის იყვნენ გაჩენილნი: ორივენი ლამაზები იყვნენ, განსაკუთრებით ცოლი სოფლის სილამაზის ნამდვილი ტიპი იყო. მისი წარმოსადეგი, ნორჩი, ჯანით სავსე სახე ყველას მოსწონდა. სტოიანი კარგ ნაცნობსავით მიესალმა.

— კარგს რას იტყვი?

— ბევრს ვერაფერს, ვსცხოვრობთ რაღა, წინანდებურად! —უპასუხა გროჟდანმა.

— არც ისე წინანდებურად.—წინედ კრივენაში ნიზამებს რა უნდოდა!

— ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი!—ჩაერია დიასახლისი,—დღეს ჩვენ უნდა მოვუხარშოთ საქმელი.

— ხო გინდათ, ამისთანა დაუპატიჟებელი სტუმრები თავიდან მოგაშორონ?

— ნეტავი არ იქმნება, მათის მშვიდობით, მოგვცილდებოდნენ.

— კარგი იქმნება, მოგცილდნენ, არა თუ?—ჰკითხა სტოიანმა.

— იმათმა მზემ, ძაძას ჩავიცვამ, აი!

— ბოლგარიიდან რომ აიყრებოდნენ?

— ბოლგარიიდან?—განიმეორა დიასახლისმა, ვერ გაიგოკი, რა აზრით ახსენეს ეს სახელი.

— მთლად ჩვენის სამშობლოდან,—დაუმატა სტოიანმა, და აუხსნა, თუ ბოლგარეთი რაღასა ჰქვიანო. დაასახელა სამზღვრები, მთები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები; უთხრა, ერთმანეთზე როგორ შორი-შორს არიან, მოუყვა თვით აქაურ ხალხის ამბავს. ახალგაზდა დედაკაცი ყველაფერს ყურს უგდებდა და დრო-გამოშვებით ჰკვირვობდა:

— ააა... ააა...

— ახლა ხო გაიგეთ,—განაგრძო სტოიანმა:—ხალხი ერთს პირს რომ შეკრავდეს, ოსმალების გარეკა ადვილია.—ყოვე-

ლივე ესე სტოიანის პროპაგანდის პროგრამაში მოხსენებული იყო. თვის „მოციქულობის“ დროს აი ამას უქადაგებდა ხალხს და ისეთნაირადაც გამოიცადა, რომ მასპინძლებს არამც თუ ოსმალოების განდევნის საჭიროება ჩააგონა, ისიც დააჯერა—ეს ადვილი ასასრულებელიაო.—საჭიროა მხოლოდ, მოვინდომოთო,—დაუმატებდა ხოლმე სტოიანი,—თუ ერთის გულითა და ერთის სულით მოვინდომებთ და ერთმანეთს მხარს მივსცემთ, ყველაფერს შევსძლებთ,—და ეს ლექსიც ზეპირადა სთქვა:

მდაბალ სალამს ხარს არ მივსცემთ,
საძაგელს კი ტუკს დავუშენთ.

სტოიანის ლაპარაკმა გროუდანი და ბალკანა ძალიან გაიტაცა; ორივე სმენად იყვნენ ქცეულნი. ამასობაში დრო გადიოდა. ერთბაშად დიასახლისს მოაგონდა, სალდათების პურისჭმევა ჩვენი ჯერიაო.

— ვაიმე! კინალამ საჭმლის გაკეთებაც დამავიწყდა,—წამოიძახა ქალმა.—ნიზამებისათვის ბატკანი დაჭალი,—უთხრა ქმარს,—მე კი წყალზე წავალ.

— მე კიდევ,—სთქვა სტოიანმა,—ცოტა ხანს თქვენთან დავრჩები; ეს-ეს არის, ნიზამებს გავშორდი და არ მინდა, კვალს მომაგნონ.

— ბუხართან დაჯექ,—უთხრა გროუდანმა.

ქმარი ბატკნის დაკვლას შეუდგა, დიასახლისი წყალის მოსატანად წავიდა. ათი წუთიც არ გასულა, ბალკანა დაბრუნდა და, სახლში ფეხი შემოსდგა თუ არა, სტოიანს უთხრა:—მგონია, ერთი ოსმალო აქ შემოსვლას აპირობს. თუ შემოვიდა, აი, ემანდ დადექი!—და ლატანზე ჩამოკიდული კაბა უჩვენა. კაბასა და კედელს შუა კაცი ადვილად დაიმალებოდა. ის იყო, დიასახლისმა ეს რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, კარზე გროუდანიც გამოჩნდა და სახლში შემოსძახა:—ოსმალო მოდის.

სტოიანი წამოდგა და კაბას უკან მოეფარა. იმისი დამალვა და დაუპატიჟებელ სტუმრის შემოსვლა ერთი იყო. სტუმარი

მილიაზიმი იყო. ხელში ჩიბუხი ეჭირა, ქამარზე რევოლვერი ეკიდა. ერთს წამს ზღურბლზე გაჩერდა, სახლს თვალი მიმოავლო, შევიდა და ბუხრის წინ მოიკალათა, სწორედ იქ, სადაც სტოიანი იჯდა.

— ჰოშ გელდი,—მიესალმა ოსმალო.

— საფოთ გელდი,—უპასუხა გროჟდანმა.

ოსმალომ ჩიბუხი გაიტენა, ცეცხლი მოუკიდა, და, ცოტა ხანს ჩუმად ყოფნის შემდეგ, გროჟდანს უთხრა:—წადი, ქოხის წინ დადექ და უდარაჯე—აქ არავინ შემოვიდეს. თუ, ჯანემ, აქ ვინმე შემოგიშვია,—დაუმატა ალერსიანის ღიმილით,—ხო ხედავ?...—ამის თქმაზე ოსმალომ თითით ქამარზე დაკიდული რევოლვერი ანიშნა.

გროჟდანი მიბრუნდა და კარებისაკენ გაემართა. ბალკანაც უკან გაჰყვა.

— სსს...—დაუძახა მილიაზიმმა ბალკანას.—ჩემო გვრიტიკო, შენ დარჩი! საჭმელი მოგვიხარშე.

— კი, მაგრამ...—დაიწყო კრძალვით დედაკაცმა:—ეფენდიმ...

— რა იყო?

— უნდა წავიდე.

— საჭმელი უნდა მოგიხარშოთ,—ჩემი რიგია.

— აი სწორედ იმისათვის დარჩი... აი აქ... აქ... ბუხართან... ემანდ ჩამოჯექ,—უთხრა და დასაჯდომი ადგილი თითით ანიშნა.

— შენ არხეინად საჭმელი დაამზადე, მე კი გავიხედავ.—მიბრუნდა, გაიხედა:—გროჟდანი წასულიყო. მილიაზიმმა თამბაქოს წევა დაიწყო. ბალკანა ქოხის შუა იდგა და ცალის თვალით კაბას ათვალიერებდა: კაბის უკან დამალულ სტოიანის ბედი ძალიან იშინებდა.

— რას გაჩერებულხარ?—ალერსიანად ჰკითხა მილიაზიმმა,—შენ შენი საქმე გააკეთე, მე კიდევ—ჩემსას გავაკეთებ.

ახალგაზდა დედაკაცმა ამოიოხრა, გაიმაგრა გული და დაიწყო:

— ეფენდიმ, ე ცუდი განზრახვა გულიდან ამოიღე.

— იცი, ჩემო გვრიტიკო, გულში რა განზრახვაცა მაქვს?

— შენ თვითონ იცი, ეფენდიმ.

— მე მინდა, შენც იცოდე, ლამაზო ქალო: თუ გამიძალიანდი, შენი ქმარი ჩემს ტყვიას ცოცხალი ვერ გადაურჩება.

— ღმერთო! — ამოიკვნესა დედაკაცმა.

— ხომ იცი... სანამ არ გაკოცებ, აქედან წამსვლელი არა ვარ. გირჩევნია, ბუხართან დაჯდე და ურჩობა არ გამიწიო. ხო გეყურება!

მილიაზიმის სიტყვები ამტკიცებდა იმ განუდრეკელ სურვილს, რომლის გამოთქმა ოსმალოებმა ასე ტკბილად იციან ხოლმე. ბალკანამ ძალიან კარგად იცოდა, ყოველივე ბრძოლა ამაო იქმნებაო. ის, რისთვისაც მილიაზიმი მოვიდა, ყველას ჩვეულებრივ თხოვნად მიაჩნდა, და ამისთანა შემთხვევებში ერთად-ერთი ხსნა — დროიანად გაქცევა იყო, რადგან ქმრიანი ქალები ყველა ღონისძიებას მოკლებულნი იყვნენ ოსმალოების ძალ-დატანებისაგან თავი ეხსნათ. ბალკანა თავის დროზე არ დამალულა, — მაშასადამე, უნდა დაჰმორჩილებოდა. გარდა ამისა, ოსმალებისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ხალხის ჩვეულებით ქალს ნება არა აქვს, მამა-კაცს ურჩობა გაუწიოს. თუ კი როგორმე ხელში ჩაუვარდა „დაბადებაში“ მოხსენებული დედაკაცი მამა-კაცის ნებას თავის დღეში არ გადადიოდა. მცნება უკრძალავს მამა-კაცს ისურვოს დედაკაცი. აი ეს მიზეზია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები კარჩაკეტილში ჰყავთ ხოლმე დამწყვდეულები. ამ მხრივ ყოველსავე თავგამოდების უნარს მოკლებულნი, ეს არსებანი თვითონ უძლურნი არიან წინ აღუდგნენ მამა-კაცის ბუნებრივს „სურვილსა“, რომლისაგან მათ მხოლოდ ქვითკირის კედლები, კოშკები, ცხრაკლიტულები თუ იხსნის, ტირილ-გოდება კი ვერასა შველისთ, გაუპატირებას ამით თავს ვერ დააღწევენ. აი კიდეც ამიტომ იყო, რო ქმრისგან თავ-შინებებულ ბალკანას აქ არავითარი ღონისძიება არა ჰქონდა წინაღმდეგობა გაეწია მილიაზიმის „სურვილისათვის“. როგორც იქმნებოდა, როგორმე ბედს დაემორ-

ჩილებოდა, მაგრამ სტოიანის იქ ყოფნისა რცხვენოდა. რა ექმნა მაშ, რა წყალში ჩავარდნილიყო? ეთქვა—აქ ჩვენს გარდა სხვაც არისო, ეშინოდა. ბოლოს, რო ვერა მოიგონა-რა, ამოიოხრა და ბუხართან მივიდა. ახალგაზდა დედაკაცი ცეცხლისაკენ რო დაიხარა, ოსმალომ ფეხებზე ხელი გადუსვა და პირი გააწკაპუნა. ბალკანა თავისს საქმეს აკეთებდა და მას ყურადღებას არც კი აქცევდა. მილიაზიმმა კიდევ მოუალერსა და უფრო-და-უფრო შესტოპა... ერთს ხანს დაჯდება, მოსწევს ყალიონს და ლამაზ ქალის ალერსს ისევ შეუდგება. ბოლოს ხელი წელზე მოჰხვია, თავისაკენ მიიზიდა, ყალიონი განზე გადასდო და... ერთბაშად კი ვიღამაც ორივე ხელი დაავლო, და ქალი და ოსმალო მიწაზე გაგორდნენ. ყოველივე ეს ერთ თვალის დახამხამებაში მოხდა. ბალკანა წამოხტა, თვალებზე ხელი მიიფარა და ქოხიდან კარში გაჰვარდა. მილიაზიმი, იატაკზე გაშოტილი, ზეზე წამოსადგომად ეწვალებოდა, სტოიანს კი გულზე მუხლები დაეჭირა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ყელში უჭერდა.

გროჟდანი გულდამშვიდებით ახალ დაკლულ ბატკანს ატყავებდა, სვეტში ჩაჭდეულ ხის ლურსმანზე დაკიდულს. დაინახა, რომ ქალს თვალებზე ხელები მიეფარებინა და ქოხიდან გამოვარდნილი მირბის. მაშინათვე მიაძახა:

— ბალკანა!

— ვაიმე!—წამოიძახა დედაკაცმა და ხელები პირისახიდან მოიშორა.

— რა იყო?—ჰკითხა არწეინად ქმარმა.

— სტოიანი...

— სტოიანი რაო?

— არ ვიცი... ვაიმე!

— რა იყო, ოსმალომ ხომ არ დაინახა?—შეშინებით ჰკითხა გროჟდანმა.

— არა...

— თუ არ უნახავს, მადლობა ღმერთს,—უთხრა დამშვიდებულმა ქმარმა.

— სტოიანმა ოსმალო დაინახა.

— არც გასაკვირია... ის ხო კაბის უკან იდგა. რა უნდა გექმნა? ხო ვერ გამოიყვანდი-და.

— თვითონ გამოვიდა.

— როგორ თუ თვითონ გამოვიდა?—ჰკითხა გულისხერ-ქებით გლეხმა.

— როცა ოსმალო მომეხვია, გამოხტა...

— და ოსმალოს ხელი შეუშალა, განა!—დაიყვირა გლეხმა და ბატკანს ხელი გაუშვა.

— შეუშალა.

— ვაი ჩვენი ბრალი!.. დავიღუპეთ, ეგ არი. მერე?

— არ ვიცი, მე აქედ გამოვიქეცი, ისინი კი მანდ...—ქალმა კარი ანიშნა.

— მანდა!—გაიმეორა გრაჟდანმა და ქოხისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა.—მანდ ჩამი-ჩუმი არ ისმის...—კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ცოლს შეხედა, რომელიც გაქვავებული იდგა სვეტთან. სახეზე გაოცება და შიში ეხატებოდა.—რა ამბავია, რო ხმა არა ისმის-რა?..—ჰკვირვობდა გროჟდანი.

სიჩუმის მიზეზი ის გახლდათ, რომ, სანამ ცოლ-ქმარი ლაპარაკში იყვნენ, სტოიანმა ოსმალო დაახრჩო. მილიაზიმი გველივით ამოდ იკლაკნებოდა სტოიანის მუხლებს ქვეშ. სტოიანი ხმას არ იღებდა, გააფთრებული ყელში უჭერდა და ხელები მხოლოდ მაშინ მოაშორა, როცა მისმა მსხვერპლმა მოძრაობა შესწყვიტა.

— აჰა!....—დაიძახა სტოიანმა, როცა მკვდარს ზედ წამოადგა:—გუშინ დათვსავით შენს წინაშე მათამაშე,—ეს არ იკმარე და დღეს კიდენ ჩვენის ქალის გაუპატიურება მოინდომე... ახ, შე... ძაღლის გაეარდნილო, შენა!

გროჟდანმა ამ სიტყვებს ყური მოჰკრა და ისე ეგონა, ქოხში ლაპარაკობენო. ცოტა არ იყოს, გულს მოეშვა და კარებთან ისე მიიპარა, თითქოს ჩუმად ყურის დაგდება უნდაო. კარი ღია დახვდა. ცალის მხრით კარის ამყოლს აეკრო და

სახლში შეიხედა: დაინახა, რომ მილიაზიმი გაშხლართულია, სტოიანი კი თავს წამოსდგომია. გროჟდანს გაუკვირდა! მერე ცოლს შეხედა, რომელიც ისევ წინანდელ ყოფაშივე იყო, და მხრები შაიშმუშნა. თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა. სტოიანმა დაუძახა:

— გროჟდან, ხედავ?

— გლეხს არა ეყურებოდა-რა; კარებთან იდგა, მაგრამ ფეხების გადაბიჯებას ვერა ჰბედავდა.

— ოსმალო დავახრჩვე.

— რას ამბობ!..—თავზარდაცემულის ხმით წამოიხრანტალა გლეხმა.

— ჰო, დავახრჩვე... შენი ცოლი არ გავაუპატიურებინე.

გროჟდანი გაშეშდა.

— თუ იცი, როცა მილიაზიმი შენს ქოხში შემოდიოდა, ხომ არავინ დაინახა?

გლეხმა ამაზე არა უპასუხა, რადგან მიხვდა, რომ სტოიანს უნდა პასუხის გება თავიდან აიცილოსო. მხოლოდ ცოლს დაუძახა:

— გესმის, ოსმალო მოუკლავს!

ბალკანამ ტაში შემოჰკრა და უნუგეშო წივილ-კივილით სოფელში გაიქცა.

— დავიღუპეთ!—დაიყვირა გროჟდანმა და ისიც სოფელში გაიჭრა.

სტოიანი ქუჩაში გავარდა და რამდენჯერმე მიაძახა:—დაიცათ, დაიცათ!—მაგრამ არც გროჟდანმა და არც ბალკანამა ყური არ ათხოვეს. მანაც ხელი ჩაიქნივა, გამობრუნდა, ქოხი გარშემო დაათვალიერა, შემდეგ მექანეს შეხედა: ორჭოფობდა: ბოლოს, დაიხურა ქუდი და გზაში გაირბინა. აქ უკან მოიხედა და ჩქარის ნაბიჯით მინდორს დაადგა და მალე სერსაც მოეფარა.

ამასობაში გროჟდანისა და ბალკანას ყვირილმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა. დედაკაცები სახლებიდან გამორბოდნენ და მაშინათვე იმალებოდნენ; მამაკაცები კი გაოცებულ იხედებოდ-

ნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი გაეგოთ. მეხუთესა თუ მეექვსე ქოხთან ბალკანა გაჩერდა, და, როცა ყოველ მხრიდან შემოეხვივნენ, სქვა:

— დავიღუპეთ! სტოიანმა ოსმალო მოჰკლა.

მიირბინა გროჟდანმა და იმანაც განიმეორა:—დავიღუპეთ! სტოიანმა ოსმალო მოჰკლა.

ყველას თავზარი დაეცა. მეზობლებიც მოგროვდნენ; მოვიდა ჩორბაჯიცა (მამასახლისი).

— რა იყო?... რა მოხდა?... როგორ მოხდა?...—ჰკითხულობდა მამასახლისი.

გროჟდანმა უამბო: მოვიდა მილიაზიმი, მიბრძანა, მე კარში გავსულიყავ და თვითონ ჩემ ცოლთან დარჩაო. დამშვიდებით უამბო, თითქო ყველაფერი ასედაც უნდა მომხდარიყოვო. ყოველივე ბრალი მხოლოდ სტოიანს ედებოდა.

— რომელი სტოიანი?—ჰკითხა ვიღამაც.

— მექანჯი პეტოს შვილი.

— სად ყოფილა?

— არ ვიცი... სტუმრად გვეწვია, ბუხართან დაჯდა, და, როცა ოსმალო მოვიდა, კაბის უკან დაიმალა.

ახლა კი ოსმალოს მოკვლის ამბის დამალვა ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩორბაჯიმ თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა. მაგრამ რამე გზას ხომ უნდა დასდგომოდა! გადასწყვიტა, გროჟდანი გაებაწრა და სისტოვოს კონაკში გაეგზავნა; მანამდე კი მექანეში უნდა შესულიყო და სტოიანი დაეჭირა. ჩორბაჯი, რამდენიმე გლეხი და შეკრული გროჟდანი მექანესკენ გაემართნენ. გროჟდანის ქოხს რო დაუპირდაპირდნენ, ჩორბაჯიმ და რამდენმამე გლეხმა შიგ შეიხედეს: იატაკზე მკვდარი მილიაზიმი ესვენა, პირი ღია დარჩენოდა, თვალებიც, ენა გადმოეგდო. გლეხებმა უკან-უკან დაიწიეს. მოშორდნენ ქოხს. მექანეს წინ დარაჯი იდგა, კარებში კიდენ პეტო.

— რა ამბავია?—ჰკითხა პეტომ ჩორბაჯის და გაბაწრული გროჟდანი ანიშნა.

— სტოიანი სადაა?—ჰკითხა თავის მხრივ ჩორბაჯიმ.

— რომელი სტოიანი? თუ ჩემი შვილი სტოიანი გნებავთ, ის აქ არა ყოფილა. არ მინახავს.—პეტო ამ სიტყვებს განგებ ხმამაღლა ამბობდა, სადედაკაცო სამყოფელში გაიგონონო.

— სტოიანი რად გინდოდათ?—კიდევ იკითხა მექანჯიმ.

ჩორბაჯიმ ყველაფერი უთხრა.

— სტოიანი აქ არა ყოფილა; თუ გნებავთ, ამ ნიზამებსა ჰკითხეთ,—ყველანი იმას იტყვიან, რასაც მე მოგახსენებთ: გუშინ დილის აქეთია, აქ არიან. თუ სტოიანი სადმე ახლოახლო იყო, ის არ ვიცი, ჩემთან არ შემოსულა.

ამ ამბების გაგონებამ სალდათები საიმისოდ არ გაკვირვა. ონბაში გროჟდანის სახლში წავიდა, შეამოწმა მოკვლა კაცისა და უკანვე დაბრუნდა. ზოგი სალდათებიც ასევე მოიქცნენ. რადგან ნიზამები პეტოს ჩვენებას დაემოწმნენ, ჩორბაჯი იძულებული შეიქმნა, სისტოვოში მარტო ბრალდებული წაეყვანა.

თ. სახოკია

(შემდეგი იქნება)

ცეცხლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი მეოთხე

IV *)

ელენე საშინელმა ძაღლის ყეფამ გამოაღვიძა. მიიხედ-მოიხედა და ცოტა მოშორებით გამოჩნდა ნიშნები მოსახლობისა: ღობე, ღობეს იქით წერო, რომელიც ჭაზედ იჯდა, დაჩრდილული ხე... ელენემ მაშინვე გააღვიძა თავისი ამხანაგი.

— პან ზაგლობა, გაიღვიძეთ!

შლიახტიჩმა თვალები გააჭყიტა.

— ჰა? რა ამბავია? მოვედით განა?

— არ ვიცი.

— მოითმინეთ. ეს ყაზახთა საზამთრო ზინაა.

— მეც აგრე მგონია.

— აქ, ალბად, ჩოდრები სცხოვრობენ. ვერაფერ სასიამოვნო კამპანიას შევეყარენით. ე ძაღლები რაღას ამტყდარან, ეგ მგლის კერძნი! ღობესთან ვიღაც კაცები დგანან, ცხენები მოსჩანს... მეტი ღონე არ არის, უნდა მივიდეთ, თორემ, სულ ერთია, გამოგვეკიდებიან. თქვენც ჩაგეძინათ, მგონია.

— დიაღ.

— ერთი, ორი, სამი... ოთხი შეკაზმული ცხენია... და ოთხი კაცი ჯანაბას; ბევრნი არ არიან. სწორედ უგრეა, ჩო-

*) «მოამბე», № V.

დრები არიან. რაღაცას ლაპარაკობენ გაცხარებით. ეი, ხალხნო, ვინა ხართ მანდა? აქ მოდით!

ყაზახნი მაშინვე მიუახლოვდნენ. მართლა ჩოდრები იყვნენ და საქონელს ადევნებდნენ თვალ-ყურს მინდვრად. პან ზაგლობამ იმ წამსვე შეჰნიშნა, რომ ერთი მათ შორის შეიარაღებული იყო ხმლითა და თოფით, ხოლო დანარჩენნი—კომბლებით, რომელთაც ცხენების თავი ჰქონდათ ბოლოზედ დამაგრებული.

ოთხივენი კოპებ-შეკრულნი შესცქეროდნენ მგზავრებსა. სახეზედ ეშჩნეოდათ, რომ იმათგან სიკეთე არა გამოვიდოდა-რა.

— ამბავი?—იკითხა ერთმა ქუდ-მოუხდელად.

— მშვიდობა?—უპასუხა პან ზაგლობამ.

— უკუნითი-უკუნისამდე! რა გნებავდათ?

— სიროვატაია შორს არის აქედან?

— სიროვატაისა ჩვენ არა ვიცით-რა.

— ამ საზამთრო ბინას რა ჰქვიან?

— გუსლია.

— წყალი დაგვილევინეთ ცხენებსა.

— წყალი არ არის, დაშრა. საიდან მოდიხართ?

— კრივაია რუდიდან.

— სად მიდიხართ?

— ჩიგირინსა.

ჩოდრებმა ერთმანეთს შეჰხედეს.

ერთმა ტიღასავით შავმა და თვალებ-დაბრეცილმა, რომელიც უფრო ძლიერ ათვალიერებდა პან ზაგლობას, იკითხა:

— მერე გზიდან რად გადაგიხვევიათ?

— ცხელა და იმიტომ.

თვალებ-დაბრეცილმა პან ზაგლობას უნაგირსა სტაცა ხელი.

— ჩამოდი ახლავე ცხენიდან, პან პოლონელო! ჩიგირინს შენ საქმე არა გაქვს.

— ვიფიქრ რატომაო?—გულ-დამშვიდებითა ჰკითხა პან ზაგლობამ.

— ამასა ჰხედავ?—ჰკითხა თვალებ-დაბრეცილმა და ერთ-ერთი ჩოდარი ანიშნა.

— ვხედავ და მერე რაო?

— ჩიგირინიდან არის მოსული. იქ ლიახვებსა ჰყლეტავენ.

— მერე იცი, შე წუწკო, ვინ მოდის ჩვენს უკან ჩიგირინსა?

— ვინა?

— ვინა და თავადი ერიომა!

ჩოდრები იმ წამსვე დამშვიდდნენ. თითქო უბრძანა ვინმემო, მაშინვე ყველამ ქუდები მოიგლიჯეს.

— მერე, იცით, თქვე ტუტუცნო,—განაგრძო კვლავ პან ზაგლობამ,—პოლონელნი როგორ ეპყრობიან ამათ, ვინც პოლონელებსა ჰყლეტავენ? სახრჩობელაზედ ახრჩობენ. იცით, მერე, რომ თავად ერემიას ჯარი მოჰყავს და აქედან სულ სამის ვერსის მანძილზედ-ღაა? რაო, ძაღლებო, ჩაიკმინდეთ ხმა განა? ასრე გაგვიმასპინძლდით მაშა? ჭა დაგიშრათ? წყალი აღარა გაქვთ ცხენებისათვის? ჰაი, თქვე ავაზაკნო! მე თქვენ გაჩვენებთ სეირსა!

— ნუ გვიწყრებით, პანე! ჭა ღრმაა.. თვითონ ჩვენც კაღამლიკს დავდივართ და იქ ვასმევთ წყალს ცხენებსა, ჩვენთვისაც იქიდან მოგვაქვს წყალი.

— ჰა ჰაი, ლირფნო!

— მოგვიტევეთ, პანე; ჭა გაშრა. თუ გვიბრძანებთ, ეხლავე წავალ წყალზედა.

— უთქვენოდაც გავარიგებ ჩემს საქმეს, თვითონ მე წავალ. სად არის აქ კაღამლიკი?—ჰკითხა მრისხანედ პან ზაგლობამ.

— ნახევარ-ვერსი იქნება აქედან,—სთქვა პასუხად თვალებ-დაბრეცილმა და ანიშნა ლელიანი ნაპირი მდინარე წყალისა.

— გზაზედ გავალ მერე, ნაპირ-ნაპირ რომ ვიარო?

— გახვალთ. გზა ზედ ფონზედ ჩადის.

— ბიჭო, გასწი წინა!—უბრძანა პან ზაგლობამ ელენესა.

ტყუილმა ბიჭმა მოატრიალა ცხენი და გაჰქუსლა.

— გამიგონეთ,—მიჰმართა ჩოდრებს პან ზაგლობამ,—თუ ჯარი მოვიდეს აქა, უთხარით ჩემი, რომ ნაპირ-ნაპირ წავიდათქო.

— ბატონი ბრძანდებით, პანე.

პატარა ხანს უკან პან ზაგლობა დაუმხარდამხარდა ელენეს.

— კარგ დროს ვახსენე თავადის სახელი,—სთქვა მან და შეათამაშა მარჯვენა თვალი.—მთელს დღეს ისხდებიან იქა და ჯარს დაუწყებენ ლოდინსა.

— ძალიან დაახწიეთ თავი უხერხულს ყოფასა!—სთქვა ელენემ.—არ ვიცი, როგორ გადვუხადო ღმერთს მადლობა, რომ თქვენისთანა მფარველი მომივლინა.

ხანში შესულ შლიახტიჩს პირს ღიმილი მოუვიდა სიამოვნებისაგან და წვერებზედ ხელი გადაისვა კმაყოფილებით.

— განა? იცოცხლეთ, რომ ზაგლობას გოგრა აქვს. ცბიერია, როგორც ულისსი, და უნდა მოგახსენოთ, კნიაჟნა, თუ არ ეგ ცბიერება, აქამდე ყვავები დამკორტნიდნენ. მეტი რა ჯანი იყო, უნდა გადამერჩინა თავი. მალე დაიჯერეს თავადის მოახლოვების ამბავი, იმიტომ რომ ჭკუას ახლო იყო: დღეს არა, ხვალ გაჩნდება ერემია ამ ქვეყანაში, გაჩნდება ცეცხლის მახვილითა, ვით მთავარ-ანგელოზი. მერე თუ გზაში გასრისა სადმე ბოგუნი, აღთქმას დავდებ, ფეხ-შიშველა მივიდე ჩენსტოხოეოს. ვსთქვათ, ჩოდრებმა ჩვენი სიტყვა არ დაიჯერეს, მაგრამ მაინც მარტო ხსენება თავადის სახელისა საკმაო იყო, რომ ველარა გაებედნათ-რა ჩვენთვისა. უნდა კი გითხრათ მაინც, რომ მათი თავ-გასულობა კარგი ნიშანი არ არის ჩვენთვისა. მგონია ტეტიობამ შეიტყო, ხმელნიცკი იმარჯვებსო და თანდა-თან უფრო თავს გადის. ახლა უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, თავს ვარიდებდეთ სოფლებსა... საშიშია. ნეტავი, თავადს მაინც შეეხვდებოდეთ სადმე მალე, თორემ ისეთს ვაგლახში ჩავარდით, რომ რაღა მოგახსენოთ.

ელენე ძალიან შესწუხდა.

— ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მეც გადამარჩენთ სიკვდილსა და თქვენს თავსაცა,—სთქვა ელენემ იმ აზრითა, რომ იქნება ერთი სიტყვა მაინც გამაგონოს ნუგეშინის-ცემისაო.

— დიაღაც; კაცს ჭკუა იმიტომა აქვს მიცემული, რომ იზრუნოს რამე თავისათვის, მერე ისე შემიყვარდით, რომ თქვენს დაფარვას ისევე ვეცდები, როგორც საკუთარის ჩემის ქალიშვილისას, ცუდი ის არის მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცით, სად მივდივართ. ზოლოტონოშაც საიმედო თავ-საფარი არ არის.

— ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ბიძაშვილები ზოლოტონოშას არიან.

— ვინ იცის, იქ არიან თუ არა, შეიძლება წამოვიდნენ იქიდან, ხოლო რაზლოგში იმ გზით არ დაბრუნდებიან, რა გზითაც ჩვენ ზოლოტონოშას მივდივართ. მე უფრო იქაურ მეციხვანეთა იმედი მაქვს. ნეტავ ერთი ნახევარ-სადროშოს ჯარი მაინც იდგეს იმ ციხეში! აგერ კალამლიკიცა. ახლა ლელიანები ხომ მაინც ახლოა. გავიდეთ წყალში და იმის მაგიერ, რომ გზა-გზა ვიაროთ, წყალ-შელმა შევყვეთ. მაშინ ჩვენს კვალს ველარავინ იპოვის. რაზლოგს კი ვუახლოვდებით, ვსთქვათ, მაგრამ ახლო კი მაინც არა ვართ.

— სჯობდა კი, რომ ბროვარკის მივახლოვებულიყავით. იქიდან გზა ზოლოტონოშას მიდის,—ურჩია ზაგლობას ელენემ.

— რახან აგრეა, მაშ ბროვარკისაკენ გავსწიოთ. მოითმინეთ.

ცხენებს წყალი დაალევინეს. პან ზაგლობამ ლელიანებში დასტოვა ელენე და თვითონ ფონის საძებნელად წავიდა. ფონი მალე იპოვა; რადგან იქვე ახლო იყო. უნდა განეგრძოთ გზა; ხოლო ეს ადვილი საქმე არ იყო. კალამლიკს უერთდებოდა მრავალი ხევის წყალი და ფშანები, რის გამოც გარშემო ლიალ ჭაობიანია. ადგილები იყო. ყველგან ფონი უნდა ეძებნა კაცს ან არა და ლელიან-ჭალიანებში ეარნა. ცხენები მოიდალნენ

და ფეხებს ძლივს მიათრევდნენ. პან ზაგლობა ჰგონებდა ხან და ხან, რომ გზაში დაგვიცვივდებიან სადმე ჩვენი რაშებიო.

ბოლოს ჩვენმა მგზავრებმა მოახერხეს და მაღალ სანაპიროზედ ავიდნენ, საცა მშრალი იყო და მუხის წვრიმალა ახეთ-ქილიყო. მაგრამ ახლა უკვე ძალზედ დაღამდა და სიარული შეუძლებელი იყო,—ვაი თუ ჭანჭრობიანში შევტოპოთ სადმეო,—ამიტომ პან ზაგლობამ გადასწყვიტა, ღამე აქ უნდა გავათიოთო.

ცხენებს უნაგირები მოსხნა, სამ-სამი ფეხი თოკით გაუბა, მერე მოჰკრიფა ბლომად ფოთოლი, გადააფარა ზედ ყაჯარი და მოასვენა ელენე.

— დაწექით, კნიაჟნა, და დაიძინეთ, სხვა საქმე აღარა გვაქვს-რა. ცეცხლს ნუ დავანთებთ,—საშიშია. ღამე პატარაა და გათენდეს თუ არა, განვაგრძოთ გზა. დაიძინეთ გულ-დამშვიდებით. საკმაოდ მოვიღალენით და, თუმცა დიდი მანძილი არ გამოგვივლია, გზა კვალი ისე ავრიეთ, რომ ეშმაკიც ვეღარ მოგვაგნებს. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა, პან ზაგლობა!

ელენე დიდ ხანსა ტრიალებდა შამფურივით ამ თავის ხელდახელ მომზადებულ ლოგინზედ, მაგრამ ბოლოს მაინც გუნებიერმა ძილმა დაუხუჭა თვალები. ის-იყო თენდებოდა, რომ ქალის ყურს მოესმა შორიდან რაღაც ხმაურობა, რაღაც საშინელი ღმუილი, მერე გმინვა, ისეთის საცოდაობისა და თან ისეთი ველური, რომ სისხლი გაეყინა ძარღვებში. უცბად წამოხტა ფეხზედ, საშინლად შეშინებული და არ იცოდა, რა მოექმედნა. უცბად მის ახლო ელვასავით გაირბინა პან ზაგლობამ, რომელსაც დამბაჩები ეჭირა ხელში. მოისმა სროლა დამბაჩისა... და კვლავ ისევ დადუმდა ყოველივე. ელენეს ეგონა, რომ საუკუნე გავიდაო მანამდე, სანამ კვლავ არ გაიგონა ხმა პან ზაგლობასი.

— აი, კისერი მოგტეხოდეთ, ცოცხლივ დაეხრაკეთ ცეცხლზედ, თქვე ავაზაკნო, თქვენა!

პან ზაგლობას ხმაზედ ეტყობოდა, რომ სწორედ განწირულებით ამბობდა ამ სიტყვებს.

— რა მოხდა?—საჩქაროდ ჰკითხა ელენემ.

— რაღა რა მოხდა, მგლებმა ცხენები დაჰგლიჯეს.

— ღმერთო ჩემო! ორივე?

— ერთი სულ ერთიანად, მეორე კი ისე დაამახინჯეს, რომ სიარულს ვეღარ შესძლებს. წუხელ პატარაზე შორს წასულან, სამასიოდე ნაბიჯზედ და ასე კი მოხდა...

— რაღა გვეშველება ახლა?

— რაღა გვეშველება? გამოვჭრათ თითო ჯოხი და გადავსხდეთ ზედ. ხათაბალაა სწორედ! მოგახსენებთ, ბატონო, რომ სწორედ ეშმაკს დაუფიცნია გაგვიჭირვოს საქმე, რადგან უთუოდ ჰმეგობრობს ბოგუნსა, ან იქნება ნათესავადაც მოჰხვდება. რა გვეშველება? ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე, ცხენად გადამაქციოს; თქვენ მაინც შეიძლებთ მაშინ წასვლას სადმე. წყეულშეჩვენებული ვიყო, თუ ჩემს დღეში ამისთანა რამ საქმე დამმართნოდეს.

— ფეხით წავიდეთ...

— თქვენ რა გიშავთ, ახალგაზდა ხართ; ვაი ჩემი ბრალი, რომ ასეთ აგებულების კაცმა ტეტიურის ჩვეულებით უნდა ვიმგზავრო ახლა. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ ყოველს ტეტიას თავისი ცხენი ჰყავს... აქეთ ძაღლები თუ დადიან ფეხითა... ცეცხლია, მე და ჩემმა ღმერთმა! დიაღაც, აქ რას მოვუსხდებით, წავალთ, მაგრამ როდის მივალთ ზიოლოტონონოშას, მაგისი კი რა მოგახსენოთ. ცხენით სიარულიც თუ საიმისო გულის გასართობი საქმე არ იყო, ფეხით წანწალი რაღა იქნება, ისეთი ცუდი საქმე დაგვემართა, რომ ამაზედ ცუდი, აღარა მგონია, დაგვმართნოდა კიდევა. ხურჯინები აქ უნჯ და დავტოვოთ და, რაც საგზალი გვაქვს, ხელით წავიღოთ.

— არას გზით ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენ წამოიღოთ რამე ხელითა. მე თვითონ წამოვიღებ, რაც საჭიროა.

პან ზაგლობას დარდი გადაეყარა, როცა ასეთი მორჩილება დაინახა ყმაწვილის ქალისა.

— ძვირფასო კნიაჟნა,—სთქვა მან,—ოსმალი უნდა ვიყო, ან წარმართი, რომ მაგის ნება მოგცე. მძიმე ტვირთის საზიდელად არ არის გაჩენილი თქვენი ქალალდივით თეთრი პაწაწინა ხელები. ღმერთი მოწყალეა, მარტო მეც მოვერევი; ეგ არის მხოლოდ, ხშირ-ხშირად მომინდება დასვენება, რადგან წინად ისეთი მოკრძალებული ვიყავ ჭამა-სმაში, რომ ახლა ნაფაზითა ვარ ავადა. ახლა ვისაუზმოთ, წავიღოთ თან ყაჯრები, საგზალი და გავუდგეთ გზას.

საუზმის დროს პან ზაგლობას სულ გადააავიწყდა თავისი ჩვეულებრივი მოკრძალება სმა-ჭამაში, ან იქნება ცდილობდა, მოეშორებინა როგორმე ნაფაზი, რომელიც ძალიან აწუხებდა. შუადღე მოახლოვებული იყო, რომ ფონს მიადგნენ. როგორც ეტყობოდა, წყალში კარგა ბლომად გასულიყო ხალხი.

— იქნება ეს გზა ზოლოტონოშას მიდის,—შეჰნიშნა ქლენემ.

— ვაი, რომ არ ვიცი...

პან ზაგლობამ ვერ დაასრულა სიტყვა. შორიდან რალაც ლაპარაკი მოესმა.

— მოითმინეთ, კნიაჟნა, დავიმალოთ,—ჩასჩურჩულა ზაგლობამ.

ხმაურობა თან და თან ახლოვდებოდა.

— ჰხედავთ რასმე?—ჰკითხა ელენემ.

— ვხედავ.

— ვინ არის?

— უსინათლო მოხუცია ფანტურითა. პატარა ბიჭი მოსდევს თანა. ახლა წაღებს იხდიან. წყალ-წყალ მოდიან ჩვენსკენ.

წყალის ზეპუნმა დაამტკიცა პან ზაგლობას სიტყვების სიმართლე. ორივენი გამოვიდნენ თავიანთ ჩასაფრებულ ადგილიდან.

— დიდება ღმერთსა!—წარმოსთქვა ხმა-მაღლა ზლიახტიჩმა.

— უკუნითი უკუნისამდე!—უპასუხა მოხუცმა.—თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ქრისტიანენი. ნუ გეშინიან, მოხუცო.

— წმინდა ნიკოლოზმა მოგცეთ ჯანი და ბედნიერება.

— საიდან მოდიხარ, პაპაჯან?

— ბროვარკიდან.

— ეს გზა საით-ღა მიდის?

— სოფლისკენ მიდის...

— ზოლოტონოშაში კი ვერ მიიყვანს კაცსა?

— რატომ, პანე.

— დიდი ხანია, რაც ბროვარკიდან წამოხვედი?

— გუშინ დილით, პანე.

— რაზლოგში ხომ არა ყოფილხართ?

— ვიყავით. ამბობენ, იქ რაინდნი მივიდნენ, ომი იყოვო.

— ეგ შენ ვინ გითხრა?

— ბროვარკში ამბობდნენ. ერთი მხლებელი მოვიდა იქ თავადებისა და საშინელი ამბავი მოიტანა!

— თქვენ კი ვერა ჰნახეთ ის მხლებელი?

— მე ვერავის ვერა ვხედავ, პანე, უსინათლო ვარ.

— ეგა, ეგ ბიჭი?

— ესა ჰხედავს, მაგრამ მუნჯია; ამისი ლაპარაკი მარტო მე მეყურება.

— რაზლოგი შორს არის აქედან? ჩვენ იქ მივდივართ.

— ოჰ, ძრიელ შორს არის!

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ რაზლოგში ვიყავითო?

— ვიყავით, პანე.

— დიაღ, იყავით?—კვლავ ჰკითხა პან ზაგლობამ და უცებ სტაცა ბიჭს ხელი კისერში.—ჰაი, თქვე წუწკებო, ავაზაკნო, დადიხართ, ჯაშუშობთ, ხალხს აღელვებთ, ეი, თედორე, ოსტაპ, მაქსიმე! შეიპყარით ესენი, გაჰხადეთ ტანისამოსი, გაატიტვლეთ სულა და ჩამოახრჩეთ, ან არა-და—დაარჩეთ წყალში! დაჰკათ ამათ, დაჰკათ ამ მეამბოხეთა.

ზაგლობამ დაუწყო ბიჭს ჭანჯღარი. მოხუცმა დაიჩოქა და დაუწყო ვედრება, შემიწყალეო; ბიჭი რაღასაც ზმუოდა, ხოლო ელენეს პირში სიტყვა გაუშრა, ისე გაოცდა.

— რასა ჰკადრულობთ მაგასა?—ჰკითხა მან ბოლოს და არა სჯეროდა, რასაც თვალითა ჰხედავდა. მაგრამ პან ზაგლობა თავისას არ იშლიდა: ჰყვიროდა, იწყევლებოდა, ჯოჯოხეთს უწოდებდა შემწეობისათვის; შლიახტიჩს თავი ველარ შეეკავებინა.

კნიაჟნას ეგონა, რომ ეს არის გაგიჟდა ეს კაცი.

— გაიქეცი აქედან!—დაუყვირა მან ქალსა.—შენ არ უნდა დაინახო, რაც მოჰხდება, გაიქე საჩქაროზედ!

და მან კვლავ მიჰმართა მოხუცსა.

— გაიხადე ტანთა, მოხუცო, თორემ სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯავ.

პან ზაგლობამ წააქცია ბიჭი და თვითონ დაუწყო გახდა ტანისამოსისა. შეშინებულმა მოხუცმა გადააგდო ფანტური, გუდა და პატარა ბოღჩა.

— გაიხადე ყველაფერი, შე თათარო, შენა!—ჰქუხდა ზაგლობა.

მოხუცმა დაიწყო პერანგის ხდა.

კნიაჟნა საჩქაროზედ გაიქცა შორს, ხოლო წყევა-კრულვა პან ზაგლობასი კიდევ დიდ ხანს მოესმოდა შორიდან. გაირბინა კარგა მანძილი და მერე გაჩერდა, რადგან არ იცოდა, რა ექნა ახლა. ახლო ხე ეგდო და იმაზედ ჩამოჯდა. პან ზაგლობას წყევლა-ყვირილი და გმინვა მოხუცისა ჯერ კიდევ არა სცხრებოდა.

ბოლოს, ყოველივე მიჩუმდა და მხოლოდ ფრინველნი ჭიკჭიკობდნენ და ხეთა ფურცელნი შრიალებდნენ გარშემო. მაგრამ აი მოისმა ვიღასიც ფეხის ხმა. ელენემ მოიხედა.

მის ახლოს იდგა პან ზაგლობა.

ზურგზედ გადაეკიდნა ტანისამოსი, რომელიც მოხუცისა და ბიჭისათვის გაეხადნა, ხელში ეჭირა ორი წყვილი წალა და ფანტური. ჯერ შორიდანვე დაიწყო მან ღიმილი და თამაშობა თავის მართალის თვალითა.

პან ზაგლობა ძალიან კარგს გუნებაზედ იყო.

— არც ერთს აღვოკატს არ უყვირნია იმდენი სასამართლოში, რამდენიც მე ვიყვირე,—სთქვა მან.—ასე გასინჯე, ხმაც კი წამივიდა. მაინც ვიშოვე, რაც მინდოდა, ხოლო ისინი დედიშობილა გავისტუმრე. თუ ხოანთქარი ფაშობას არ მომცემს, ან ვლახეთის ბატონად არ დამსვამს, უმადური კაცი იქნება სწორედ; უმადური იქნება იმიტომ, რომ ოსმალთა წმინდანების რიცხვი გავამრავლე*). ჰაი, ის წუწკები! მთხოვეს, პერანგებს მაინც ნუ წაგვართმევო და მე კი ვუთხარი, მადლობელნი იყავით, რომ ცოცხლებსა გტოვებთ-მეთქი. ერთი ჰნახეთ, კნიაჟნა: სულ ახალია, წაღებიცა, პერანგებიცა. აბა რა წესი და რიგი უნდა იყოს რესპუბლიკაში, როცა ტეტიობა ასე კარგად იცვამს? დღეობაში ყოფილან ბროვარკსა, ბლომად ფული უშოვიათ და ახალ-ახალი ტანისამოსი უყიდნიათ ბაზრობაში. ზოგიერთი შლიახტიჩი ვერ აიღებს წლითი-წლობამდე თავის მამულიდან იმდენსა, რამდენსაც ზოგი უსინათლო მოხუცი მოაგროვებს თვისის ფანტურით. გათავებული საქმეა! ამიერიდან ვანებებ თავს ჩემს სარაინდო ხელობას და დავიწყებ გზა-გზა გლახა-მათხოვართა ძარცვასა, იმიტომ რომ ეხლავ eo modo უფრო მალე შეიძლება უზრუნველი ყოფა დაიმკვიდროს.

— რაში გამოგადგებათ მერე დიდი ქონება?—ჰკვირობდა ელენე.

— რაში გამოგადგება?—არ იცით, განა? მაშ მოითმინეთ ერთს წუთსა და მე აგიხსნით, რაშიაც გამომადგება.

პან ზაგლობა მიიმალა სასწრაფოდ ბუჩქებში, რომელიც მრავლად იყო წყალის ნაპირას. რამდენისამე წუთის შემდეგ მოისმა იქიდან ხმა ფანტურისა, ხოლო პატარა ხანს უკან გამოჩნდა... პან ზაგლობა კი აღარა, არამედ ნამდვილი „უკრაინელი მოხუცი“ ერთ თვალზე ბისტ-გადაკრული, დიდის ჭაღარა წვერითა. „მოხუცი“ მოდიოდა ელენესაკენ და თან მღეროდა თვისის ჩახრინწიანებულის ხმით:

---

*) პოლონურად არის ასეთი ანდაზა: «gdy, jak tureckie Swieto»—ტიტველია, როგორც ოსმალთა წმინდანი.

ახატულ-ჩამოხატულო,
ჩემო მიმინო, მწყაზარო,
ძმა ხარ ჩემი გულისაო,
დაჰფრინავ მაღლა-მაღლა,
თვალს ავლებ შორის-შორა!

კნიაჟნამ ტაში-ტაშს შემოჰკრა და უნებურად ხარხარი დაიწყო.

— წინდაწინვე რომ არა მცოდნოდა, ეს პან ზაგლობაა მეთქი, ვერას გზით ვერ გიცნობდით,— სთქვა ქალმა.

— განა?— კმაყოფილებით წარმოსთქვა პან ზაგლობამ.— თუნდა დაგენაძლავებით, რომ ყველიერშიაც არ გინახავთ ჩემზედ უკეთესი ბერიკა. კაღამლიკის წყალში ჩავიხედე და თუ უკეთესი მეფანტურე მენახოს სადმე, დეე, ამ ჩემის გულის თასმით ჩამომახრჩონ. სიმღერებიც ბლომად ვიცი და ლექსები არ გამომელევა. აბა რის მოსმენა გნებავთ? იქნება მარუსა ბოგუსლავნას ლექსი გნებავთ, ან ბონდარივნასი, ან სერიაგის სიკვდილისა? ესეც შემიძლიან. დეე, რომელმაც გინდათ, იმ ყაზახმა შემომაფურთხოს თვალებში, თუ ლუკმა პური არ ვიშოვნო შეზარხოშებულ კამპანიაში.

— მესმის, მესმის!— წარმოსთქვა ელენემ.— იმიტომ მოიქეცით აგრე, რომ არავინ გვიცნოს?

— დიაღაც,— დაემოწმა პან ზაგლობა.— რა გგონიათ? აქ, ამიერ-დნეპრის მხარეს, ხალხი ბევრად უარესია, ვიდრე სხვაგან სადმე, და მხოლოდ თავადის რკინის მარჯვენას შეეძლო მისი შეკავება. ახლა კი, როცა ყველამ გაიგო, რომ ომია იმიერ-ჭორომეთთან ატეხილი, რომ ხმელნიცკიმ გაიმარჯვა რამდენჯერმე, ვერავითარი ძალა ველარ შეიმაგრებს ხალხს აჯანყებისაგან. გახსოვთ ჩოდრები, რა ნაირ ტკბილად გვიცქეროდნენ? თუ გეტმანებმა ვერ შემუსრეს ხმელნიცკი ერთს დღესა, ან ორ დღეს უკან, მთელს მხარეს ცეცხლი მოედება... მაშ, როგორ გაგატარო მშვიდობით აჯანყებულ ბრბოთა შორის? ხოლო იმათ ხელში ჩავარდნა უარესია კიდევ თქვენთვის, ვიდრე ბოგუნის ხელში ყოფნა.

— რა, ეგ შეუძლებელია! სიკვდილი მირჩევნიან!—გაა-წყვეტინა სიტყვა კნიაგინამ.

— მე სიცოცხლეს ვამჯობინებ, იმიტომ რომ სულ ერთია, სიკვდილისაგან მაინც კაცი თავს ვერ დაიხსნის. მე მგონია, რომ თვით ღმერთმა მოგვივლინა ის მათხოვარანი. ახლა ისინი სამს დღეს მაინც ისხდებიან ლელიანებში შიშითა, ხოლო ამასობაში, როგორც იქნება, ჩვენ ზოლოტონოშას მივაღწევთ. თუ ვიპოვით იქ შენს ბიძაშვილებს, ხომ რა კარგი, თუ არა და—წავიდეთ ახლა სხვაგან, გეტმანებთან, ან ვუცადოთ თავადსა; უნდა იცოდეთ მერე, რომ სულ უშიშრად ვიქნებით ყველგან, რადგან ყაზახნი გლახა-მათხოვართ არას უშავებენ. ასე გასინჯე, ხმელნიკკის ბანაკშიაც კი შეგვეძლო ამ სახით გავლა. მხოლოდ თათრების შეხვედრისა უნდა გვეშინოდეს. მაშინათვე ტყვედ წაგვიყვანენ, რაკი შეგატყობენ, რომ ეს კარგი ყმაწვილი ბიჭიაო.

— მაშ, მეც უნდა გამოვიცვალო ტანისამოსი.

— უეჭველად. პატარა ყაზახის მაგიერ, უნდა გლეხის ბიჭად გადაიქცეთ. მართალია, ძრიელ ლამაზი ხართ და გლეხის ბიჭობა ნაკლებ გეტყობათ, როგორც ნაკლებ მეტყობა მოხუცი-მეფანტურობა, მაგრამ არა უშავს-რა. მზე მალე მოგეკიდებათ, ხოლო სიარულით სისქე მომაკლდება. როცა ვლახელებმა თვალები ამომწვეს, მეგონა, რომ ამაზე დიდი უბედურება აღარა შეიძლება-რა-მეთქი, მაგრამ ახლა ვხედავ ზოგი ჭირი მარგებელია, რადგან მეფანტურე რომ უსინათლო არ იყოს, ძალიან საეჭვო საქმე იქნება. თქვენ უნდა მატაროთ ხელითა და ონუფრი მეძახოთ—ეს იქნება ჩემი სახელი მათხოვრობის დროს. ახლა კი გამოიცვალეთ ჩქარა ტანისამოსი; დროა გავუდგეთ გზას.

ბან ზაგლობა მოშორდა ელენეს. ქალმა გაიხადა ყაზახური ტანისამოსი, ჩაყურჭუმელავდა წყალში და ჩაიცვა გაძარცულის ბიჭის ტანისამოსი. რაღაც ბედად ორივენი ერთის ტანისანი აღმოჩნდნენ.

ზაგლობა დაბრუნდა და გულ-დასმით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალი.

— გეფიცებით,—სთქვა მან,—არა ერთი და ორი რაინდი მოისპობდა სიამოვნებით მხედველობას, ოღონდ კი შენისთანა ბიჭი ეტარებინა, ხოლო ერთი ჩემი ნაცნობი გუსარი ხომ უთუოდ დაიბრმავებდა თავსა. მხოლოდ ეგ თმებია ხათაბალა... უნდა მოიშოროო როგორმე... სტამბოლში ცოტა არ მინახავს კარგის ოჯახის ყმაწვილები, მაგრამ ეგრე შენსავით ლამაზი კი ჯერ ჩემს თვალს არა უნახავს-რა.

— ეგ არის მხოლოდ, რომ ამ ჩემმა სილამაზემ არა დამიშავოს-რა,—სთქვა ელენემ.

თუმცა ასეთს განურკვეველს ყოფაში იყო ქალი, მაინც ესიამოვნა პან ზაგლობას ქება.

— სილამაზე თავის დღეში არას დაგიშავებთ. შორს სად მივდივართ, თვითონ მე გამოვცადე ეგ ჩემ თავზედა. როცა ოსმალებმა გალატში ერთი თვალი ამომწვეს და უნდოდათ, მეორეც ამოეწვათ, ამ უბედურებას იქაურის ფაშის ცოლმა გადამარჩინა ჩემის სილამაზისათვის, რომლის ნაშთსაც თქვენც კარგად ჰხედავთ ახლა.

— თითქო წინადა სთქვით, რომ ვლახელებმა ამომწვეს თვალიო.

— ჰო და, ვლახელებმა, ფაშის მხლებლებმა, რომელნიც გაემაჰმადიანებინათ.

— მაინც არც ერთი თვალი არ ამოუწვიათ თქვენთვის?

— არ ამოუწვიათ კი, მართალია, მაგრამ... უნდოდათ ამოეწვათ. როცა გახურებული შანი მომიახლოვეს, იმისმა სიცხოვლემ ბისტი გადამაკრა თვალზედა. სულ ერთია. მაშ, ახლა მაგ თქვენს თმებს რას უპირობთ?

— რას უნდა ვუპირობდე, უნდა მოვიჭრა.

— უნდა მოიჭრათ, მაგრამ რითი?

— თქვენის ხმლით.

— ხმლით კარგია მტრის თავის მოჭრა, თმებისა კი არ ვიცი, qvomodo?

— იცით, რაზ? მე აგერ აქ დავჯდები და ამ ხეზედ გადმოვშლი ჩემს თმებს. თქვენ დაჰკათ ხმალი და მორჩა-გათავდა. თავი კი არ მომკვეთოთ მხოლოდ.

— მაგის დარდი ნუ გაქვთ. რამდენჯერ მთვრალს ხმლით თავი მომიხოცნია სანთლისთვის ისე, რომ თვით სანთელს ხმალი არ მიჰკარებია. თქვენც არას დაგიშავებთ, თუმცა მაგისთანა საქმე არას დროს არ მიცდია.

ელენე ჩამოჯდა ხეს ახლო, გადაჰშალა ზედ თავისი მშვენიერი დალალები და შეჰხედა პან ზაგლობას.

— აბა, მზად არის, — სთქვა მან — მოსჭერით. და ქალს მწუხარების ღიმილმა გადურბინა ტუჩებზედ. თვით პან ზაგლობასაც გულმა კვნესა დაუწყო. რაინდმა დაბეჯითებით შეამოწმა, ხომ მაგარია ხეო.

— ფუ, ფუ! ის მერჩივნა, რომ დალაქი ვყოფილიყავ და ყაზახთათვის მეპარსნა თავი. ასე მგონია, ჯალათი ვარ და აგერ ჩემს საშინელს საქმეს უნდა შევუდგე-მეთქი. არ ვიცი, გაგიგონიათ თუ არა, რომ ისინი თმებსა სჭრიან ჯადოქარ დედაკაცებს, ეშმაკი არ დაიმალოს იქ და თვისის უწმინდურის ძალით ხელი არ შეგვიშალოს ხოლმეო. ხოლო თქვენ ჯადოქარიანი არა ხართ და ეს საქმე ამიტომ სრულიად არ მომწონს. თუ ოდესმე ამისათვის პან სქშეტუსკი ყურებს არ დამაჭრის, მე პირველი დავუძახებ იმას ტუტუცსა. ღმერთმანი, ისეთი ვარ, რომ სულ ჟურუანტელი მივლის მთელს ტანში. თვალები მაინც დაჰხუჭეთ.

— აჰა, დამიხუჭნია! — სთქვა პასუხად ელენემ.

პან ზაგლობამ გაიქნია ხმალი, მოქნილმა ფოლადმა შუილი შეჰქმნა ჰაერში და ხშირი შავი დალალი ჩაცურდა ხეს იქიდან.

— მზად არის! — სთქვა პან ზაგლობამ.

ელენე მარდად წამოხტა ფეხზედ. სახე აწითლებული ჰქონდა სირცხვილითა, რადგან მაშინდელს დროს დიდად სამარცხვინო იყო თმის შეკრეჭა გასათხოვარ ქალისათვის, და ელენემ

ასეთი მსხვერპლი გასწირა მხოლოდ იმიტომ, რომ უამისობა არას გზით არ შეიძლებოდა.

თითქმის ცრემლებიც კი მოერია ქალს თვალებში. პან ზაგლობა შეკრთა და ველარ მოახერხა, რომ ნუგეში რამ მაინც ეცა.

— ვგონებ, რაღაც საძაგელი საქმე მოვიქმედე,—სთქვა მან,—და გიმეორებთ, პან სქშეტუსკი, თუ პატიოსან კაცად მიაჩნია თავი, მოვალეა, ყურები დამაჭრას. მაგრამ უამისობაც არ იქნება, უამისოდ მაშინვე შეგამჩნევდნენ, რა სქესისაცა ხართ. ახლა ეს მაინც არის, რომ გულადად შევვიძლიან გზას გავუდგეთ. გზა ვიცი, მოხუცმა მეფანტურემ მასწავლა. ეხლა მინდორში სამს მუშასა ვნახავთ, მუხის ახლო ხევიაო, ხოლო ხევგაყოლება გზა დემიანოვკას მიდის და იქიდან ზოლოტონოშასაო. უსინათლომა სთქვა, რომ ამ გზაზედ ბევრნი დადიან ურმებითაო, მაშასადამე, ხანდახან ურემზედაც დაგვისმენ. დიდს გაჭირვებაში ვართ ახლა ჩვენ, კნიაჟნა, და შემდეგ ხშირად მოვიგონებთ ახლანდელს ამბავს. ახლა ჩვენს ხმლებსაც უნდა გამოვეთხოვოთ. მოხუცს მეფანტურეს და მის მატარებელს არ შეჰფერით აზნაურშვილური იარაღი ატარონ. აგერ ამ ხის ქვეშ ჩავმალავ, იქნება ღმერთმა იპრიანოს და ბოლოს ისევ ვიპოვნო როგორმე. ბევრი რამ უნახავს ამ ხმალს, ბერი რამ გადაჰხედია... არ დაიჯერებთ, მაგრამ მე დიდი ხანია პოლკოვნიკი უნდა ვყოფილიყავ, კაცთა ბოროტებას რომ არ შეეშალა ჩემთვის ხელი და ჭორი რომ არ გაეერცელებინათ, ვითომ ძრიელ ვეტანები სასმელსა. ასეა ეს წუთი-სოფელი, ვერსად სიმართლეს ვერა ჰხედავს კაცი! აქაო და თავს არავის ვაკლავდი, როგორც ზოგიერთნი ტუტუცნი, რაკი საცა არა სჯობდა, გაცლასა ვრჩევობდი და დადინჯებულ ვაჟკაცობასთან, მეორე კუნკტატორივით, მოხერხებასაც ვიჩენდი, ვიღაც ზაცვილიხოვსკი პირველი ჰბოდავდა და მხდალს მეძახოდა. კეთილი კაცია, მაგრამ ენა აქვს შხამიანი. ჯერ ამას წინადაც მლანძღავდა, რას ეძმობილები ყაზახებსაო. მაგრამ ეგრე რომ არ მოვქ-

ცეულიყავი, დღეს ვერას გზით ვერ დაიხსნიდით თავს ბოგუნის ხელიდან.

პან ზაგლობამ ჩამალა ხის ქვეშ ხმალი, მიაფარა ფოთოლი და ბალახ-ბულახი, მერე გადაიკიდა მხარზედ გუდა და ფანტური, აიღო ხელში ჯოხი, მიიქნ-მოიქნია ერთხელ-ორჯელა და სთქვა:

— რაკი უკეთესი არა გვაქვს, ამასაც არა უშავს-რა; შეიძლება კარგები უთავაზოს კაცმა ძაღლსაკ ანუ თუნდა მგელსა. ცუდი ის არის მხოლოდ, რომ ფეხით უნდა ვიაროთ, მაგრამ რას იზამ! აბა გავსწიოთ!

გაუდგნენ გზას; შავ-თმიანი ბიჭი წინ წავიდა და მოხუცი პაპა მას გაჰყვა უკან. პაპა ბუზღუნებდა და სწყევლიდა თავის ბედს, ამ სიცხეში მაიძულებს ფეხით ვიაროვო, თუმცა მინდვრად გრილი ნიავი ჰქროდა. მალე მიაღწიეს ხევსა, ხოლო ხევ გაღმა გორაკზედ იდგა სამი უზარმაზარი მუხა; აი ამ მუხებისაკენ გაემართნენ ჩვენი მგზავრნი. აქვე მიდიოდა გზა, რომელზედაც ჭაჭანებად არავინ არა სჩანდა იმ დროს: არც მეურმე, არც ლომა ხარები, რომელნიც დინჯად მიაბოტებენ ხოლმე, არაფერი. მხოლოდ აქა-იქ თეთრად გაჰქონდა ქათქათი მკვდრის საქონლის ძვლებს. პან ზაგლობა და ელენე მიდიოდნენ წინ და ისვენებდნენ მხოლოდ იქ, საცა გზის ახლო-მახლო პატარ-პატარა ჭალაკიან ჩრდილიანი შეხვდებოდათ. შავ-თმიანი ბიჭი წამოწვებოდა მწვანეზედ და ეძლეოდა ძილს, ხოლო პაპა მღვიძარებდა. წყალში გასვლაც მოუხდებოდათ ხოლმე და ხანდახან რამდენსამე საათს ფონის ძებნას უნდებოდნენ. მაშინ პაპა ხელში აიყვანდა და ისე გაჰყავდა ხოლმე ყმაწვილი წყალში; თან ისეთს ძალას იჩენდა, რომ კაცს გაუკვირდებოდა, მოწყალებით თუ სცხოვრობს, ამდენი ძალი და ღონე რაღამ მისცაო. სამაგიეროდ ეს პაპა ძალიან მხარ-ბეჭიანი იყო. ასე იარეს საღამომდე, ვიდრე ყმაწვილი არ ჩაჯდა გზის პირსა და არა სთქვა:

— მეტი სიარული აღარ შემიძლიან, თავი აღარა მაქვს. ველარ ვიელი. აი აქვე დავწვები და დაე აქვე მოვკვდე.

პაპა ძალიან შესწუხდა.

— ოი, დაწყევლილო უდაბნო! არც მეკომური, არც მოსახლ-კარობა სადმე, არც ცოცხალი კაცი ჭაჭანებად. მაინც აქ უნდა გავათიოთ ღამე. აგერ საღამო ჟამია, ერთს საათს უკან დაბნელდება... აბა, ყური დაუგდეთ, კნიაჟნა!

აქ პაპა გაჩუმდა და ჩამოვარდა დიდი დუმილი, მაგრამ ვნახოთ უცბად მოისმა ხმა, რომელიც შორეულ ხევიდან მოდიოდა.

— მგლები არიან,—სთქვა პან ზაგლობამ.—წუხელის ცხენები დაგვიჭამეს და ახლა ჩვენც გვეტანებიან. მართალია, დამბაჩა მაქვს, მაგრამ ორ სროლად ძლივს მეყოფა წამალი; მგლების საუზმეზედ ყელის ჩასატკბარუნებელ ტკბილ საჭმლად გადაქცევა კი ვერაფერი სასიამოვნო საქმე იქნება, სწორედ მოგახსენოთ. გესმით, პანნა, აგერ კიდევ ისმის იმათი ყმუილი!

ყმუილი უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

— წამოდექი, ქაჯან!—სთქვა მოხუცმა.—თუ სიარული არ შეგიძლიან, მე წაგიყვან. მეტი რა ჩარაა. თვითონვე ვხედავ, რომ ძრიელ შემიყვარდით, მაგრამ ამის მიზეზი უთუოდ ის არის, რომ თავის დღეში საკუთარი შვილები არა მყოლია, ხოლო თუ მყოლია უკანონოდ, ისინი თათრები ყოფილან, მაჰმადის სჯულისანი, რადგან დიდ ხანსა ვსცხოვრობდი სათათრეთში. ჩემით მოელება ბოლო ზაგლობაანთ გვარსა, „Brec"-ის გერბისას. თქვენ შემივრდომეთ სიბერის ჟამსა, ხოლო ახლა ადექით და ან წავიდეთ, მხარზე შეგისვამთ და ისე წაგიყვანთ.

— ოჰ, ისე დავიღალე, რომ ზეზედ ადგომაც კი აღარ შემიძლიან.

— ტრაბახობდი კი, ღონიერი ვარო... სსს... დაიცა! ღმერთმანი, ძაღლის ყეფა მესმის... სწორედ ასეა... ძაღლები არიან და არა მგლები. მაშ, დემიანოვკაც ახლო უნდა იყოს, ის მეფანტურე რომ მეუბნებოდა. დიდება შენდა, უფალო! სწორედ, ძაღლის ყეფაა. გესმით?

მართლაც, ტყეს იქით მალე გამოჩნდა ხინათლე, რომელიც გლეხთა ქოხ-მახებიდან გამოდიოდა. საღამო ჟამის ბინდ-

ბუნდზედ კიდევ ჰქყვრიალობდა სამის ეკლესიის სამრეკლო. ძაღლის ყეფა თან და თან უფრო გარკვევით მოისმოდა.

— დიაღ, ეგ დემიანოვკაა, სწორედ, სორედ,—გადასწყვიტა პან ზაგლობამ.—გლახა მათხოვარს ყოველთვის სიამოვნებით უმასპინძლდებიან; იქნება ბინაც გვიშოვონ; შესაძლოა, ღვთის კაციც შეგვხვდეს ვინმე და პატარა მანძილზედ ურმითაც წაგვიყვანოს. მოითმინეთ, პანნა, ეს ხომ თავადის სოფელია; იქ მოურავიც იქნება. დავისვენებთ კიდეც, საქმის გარემოებასაც ვიწვრილებთ. ვინ იცის, იქნება თავადი გზად არის გამოსული, იქნება შემწეობა უფრო ახლოა, ვიდრე თქვენა ჰგონებთ. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, რომ მუნჯი ქალი ხართ, კინალამა ვთქვი მუნჯი ბიჭი-მეთქი. სისულელე მომივიდა, რომ გითხარით, ინოფრე დამიძახეთ ხოლმე-მეთქი, როდესაც მუნჯი უნდა იყოთ და აბა მაშ როგორ დამიძახებდით სახელს. დეე, ისევ მე ვილაპარაკებ შენ მაგივრადაცა და ჩემმაგივრადაც; ღვთის მადლით, ტეტიური ლაპარაკი ისევე კარგად ვიცი, როგორც ლათინური. გავსწიოთ, გავსწიოთ! აგერ განაპირა ქოხმახებიც ახლოა. ოჰ, შემოქმედო! როდის მოეღება ბოლო ჩვენს წანწალს? ნეტა ლუდი მაინც გვაშოვინა სადმე! ამისათვისაც დიდს მადლობას შევსწირავთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა.

პან ზაგლობა გაჩუმდა პატარა ხანს და დუმილით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ მალე ისევ თითქო რაღაც მოაგონდაო:

— გახსოვდეთ, მაშ, კნიაჟნა, რაც გითხარით. თუ გკითხა ვინმე რამე, ჩემზედ ანიშნეთ და წაიზმუილეთ: ჰმ, ჰმ, ჰმ! ვხედავ, რომ ყოველსავე ადვილად მოისაზრებთ ხოლმე და აბა გამჭრიახობა ახლაა საჭირო, რადგან ეს არის ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საქმე. ერთი შევხვდეთ კი ან გეტმანის პოლკსა, ან თავადისასა, თორემ მაშინ კი ვიტყვით პირდაპირ, ვინცა ვართ, მეტადრე თუ პან სქშეტუსკის ნაცნობს აფიცერსა ვნახავდით. ეს რაღაა? მგონია ცეცხლია იქ, ძირსა? ოჰო, სამჭედლოა! მერე ხალხიც ცოტა არ არის; წავიდეთ იქა.

ხევის დასაწყისშივე სამჭედლო იდგა და ბურჯღლ-ბურჯღლებად ისვრიდა ოქროს ფერ ნაპერწკლებს, ხოლო კარებიდან ზღვა სინათლე გამოდიოდა. სამჭედლოს წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. ბანი კვერის თანაბარის ცემისა უერთდებოდა ხალხის ხმაურობასა, სიმღერის ხმასა და ძაღლის ყეფასა. პან ზაგლობა გაემართა პირდაპირ ჯეჯილისაკენ, ჩამოჰკრა ფანტურსა და დაიწყო:

ა-იქითა გორაზედა
ქალნი ყანასა მკიანო,
გორის ძირას გზაზედა კი
ყაზახები მიდიანო.

ზაგლობა მიუახლოვდა ხალხის ჯგუფს, რომელიც სამჭედლოს წინ იყო თავ-მოყრილი. გლეხ-კაცნი იყვნენ, უმეტესნაწილად კარგად შეზარხოშებულნი. ყველას ან ცელები ეჭირათ, ან შუბები.

— ეი, პაპა! პაპა!—დაიწყო ხმაურობა ბრბომა.
— დიდება ღმერთსა!—წარმოსთქვა პან ზაგლობამ.
— უკუნითი უკუნისამდე!
— დემიანოვკაა ესა, შვილებო?
— დემიანოვკაა. რა იყო?

— გზაზედ მითხრეს,—განაგრძო პაპამ,—რომ აქ ღვთის კაცნი სცხოვრობენო, პაპას გაუმასპინძლდებიან, ასმევენ, აჭმევენ და ფულსაც აჩუქებენო. მოხუცი ვარ, შორეული და ჩემი ბიჭი კი დაიღალა, სიარული აღარ შემიძლიან. საწყალი მუნჯია და მე მოხუცი დავყავარ, იმიტომ რომ ვერასა ვხედავ, უსინათლო ვარ მე უბედური! ღმერთი გადღეგრძელებთ, ღვთის კაცნო, წმინდა ნიკოლოოზ საკეირველ-მომქმედი, წმინდა ონოფრეი. ერთის თვალით კიდევ ძლივ-ძლივა ვხედავ, ხოლო მეორეთი—სულ ვერაფერსა; და აი დავდივარ ფანტურით, ვამბობ სიმღერას და ვსცხოვრობთ, ვითა ფრინველნი ცისანი, კეთილის ხალხის მოწყალეობითა.

— სადაური ხარ, პაპა?

— ოჰ, შორიდანა ვარ, შორიდანა. ბინასა გთხოვთ დასასვენებლად, ღვთის გულისათვის... აგერ სამჭედლოსთან, ვხედავ, ტახტია. მოდი, ჩამოჯექ შენცა,—მიჰმართა მან ელენესა.—ლიტვიდანა ვართ, ღვთის ხალხნო. სახლიდან კი დიდი ხანია, რაც წამოვედით, ახლა კი ბროვარკის დღეობაში ვიყავით და იქიდან მოვდივართ.

— კარგი რა გაიგონეთ იქა?—ჰკითხა მოხუცსა გლეხკაცმა, რომელსაც ცელი ეჭირა ხელში.

— გაგონებით ბევრი რამ გავიგონეთ, მაგრამ კარგი რა არის—ეგ კი არ ვიცით. ხალხი ბევრი იყო. ხმელნიცკისას ამბობდნენ, რომ ატამანის შვილსა და მის რაინდებსა სძლიაო. ყური მოვკარით კიდევ, რომ სარუსეთოს ნაპირად ხალხი აჯანყებას აპირობს პანების წინააღმდეგ.

მთელი ჯგუფი გლეხ-კაცთა შემოერტყა გარშემო პან ზაგლობას, რომელიც კნიაჟნას გვერდით იჯდა და ხან-და-ხან ჩამოჰკრავდა ხოლმე თითებს ფანტურის სიმებს.

— მაშ, გაიგონე, რომ ხალხი აჯანყებას აპირობს?

— მაშა, მწარეა ჩვენი ბედიო!

— მერე ამბობენ, რომ ბოლო მოეღება ჩვენს სიმწარესაო?

— კიევს, ტრაპეზში იპოვეს წერილი ქრისტესი. იქ ეწერა თურმე, რომ საშინელი ომი ატყდება და დიდი სისხლის-ღვრა იქნება მთელს უკრაინაშიო.

გარშემორტყმულნი უფრო მიეჯუჯგნენ პან ზაგლობასა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ წერილი იყო?

— იყო მაშა, იყო. ომისა ეწერა, სისხლის-ღვრისა... კიდევ გიამბობდით ბევრს რასმე, მაგრამ ყელი ამომეხლანძა.

— აი ახლავ, არაყსაც მოგიტანთ... გადაჰკარი და გვიამბეო ქვენ, მოხუცნი მეფანტურენი ყველგან დადიხართ და ყველაფერი იცით. შენს მოსვლამდეც იყვნენ მეფანტურენი და გვითხრეს, რომ ხმელიც დაჰლუპავს პანებსა, ის ამოიყრის იმათს ჯავრსაო. აი მაგიტომ ვაწკეპინებთ პირებს ცელებისათვის, ვა-

კეთებინებთ შუბებსა, არ ვიცით მხოლოდ, დავიწყოთ ეხლავ საქმე, თუ ვუცადოთ ხმელის წერილსა.

ზაგლობამ გადაჭკრა არაყი, ტუჩები გააწკლაპუნა და სთქვა:

— ვინ გითხრათ მერე, რომ დროა დაიწყოთ საქმეო?

— ჩვენ თვითონ გვინდა საქმეს შევუდგეთ ბარემა!

— შევუდგეთ, შეეუდგეთ!—ვაისმა ხმა მრავალთა.—რახან იმიერ-ჭორომელთ დაუძლევიათ პანები, მაშ უნდა დავიწყოთ!

ძარღვიანი ხელებით მაღლა აღმართეს ცელები, მაგრამ მაინც იცდიდნენ, ვნახოთ, რას იტყვის „პაპაო“. პაპა ჩუმად იყო კარგა ხანს და ბოლოს სთქვა:

— ვისი კაცები ხართ?

— თავად ერეომიასი ვართ.

— მერე ვის დაუწყებთ ჩეხა-ჟლეტას?

გლეხებმა ერთმანეთს შეჰხედეს.

— თავადსა?—ჰკითხა პაპამ.

— ვერ დავჯაბნით.

— ჰეი, ვერ დასჯაბნით, შვილნო, ვერა! ვყოფილვარ ლუბნშიაც და მინახავს იქაურობა ჩემის თვალებითა. საშინელებაა! როცა შეუძახებს, ტყე ძირს იხრება, როცა ფეხს დასცემს—ხევი ჩნდება. იმისი მეფესაც ეშინიან, იმას გეტმანებიც ემორჩილებიან, ყველასაც ეშინიან იმისი. ჯარი კი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ხანსა და ხონთქარსა. ვერ დასჯაბნით, შვილნო, ვერა! მერე თქვენ არც ის იცით,—მე კი ვიცი,—რომ ყველა ლიახი იმას შეეწევა და ანდაზა კი ამბობს: რამდენი ლიახიც არის, იმდენი ხმალიაო!

ბრბომ წარბები შეიკრა და სდუმდა, პაპამ კვლავ ჩამოჰკრა თითები ფანტურის სიმებსა და განაგრძო მაღლა თავ-ამართულმა:

— მოდის თავადი, მოდის და მოსდევს თან იმდენი დროშა და ალამი, რამდენიც ვარსკვლავია ცაზედა ანუ ბალახია მინდორში. მიჰზუის მის წინ ქარი და სტირის, მერე იცით, შვილებო, რასა სტირის? ჩვენს ბედსა სტირის. მიჰფრინავს თავადის წინ სიკვდილი ცელით და გააქვს წკრიალი... მერი იცით,

ვის კისერზედ არის განმახვებული ეგ ცელი? ჩვენს ვისერზედ, შვილნო.

— უფალო, შეგეიწყალე!—გაისმა ხალხში ჩუმი ხმა შეშინებულებისა.

კვლავ მდუმარება ჩამოვარდა და მხოლოდ სამჭედლოდან ისმის ხმა კვერის ცემისა.

— ვინ არის აქ თავადის მოურავი?—იკითხა პაპამ.

— პან გდეშინსკია.

— სად არის მერე?

— გაიქცა.

— რად გაიქცა მერე?

— გაიგონა, რომ იმათვის სჭედავენ ცელებსა და შუბებსა... შეშინდა და გაიქცა.

— ეგ უარესი; თქვენს ამბავს თავადს ეტყვის.

— რა ამბავია, პაპავ, რომ ყვავივით დაგვჩხავი უბედურებას?—ჩაერია ლაპარაკში ხნიერი გლეხ-კაცი.—ჩვენ კი აგრე გვგონია, რომ პანების აღსასრული მოვიდა. მოვიდა დრო და გაწყდება კიდეც მაგათი სინსილა თათრის სამზღვრისაკენაცა და რუსეთისკენაცა, გაწყდებიან პანებიცა, თავადნიცა და მხოლოდ ყაზახნი, თავისუფალნი ყაზახნი-ღა დარჩებიან... აღარავინ აღარას გამოგვართმევს გადასახადსა, აღარც ურიები იქნებიან... შენვე არა სთქვი, რომ აგრე სწერია ქრისტეს წერილშიო?! ხმელიც ისევე ძლიერია, როგორც თავადი.

— ღმერთმა დიდი დღე მისცეს!—ამოიოხრა პაპამ,—მწარეა ჩვენი ბედი, წინად კი სხვაფრივა ყოფილა.

— ვისია მამული?—თავადისა;—ვისია მინდორი?—თავადისა; ვისია საქონელი, ნახირი და ჯოგი?—თავადისა! წინად კი ღვთის ტყე იყო, ღვთის მინდორი; ვინც პირველი მივიდოდა, მამულს ის ჰხმარობდა, არავის თავს არ უკრავდა და არ შეჰღიენებდა. ახლა კი ყოველივე პანებისა და თავადებისაა.

— სულ თქვენია, შვილებო,—სთქვა პაპამ,—მაგრამ მე თქვენ ერთს გეტყვით: თქვენ თითონ იცით, რომ ძნელია თავადის მტრევა; ვისაც უნდა პანების ამოჟლეტა, ის აქ ნუღარ

დარჩება, ადგეს და ხმელთან გაიქცეს, ხვალვე, იმიტომ რომ თავადმა გამოილაშქრა კიდეცა. თუ პან გდეშინსკიმ უამბო დემიანოვკას ამბავი, თავადი თქვენ აღარ დაგინდობთ, სულ ამოგწყვეტავთ ყველასა... სჯობიან, წახვიდეთ ხმელთანა. რაც უფრო მეტნი წახვალთ, მით უკეთესი იქნება ხმელისათვის. ოჰ, იმის საქმეც ძნელი საქმეა, დიდი გაჭირვება ადგია! წინ გეტმანები არიან და მთლად სახასო ჯარები, უკან კი თავადია, რომელიც ყველა გეტმანზედ ძლიერია. ისწრაფეთ, შვილნო, ხმელისა და იმიერ-ჭოროომელთა შესაწევრად... ისინი ხომ თქვენის თავისუფლებისა და თქვენის სიკეთისათვის ებრძვიან პანებს. თავადსაც მოჰშორდებით და ხმელსაც შემწეობას მისცემთ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს!—გაიხმა ჩუმად ხმა ხალხში.

— კარგადა ლაპარაკობს!

— ბრძენი პაპაა!

— გზაში ჰნახე თავადი?

— ნახვით არ მინახავს, მაგრამ ბროვარკში გავიგონე, რომ ლუბნიდან წამოვიდარ; საცა ან ერთს ცელსა ჰნახავს, ან შუბსა, სულ ამოსწვაეს იქ ყველაფერსა, ამოსწყვეტავს ყველასა... ცარიელს მიწას-ღა დასტოვებს.

— უფალო, შეგვიწყალე!

— სად ვიპოვოთ ახლა ხმელი?

— მეც იმიტომ მოვედი, შვილებო, რომ გასწავლოთ, სად უნდა მოსძებნოთ ხმელი. წახვალთ, შვილნო, ზოლოტონოშას, მერე ტრახტემიროვს და იქ კი ხმელიც თქვენს მოლოდინში იქნება. იქ მოგროვდება ხალხი ყველა სოფლიდან, ყველა კუთხიდანა და ქვეყნიდან; თათრებიც იქ მოვლენ; ასე თუ არ მოიქეცით, თავადი დედა-მიწაზედ არავის გაატარებს.

— შენა, პაპავ, წამოხვალ შენც ჩვენთანა?

— წამოსვლით კი ვერ წამოვალ, მოვხუცდი და ძალა აღარა მაქვს. შემიბით ურემი და მაშინ მეც თქვენთან ვიმგზავრებ და სანამ ზოლოტონოშას მივიდოდეთ, მე დავწინაურდები, რომ ვნახო, პანების ჯარის-კაცნი ხომ არ არიან იქა. თუ

ისინი იქ იქნებიან, ჩვენ ზოლოტონოშას გვერდი ავუხვიოთ და პირდაპირ ტრახტიმიროვისაკენ წავიდეთ. იქ კი სულ ყაზახთა ქვეყანაა... ახლა პატარა მაჭამეთ რამე და მასვით, მშიერ-მწყურვალი ვარ ამდროული კაცი, ეს ჩემი ბიჭიც მშიერ-მწყურვალია. ხვალ დილით გავუდგეთ გზას; გზა-გზა სიმღერას გეტყვით პან პოტოცკისასა და თავად ერიომასასა. ოჰ, ძალიან გულ-ბრაზნი და მრისხანენი არიან ისინი! დიდი სისხლის ღვრა იქნება უკრაინას, ცა სულ გაწითლებულია და მთვარეც ისეთია, თითქო სულ თოვლში სცურავსო. შეეევედრეთ ღმერთს, შვილებო, რომ მოწყალებით მოჰხედოს ამ ქვეყანას; ბევრს თქვენგანს დიდის ხნის სიცოცხლე აღარა აქვს ამ ქვეყნად. ყური მოვკარი, რომ ვითომ მკვდარნი სდგებიან საფლავებიდან და ჰგმინავენ, საცოდავად ჰკვნესიან და ჰგმინავენ.

პან ზაგლობას ლაპარაკმა თავ-ზარი დასცა ხალხსა; ზოგმა პირ-ჯვრის წერა დაიწყეს, ზოგმა ჩურჩული მოართო ერთმანეთში.

— წამო, პაპა, ჩემთან, ვახშმად: კარგ თაფლსაც დაგალევინებ,—სთქვა ხანში შესულმა გლეხ-კაცმა.

ზაგლობა წამოდგა და ელენესაც სახელოში წაავლო ხელი და ჯანჯღარი დაუწყო. კნიაჟნას ეძინა.

— დაიღალა საცოდავი, ველარც კი გავაღვიძებ ახლა,— სთქვა პან ზაგლობამ და თან გაიფიქრა გულში: „o sancta simplicitas! ხმალი და ხანჯალია ამოწვდილი შენ გარშემო და შენ კიდევ ახერხებ დაძინებას. ანგელოზნი ცისანი გფარველობენ და შენთან ერთად ამ ჩემს მოხუცებულს თავსაც ისინი უწევენ დარაჯობას“.

ზაგლობამ გააღვიძა ელენე და ორივენი წავიდნენ სოფელში, რომელიც შორს არ იყო. ხანში შესული გლეხ-კაცი წინ მიდიოდა, ხოლო პან ზაგლობამ თავი მოიკატუნა, ვითომ და ლოცვებსა ვკითხულობო და ის კი არა თუ მოჰყვა გაბმულის ხმით ბუტბუტს:

— ოჰ, უფალო და მეუფეო! შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი... ჰხედავთ კნიაჟნა!.. წმინდაო, ყოვლად წმინდაო... რას

მოვახერხებდით, ეს ტეტიური სამოსელი რომ არა გვქონოდა... ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... პატარას გვაშმევენ რასმე და ხვალ დილით ზოლოტონოშას წავალთ ურმით, ემის მაგიერ, რომ ფეხით გვეჩანჩალნა... ამინ, ამინ, ამინ... უეჭველია ბოგუნი კვალ და კვალ მოგვდევს; იმას კაცი აგრე ადვილად ვერ მოატყუებს... ამინ, ამინ!—მაგრამ დაუგვიანდა და ველარას მოახერხებს... პროზოროვკას დნეპრში გავალთ, ხოლო იქ გეტმანის ბანაკია დაცემული. ამინ... რამდენისამე დღის შემდეგ მთელი ის მხარე აჯანყდება, რაკი თავადი დნეპრში გავა და გალმა-მხარს მოედება... ამინ... კისერიმც მოუტეხიათ, რაც ეშმაკი და ქაჯია, იმ ჩამოსალრჩობთ, იმათ!... გესმით, კნიაჟნა, რანაირად ჰლმუიან გლეხნი სამჭედურთან? ამინ... ოჰ, ძალიან გაჭირვება დაგვადგა, მაგრამ ყეყეჩი ვიყო და უტვინო, თუ ვერ გაგანთავისუფლე ამ ცეცხლისაგან, თუნდა თვით ვარშავამდეც დაგვჭირდეს ესე მალვა და ლტოლვაი.

— რასა ბუტბუტებ ემანდა, პაპავ?—ჰკითხა გლეხმა.

— არაფერსა ღმერთს ვეველრები თქვენს დღეგრძელობასა, ამინ.

— აი ჩემი ქოხიცა; გთხოვთ მობრძანდეთ და პურ-მარილი იხმიოთ.

პაპა კარგად შეექცა შემწვარ ცხვრის ხორცსა და საკმაოდ ბლომადაც გადაჰკრა სასმელი; ხოლო მეორე დღეს დილით გასწია ზოლოტონოშასაკენ ურემში გამოჭიმულმა; თან ახლდნენ რამდენიმე გლეხნი, შეიარაღებულნი ცელებითა და შუბებითა.

იმათს გზას უნდა გაევლო კოვრაეცსა, ჩერნობაისა და კრაპივნისაკენ. მთლად ეს ქვეყნები მღელვარებაში იყო. ხალხი ყველგან იარაღში სხდებოდა, სამჭედურნი მუშაობდნენ დილით საღამომდე და მხოლოდ საშინელი ძლიერება, საშინელი სიხელი თავადის ერემიასი იმაგრებდა ხალხის აბობოქრებულს გრძნობა-გულის-თქმასა.

V

ყაზახებმა ჰნახეს მეორე დღეს, რომ ბოგუნი ცოცხალ-მკვდარი-ღაა, ისე აქვს თავზედ ჩამოცმული თბილი ჯუბა, ის ჯუბა, რომლითაც პან ზაგლობამ შეუხვია ვითომ თავი. მაგრამ რადგან ატამანს საიმისო მძიმე ჭრილობა არა ჰქონდა-რა, მალე მოვიდა გონს, გაიხსენა ყოველივე და საშინელმა გულის წყრომამ შეიპყრო. ისეთსა გრგვინავდა, თითქო დაჭრილი ნადირიაო, იგლეჯდა თმებს და ყველას ხმლით და ხანჯლით ემუქრებოდა. ბოლოს ბრძანა, მიაბით საკაცე ორ ცხენსაო, ჩაჯდა ამ საკაცეში და, როგორც დამთხვეული, გაჰფრინდა ლუბნისაკენ. ბოგუნი იცლებოდა სისხლისაგან და თან ისე მიჰქროდა მინდორ-მინდორ, თითქო წყეული სულიაო, ხოლო უკან მისდევდნენ მისნი ერთგულნი ყაზახნი, რომელთაც ეჭვი არა ჰქონდათ, რომ სიკვდილი აგვცდებაო. აი მივიდნენ ვასილიოვკას, საცა მეციხოვნეებად ასი კაცი იდგა თავადის ჯარის-კაცებისა. გადარეულმა ატამანმა, თითქო განგებ სიკვდილი უნდაო, აღარც აცია, აღარც აცხელა და მაშინვე შეუტია ამ რაზმს, თვით პირველი გადაერია შენავთებულ ბრძოლაში და, ხან-მოკლე ომს შემდეგ, სათითაოდ ამოჰჟლიტა ყველანი, ორიოდეს გარდა, რომელნიც იმიტომ დასტოვა ცოცხალნი, რომ იქნება წამებით ვათქმევინო ყოველიო. რაკი დარწმუნდა, რომ აქეთ არც ერთს შლიახტიჩს არ გამოუვლია ყმაწვილ ქალთან ერთადო, აღარ იცოდა, რა ექნა და, გაბრაზებული, იფხრეწდა ჭრილობის შესახვევებსა. წინ წასვლა მტკნარი უგუნურება იქმნებოდა,—იქვე ახლო-მახლო თავადის პოლკები იდგნენ ბანაკად. ერთგულმა ყაზახებმა გამოიტაცეს მწუხარებით დასუსტებული ატამანი და უკანვე მოიყვანეს რაზლოგს. რაზლოგში რაც რამ შენობა იყო, იმათი ქვა-ქვაზედ აღარ დარჩა. გლეხ-კაცებმა სულ გაძარცვეს, მერე გადაჰბუგეს და შიგ ამოჰწვეს თავადი ვასილიცა; იფიქრეს, რასაც ჩვენ მოვიქმედებთ, სულ ერთია, ბოგუნს დაჰბრალ-

დებაო. დასწვეს ყოველივე შენობა, რაც იყო ეზოში, გადასჩეხეს ალუბლის ბაღი, ამოსწყვიტეს მსახურ-მხლებელნი. ხალხი შეუბრალებლად იძიებდა შურს იმ შევიწროებისათვის, რომელიც ადგა კურცევიჩებისაგან. იქვე რაზლოგს ახლოს ბოგუნს ჩაუვარდა ხელში პლესნევსკი, რომელსაც დაემუქრა, ცოცხალს დაგწვავო და ამიტომ იმანაც უამბო ყოველივე, რაც ენახა,— როგორ და სად გაიმარჯვა ხმელნიცკიმ, როგორ აიღო მან ჩიგირინი და სად შევხვდი პან ზაგლობასაო. გახარებულმა ატამანმა პატარა თავისუფლად ამოისუნთქა. ბრძანა, ჩამოაღრჩეთ პლესნევსკიო და გაეშურა გზას სრულიად დარწმუნებული, რომ ახლა კი ზაგლობა ველარ წამივა ხელიდანაო. ვიღაც ჩოდრებისაგან გაიგო კიდევ ზოგიერთი რამ ახალი, მაგრამ ფონს შემდეგ ყოველივე კვალი ისე დაიკარგა, რომ ველარა გაიგო-რა. ატამანი ვეღარ შეხვდა იმ გლახას, რომელიც პან ზაგლობამ გაძარცვა: შეშინებული მოხუცი დამფრთხალ ნადირივით ლელიანებში იმალებოდა.

ამ სახით გაიარა სამმა დღე და ღამემ, ხოლო რადგან ვასილიოვკისკენ დევნამ ორი დღე მოინდომა, ამიტომ ზაგლობას დიდი დრო ჰქონდა მოგებული. საით გადავარდე ახლაო? ამ გაჭირების ჟამს ბოგუნს აღმოუჩინა შემწეობა ესაულმა, ერთმა გამოცდილმა მინდვრის მგელმა, რომელიც ყმაწვილობითვე მიჩვეული იყო ყრუ უდაბნოში თათრების ძებნასა.

— ბატონო,—სთქვა იმანა,—ჩიგირინში გაქცეულან და სწორედ კარგადაც უქნიათ, იმიტომ რომ კარგა დრო მოიგეს, ხოლო როცა გაიგეს პლესნევსკისაგან ხმელისა და ყვითელ წყლების ამბავი, სჩანს, სხვა გზა ირჩიეს. შენ თვითონა ჰნახე, რომ გზა გადუხვევიათ და უგზო-უკვლოდ წასულან.

— მინდვრად?

— მინდორში მალე ვიპოვიდი, ალბად დნეპრს დაჰყოლიან, იქნება გეტმანის ბანაკში მივიდეთო. ისიც კი შესაძლებელია, რომ ჩერკასისკენ წავიდნენ, ან არა და—ზოლოტონოშასა და პროხოროვკისაკენ... თუ კიდევ პერეიასლავლისაკენ წავიდნენ, იქაც ვიპოვით, თუმცა კი არა მგონია. საჭიროა, ერთ-ერთი

ჩერკასისაკენ წავიდეთ, ერთ-ერთი — ზოლოტონოშასაკენ, თან რაც შეიძლება, მალე, იმიტომ რომ დნეპრში გავლენ თუ არა, გეტმანებს შეეყრებიან, ან არა და ხმელნიცკის თათრები შეიპყრობენ.

— მაშ, შენ ზოლოტონოშას წადი, მე კი ჩერკასს წავალ.

— კარგი.

— ფრთხილად იყავი: ლიახი დიდი ცბიერი მელაა!

— ოჰ, ფიქრი არ არის, მეც უკეთესი არა ვარ.

ამ მოსაზრების თანხმად, რაზმი ორ ნაწილად გაიყო. იმ-დღესვე, საღამო ჟამზედ ხნიერი ესაული ანტონი დემიანოვკას მივიდა.

სოფელი ცარიელი იყო; დედა-კაცები-ღა დარჩენილიყვ-ნენ, რადგან მამა-კაცობა ყველა ხმელნიცკისთან გახვეტილიყო. შეიარაღებული რომ დაინახეს, დედა-კაცნი საბძლებსა და ამბ-რებში დაიმალნენ. ანტონმა დიდ ხანს ეძება, რომ ძე-ხორციე-ლი ეპოვნა ვინმე და ბოლოს ძლივს წააწყდა ერთს დედა-ბერს, რომელსაც აღარაფრისა აღარ ეშინოდა, თათრებისაც კი.

— სად არიან გლეხ-კაცნი, დედაბერო? — ჰკითხა ანტონმა.

— მე რა ვიცი, მერე! — უპასუხა დედაბერმა და გამოაჩი-ნა თვისი გაყვითლებული კბილები.

— ჩვენ ყაზახნი ვართ, ბებერო, ნუ გეშინიან; ლიახები ხომ არა გგონივართ.

— ლიახები? ოი, იმათა და იმათ თავსა!

— თქვენ ხომ ჩვენსკენა ხართ, არა?

— თქვენსკენა? — ბებერი პატარა ხანს შესდგა. — ჯანდაბას თქვენი თავიცა!

ანტონმა აღარ იცოდა, რა უქნა, რომ უცებ დაიჭრიპ-ლა ერთის ქოხის კარებმა და ყმაწვილი, ლამაზი ქალი გამო-ვიდა ეზოში.

— ეი, ვაჟკაცნო! გავიგე, რომ თქვენ ლიახები არა ყრ-ფილხართ.

— არა, ლიახები არა ვართ.

— მა'მ, თქვენ ხმელნიცკის კაცები ხართ?

— ხმელნიკკისანი ვართ.

— გლეხ-კაცების ამბავს რასა ჰკითხავთ მაშა?

— ისე ვკითხავდით, წავიდნენ თუ არაო.

— წავიდნენ, წავიდნენ!

— მადლობა ღმერთსა!

— ერთი ეს გვითხარი, ჯეირანო, ერთს შლიახტიჩს ხომ არ გამოუვლია აქეთა, ხნიერსა, ყმაწვილის ქალითა?

— შლიახტიჩსა? ლიახსა? არ მინახავს სწორედ.

— არავინ არა ყოფილა აქა?

— იყო პაპა. აგულიანებდა ჩვენებს, ხმელნიკკისთან წადით, ზოლოტონოშას, აქ კი თავადი ერიომა მოვაო.

— სად აქაო?

— სადა და აქა. მერე ზოლოტონოშასაც წავაო.

— მერე ის აქეზებდა გლეხებსა აჯანყდითო?

— აქეზებდა.

— ერთი იყო?

— არა. იმასთან მუნჯიც იყო.

— როგორი, რა სახის კაცი იყო ის მოხუცი?

— ოჰ, მოხუცი, გადაყრუებული, სულ ფანტურს უკრავდა პანებზედა ბრაზობდა. მე თვითონ კი არ მინახავს სწორედ.

— გლეხებს აქეზებდა მაშ, აჯანყდითო?—ერთხელ კიდევა ჰკითხა ანტონმა.

— ჰმ! მშვიდობით იყავ, ჯეირანო!

— მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ ღმერთმა.

ანტონი ღრმა ფიქრმა წაიღო. ის პაპა რომ ტანისამოსგამოცვლილი ზაგლობა ყოფილიყო, რაღა ეშმაკისა და ქაჯისათვის დაუწყებდა ხალხს წაქეზებას, აჯანყდითო? ეგეც რომ არ იყოს, სად იშოვა ტანისამოსი, რა უყო ცხენებსა? მაგრამ, პირველი მაინც ის არის, რისთვის აქეზებდა ხალხს აჯანყებად და აფრთხილებდა, თავადი აქ მოვაო? შლიახტიჩი უპირველეს ყოვლისა თავადის ბანაკში შეაფარებდა თავსა. ხოლო თუ თავადი ზოლოტონოშას მიდის, რაიცა ჭკუას ახლოა, ვასილიოვკას ჯაერს იყრის უეჭველად. ანტონი შეაჟრჟოლა; ახალი ალა-

ყაფის კარი, რომლის ახლოც მან გაიარა, ზედ-მიწევნითა ჰგავდა საღრჩობელას.

— არა, ის პაპა მხოლოდ პაპა თუ იყო და არავინ სხვა. ტყუილად წავალ ზოლოტონოშას; სჯობიან ისევ სხვა მხარეს წავიდე.

— კარგი, მაგრამ მერე რალაი? ვიცადო—თავადი მოვა, წავიდე კიდევ პროხოროვკას, გავიდე დნეპრში და—ეგ ხომ ის იქნება, რომ პირდაპირ გეტმანებს ჩავუვარდები ხელში.

მინდვრის ბებერმა მგელმა იგრძნო, რომ ძალიან შეეიწროებული ვარ ამ თვალ-გადუწვდენელ ფართო მინდორშიო. მიხვდა, რომ თუმცა მე მგელი ვარ, აგერ მელა დამხვდა წინ და ეს მელა პან ზაგლობაოო.

უცბად ხელი შემოიკრა შუბლში.

— ე გლეხ-კაცობა რადად წაიყვანა პაპამ ზოლოტონოშას, რომელს იქითაც პროხოროვკაა, ხოლო პროხოროვკას შემდეგ, დნეპრს გაღმა, გეტმანები არიან და მთლად ლაშქარი სახასო?

ანტონმა გადასწყვიტა, რაც იქნება-იქნება, პროხოროვკას უნდა წავიდეო.

მივალ დნეპრის ნაპირადაო,—ჰფიქრობდა გულში ანტონი:—და თუ გავიგე, რომ გაღმა გეტმანის ჯარები სდგას, აღარ გავალ წყალში, დავყვები ნაპირ-ნაპირ და ჩერკასის პირდაპირ შევუერთდები ბოგუნსა. იქნება გზა-გზა გავიგო, რამე ხმელნიცკისაო. პლესნევსკის ჩვენებით მან უკვე იცოდა, რომ ხმელნიცკიმ დაიპყრა ჩიგირინი, კრივანოსი გაჰგზავნა გეტმანების წინააღმდეგ, ხოლო თვითონაც ტუღაი ბეისთან ერთად მალე ეკვეთებოდა ამათს ჯარებსავე. ანტონი გამოცდილი ჯარის-კაცი იყო, კარგად იყოდა ადგილ-მდებარეობის ვითარება და დარწმუნებული იყო, რომ ომი უკვე გადახდილიაო. მაშასადამე, კაცმა უნდა იცოდეს, როგორ მოიქცესო. თუ ხმელნიცკი დაძლეულ იქნა, მაშინ გეტმანის ჯარები მთლად მოდებული ექნება დნეპრის სანაპიროებს, მაშინ ამაო-ღა იქნება ძებნა პან ზაგლობასი. მაგრამ, ვსთქვათ, ხმელნიცკიმ გაიმარჯვა. მართა-

ლია, ანტონს საიმისოდ არა სჯეროდა ესა. ბევრად უფრო ადვილია დაძლევა გეტმანის შვილისა, ვიდრე გეტმანისა, დაძლევა რაზმისა, ვიდრე მთელის ჯარისაო.

„ეჰ!—ფიქრობდა გულში ბებერი ყაზახი,—ჩვენი ატამანი უკეთესს იზამდა თვისის ტყავის გადარჩენისათვის ეზრუნა, ვიდრე ყმაწვილის ქალის მოპოვებისათვის. ჩიგირინთან შეიძლებოდა დნეპრში გასულიყო და სეჩისკენ გაეკრა. აქ კი თავად ერემიასა და გეტმანებს შორის ვერაფერი კარგი დღე დადგება“.

იყო ანტონი ამ საგნის განსჯაში და თან სწრაფად უახლოვდებოდა სულას. აგერ მოდილნაიდ და მერე ხომ დემიანოვკაც ახლოა. ორივე სოფელი ცარიელი იყო, მაგრამ ანტონმა, ბედად, მზა-მზარეული ტივი და მეტივენი იპოვა სულაში. გასასვლელად. დნეპრის ამიერ მხარე ისე იყო შებოჭილი თავადის რკინის ხელითა, რომ თვითონ ვერა ჰბედავდა აჯანყებას, ხოლო გლეხ-კაცობა მრავლად ივლტოდა ამ სოფლებიდან. და აგრედვე სხვა დაბა-ადგილებიდან ხმელნიცკისთან. ყვითელ-წყლების გამარჯვების ამბავი უცბად მოეფინა მთელს მხარეს. მრუსვენარი ხალხი ერთს ალაგას ვერა ჩერდებოდა, თუმცა არავითარი მიზეზი არა ჰქონდა მღელვარება დაეწყო; თავადი საშიში იყო აჯანყებულთა და მეამბოხეთათვის, ხოლო ჭეშმარიტი მეგობარი და მამა იყო მშვიდობიან მოსახლეთათვის, ხოლო მისნი მოურავნი დიდ შიშ-ქკეშ იყვნენ და ერ შეეძლოთ გაებედნათ და უსამართლობა მიეყენებინათ ვისთვისმე. გარნა ველური ხალხი, რომელიც, დიდი ხანი არ იყო, რაც ავაზაკობაში ირთმევდა სულს და ხვნა-თესვას მისჩვეოდა, ვერ იშვნევდა წეს-რიგის სასტიკობას და მირბოდა იქ, საცა იმედი ჰქონდა განუსაზღვრელის თავისუფლებისა. მრავალის სოფლიდან გაიქცნენ ხმელნიცკისთან დედა-კაცნიც კი; ბევრ სოფლიდან სულ გაიხვეტა ხალხი დედიან-ბუდიანად: წავიდნენ ყველანი და თავიანთი სახლები და ქოხები სულ გადასწვეს, უფრო ვეღარ დაბრუნდებით უკანვეო.

ანტონმა დაუწყო გამოკითხვა მეტივე-მეკატარღეთა, ამბავი ხომ არა არის-რა დნეპრის გაღმა-მხრიდანაო. ამბავი მოდიოდა, მართალია, მაგრამ სხვა-და-სხვა ნაირი, ერთმანეთის გამაბათილებელი. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ხმელნიცკის სძლიეს გეტმანებმაო, მეორენი ამბობდნენ, რომ გამარჯვება დარჩა ხმელნიცკისაო. მეკატარღენი ჰგონებდნენ, რომ ეს კაცი უთუოდ ტანისამოს-გამოცვლილი შლიახტიჩიაო და ამიტომ, ეტყობოდათ, რომ თავად ერემიას შიშით, თავისუფლად ვერას ამბობდნენ.

ანტონმა დაამშვიდა ისინი და დაუწყო გამოკითხვა დემიანოვკას გლეხ-კაცობის შესახებ.

— დიაღ, დიაღ! ჩვენ გავიყვანეთ გაღმა,—სთქვა ერთმა მეკატარღემ.

— პაპა იყო იმათთანა?

— იყო.

— მუნჯიცა, ყმაწვილი?

— მუნჯიც იყო.

— მერე თვალად ან ტანად როგორი იყო პაპა?

— ასე, ხანში შესული იყო, სუქანი, თვალები გადმოჰკარკლოდა და ერთზედ ბისტი ჰქონდა გადაკრული.

— სწორედ ისა ყოფილა!—იფიქრა ანტონმა და. კვლავ განაგრძო: —პატარა ბიჭი?

— ოჰ, ის ბიჭი ხომ სულ ანგელოზსა ჰგავდა. იმისთანა თავისდღეში არ გვინახავს.

ამ დროს უკვე მეორე ნაპირას მიატანეს.

ანტონმა უკვე იცოდა, როგორ მოქცეულიყო ახლა.

„მივგვრით იმ ჯეირანს ატამანსა“,—ბუტბუტებდა თავისთვის ატამანი, მერე შეუძახა ყაზახებს: „ჰკათ ქუსლი ცხენებსა“!

ყაზახნი გაჰფრინდნენ ისე, თითქო ფრინველთა გუნდი დააფთხო ვინმეო, თუმცა გზა ძნელი სავალი იყო, ხევ-ღელეებით სავსე და ღადა-ღუდა. ერთ ხევის ძირას რაღაც ნასახი სჩანდა გზისა. ყაზახებმა სულ ჭენებით გაიარეს რამდენიმე ვე-

რსი დაუსვენებლივ; ანტონი პირველი მიაქროლებდა თავისს ქურან ცხენსა. აგერ გაჰლიეს კიდეც ხევი, რომ ანტონმა უცებ დაჰკრიფა ლაგამი და შეაყენა ცხენი.

— ეს რა ამბავია?

ყაზახთა წინ გამოჩნდა შეირაღებული რაზმი ცხენოსანთა. რომელიღაც პოლკი დიდის წესითა და რიგით ჩადიოდა ხევში. ანტონმა შეჰხედა და სულ შეაკრეკოლა, გული რაღამაც ატკინა, პირისახე მკვდარივით გაუფითრდა.

ანტონმა იცნო თავად იერემიას დრაგუნები.

ღრო აღარ იყო თავის შველისა. ოცი ნაბიჯი-ღა იყო ანტონსა და დრაგუნებს შორის; ამას გარდა, ცხენებიც ისე დაჰხოცეს ჭენებითა, რომ მდევარს ვერსად ვერ წაუვიდოდნენ. ანტონმა გაჰხედა და გასწია წინ.

— ვინა ხართ და რა ხალხი ხართ?—მრისხანედ ჰკითხა პორუჩიკმა.

— ბოგუნის კაცნი ვართ!—უპასუხა ანტონმა, რაკი მიხვდა, რომ მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მართალი ეთქვა. მაგრამ პორუჩიკი... რა ექნა, ეს კაცი ხომ მეცნობაო; პერეიასლავლში მინახავსო.—პან პორუჩიკი კუშელი! მადლობა ღმერთსა!

— ოჰ, შენა ხარ, ანტონ!—და პორუჩიკმა იცნო ესაუღლი.—აქ რას აკეთებთ? სად არის თქვენი ატამანი?

— პანმა დიდებულმა გეტმანმა გაჰგზავნა ჩვენი ატამანი თავად-მოურავთან და სთხოვა, შეეწიეო. ატამანი წავიდა ლუბნს, ხოლო ჩვენ გვიბრძანა, იარეთ სოფელ-სოფელ და შეიპყარით ლტოლვილნიო.

ანტონი სტყუოდა ულმერთოდ. მაშინათვე მიხვდა, რომ დრაგუნთა რაზმს, რომელიც დნეპრიდან მოდის, არაფერი არ ეცოდინება არც იმისი, რომ რაზლოგს თავს დავესხით, არც ვასილიოვკის ომისა და არც ბოგუნის ამბებისა საზოგადოდაო.

პორუჩიკი მაინც ჩაფიქრდა.

— კაცს კი ეგონება, რომ ვითომ გინდა აჯანყებულთ შეუერთდე,—სთქვა მან.

— ეე, პან პორუჩიკო, ჩვენ რომ ხმელნიცკისთან შეერთება გვდომოდა, გალმა მხარში ვიქნებოდით ახლა.

— მართალია,—უპასუხა კუშელმა,—ეგ ისეთი სიმართლეა, რომელსაც არ შეიძლება კაცმა ანგარიში არ გაუწიოს. მაგრამ თქვენი ატამანი ველარ მიუსწრებს პან მოურავს ლუბნში.

— ერიჰა! მაშ სად არის თავადი?

— პრილუკს იყო. შესაძლოა გუშინ წავიდა ლუბნს.

— ხათაბალა გინდა, სწორედ ეს არის... ნება მიბრძანეთ, გკითხოთ, ეს ჯარი ზოლოტონოშადან მოგყავთ?

— არა. ჩვენ კალენკას ვიყავით დაბანაკებულნი, ხოლო ახლა ბრძანება მოგვივიდა, ლუბნს მოდითო და, იქიდან ყველანი ერთად გავალთ სალაშქროდ. თქვენ საით-ღა მოდიხართ?

— პროხოროვკას; იქ გლეხ-კაცობა გადის გალმა-მხარსა.

— ბევრნი წავიდნენ კიდეცა?

— ოჰ, ბევრნი, ბევრნი?

— მაშ, წადით, გზა დამილოცნია!

— მადლობას მოგახსენებთ. ბედნიერად გამგზავროთ.

დრაგუნებმა მისცეს გზა და განუტევეს ანტონი.

გამოსცდა თუ არა ხევს, ანტონი შესდგა და ყურს უგდებდა იმ დრომდე, ვიდრე დრაგუნთა ფეხის ხმა არ შესწყდა. კარგა მოშორებით.

— იცით, სულელებო,—მიჰმართა მან თავის ყაზახებს,—მე რომ არა, სამს დღეს უკან ყველას მარგილებზედ ჩამოგაცვამდნენ. ახლა კი გავსწიოთ საჩქაროდ.

და ანტონმა გადუჭირა მათრახი თავის ცხენს.

— გავიმარჯვეთ!—ჰფიქრობდა გულში ანტონი.—ჯერ ერთი რომ მშვიდობით გადავრჩით, მეორეცა, ზაგლობა ასცდა უთუოდ დრაგუნებს, თორემ ამაო-ღა იქნებოდა მისი დევნა.

მართლაც, ბედმა უმტყუნა პან ზაგლობას; ის რომ პან კუშელის რაზმს შეხვედროდა, მერე სულ საჭირო აღარ აქნებოდა ეზრუნა თავის ბედისათვის.

ახლა კი, პროხოროვკას, როცა გაიგო კორსუნის გამარჯვება, თავს-ზარი დაეცა. ჯერ ისევ ზოლოტონოშამდე გზა-გზა ესმოდა ხმები, რომ დიდი ომი იყო, ხმელნიცკიმ გაიმარჯვაო, მაგრამ პან ზაგლობას ნაკლებად სჯეროდა ეს ლაპარაკი; მან კარგად იცოდა, რომ ხალხში ადვილად ვრცელდება ყოველგვარი ხმა. ხოლო პროხოროვკაში საეჭვო აღარა იყო-რა მისთვის. საშინელის სიმართლისათვის პირდაპირ უნდა გაემართნა თვალი. ხმელნიცკი გამარჯვებული იყო, სახასო ჯარები ამოწყვეტილი, მთლად უკრაინას ცეცხლი ჰქონდა მოდებული.

პირველ ხანს პან ზაგლობას სულ თავ-გზა დაეკარგა. საშინელს ყოფაში იყო. ბედი ხელ-აღებით ჰღალატობდა, რადგან ზოლოტონოშას ვერავითარი მეცხოვნეთა რაზმი ვერ იპოვნა. მთელი ქალაქი საშინლად იყო ამრეზილი ლიახების წინააღმდეგ, ძველი ცხე ცარიელი იდგა. პან ზაგლობას ერთი ბეწვა ეკვიც აღარა ჰქონდა, რომ ბოგუნი მეძებს და, ადრე თუ მალე, მიპოვის კიდეცაო. მართალია, შლიახტიჩი ციბრუტივითა ტრიალებდა, თითქო წამოგდებული კურდღელიაო, მაგრამ მაინც კარგად იცოდა ვინ იყო მისი მეძებარი ძაღლი; ის ძაღლი კვალს არ დაჰკარგავს, ათასნაირადაც რომ ავურიო კვალი და ხან აქ უსხლიკუდო, ხან იქაო. ამ სახით, პან ზაგლობას უკან ბოგუნი იყო, ხოლო წინ გადაჰშლოდა ზღვა ხალხის აჯანყებისა, ჩეხა-ჟლეტა, ცეცხლის კიდება, თათართა ურდონი, გააფთრებული ბრბო.

ამისთანა ყოფაში გაქცევა საითმე ყოვლად შეუძლებელი იყო, მერე ისიც გაქცევა ყმაწვილ ქალთან ერთად, ისეთ ყმაწვილ ქალთან, რომელსაც ბიჭური ტანისამოსი ეცვა და მაინც ისეთი საკვირველი ლამაზი იყო, რომ ყველა დიდის ყურადღებით აკვირდებოდა.

გარნა პან ზაგლობას მკვირცხლი გონება ჰქონდა და სწრაფად ახერხებდა საქმის მოსაზრვას. რაც უნდა დიდსა და ძლიერს სულის კვეთებასა და ქარ-ტეხილში ყოფილიყო, მხოლოდ ერთს რასმე ითვალისწინებდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთს რასმე ჰგრძნობდა და ეს ერთი რამ ის იყო, ბოგუნი ასჯერ უფრო

საშიშია, ვიდრე ცეცხლი და ნავთი, წყალი და აჯანყება, ჩეხა და ჟლეტა... კინაღამ ვიდრე თვით ხმელნიცკიო. მარტო ერ ერთი ფიქრი, რომ შესაძლოა იმ საშინელს ატამანს ჩავუვარდეს ხელშიო, სულ ტანს აუკანკალებდა ხოლმე პან ზაგლობას.

— იმისაგან კი კარგა მომხვდება,—იმეორებდა წამ-დაუწუმ.—იმას კიდევ ჯანი გავარდეს, ამ მღელვარებას როგორღა გადურჩეს კაცი.

ერთად ერთი ხსნა-ღა იყო, მიეტოვებინა ელენე, დაეგდო ღვთის ანაბარად, მაგრამ პან ზაგლობას ეს არ უნდოდა.

— მე მგონიაო,—ეუბნებოდა ზაგლობა ელენეს,—სწორედ კარგ დროს მოგინდომნიათ, რომ თქვენის გულისათვის მე გამაძროონ ტყავი.

მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია მისი მიტოვება. მაშ, რა ექნა, რა შავი ქვისთვის ეხლია თავი?

— თავადის ძებნის დრო აღარ არის,—ბჭობდა თავისთვის ზაგლობა.—ჩემ წინ აგერ ზღვა გადაშლილა; მოდი და ჩავიყურჭუმელავებ ამ ზღვაში, სხვა არა იყოს-რა დავიმალები მაინც; მერე იქნება ღმერთმა იპრიანოს და ნაპირსაც გავიდე მშვიდობიით. იფიქრა ასე და გადასწყვიტა, ავდგები და გავალ დნეპრის მარჯვენა ნაპირასო.

პრახოროვკაში დნეპრში გასვლა ადვილი არ იყო. პან ნიკოლოოზ პოტოცკის სულ თვითონ წაეღო, რაც რამ ნავები ყოფილიყო პერეიასლავიდან ჩიგირინამდე ქშეჩოვსკის ჯარისათვის. პროხოროვკაში დარჩენილიყო ერთი მიკონკილ-მოკონკილი ბორანი, მაგრამ იმასაც ათასობით ლტოლვილნი ელოდნენ. თვით სოფელში დაჭერილი იყო, არამც თუ ყველა სახლები, არამედ ბეღლები და ამბრებიცა, თავლა-ბოსლებიც კი. თან საშინელი სიძვირე იყო ყველაფერისა. პან ზაგლობა იძულებული იყო ნება-უნებურად მოემართნა თვისი ფანტური და მით ლუკმა-პური ეშოვა. მთელ დღე და ღამეს იცადა და გასვლა ვერ მოახერხა: ბორანი გაფუჭებული იყო და შეკეთება ეჭირვებოდა. ის ღამე წყალისპირად გაატარა ელენესთან ერთად მთვრალ გლეხ-კაცების ბრბო-

ში; ღამე კი, რაღაც საუბედუროდ, ძალიან ციოდა. კნიაჟნა ისე იყო მოქანცული, რომ ძლივსღა ჰფეთქავდა. ეშინოდა კიდეც, ძრიელ არ გავხდე ავადაო. პირისახე დამწვარი ჰქონდა, თვალებს სიცოცხლე გაჰქრობოდა; ყოველ წუთს ის აზრი ედგა თვალ-წინ, რომ აი ან ახლა მიცნობენ, ან ახლაო, რომ ბოგუნის კაცები საცაა დამეწევიანო. იმ ღამესვე საშინელის სცენის მოწამე შეიქნა. გლეხებმა შეიპყრეს რამდენიმე ოჯახი შლიახტიჩებისა, რომელნიც ივლტოდნენ ვისნევეცკების მამულში გასახიზნადა და საშინელის ტანჯვითა და წამებით ამოჰხოცეს. ყოვლად საზარელი მძვინვარებაც კი დაიჩრდილებოდა იმ სასჯელთა წინაშე, რომელსაც იგონებდა გააფთრებული, გალეშილი ბრბო. თვით პროხოროვკაში სცხოვრობდა ორი ოჯახი ებრაელთა; ისინიც შეპყრობილ იქმნენ და დნეპრში ჩარჩობილ. ყოველ ამას თან მოსდევდა საშინელი ველური ხარხარი და მხიარულება. ათასში ერთხელ რომელიმე უგონო მთვრალი დაიღრიალებდა: „ხალხო, თავს უშველეთ, ერიომა მოდისო!“ და ყველანი მირბოდნენ წყალის ნაპირად, ეჯარებოდნენ და ჰყრიდნენ წყალში ერთმანერთს. საშინელი ღამე იყო ის ღამე და დიდი უბედურება კიდევ ის იყო, რომ დასასრული არ უჩანდა ამ ყოფას. ზაგლობამ იშოვა ერთი ჩარეჭა არაყის ფული, დაიწყო სმა თვითონ და ძალად ასმევდა კნიაჟნასაც. უამისოდ სულ დაჰკარგავს გრძნობას და გონზედ ველარ მოვიყვანო, ჰფიქრობდა პან ზაგლობა. ბოლოს, დნეპრის ტალღებს ცრიაგი ფერი დაედო. თენდებოდა. დგებოდა დღე, მოშავებედებული, ღრუბლიანი, ნოტიო. ზაგლობას უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გასულიყო დნეპრში. ბორანი შეაკეთეს, მაგრამ გარშემო საშინელი ზედა-ხორა იყო მჭიდროობისაგან.

— ადგილი მიეცით ბერიკაცსა, ადგილი პაპასა!—ჰყვიროდა ზაგლობა და იკვალავდა გზას.—ადგილი პაპასა! ვისწრაფი, რომ ხმელნიცკისთანა და კრივანოსთან მალე მივიდე. ადგილი პაპასთვის, ღვთის ხალხნო, ლამაზნო და მშვენიერნო, აი გაგწყვიტათ ყველანი ჩემმა სალოცავებმა! თვალთ არ მიჭრის,

წყალში ჩავარდები... ნელა ეს ბიჭი არ დამიღრჩოთ წყალში! დამითმეთ ადგილი, ჩემო სასურველნო შვილნო, აი მეხი და მედგარი დაგეცეთ თავში და თან ჩაგიტანოთ შავს მიწაში!

ასე ჰყვიროდა, იწყევლებოდა, ეკედრებოდა ხალხს და თან აპობდა ბრბოს თვისის ძლიერის მკლავებითა. ამ სახით, ჯერ ელენე აიყვანა, როგორც იყო, ბორანზედ და მერე თვითონაც აბობღდა და ხელ-ახლად დაიწყო ღრიალი:

— გეყოფათ, კმარა! აბა, რას მობობღავთ? ახლა ბორანსაც ჩასძირავს, მაგოდენა ხალხი რომ ეჯარებით. კმარა! თქვენი რიგიც მოვა; არ მოვა კიდევა და—კისერიმც მოგიტეხიათ, დიდს არას დაჰკარგავს ქვეყანა.

— კმარა, კმარა!—მხარს უჭერდნენ სხვებიცა, ვისაც უკვე მოესწრო ბორანზედ ასვლა.—გასწი მებორნე, აუშვი ბორანი!

ბორანი უფრო კატარღასა და ტივსა ჰგვანდა. აგერ ნელ-ნელა მოჰშორდა ნაპირს; მერე წყალის ძრიელმა მდინარებამ ცოტა ირიბად წაიღო დემენტოვისაკენ.

ჩვენი მგზავრნი უკვე შუა დნეპრში იყვნენ, რომ უცბად პროხოროვკის ნაპირად ატყდა საშინელი ყვირილი.

— რა ამბავია? რა მოხდა?—კითხულობდნენ ტივზედა.

— ერიომაა!—დაიყვირა ვიღამაც.

— ერიომა, ერიომაა!—ჰყვიროდნენ სხვანიცა.

მეტივე-მეკარტაღეებმა ღონივრად მოუსვეს ორთაყვირებს და ტივი გაჰქანდა ყაზახთა ლიხვიტა ნავივითა.

ამავე დროს რაღაც ჯარი გამოჩნდა პროხოროვკის ნაპირზედა.

— ერიომას ჯარია!

ახლად-მოსულნი საჩქაროზედ ჰკითხავდნენ რაღაცას ნაპირად დარჩენილებს და მერე დაიწყეს ყვირილი, ტივი გაჩერეთო.

ზაგლობამ გაიხედა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ; იცნო, რომ ნაპირად ბოგუნის ყაზახნი იყვნენ.

სწორედ აგრეც იყო: ახლად მოსულნი იყვნენ ბოგუნის ყაზახნი ესაულის ანტონითა.

მაგრამ, როგორცა ვსთქვით, პან ზაგლობა თავის დღეში დიდ ხანს არ დარჩებოდა ხოლმე უგონოდ; საჩქაროზედ თვალები მოიფშვნიტა, თითქო თვალთ აკლიაო და მერე უცბად შეჰყვირა განწირულებით:

— შვილებო, ეგენი ვისნეეეცკის ყაზახნი არიან! ოჰ, ღვთისა და ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლის გულისათვის, მალე გაიტანეთ ტივი გალმა! შესაცოდავნი არიან, ვინც იქით ნაპირას დარჩა, მაგრამ რა ვუყოთ, უნდა დავშალოთ კატარღა, თორემ ყველას ამოგვეჟლეტენ!

— აბა, ჩქარა, დავშალოთ კატარღა, სულ დავანაფოტოთ,—გაისმა ძახილი აქეთ-იქიდან.

ისეთი ხმაურობა ატყდა ტივზედ, რომ აღარ ისმოდა, რას ჰყვიროდნენ მეორე ნაპირიდან. ტივი ჭრიალით მიადგა თხელს ნაპირს და გაირიყა. ზოგნი ჯერ არც კი გადასულიყვნენ ნაპირზედ, რომ სხვებმა დაუწყეს შლა ტივსა და ჭრა წკნელებსა. ხეები და გასაყარნი მიეცნენ წყალს. შიშმა ერთი ათად მოუმატა ხალხს ძალა; იმ უბედურ კატარღისა აღარა გადარჩა-რა თითქმის.

პან ზაგლობა კი ამასობაში გაჰკიოდა მაინც:

— დაჰკათ ცული, დალეწეთ, დაამტვრიეთ! თავს უშველეთ! ერიომა მოდის, ერიომა მოდის!

ასე ღრიალი არ უშლიდა მაინც და თავის მჯრთალისა და საღის თვალით მრავალმნიშვნელოვანებით ანიშნებდა ელენეს, რისთვის ვიქცევი ასეო.

მეორე ნაპირზედ მყოფთ დაინახეს, ალბად, რომ ტივი სულ გააქრეს, იშიტომ რომ ყვირილი მათი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ, რადგან დიდი მანძილი იყო, სიტყვები არ ისმოდა და შეუძლებელი იყო გაერკვია კაცს, რასა ჰყვიროდნენ იქიდან.

ტივი სულ მიშალ-მოშალეს და ახლა ახალმა სანახავმა ჭააოცა ყველანი, ვინც გადარჩა დაღუპვასა.

— წყალში სცეივიან ცხენოსნები, მოდიან ჩვენსკენ!

მართლაც, ჯერ ერთმა ცხენოსანმა, მერე რამდენმამე სხვამ შეაგდეს ცხენები წყალში და მოინდომეს ცურვით გასულიყვნენ მეორე ნაპირას. ასეთი საქციელი უგუნური მამაცობა იყო, იმიტომ რომ გაზაფხულის გამო, მოდიდებული წყალი საშინელის ონავრობით მოაქანებდა ზვირთებს. ცხენები მოიტაცა ჩქარმა მდინარებამ და ამიტომ პირდაპირ ვეღარ მისცურავდნენ: წყალი ძალიან უძალიანდებოდა ცხენებს და მდინარება ქვეით-ქვეით ეწეოდა.

— ვერ გამოსცურეენ!—ჰყვიროდნენ გლეხნი.

— დაირჩობიან!

— მადლობა ღმერთსა! ოჰ, ერთს ცხენს წყალი აყლაპა და დააყურჭუმელავა.

— ჯანდაბას მაგათი თავი!

ცხენებმა გასცურეს მესამედი ნაწილი მდინარისა, მაგრამ ქვეით-ქვეით ეწეოდა საცოდავებს. ეტყობოდათ, რომ ლოინესა ჰკარგავდნენ საშინელ ზვირთებთან ბრძოლითა. მხედარნი, რომელნიც ცხენებზედ ისხდნენ, უკვე წელამდე წყალში იყვნენ. გაიარა რამდენმამე საშინელმა წუთმა. ახლა მოსჩანდნენ მხოლოდ თავნი ცხენებისა; ყაზახებს წყალი ძუძუებამდე სწვდებოდათ, სამაგიეროდ ნახევარი მდინარისა უკვე გასცურეს. ვნახოთ ერთი მათგანი წყალმა დაჰფარა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე.... რიცხვი წყალში შემოსულ ცხენოსანთა თან-და-თან მცირდებოდა, ორივე ნაპირას ჩამოვარდა საშინელი ყრუ დუმილი; ყველანი გულის ფანცქალით მირბოდნენ მდინარის დაყოლება, ვნახოთ, რით გათავდება საქმეო. აგერ მესამედი-ღა დარჩენიათ წყლისა, რომ მოატანონ ნაპირს; აგერ ისმის მძიმე ფრუტუნი ცხენებისა და ხმა ცხენოსანთა, აგერ ზოგიერთებმა უკვე მოატანეს ნაპირსაცა....

უცბად ამ დუმილში გაისმა ხმა ზაგლობასი:

— ეი, შვილებო! აბა ერთი მაგ თავადის ელჩებს კარგად გავუმასპინძლდეთ და დავაზილოთ აქედან თოფები!

გაისმა გრიალი თოფებისა და თოფის-წამლის ბოლმა ერთს წუთს დაჰფარა სანახაობა. წყლიდან მოისმა განწირული ყვი-

რილი... ბოლმა გადიყარა.., სად-ღა არიან ცხენები, ყაზახნი, ყოველივე განჰქრა. წყალში აღარავინა სჩანდა, მხოლოდ ათასში ერთხელ გამოჩნდება ერთის წუთით ან ზურგი ცხენისა, ან წითელი ქუდი ყაზახისა.

ზაგლობა შესცქეროდა ელენეს და თვალით ანიშნებდა, ჰნახე, რა ამბავიაო!

VI

რუსეთის თავად-მოურავმა, იმაზედ წინად, ვზდრე პან სქშეტუსკისა ჰნახავდა, რაზლოგის ნანგრევებზედ მჯდომარესა, უკვე იცოდა კორსუნის ომის ამბავი. მანამდე პრილუკსა სცხოვრობდა და იქიდან გაჰგზავნა პან ბოღუსლავ მაშკევიჩი და წერილები გაატანა გეტმანებთან, შემომითვალეთ, საით მივმართო ყოველის ჩემის ძალ-ღონითაო. პან მაშკევიჩმა დიდ ხანს დაიგვიანა და ამიტომ თავადმა პერეიასლავს გადინაცვლა. აქედან ჰგზავნიდა ყველგან შიკრიკებსა და თან აბარებდა, ლუბნში მოიყარონ თავი ყველა ჯარმა და ჯამაათმაო.

მაგრამ ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ რამდენიმე რაზმი, რომელიც თათართა სამზღვრებისაკენ იდგა, მიიფანტ-მოიფანტა, ან არა და აჯანყებულთ მიემხროვო. თავადი სწუხდა, რომ ჩემი ლაშქარი ცოტავდება, თოვლივითა დნება და ისინი, რომელნიც ოდესმე ძლევა-გამარჯვებას იმოსავდნენ ჩემის მხედართმთავრობით, დღეს მტოვებენ, თავს მანებებენო.

კორსუნის გამარჯვების ამბავი მოუტანა თავადს მისმა ძველმა მეგობარმა, პან პოლიანოვსკიმ. თავადმა არ გაამჟღავნა თვისი დარდი და გულის-ტკივილი ჯარის წინაშე და მოდიოდა წინ-წინ დნეპრისაკენ, მოდიოდა ალალა ბედზედ, თვით აჯანყებისა და ჭექა-ქუხილის შუა-გულ ადგილას, მოდიოდა იმ განზრახვით, რომ ან გადავუხდი სამაგიეროს სამარცხვინო ძლევისათვის, ან დეე დავიღუპოვო. ხოლო თუ სახასო ჯარებიც მე შემომიერთდა და მით გაძლიერდება ჩემი ექვს-ათასიანი ლა-

შქარი, ოჰ! მაშინ შევძლებ თუნდ ხმელნიცკის შევება და გავიმარჯვოვო.

თავადმა პერეიასლავლში დაიბანაკა და მიანდო პან ვოლოდიევსკისა და პან კუშელს, დაჰგზავნეთ ყველგან კაცები და აშოვინეთ ნავები და კატარღა-ბორნებიო. თავადის ჯარი მარცხენა ნაპირიდან გაღმა უნდა გასულიყო.

დაგზავნილებმა გაიგეს მრავლად ლტოლვილთაგან კორსუნის ომის ამბავი, ხოლო ნავი კი ვერც ერთი ვერ იშოვეს: ზოგი ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის ჯარს მოსდომებოდა, ზოგი კიდევ ხალხს დაელეწა იმ განზრახვით, რომ თავადი არ გამოვიდეს გაღმა და შური არ იძიოსო. პან ვოლოდიევსკიმ მაინც მოახერხა და ათის დრაგუნით გაღმა გავიდა კატარღითა, რომელიც ხელ-და-ხელ შეაკვრევინა ტივის ხეებისაგან. იქ შეიპყრა რამდენიმე ყაზახი და წარუდგინა თავადსა. თავადმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, რაოდენად დიდი ომი მომხდარიყო კორსუნს ახლო და რა დიდად ემოქმედნა ამ ომს. მთლად უკრაინა აჯანყებულიყო. აჯანყება თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა და ისევე დიდდებოდა, როგორც ზვავი, რომელიც მთის მწვერვალიდან არის წამოსული. შლიახტა ციხე-დარბაზებში იყო გამაგრებული და იქიდან იგერებდა მტერს, მაგრამ ბევრნი მათ შორის უკვე აეღო მტერს.

ხმელნიცკის ჯარი თან-და-თან მატულობდა და ძლიერდებოდა. შეპყრობილნი ყაზახნი ამბობდნენ, რომ მისი ლაშქარი ორასი ათასამდე უნდა იყოსო, მაგრამ შესაძლო იყო, რომ ორის დღის განმავლობაში ამ რიცხვს ერთი-ორად ემატნა. ამიტომ ხან-მოკლე მყუდროების გამოყენება მოინდომა, დადგა ბანაკად კორსუნს ახლო და ახალ-ახალ ჯარის-კაცებს ჰკრეფდა. ჯარში თავის ნებით ჩაწერის მსურველთ ჰყოფდა რაზმებად, უნიშნავდა პოლკოვნიკებს ატამანთაგან და ეშიერ-ჭორომეთის გამოცდილ ესაულთაგან, ჰგზავნიდა საკმაოდ რიცხვმრავალს ჯარებს ახლო-მახლო ადგილების დასაპყრობად. თავადი ერემია დარწმუნდა, რომ ტყუილი ფიქრი იქნება, აქ მოვინდომო გასვლა დნეპრ გაღმაო. თვითონ მევე რომ დაეიწყო

და გავაკეთებინო ნავები 6,000 კაცის გასასხმელად, ამას რაშ-
ღენიმე კვირა მოვუნდებიო და ან კი რას გააწყობს ეს ჩემი
რიცხვ-მცირე ჯარი, როცა მტერს აღურაცხველი მხედრობა
ჰყავსო? სამხედრო თათბირზედ უმეტესობა იმ აზრისა იყო,
რომ ჩრდილოეთისაკენ გავილაშქროთ, ჩერნიგოვის კერძოდ,
ტყე-ტყე, იქიდან ლიუბეჩს ავიდეთ და მერე ბრაგიმოვს ახლო
გავიდეთ გაღმა მხარსაო. ეს გზა კარგის მანძილის გზაა და საკ-
მაოდ საშიში სავალიცა, იმიტომ რომ ამ გზაზედ მრავლად
იყო ჭაობები და ლია-ფშანები; ჯერ ქვეითს ჯარსაც გაუჭირ-
დებოდა სიარული ამ გზაზედ და აბა რაღა უნდა ექნა ცხე-
ნოსანთა და თოფჩთა ჯარსა, ანუ კავალერიასა და არტილე-
რიასა და აგრედვე ნუზლ-სურსათისა და ბარგი-ბარხანის ურ-
მებსა? მაინც თავადს მოეწონა ეს გარდაწყვეტილება და თა-
თბირი საბჭოსი. თითქო სწყუროდა დასდგომოდა ამ ძნელს
გზას: მაგ გზაზედ დამდგარი, ჩემის აზრით, უკან ველარ დაიხე-
ვსო; დავადგები მაგ გზას, გავივლი მთლად დნეპრის ამიერ-
მხარეს, ჩავაქრობ აჯანყების ცეცხლს, დავიფარავ შლიახტას
და შიშის ზარს ვაგრძნობინებ ერს, რომელიც, რაკი ბატონი
სხვაგან მიდიოდა, თვით იყო მოვალე დაეცვა და დაეფარა
ისინი, ვისაც არ შეეძლო უკან გაჰყოლოდა ლაშქარს. მაგრამ
კნეინა გრიზელდა, პანნი ზბარასკებისა და მთლად ჯარის-კა-
ცთა ამალა ჯერ ისევ ლუბნში იყვნენ და ამიტომ თავადმა
გადასწყვიტა, ლუბნში წავალ და უკანასკნელად გამოვეთხო-
ვები ჩემს სახლ-კარსა და ოჯახსაო.

ჯარებმა გასწიეს წინ იმ დღესვე პან ვოლოდიევსკის მხე-
დართ-მთავრობით. ის არე-მარე ჯერ ისევ მშვიდობიანად იყო.
აქა-იქ ჩნდებოდნენ ავაზაკთა ბრბონი, რომელნიც ერთნაირად
სძარცვავდნენ პანების სახელებსაცა და გლეხ-კაცთა ქოხებსაც,
მაგრამ ეს ავაზაკნი მალე აჭლაგმეს ცოტად თუ ბევრად სას-
ტიკ ღონისძიებათა მიღებით. ხალხი ჯერ არსად არ აჯანყე-
ბულიყო, თუმცა ფიქრი და გონება ყველასი მოუსვენრობასა
და მღელვარებაში იყო და ყოველ-ღამ შეიარაღებულნი ბრბო-
ნი გადიოდნენ დნეპრ-გაღმა. შიში და რიდი ჯერ კიდევ ად-

გილს უთმობდა სისხლის წყურვილსა, ძარცვა-რბევის სურვილსა. ერთი შავ-ბედითი ნიშანი სჩანდა მხოლოდ: ყველა მხრიდან, იმ სოფლებიდანაც კი, რომელიც შემწეობასა და კაცებს არ უგზავნიდა ხმელნიცკის, გლეხ-კაცობა ივლტოდა თავადის ჯარის მიახლოვებისათანავე, თითქო ეშინიანთ, რომ საშინელი თავადი ამოიკითხავს, რაც გულში ფიქრი გვაქვს დამარხული, გაიგებს ჩვენის გულის პასუხსა და დაგვსჯის ამისათვისაო. სჯიდა კიდეც ყველგან, საცა კი შეჰნიშნავდა თუნდ სულ მცირედს ნიშნებს უკვე ოდნავ ჩასახულის ამბოხისას და, რაკი ბუნება ისეთი ჰქონდა, რომ ორჭოფობა და ყოყმანი აღარ იცოდა, შუა გზაზედ გაჩერება არ უყვარდა, ამიტომ სჯიდა საშინლად, შეუბრალებლად. შეიძლებოდა ეთქვა კაცს, რომ დნეპრს იმიერ და ამიერ მძვინვარებს ორი ძალა,—ერთი საშიში შლიახტისათვის—ხმელნიცკი, ხოლო მეორე მეამბოხეთათვის—თავადი იერემია. ხალხში ჩურჩულით ამბობდნენ, რომ თუ ეს ორი ძალა ერთმანეთს შეეჯახა, მზე დაბნელდება და წყალი მდინარეთა წითლად შეიღებება სისხლითაო. გარნა მათი შეჯახება მალე ვერ მოხერხდებოდა; ძლევა-მოსილს ყვითელ-წყლებთან, გამარჯვებულს კორსუნს ახლოს,—ერთის სიტყვით იმ ხმელნიცკის, რომელმაც სძლია სახასო ჯარებს, ტყვედ შეიპყრო გეტმანები და რომელიც მოთავეობდა ახლა ათასსა და ათი ათას მხედრობას, ეშინოდა ლუბნის ბატონისა, არც აქეთ და არც იქით; ეშინოდა იმ ბატონისა, რომელიც დნეპრ-გამოღმა ეძებდა ახლა ხმელნიცკის.

თავადის ჯარებმა გაიარეს სლეპოროდი. თვით თავადი ფილიპოვში დარჩა დასასვენებლად. იქ მოახსენეს, რომ ხმელნიცკის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, წერილი მოგართვეს და გთხოვენ, გვინახულოსო. თავადმა დაუყოვნებლივ მოუწოდა იმ კაცებს. ისინიც მოვიდნენ. სულ ექვსნი იყვნენ. შევიდნენ იმ სახლის ეზოში, საცა ჩამოხდა თავადი, თავ-მომწონენი, თავ-გამოდებულნი. გამოგზავნილებს ჰმეთაურობდა ანტონი სუხაია-რუკა, რომელსაც თავი მოჰქონდა მით, რომ კორსუნის ომში ძლევა-შეიმოსა და პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. გარნა

დაინახა თუ არა დეპუტაციამ თავადი, მაშინვე რაღაც უცნაურმა შიშმა შეიპყრო და ყველანი ხმა-ამოუღებლივ დაემხვნენ მუხლის თავებზედ.

თავადმა, თვისის ამალით გარემოცულმა, უბრძანა, ადექითო და ჰკითხა ამბავი, მიზეზი მოსვლისა.

— წერილი მოგართვათ გეტმანმა,—სთქვა პასუხად სუხაიარუკამ.

თავადმა დააშტერა თვალები ატამანს და უპასუხა გულდამშვიდებით. მისი ხმა ზარივით წკრიალებდა და თვითეული სიტყვა ისე მკაფიოდ მოისმოდა, თითქო ნაჭედის სიმტკიცე აქვსო.

— ავაზაკმა და მძარცველმა და არა გეტმანმა.

იმიერ-ჭორომელნი გაფითრდნენ და თავნი ძირს დაიხარეს.

თავადმა უბრძანა პან მაშკევიჩს, გამოართვი და წაიკითხე წერილიო.

წერილი პატივის-ცემითა და მოკრძალება-მორიდებით იყო დაწერილი. უკვე კორსუნს შემდეგ მელური ცბიერება მაღლა დაეყენებინა ლომბერივს ვაჟკაცობაზედ: ეტყობოდა ახსოვდა, რომ ვისნევეცკისა ვწერ ამ წერილსაო*). თავს იკატუნებდა, ვითომ მორჩილი ვარო, იქნება იმიტომ, რომ დავამშვიდო და მერე დაუსჯელად ვატკინო გული ყოვლად ძლიერს მტერსაო; გარნა რომ თავს იკატუნებდა, ეს უეჭველი იყო. ბოლდანი იწერებოდა, რომ ყველაფრის მიზეზი ჩაპლინსკიაო, რომ თუ გეტმანებს უბედურება დაატყდათ თავს, ჩემი ბრალი კი არ არის, შედეგია იმ შევიწროებისა და ძალ-მომრეობისა, რომელსაც ითმენდნენ ყაზახნი მთელს უკრაინაშიო. მაგრამ ამასთანავე სთხოვდა თავადს, ნუ გამიწყრები, მუდამ მორჩილი ყმა ვიქნები შენიო. დასასრულ, თვისთა გამოგზავნილთა უზრუნველ-ყოფისათვის აუწყებდა, რომ განვუტევე და განვათავისუფ-

*) სამეფილ ველიჩკო, გვ. 79. ხმელნიცკი სწერს თავადსა: „ხოლო რაიცა შეემთხვათ გეტმანებს, ამისათვის თავადი ვისნევეცკი ნუ შესწუხდება და მე, ხმელნიცკის, ნუ გამირისხდებაო“.

ლე სეჩში ტყვედ შეპყრობილი გუსართა პორუჩიკი, პან სქშეტუსკიო.

ამ ადგილას ხმელნიცკი ჩიოდა, რომ პან სქშეტუსკი გოროზი და ამპარტავანი კაციაო, არ ისურვა ჩემი წერილი წამოეღო და მოერთმია თქვენთვისო და მით შეურაცხ-ჰყო ღირსება გეტმანისა და სრულიად იმიერ-ჭორომეთის ჯარისაო. სწორედ ამ ამპარტავნებასა და გულ-ზვიადობას, ამ ზიზღს, რომლითაც ეპყრობოდნენ მუდამ ლიახნი ყაზახთა, უნდა მიეწეროსო, სწერდა დასასრულ ხმელნიცკი, „ყველა ის უბედურება, რომელიც მოხდა ყვითელ წყლებთანა და კორსუნთანაო“. ხოლო ბოლოს ხმელნიცკი არწმუნებდა თავადს, რომ ერთგული ვარ რესპულიკისა და შენიო.

ყაზახნი გაკვირვებით უგდებდნენ ყურს თავიანთ მოტანილ წერილის კითხვას. იმათ ეგონათ, რომ წიგნში ეწერება ყოველივე,—ტყუილი ბრალდებაცა, ამაყად ბრძოლაში გამოწვევაცა, ხოლო თხოვნა კი არას გზითაო. ცხადია, მაშ, რომ ხმელნიცკის ჰშინებია თავადისაო. ელჩნი უფრო დამშვიდდნენ და შიგ პირში შეჰყურებდნენ თავადსა: სახეზედ ხომ არ აწერია განაჩენი ჩვენის დასჯისა სიკვდილითაო? და თუმცა წინადვე იცოდნენ, რა დიდად გასაბედს საქმესაცა ჰბედავდნენ, მაინც ახლა ძალა-უნებურად შეიპყრო შიშმა. თავადი კი ისმენდა გულ-მშვიდად და მხოლოდ ხან და ხან ძირს დაიღებდა ხოლმე თავისს შავს თვალებს, თითქო უნდა შეიკავოს ელვა, რომელიც აგერ საცაა იელავს იქიდანაო; ცხადად სჩანდა, რომ საშინელი განრისხება აღელვებდა. როცა წერილის კითხვა გათავდა, თავადმა ხმა არ გასაცა ყაზახებს და მხოლოდ ვოლოდიევსკის უბრძანა, მომაშორე ესენი თავიდან და დაატუსაღეო, ხოლო თვით მიჰმართა პოლკოვნიკებს, რომელნიც გარშემო ერტყნენ:

— დიდია ცბიერება ჩვენის მტრისა! ამ წერილებით უნდა მიგვაძინოს, რათა მერე თავს დაგვესხას მოულოდნელად, ან ვარაუდობს, შევალ რესპუბლიკის შუა-გულ, დავდებ ზავს და გამოვითხოვ შენდობას მთავრობისა და მეფისასაო. მაშინ

ყოვლად უშიშარს ყოფაში ჩავვარდები, იმიტომ რომ, თუნდა ომის ატეხაც მოვუნდომო, მოღალატე და ამბოხის მოყვარული მე გამოვალ და არა ისა.

ვურცელმა თმაშიაც კი იტაცა ხელები.

— ოჰ, vulpes astuta!

— თქვენ რაღას მირჩევთ, ბატონებო?—ჰკითხ თავადმა.— მითხარით ყოველივე გაბედვით, ხოლო მერე მე გეტყვით ჩემს აზრს

მოხუცმა ზაცვილიხოვსკიმ, რომელსაც დიდი ხანი იყო დაენებებინა ჩიგირინისათვის თავი და შეჰკედლებოდა თავადსა, პირველმა დაიწყო ლაპარაკი:

— თქვენო ბრწყინვალებავ, რაკი ჩვენს რჩევასა თხოულობთ, მოგახსენებთ, რომ თქვენ თქვენის ჩვეულებრივის შორს-მჭვრეტელობით, სრულიად სწორედ მიმხვდარხართ, რა განზრახვაცა აქვს ხმელნიცკისა. მე ვგონებ, რომ იმის წერილს არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და ჯერ უნდა ვიზრუნოთ, რომ კნეინა უშიშარს ადგილას გავხიზნოთ, ხოლო ჩვენ უნდა გავიდეთ დნეპრში და დავიწყოთ ომი მანამდე, სანამ ხმელნიცკი დაიწყებდეს მოლაპარაკებას ზავის დადების შესახებ. რესპუბლიკა სამარცხვინოდ იქნება შებღალული, თუ სისხლით არ ჩამოირეცხავს თვისსა შეურაცხებასა. ახლა გავჩუმდები და ყურს დავუგდებ იმას, რასაც სხვები იტყვიან. ბარგ-ბარხანის დარაჯმა, პან ალექსანდრე ზამოისკიმ, ხელი გაიკრა ხმალზედა.

— პან მედროშე! თქვენის ბაგით თვით სიბრძნე მეტყველებს. უნდა თავი მოვკვეთოთ გველვეშაპს, ვიდრე ჯერ მრავალი თავი არ გამოჰბმია და თვით ჩვენი გადაყლაპვა არ დაუპირებია.

—ამინ!—დასძინა ქსენძმა მუხოვეცკიმ.

სხვა პოლკოვნიკებმაც მიჰბაძეს დარაჯის მაგალითს და ხმლებს დაუწყეს ჩხარა-ჩხური. დადგა რიგი ვურცელისა.

— თავადო!—სთქვა მან,—მე ისიც თქვენის სახელის შეურაცხყოფად მიმაჩნდა, რომ იმ წუწკმა გაჰბედა და აგრეთის კადნიერებით მოგწერა წიგნი. ხმელნიცკი ძალად გეტმანია და პან

სქშეტუსკი კარგად მოქცეულა, რომ არ წამოუღია იმისი წერილები თქვენდა მოსართმევად.

— მეც ეგრე ვფიქრობ,—სთქვა თავადმა,—ხოლო რადგან თვითონ აქ არ არის, დაე თვისთა ელჩთა დასჯით დაისაჯოს.

თავადმა მიჰმართა თათართა სადროშოს პოლკოვნიკს:

— პან ვერშულ, უბრძანეთ თქვენს თათრებს, თავები მოჰკვეთონ ყველა ყაზახთა, ხოლო უფროსი მათ შორის მარგილზედ ჩამოაცვან, და აბა ჩქარა.

ვერშულმა დაუკრა თავისი ჭორფლიანი ქერა თავი და გავიდა, ხოლო ქსენძმა მუხოვეცკიმ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ხოლმე მოვამბილო ძლიერი გულის თქმა თავადისაო, ვედრებით დაიკრიფა გულ-ხელი და პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა.

— ვიცი, წმინდაო მამაო, რაც გინდათ,—სთქვა მთავარმა,—მაგრამ ეგ შეუძლებელია. სიკვდილით დასჯა საჭიროა იმათ ასალაგმავადაც, რომელნიც მძვინვარებენ დნეპრს გაღმა. მაგასვე მოითხოვს ღირსება ჩვენის სახელისაცა და სარგებლობა რესპუბლიკისაცა. საჭიროა ნიშანდობლივის მაგალითით დავამტკიცოთ, რომ არის კიდევ ვინმე, რომელიც არ უფრთხის ავაზაკთა ატამანს.

— თავადო, იმან რომ განუტევა პან სქშეტუსკი,—სთქვა გაუბედაობით ქსენძმა.

— გმადლობთ იმის მაგივრად, რომ პან სქშეტუსკის ავაზაკებთან ერთად აყენებ.—აქ თავადმა კოპები შეიკრა.—მაგრამ დავანებოთ ამას თავი.—მან კვლავ მიჰმართა პოლკოვნიკებს.—ვხედავ, ბატონებო, რომ თქვენ ყველანი ომსა რჩებით. ჩემი ნებაც ეგევეა. წავიდეთ ჩერნიგოვს და გზა-გზა თან წავიყოლოთ თავად-აზნაურობაცა, ხოლო ბრაგინთან გაღმა გავიდეთ. ახლა კი ლუბნისაკენ გავემართოთ!

ამ დროს გაიღო კარები და გამოჩნდა პან რაზტვოროვსკი, რომელიც ორის დღის წინად იყო გაგზავნილი ახლო-მახლო არე-მარეს დასათვალიერებლად.

— თავადო!—დაიწყო მან,—ამბოხი ძლიერდება! რაზლოგი გადუბუგავთ, ვასილიოვკაში ყველა ჩვენი ჯარის-კაცნი სულ ერთიანად ამოუწყვეტიათ!

— როგორ, რაო, სადა?—აჩქარებით ჰკითხავდნენ აქეთ-იქიდან ახლად მოსულსა.

მაგრამ თავადმა ანიშნა ხელით, გაჩუმდითო და თვით დაუწყო გამოკითხვა პან რაზტვოროვსკის:

— ვინ მოიქმედა ეგე ყოველივე? მაწანწალანი იყვნენ, თუ ჯარი ყოფილა ვისიმე?

— ამბობენ, რომ ბოგუნის ბრალიაო.

— ბოგუნისაო?!

— დიაღ.

— როდის მომხდარა ეგ ამბავი?

— სამის დღის წინად.

— კვალ და კვალ მივსდევდი, მაგრამ ვერავის ვერ დავეწიე: გვიან შევიტყე, სამის დღის შემდეგ, და გამისწრეს. აი გზა-გზა რა გავიგე: ჯერ უკან დაბრუნდნენ, ჩიგირინისაკენ და მერე ოურმე გაიყვნენ ორად. ზოგნი ჩერკასისკენ წავიდნენ, ზოგნი კიდევ ზოლოტონოშასა და პროხოროვკას.

— მე შემხვდა ერთი რაზმი, რომლის შესახებაც მოგახსენეთ, თქვენო ბრწყინვალებავ,—სთქვა პან კუშელმა.—მითხრეს, რომ ბოგუნმა გამოგვგზავნა, ხელი შეეუშალოთ გლეხკაცობას, რომელნიც დნეპრ-გალმა ილტვიანო და ამიტომ განეუტევე.

— სისულელე მოგიქმედნიათ, მაგრამ არ გამტყუნებთ,—სთქვა თავადმა.—ძნელია კაცს ანგარიში არ შესცდეს აქ, როცა მოღალატეს ფეხს ვერ ავუქცევთ.

უცბად თავადმა თმებში იტაცა ხელი.

— ღმერთო ყოვლის შემძლებელო!—შესძახა მან.—ახლა მაგონდება, რომ სქშეტუსკიმ მითხრა, ბოგუნს უნდა შეირთოს ცნიაჟნა კურცევიჩიო! დიაღ, დიაღ! აი მაშ რა მიზეზით გადუწვავთ რაზლოგი... ის ქალი, ალბაღ, გატაცებულია. ეი, ვოლოდიევსკი, აბა დაფაცურდი! წაიყვანე ხუთასი ცხენოსანი და

ერთხელ კიდევ წადით ჩერკასისაკენ; ბიხოვეცმა ხუთასი ვლახელი წაიყვანოს და ზოლოტონოშასა და პროხოროვკას წავიდეს. ცხენებს ნუ დაჰზოგავთ; ვინც ამ ქალს იმათ ხელიდან დაიხსნის ერემეევკა იმისია. აბა, ჩქარა, ჩქარა!... ჩვენ კი რაზლოგისკენ წავიდეთ და მერე ლუბნს.

პოლკოვნიკებმა საჩქაროდ მიჰყვეს ხელი ბრძანების აღსრულებას.

შეიქნა გაცხარებული მზადება და ფაცი-ფუცი. ბოლოს მოართვეს მისი ბაცის ფერი ლურჯა ულაყი, რომელზედაც შეჯდებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა ლაშქრად წავიდოდა. ერთს საათს უკან რაზმნი გაემართნენ და გრძელის ჭრელის ლენტივით გაიჭიმნენ ფილიპოვეცკის გზაზედა.

იქვე ახლო ჯარის-კაცთა თვალებს წარმოუდგათ სისხლით შესვრილი სანახაობა. ღობის მარგილებზედ ჩამოცმული იყო ხუთი მოკვეთილი თავი ყაზახთა, რომელთაც თვალები გახელილი დარჩენოდათ და ისე დაშტერებოდნენ მიმავალ ჯარს; მათ ახლო, ამწვანებულ სერზედ საშინლად იკლაკნებოდა მარგილზედ ჩამოცმული ატამანი სუხაია-რუკა. მარგილის წვერი გულამდე შესობოდა, მაგრამ საცოდავს ატამანს ჯერ კიდევ დიდ ხანს უნდა ეტანჯნა ჯოჯოხეთის ტანჯვითა, ვიდრე სიკვდილი დაუხუჭავდა, სამუდამოდ თვალებსა. ახლა კი, არამც თუ ჯერ ისევ ცოცხალი იყო, არამედ მიმავალ რაზმებს ისეთის თვალებით აცილებდა, რომელიც ცხადად ამბობდა: „ღმერთმა გკითხოთ და გადაგახდევინოთ თქვენცა, თქვენთა შვილთა და შვილი-შვილთაცა მეათე თაობამდე ამ ჩემის სისხლისა, წყლულებისა და ტანჯვა-წამებისათვის“. და თუმცა ერთი მდაბიო ყაზახი იყო, თუმცა კვდებოდა არა ატლას-ბაფთებზედ მწოლარე, არა ოქრო-ქსოვილს ფარჩაზედ, არა ძველებურ ციხე-დარბაზის ოთახში, არამედ ცის ქვეშე, მარგილზედ,—მაინც მისი წვა-დაგვა, სიკვდილი, რომელიც დანავარდობდა მის თავზედ, ისეთის დიდებითა ჰმოსაედა, ისეთის მძულვარებითა და ზიზღით ავსებდა მის თვალებსა, რომ ყველა კარგად მიხვდა რის თქმაც უნდოდა საწყალობელსა.

თავადმა ისე გაიარა, რომ იქითკენ არ შეუხედნია; ქსენ-ძმა მუხოკეცკიმ ჯვარი გადასწერა საცოდავს. ყველამ გვერდზედ გაუარა და მხარი აუქცია, მხოლოდ ვიღაც ერთი ყმაწვილი გუსართა სადროშოსი, ნება-რთვა აუღებლად, ავიდა იმ სერზედ, მიადო ყურზედ დამბაჩა ტანჯულსა და ერთის სროლით ბოლო მოუღო მის წვა-დაგვასა. ყველას თრთოლა დააწყებინა, როცა დაინახეს ასეთი კადნიერი საქციელი ჭაბუკისა, ასეთი დარღვევა სამხედრო წეს-რიგისა, ყველამ იცოდა მერე, რა სასტიკი იყო თავადი ამისთანებში და ეგონათ, რომ ეს არის დაიღუპა საცოდავი კვალ-წმინდადაო. მაგრამ თავადმა ხმა არ ამოიღო, ღრმად მდუმარე მივიდა იმ ღამის გასათავებელ ბინამდე და ძხოლოდ მაშინა ბრძანა, აქ დამიძახეთ წეს-რიგის დამრღვეველსაო.

ცოცხალ-მკვდარი ყმაწვილი წარსდგა თავადის წინაშე. ასე ეგონა, რომ საცაა დედამიწა გამისკდება ფეხ-ქვეშა და შიგ ჩამიტანსო. ხოლო თავადმა ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— ჟელენსკი.

— შენ მოჰკალი დამბაჩით ყაზახი?

— მე,—ძლივს წარმოსთქვა მიკნავებულის ხმით ჭაბუკმა.

— მერე რად მოიქმედე მაგისთანა საქმე?

— შემეცოდა და იმის ტანჯვის ყურება ვეღარ შევძელ.

თავადი გაჩუმდა პატარა ხანს.

— ოჰ, ბავშვო! ბევრჯელ დაინახავ ისეთს საშინელებას, რომ ყოველივე სიბრალული მოისპობა შენს გულში, მაგრამ რადგან შებრალების გამო არ დაერიდე სიკვდილს, რომელიც მოგელოდა მაგისათვის, ამიტომ ვუბრძანებ ხაზინადარს ათი ოქრო გაჩუქოს ლუბნსა, ხოლო შენ საკუთრად ჩემს მცველად ამიყვანიხარ.

ყველას გაუოცდა და გაუკვირდა, რომ ასე მშვიდობით გათავდა ეს საქმე. მაგრამ აქ აუწყეს თავადს, რომ მოვიდნენ ახლო-მდებარე ზოლოტონოშას არე-მარეს დასათვალიერებლად გაგზავნილნიო და ამიტომ ყველას ყურადღება სხვა ამბავმა და გარემოებამ მიიქცია.

გრ. ე—ძე

(შემდეგი იქნება)

ᲛᲛᲐᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ

I

სიწყალი ჩალხო ჩიოდა,
—წერილშვილი შამომესვია,
თვესთითთ ქალმები გამცვიდა,
ჩოსა ზედ შამომესია.
კელარ ავდიკარ ამათსა
ჩაცმას, სმასა და ჭამასა.
კინ იტის, თავის დროზედა
თუ დაინასვენ ამაგსა,
ალარ კინალელი, თავისთვინ
ლუკმას შასჭამენ ალალსა.
ბევრი მყავს, მგონი ცხრანია!
კერ კიტი სათვალავიტა;
სინ ისეთ ბოლმა მამიკლის,
ლამის სანკარი დავიტა!
მემრ ისევ თავსა შაუგმობ:
ღმერთს ნუ ჭკმობ, ადამიანო,
ღვთის გაჩენალნი სულდგმულნი
ღვთისვანკე დარჩებიანო.
დღეს კი ზოგს ძროსაში კვაკანი,
ზოგი ამოკვებს სბორებსა,
ზოგი თსა-ცხვარათ მიმწყემსავს,
აყოლებს სვეებს, გორებსა,
სან მზე სწვავს არდადეგისა,
სან წვიმა დატბორებსა.

ერთი სსვის შვილად გვეგზავნე,
მოჯამაგირედ დამდგარა,
ეგები კარგად გამოდგეს,
ლუკმა შეჭამოს ბატარა.
ერთიც გუთანზე მესრეობს,
ორშაურს იღებს დღეშია,
მარჯვედა ჭრეკავს სარებსა,
მგლებიკით დაუეშია.
საღამო სანი რო მოვა,
საქონი დაბინავდება,
მამიკლეს მუცელ-ტიტილები,
დარბაზი გაიტენება.
ერთი კერასთან დამჯდარა,
ღვეღეში წყვია ფესები,
სსვები ტასტებზე მიყრილან,
აწყვიან როგორც ძესვები,
ზოგს მოჭშავნია, სიყმილით,
იღრინებიან ეეფსვები.
—რას მაჯმეკ, დედავ?—ღრიალებს
თვალდატეკრეტილი ტუსია,
ზემოთავისკენ გარბიან,
კიდობნის რასა-რუსია.
ვღრინავ მეტ, ამდენს ქალფათსა
რა ქრისტიანი გაუძლებს,
ან ვინ ჩაცმეკს, დაჭსურავს,
ან ბურით მუცელს გაუძღებს.

II

ღმერთო, ნუ მიწყენ, ერთსელა
რო დაიცალა გოდრები,
დიდ სანს ეუზოგეთ ბალღებსა
ნასალარჯობეკ ქერქები;

ისიც რო გამოგველია,
ალარა იყო სასუმელი,
დედაკაცს მივდგე, ვკვინე
ღმერთი, მწყრთნელი, გამზდელი:
«ძაღლის ჯიშისა გამჰყოფ,
«ლეკვები ჰყარე ამდენი,
«რო მოვკვდე, ალარა შრჩება,
«ამისთოს ერთი სასთელი!»
სამი დღის შშეერი იყო,
სულ არ ენასა სწყალი,
გატეხინდა, კრინტიც არ დაძრა,
სულ-კურთსეულის გაზდილ!
ჯიხუნეე, ბეკრი კიკვინე
და ავსულობა გაკეთე,
ღმერთი ეგმე, სიტიც, სალსიცა,
ჩემ გაჩენის დღეც დაეწყეე.
ე დედაკაცი სადღაცა
გაძერა, ეელარა გაეიგე,
შშეერი დაეჯე ცეცხლთანა,
ფლასიის საგლეკი დაეიგე.
მოლოდინში ვარ, მოკელი,
ან ასლა მოკა, ან ასლა,
ეთქვი, იქნებ მეზობლებშია,
ბატარა ეკერი შასანსლა.
ششაა, ბალღებიც ტირიან,
სისსლი მოვიდა ეულშია,
ეელოდი, მერე მეც ავდეგ,
გამოკელ მეზობლებშია.
ეიკე, ეიუბენ ტოტა სანს,
რაც مشეერს შეეფერება,
ას რა ძნელია شიمشილი,
მტერი მტერს მეეფერება...

III

სადამო სანი ხქნება...
მესმის ბალღების სიცილი.
ბღლაძუნაობენ, მღერიან,
დაჭიწუებათ შიმშილი.
გადაგიარე სასლშია,
დედაკაცი ზის კარზედ,
ერთი კალთაში ჩაუსვამ,
სხვა შასუდომია მსარზედ,
გვერდზე მურია კუდს იქნევს,
სუსსულებს ნასუფრალზედ.
მაშინვე გულმა გამიგო,
სული აგიღე საჭმლისა,
სულ-კურთხეულის, კაზდილი
ცხონდება ჩემი მადლითა.
წამოდგა, დასსა ბალღები,
კარი გაიღო სასლისა:
ხონაით გამომიტანა
დანიგრეულ შალგი-ჭიოტა, —
ვინღა დასდეგდა იმასა,
კაცს მგელიეითა მშიოდა,
მაუდეგ კოკზი, უელშია
ერბო-კვერცხიეით დიოდა.
სულ ჭინჭარ-ღოლოთ დაკვება
მთელი ზაფხული ბალღები,
არ მოგვკლებია არც ერთი,
ღმერთია ამის თაჭდები!..

IV

მკათათვე არის, ყანასა
ქარზე გაუდის ბიბინი,
ისმის სამგლების ჩხრიალი,
«ჭოპუნა», მომკლის ყიყინი,
ძნების შრიალი საამო,
მოჭრილი თავთვის ქვითინი.
ჩალხოს ნათუძარს ცხრა-ძმანი
მოსდევენ როგორც ლაშქარი,
ოქროს თავთავი მიწაზე
წვება და წვება გამსმარი,
ჩრდილში ზის ჩალხო ბებერი,
შეილების ტქერით დამტკბარი.
სოფლიდან მოდის ქალები,
თან მოაქვთ ტკბილი სამსარი.
გადაისარა მზე იქით,
წამოიძაგრნენ ჩრდილები,
სულ დუმვითი ყანები,
მოდიან ჩალხოს შვილები.
სოფელზე ჩამოიარეს,
მოდიან, მოიმღერიან,
ხალხი კარებზე მომდგარი
სიმშურით გამოსტქერია,
იმათზე ადრე მინდორში
ვერვინ გაიტანს გუთანსა,

იმსთაზე ადრე ყოსაში
ვერცვინ შეიყვანს მუშასა.
ბმებსა კრთ ბიჩზე მდგომლებსა
მასდლეში არა უშავსა!

ნ. ჩაზიკაშვილი

1895 წ. 21 მარტი.

სახალხო პოეზია

და

მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა

VIII *)

ჩვენ გავათავეთ გამოკვლევა ჩვენის საგნისა; რამდენადაც ეს შესაძლო იყო ჩვენთვის, განვმარტეთ სახალხო პოეზიის მნიშვნელობა, როგორც საპედაგოგიო და საესტეტიკო, ისე სამეცნიერო. ამასთანავე, დაპირებისამებრ, შეეხეთ კერძოდ ქართულს სიტყვიერებასაც და, რამდენადაც შესაძლო იყო დღეს, როცა საერო ნაწარმოები შეკრებილი არ არის, ვუჩვენეთ მისი შინაგანი და გარეგანი ღირსება. რაც უნდა იქმნას დასკვნილი ყოველისავე თქმულის შემდეგ ძნელი მისახვდერი არ არის. გამოკვლევა ჩვენი ცხადად ამტკიცებს, რამდენად უნდა დავაჩქაროთ ქართველებმა ამ საუცხოვო მარგალიტების შეკრება ჩვენის ერის ბელლეტრისტიკისა და მეცნიერების სასარგებლოდ. ახლა საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე პრაქტიკული საგანიც გავარკვიოთ და მით დავასრულოთ ჩვენი მსჯელობა სახალხო პოეზიის შესახებ.

1) პირველი საგანი: მარტო სახალხო პოეზიის გამოცემა არის საჭქარო, თუ ძველის მწერლობისაცა. ეს საგანი იმდენად ცხადია თავისთავად, რომ მეტიც კი იყო მისი აქ მოხსენება მას შემდეგ, რაც ცხადად დავხატეთ მკვიდრი კავშირი ძველს მწერლობასა და სახალხო პოეზიას შორის. თუ სახალხო პოე-

*) «მოამბე» № V.

ზიას ისეთი მტკიცე კავშირი აქვს ძველს მწერლობასთან, თუ ისე უმოქმედიათ ერთმანერთზე, რომ ბეჭედი დაუსვამთ მოქმედებისა, შეიძლება განა ერთის შემოკრება და დაბეჭდვა და მეორისა კი უკუგდება? ან გვაქვს ნება მათ შორის ერთ-ერთი მოვიძულოთ და, რაც ჭიას და დროთა ვითარებას დარჩენია გაუნადგურებელი, ისიც გავასრესინოთ და გავანადგურებინოთ? ვინ არ დამეთანხმება, რომ დღეს არსად არ არის ისე საჭირო საისტორიო მასალა, როგორც ჩვენში? წაიკითხეთ ამას წინად ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდილი ყოვლად საყურადღებო წერილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესახებ? დააკვირდით იმ ხმას, რომელიც ამ წერილში ისმოდა? მიხვდით იმ გულის ძგერას, იმ ღაღადისს? ვისი იყო ეს ხმა? ის გახლდათ ხმა ერთის ყმაწვილი კაცისა. რაო? რა სდომებიაო?—იკითხავთ—რას გამოუწვევია ეგ ღაღადისიო? იმას, რომ დღეს ჩვენში სჩანს შემეცნება ჩვენის ლიტერატურის არა-სანატრელის მდგომარეობისა. ამისათვის უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობამ განიზრახა ჩვენს მეცნიერებას რითიმე და როგორმე შემწეობა აღმოუჩინოს. მოინდომა სხვა-და-სხვა მეცნიერებათა ერთმანეთში განაწილება და საერთო ძალით ქართული სამეცნიერო ტერმინების ლექსიკონის შედგენა ახალ მუშაკების სახელმძღვანელოდ და ჩვენის მეცნიერების წინ-წასაწევად. ფრიად დიდი და ღიდი საქმეა! მაგრამ ვის ესმის, რომ ეს სურვილი ჯერ შეუსრულებელი უნდა დარჩეს?! რადა? აბა რა დასაჯერებელია, თუ ღმერთი გწამთ, რომ ქართულის ძველის ლიტერატურის შესწავლა და ტერმინების ამოკრეფა შესძლოს ვინმე მაშინ, როცა ძველის სამეცნიერო ლიტერატურის თითქმის ორი ნიმუშიც არ არის დაბეჭდილი და თვით ხელთ-ნაწერებიც კი გაფანტულია პალესტინაში, სინაზე, ათონზე, პარიეში, რომში, პეტერბურგში, მოსკოვში და საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში?! დიაღ! ეს წმინდა განზრახვა უნდა გაქარწყლდეს და გულის ძგერა ახალგაზდობისა გულის ძგერადვე უნდა დარჩეს! ამდენი აღძრული ახალი ძალა უნდა შესდგეს და კაპიკის საღირალი ვერა გააკეთოს-რა მაშინ, როცა გაკეთება, შრომა

სწყურია, მუშაობისა და ღვაწლისათვის მზად არის!.. ამაზე მეტი სამწუხარო საქმე იქნება!? საკეთებელი არის, მუშა-მკეთებელიც მზად არის და მუშაობას კი ვერ ახერხებს ერთი უბრალო გარემოების წყალობით!?

თუ ასეა, მაშ გვაქვს ნება კვლავ ხელი შევაქციოთ ამ წმინდა საქმეს და გადავდოთ კიდევ მისი გაკეთება მაშინ, როცა თვით დრო-ჟამი თხოულობს, დღევანდელი ჩვენი ყოფა გვიბრძანებს მის გაკეთებას?! ნუ თუ იმ ოცნებით უნდა ესტკბებოდეთ, რომ ვითომ ჩვენ ჯერ ღატაკნი ვართო და შემდეგში მილლიონერები შევიქნებით? ამაზე ზეციოთაც გვქონდა ლაპარაკი; აქ ფულზეა მიმდგარი საქმე. მაგრამ ნუ თუ მთელს საქართველოს იმდენის ფულის მოხერხება არა აქვს, რომ 15 საუკუნის ნაშრომი თავისი დიდება თაგვებს არ შეაჭამოს? ნუ თუ ჩვენს შეგნებულს საზოგადოებას, თავადობას, აზნაურობას, სამღვდელოებას (უფრო სამღვდელოებას, რადგან ჩვენს ძველს ავლადიდებას სასულიერო მწერლობა შეადგენს მომეტებულ ნაწილად) იმდენად გული არ შესტკივა და იმდენის თანხის შედგენა არ შეუძლია, რომ ძველის მწერლობის საუკეთესო ნიმუშები მაინც დაიბეჭდოს? თუ საზოგადოდ ჩვენი ერი ღარიბია, ნაცვლად ამისა, რამდენია ჩვენს თავად-აზნაურობაში, ინტელიგენციაში და განსაკუთრებით სამღვდელოებაში ისეთი მდიდარი, რომელსაც შეუძლია ფულის მოხერხება და მთელი საუკუნის ნაშთის დაბეჭდვა მარტო თავისის საკუთარის ძალლონით, სხვის დაუხმარებლად. ამით ხომ საშვილიშვილოდ დაიმკვიდრებენ და მოიხვეჭენ ასეთნი გვამნი სახელს, სახელს, რომლის მოხვეჭა „სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა?“ ამ საქმით ხომ იგინი ახალს ხანას დაჰბადებენ, ახალს მუშაკებს აღზრდიან, და მეცნიერებას აღაყვავებენ?

არა, არა გვჯერა და არა, რომ ვითომ დღეს არ შეგვეძლოს ეს საქმე. ისევ არა სჯობს ყველამ მოიწადინოს და დღესვე გაკეთდეს დღეს გასაკეთებელი საქმე და ამ მხრით გამოქვეყნებული მასალა მიემატოს იმას, რომელსაც მოგვცემს მასთან

დაკავშირებული სახალხო პოეზია? მაგრამ რა უნდა დაიბეჭდოს სახელდობრ და როგორ იმ ძველ ხელ-ნაწერთა შორის?

ჩვენი ძველი მწერლობა მდიდარია ყოველ-გვარის ნაწარმოებით. ყველა ამ ნაშთების დაბეჭდვა ერთად მეტად ძნელია. ზოგი მათში ისეთიც არის, რომელსაც მეტად მკრთალი ფერი სდევს; ხანას, ერს, მიმართულებას, გემოვნებას და სხვას ვერ ახასიათებს. ამისათვის ჩვენის აზრით, ასე აჯობებს აქ მოქცევა. ძველ ნაშთებში უნდა ამოირჩეს ჯერ-ჯერობით სამაგალითო ნაშთნი, ნიმუშნი, რომელნიც კარგად ახასიათებენ მწერლობას, საზოგადოებას, ხანას და სხვ. მაგრამ ესეც არ კმარა. ეს ნიმუშნი ყველა მეცნიერებათა წარმომადგენელნი უნდა იყვნენ და არა მხოლოდ ისტორიისა, ან ბელლეტრისტიკისა. ჩვენს მწერლობაში შეხვდებით ნაშთებს და ნიმუშებს ფილოსოფიისას, ლოგიკისას, პედაგოგიისას, მედიცინისას, ასტრონომიისას, გეოგრაფიისას, ისტორიოგრაფიისას, ბელლეტრისტიკისას, ღვთის მეტყველებისას და სხვ. არც ერთი ამ ზემო-ჩამოთვლილ მეცნიერებათაგანი არ უნდა იქმნას გამოკლებული. ნიმუშები უნდა დაიყოს ჯგუფ-ჯგუფად შინაარსისა და ხასიათის მიხედვით და დაბეჭდილ კრებულთ უნდა ეწოდოს: „ქართული ფილოსოფია“, „ქართული ღვთის-მეტყველება“, „ქართული ისტორიოგრაფია“, „ქართული მედიცინა“, „ქართული გეოგრაფია“, „ქართული პედაგოგია“, „ქართული გომილეტიკა“, „ქართული პიიტიკა“, „ქართული ბოტანიკა, ზოოლოგია, ასტრონომია“ და სხვ. თუ რომელიმე თხზულება მეტად დიდია და ამასთანავე ჭრელის ხასიათისა, ე. ი. შიგ ზოგი ადგილი მეტად კარგია და ზოგი მეტად უვარგისი და სრულიად გამოუსადეგარი, შეიძლება მხოლოდ კარგი ადგილები დაიბეჭდოს. გამოტოვებულ ადგილებისა კი მხოლოდ მოკლე შინაარსი, კონსპექტი, რომ ძაფი არ შესწყდეს და აზრი არ დაირღვეს. ასეთის ნიმუშების წყალობით შესდგება საისტორიო ქრესტომატიები, საეკლესიო ისტორია, ლიტერატურის ისტორია და სხვ. ეს კიდევ ცოტაა. რაც შესდგება და დაიწერება, ნამდვილი იქნება, რადგან დამყარდება მაგალითებზედ, ფაქტებზედ. დღეს კი,

როცა მწერალი ნაშთებს სრულებით ვერ იცნობს, იღებს ხელში გამშრალს „ქართლის-ცხოვრებას“, ჯდება კაბინეტში, რომელშიაც ორი ქართული წიგნიც არ მოიპოვება და სწერს: „ესა და ეს მეფე ამ დროს მოკვდა; კარგი კაცი იყო, დიდებული, ფრიად განსწავლული, დააარსა სკოლები, ააყვავა სამშობლო; დაიბადნენ მწერლები, ფილოსოფოსები, დაიწერა მრავალი თხზულებანი („რომელიც თვალითაც არ გვინახავს“!) და სხვ. გარნა სახელდობრ როგორ, რა გვარად აჰყვავდა ქვეყანა, რა დაიწერა, როგორია მისი შინაგანი და გარეგანი ღირსება, ენა როგორია, სკოლა რა ხასიათისა იყო, პროგრამმა როგორი ჰქონდა, რას და როგორ, რა მეთოდით ასწავლიდნენ და სხვ.—ესენი კი სრულებით ავიწყდება ამ მწერალს-მეცნიერს. ნუ თუ ამას ეწოდება ისტორია და არა ბავშვობა!?

როგორც თვით ამ წერილშიაც განვმარტეთ, ის ნაკლი, რომელიც ამ ისტორიულს ნაშთებში შეგვხვდება, უნდა შეივსოს ამასთან დაკავშირებულ სახალხო სიტყვიერების მიერ მოწოდებულ მასალით. მაგრამ რომელი პოეზია უნდა დაიბეჭდოს? მარტო ის, რომელიც სრულებით ხელუხლებელია? მრავალი ნაშთი ჩვენის სახალხო სიტყვიერებისა არის გაბნეული სხვადა-სხვა ჟურნალ-გაზეთში. აი ის გაზეთი და ჟურნალი: გაზეთი „Кавказъ“-ი, სადაც ურიცხვი მასალა არის შეკრებილი დ. ბაქრაძისა, ნ. ბერძენოვისა, პ. იოსელიანისა, გ. ძელიევისა, ევლახოვისა, ბერჟესი, ცისკაროვისა, ზვანბაისა, დუნკელ-ველლანგისა, გულისოვისა, რ. ერისთავისა, პანტიუხოვისა, ნაკაშიძისა, პერევალევსკისა, ქალანტაროვისა და სხვებისაგან; „Сборникъ свѣдѣній о кавказскихъ горцахъ“, „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“, „Сборникъ свѣдѣній о терской области“, „Кавказскій календарь“, „Закавказскій Вѣстникъ“, „Тифл. Вѣд.“, „Калейдоскопъ“, „Русскій Вѣстникъ“, „Вѣстникъ Европы“, „Этнографич. Обозрѣніе“, „Мин. Нар. Просв.“, „Маякъ“, „Записки Кавказск. Отд. И. Г. Общ.“, „Горный журналъ“, „Пантеонъ“, „Ставропольскія Губ. Вѣдо-

мости“, „Терскія Вѣдомости“, „Терскій календарь“, „Нов. Обозрѣніе“, „ივერია“, „თეატრი“ და სხვა და სხვა.[1])

ამ ჟურნალ-გაზეთებს გარდა ბევრი მასალა არის შეკრებილი ამა თუ იმ კერძო თხზულებაში. ასეთებია: ლუბროვინის „Ист. войны и владыч. р. на Кавказѣ“ т. I., პოტტოს „Кавк. война“. т. I., ლავრენტიევის „Статистич. опис. Кут. Генерал-губернаторства“, გილდენშტეტის „ეთნოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა კავკასიისა“, ბოდენშტეტის Die Völker der Kaucasus B. I. და სხვ. მრავალი.

საკვირველია თუ არა ამ წყაროებიდან ამ მასალის ამოკრეფა და ცალკე კრებულებად დაბეჭდვა? ბევრი ზემო დასახელებულ წყაროებში საბიბლიოგრაფიო განძად არის დღეს გადაქცეული; ესევე ითქმის ზოგიერთ ჟურნალებზედაც. ვინც ისეთი ბედნიერია, რომ სატახტო ქალაქებში სცხოვრობს, სადაც საჯარო წიგნთ-საცავი მდიდარია, ხომ კარგი, ხომ კიდევ გახდება რასმე; მაგრამ რა ჰქნას საწყალმა და ღატაკმა პროვინციელმა მშრომელმა? არა თუ პროვინციაში არ მოიპოვება ეს წყაროები საყიდლად, სრულიადაც ძნელი საშოვარია ზოგი არც კი იშოვება. ზოგი ჟურნალი 50—80 წელიწადს გამოდიოდა; ამა, როგორ შეიძინოს? შეძენაც რომ გაუადვილდეს, ფულიც იშოვოს, გასასყიდი ნომრებიც აღარ იპოვება. ამას წინად, პატივცემული ა. ხახანაშვილი სწერდა, რომ კარგა ხანია გაზეთი „Кавказъ“-ის შესწავლას შევუდგები. რომ იქ მოქცეული მასალა ცალკე შოქცეული ყოფილიყო, განა „დიდიხნით შედგომა“ დასჭირდებოდა ამ საქმეს? ან ყველა ხომ ვერ შესძლებს და მოახერხებს აგრე თავ-გამოდებით საქმის შედგომას? სურვილიც რომ გქონდეს, ხშირად ნომრებსაც ვერ იშოვი. თვით ამ წერილის ავტორს უნდოდა „კავკაზის“ შოვნა, მაგრამ მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგან იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, არსად არ იპოვება ეს გაზეთი, გარდა ორიოდე წლის ნომრებისა. ამისათვის

[1]) იხილე სრული ბიბლიოგრაფია და ისიც, თუ რა არის სახელდობრ ზემონაჩვენებ წყაროებში: Описаніе Дашк. Этногр. Музея. В. Миллера. Вып. I.; Зотовъ—Всеобщ. Исторія Литературы. Вып. I; Н. Дубровинъ—Исторія войны и владычества русскихъ на Кавказѣ; т. I. кн. 3.

ყოვლად სანატრელია ყოველისავე ღონისძიებით ვეცადოთ, რომ სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მასალა შეიკრიბოს და ცალკე კრებულებად დაიბეჭდოს. ამ გზით მოღვაწეს საქმე ერთი-ასად გაუადვილდება და მეცნიერების საქმეც წინ წავა...

3) მაგრამ არც ესა კმარა. ის მასალა, რომელიც ზემონაჩვენებ წყაროებშია გაბნეული, წარმოადგენს ცვარს ოკეანეში; და რადგან ცვარი ვერავის წყურვილს ვერ მოუკლავს, ამისათვის უნდა დავეწაფოთ თვით ოკეანეს, რომელსაც წარმოადგენს ცოცხალი ერი, მისის ადათებით, თქმულებანით, საზოგადოდ ზეპირ-სიტყვიერებით. მაგრამ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მასალა იქმნას ნამდვილი, ყოველ-მხრივი და შეკრებაც გაადვილდეს? სახალხო სიტყვიერება მაშინ არის კარგი, როცა იგი წმინდა არის, ახალის ცივილიზაციის გავლენა არ ატყვია და აგრედვე იგი სიტყვიერება შეეხება სამშობლო ქვეყნის ყველა კუთხეს. ამისათვის კი საჭიროა, რომ ამ სიტყვიერების შემკრებელი დადიოდეს სხვა-და-სხვა ადგილებში და ადგილობრივ ჰკრებდეს თქმულებათა. ამას გარდა, იგი უნდა სწერდეს პირდაპირ გლეხის სიტყვებით, შეუცვლელად. ჩამწერმა გაგონილს ერთი ასოც კი არ უნდა მიუმატოს; არც სიტყვა შესცვალოს და არც შინაარსი. ყოველი თვისება სიტყვიერებისა, შინაგანია, თუ გარეგანი, შეუცვლელად უნდა დარჩეს. ის შემკრეფელი ძალიან სცდება და თითქმის ამაოდაცა ჰკარგავს დროს, რომელიც ხალხის ენას სწუნობს და სალიტერატურო ენით სწერს ხალხის ნათქვამს. არავის არა აქვს ნება ასეთი ძალა დაატანოს ხალხს! ამას გარდაც, ხალხის ნაწარმოებში, როგორც შინაარსსა აქვს მნიშვნელობა, აგრედვე ფორმასაც. ხშირად ეს ნაწარმოები ფორმით მეტს გეტყვის, ვიდრე შინაარსით. ერთი ხალხი ამ საგანს ასე ასწერს, მეორე ისე, ერთი ასე იწყებს და ათავებს ზღაპარს, მეორე სხვანაირად და ეს ორიგინალობა შეუცვლელი უნდა დარჩეს ნაწარმოებში. რუსები იწყებენ ზღაპარს: „жили были дѣдъ да баба“, ქართველი ხალხი კი ასე: „იყო და არა იყორა, იყო“ და მით ჩვენი ხალხი თავისებურად

ᲰᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲖᲚᲐᲞᲠᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ; ᲔᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲛᲙᲚᲔᲕᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲠᲣᲡᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲡᲔ ᲣᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ, ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲨᲘ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲛᲪᲠᲣᲔᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲡ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪ, ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ, ᲐᲒᲠᲔᲓᲔᲕᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲡᲐᲪ. ᲞᲐᲠᲐᲚᲚᲔᲚᲔᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲨᲘ—ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ; ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲖᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲐᲡᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲯᲔᲠ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲡ ᲕᲔᲠᲡᲐᲓ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲰᲞᲝᲕᲔᲑᲔᲜ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲡᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲜ ᲠᲐᲛᲔ. ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲕᲔᲡᲔᲚᲝᲕᲡᲙᲘᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲡᲝᲠᲡ ᲙᲐᲒᲐᲠᲔᲚᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲢᲧᲝᲛᲑᲐᲓ, ᲰᲧᲐᲕᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲜᲒᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘᲗ (ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔ, ᲛᲔᲩᲐᲜᲒᲣᲠᲔ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔ) ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲡᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲗ, ᲘᲡ ᲩᲐᲣᲠᲗᲝᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ[2]). ᲐᲒᲠᲔᲕᲔ ᲔᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐᲗ ᲐᲛ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲛ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ, ᲔᲞᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

Ბ-Ნ ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲖᲚᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲖᲔᲛᲝᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲢᲧᲕᲘᲐ. ᲨᲔᲛᲙᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲔᲜᲐ ᲨᲔᲐᲙᲔᲗᲝᲡ, ᲒᲐᲐᲨᲐᲚᲐᲨᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ Ბ-ᲜᲡ ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘᲗ ᲐᲛ ᲖᲚᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲡᲐᲪ: Ბ-ᲜᲘ ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲘᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲔᲒ. Ი. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲔᲡ, ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ, ᲐᲠᲐ ᲗᲣ

[2]) A. Веселовскій—Разысканія въ область р. дух. стиха. VII, 181—2.

სარგებლობას მოუტანს სამშობლოს და ყველასაგან მადლობას დაიმსახურებს,—ამ ნიადაგზე სახელსაც მოიხვეჭს. რომ ჩვენ ნამდვილ ჭეშმარიტებას ვამბობთ, ამის დასამტკიცებელად ვსთხოვთ თვითონ ბ-ნ აღნიაშვილს, თუ მას ჯერ არ წაუკითხნია, ახლა მაინც წაიკითხოს ლიტერატურა იმ საგნისა, თუ რა ღვაწლი დასდო რუსულს მეცნიერებას და რა სახელი მოიხვეჭა რიბნიკოვმა რუსულის ბილინების შეკრებით. წაიკითხოს მან კ. აქსაკოვის, ხომიაკოვის, კირეევსკის, ბუსლაევის და სხვათა აზრები ამ რიბნიკოვის კრებულზე. ამ სლავიანოფილების აზრით, რომელსაც ჩვენ ზევითაც შევეხეთ, რიბნიკოვის შრომამ რუსულს მეცნიერებაში მთელი ხანა, ახალი ეპოქა დაჰბადა. ამ შეკრებილმა მასალამ წინად გამოთქმულს აზრებში ბევრი სრულებით დაარღვია და ზოგი კი ისე დაამყარა, დაასაბუთა, გაამართლა, რომ ვერაფერი ვეღარ შეარყევს. მაშასადამე, არა სჯობია, რომ ბ-ნმა აღნიაშვილმა ამ სასახელო და საბოლოო საქმეს მიჰყოს ხელი? მისი კრებული ქართულს მეცნიერებას წყაროდ, საარჩულად დაედება და შემკრების სახელი მით უკვდავი შეიქმნება...

მაგრამ სახალხო სიტყვიერებისთვის არც ესა კმარა. შეიძლება შეკრებილი მასალა ურიცხვი იყოს, მაგრამ კაპიკადაც არა ჭირდეს. მაშ რა არის საჭირო იმისთვის, რომ შრომამ ამაოდ არ ჩაიაროს? ამისათვის საჭიროა შემკრეფავმა მიჰმართოს იმ ადგილებს, სადაც უფრო წმინდად არის დაცული პოეზია. ჩვენ ზევით განვმარტეთ დაწვრილებით, რომ ქალაქებში პოეზია ირყვნება „ლუდხანური და საქარხნო ცივილიზაციის“ წყალობით. ამ ადგილებში შეკრებილი მასალა ამიტომ კაპიკად არ არის საყიდელი; ნამეტურ ეს უნდა ითქვას ლირიკაზე. ლუდხანებში შეკრებილი მასალა მეცნიერებას და პედაგოგიას არაფრად გამოადგება. ხალხის პოეზია წმინდად არის დაცული მბყრუებულს ადგილებში. ერთი ფშაური ლექსი ათას ლუდხანურს ბაიათს სჯობიან ეი ამ ადგილებს უნდა მიაშუროს მკრეფელმაც. რიბნიკოვამდის ათასმა სხვებმა მოჰკიდეს ხელი სახალხო პოეზიის შეკრებას, მაგრამ ბევრს შრომამ ტყვილადაც

ჩაუარა, რადგან ისინი ქალაქებსა და შიდა გუბერნიებს არ გასცილებიან. რიბნიკოვი ასე არ მოიქცა. იგი წავიდა ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც ხალხი არა თუ ყრუა და გაუნათლებელი, მაშასადამე, ყოველივე ძველი ტრადიციები დაცული აქვს,—ამას გარდაც აქაური ხალხი მისდევს ეგრედ-წოდებულ „სტაროობრიადობას“, ეს ხალხი თაყვანსა სცემს ყოველს მამაპაპურს და ცდილობს წმინდად დაიცვას. აი ამ წყაროს მიაგნო რიბნიკოვმა და მისი შეკრებილი მასალა ძვირფასი მარგალიტი აღმოჩნდა. მაშასადამე, ჩვენც უნდა მივმართოთ მთიულებსა და სოფლელებს.

ამ საქმეში დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სამშობლო მხარეს და მის მეცნიერებას სოფლის მღვდლები და მასწავლებლები. იგინი მუდამ ხალხში ტრიალებენ. წირვის შემდეგ რამდენსამე საათს ჰკარგავენ უბრალო ლაპარაკში და, თუ სტუმრად მოხვდებიან სადმე, იქაც ცოტა დრო არ ექნებათ საქმისათვის, აქ ყველა დიდის სიამოვნებით ამბობს ზღაპრებს. საჭიროა მხოლოდ ჩაწერა. მღვდლები ჰქადაგობენ სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნების წინააღმდეგ, უკრძალავენ ხალხს მავნებელს ადათს და სხვ. ამისათვის, ცოდვა კი არა და, დიდი სამადლო საქმეც იქნება, რომ მღვდელმა ან თვითონ ჩასწეროს და ან ჩააწერინოს ვისმეს ის ლეგენდები, ცრუ-მორწმუნოებანი, ადათ-ჩვეულებანი და რედაქციას წარუდგინოს. ეს მით უმეტეს სანატრელია, რომ მღვდლები სდევნიან ამ წარმართულს ჩვეულებათა ხალხში და რამოდენისამე ხნის შემდეგ სრულებით დაეკარგება ისინი მეცნიერებას. უფრო მოცლილნი არიან მასწავლებლები. ამისათვის, ცოტა ღვაწლს არ დასდებენ იგინი სამშობლოს, რომ დროს ტყვილად არ დაჰკარგავდნენ და, რასაც გაიგებენ ხალხში, ყველაფერს ჩასწერდნენ და გაუგზავნიდნენ წიგნების გამომცემულს ამხანაგობათა. ეს მით უმეტეს სასურველია, რომ ბევრს მათგანს წერის სურვილი აქვს აღძრული და რედაქციები სრულიად სავსეა ხშირად მათის ბევრად მცირე მნიშვნელობის წერილებით. უკეთესი არ იქნება, იმ საქმეს მოჰკი-

დონ ხელი, რომელიც მათთვის ძალიან საადვილოც არის და ყველასათვის სასარგებლოც?

4) ზემო-ნათქვამს გარდაც სჭირდება შეკრებილს მასალას ერთი რამ კიდევ. ყველა ზემონაჩვენები პირობა რომ იქმნას შესრულებული, შეიძლება, მასალა კიდევ კოჭლობდეს, თუ იგი მარტო ერთს ადგილს შეეხება, ერთ კუთხეშია შეკრებილი, ასეთი ერთფერი, ერთგვარი მასალა ბევრს ვერას გახდება. მართლაც, რას იზამს მხოლოდ ის მასალა, რომელიც ფშავეთშია შეკრებილი, თუნდ ბევრიც იყოს? თუმცა ფშაური ლექსები ბევრს რასმეს ჰმატებენ ისტორიას, მაგრამ მხოლოდ აღმოსავლეთის საქართველოსას. დასავლეთისას კი ძვირად შეეხება. ამისათვის ნაშთნი უნდა შეიკრიბოს კავკასიის ყველა მხარეში, რომ მეცნიერმა იგინი ერთმანერთს შეუდაროს და რაიმე ნაყოფიერი აზრი დაასკვნას. ამასთანავე ერთი პირობაც არ უნდა იქმნას დავიწყებული. ჩაწერილს მასალას ზედვე უნდა ეწეროს, სად არის გაგონილი და ვისგან არის ნათქვამი. ბ-ნ აღნიაშვილის ზღაპრები ძალიან კოჭლობს ამ აზრით. ჩვენ არ ვიცით, სად გაიგონა ბ-მა აღნიაშვილმა ეს ზღაპრები? ამისათვის გარკვეულის აზრის დასკვნა ძნელია იმათ შესახებ. ზოგი ამ ზღაპრებში მეტად შესანიშნავია მეცნიერებისათვის. მაგ. ზღაპარი: „ასფურცელა“ შეიცავს რამდენსამე კერძო სიუჟეტს, რომელიც სხვა ადგილებშიაც შეჰხვდება კაცს, როგორც ცალკე თქმულებანი; აქ კი ერთად შეზავებულა და მშვენიერი ვრცელი მოთხრობა შემდგარა. ესეც ცოტაა. აქ, ჩვენის აზრით, არის შემოტანილი სასულიერო ლეგენდაც, წმ. გიორგის ცხოვრების შესახები. მაგ., აქ არის გამოყვანილი თვით ასფურცელა წმ. გიორგის როლში; იგი ჰკლავს წყაროსთან გველეშაპს და ათავისუფლებს ხელმწიფის ქალს. ეს მოვლენა შესანიშნავია და ამისთანა მარგალიტების ჩამწერმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს არც ადგილი, სადაც გაიგონა თქმულება და არც ის, ვისგანაც გაიგონა...

მაგრამ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ასეთი ყოველმხრივი, ყოველადგილობრივი მასალის შეკრება გაგვიადვილდეს?

ამ საქმეში, ჩვენის აზრით, დიდს ღვაწლს დასდებენ ქვეყანას სხვა-და-სხვა სასწავლებლების მასწავლებლები და შეგირდები; ზოგიერთი მასწავლებელი ამას ადრევე იყო მიმხვდარი. ორიოდე მასწავლებელმა ჩვენ—თავის შაგირდებს—არა ერთხელ ჩაგვაწერინეს ყველა მასალა, რაც რამ გვახსოვდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალის ასავალ-დასავალი მას აქეთ აღარ ვიცით. ნეტა რა ჰქონდათ იმათ სახეში, როცა ჩაწერილი და მშვენივრად გადაწერილი მასალა წაიღეს და თვალითაც არავის დაანახვეს?

მერე ეს ღონისძიება ცოტას რასმე აღუთქვამს კაცს? ამ გზით შეკრებილი მასალა დააკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებას, რომელიც ზევით ჩამოვთვალეთ. მართლაც, მთელს კავკასიაში, მაგ. ერთად-ერთი სემინარია არის. რა შეიძლება მოჰყვეს ამ გარემოებას შედეგად? ის, რომ ამ სასწავლებელში იკრიბებიან ყმაწვილები მთლად კავკასიიდან, საქართველოს ყველა ნაწილებიდან. აქ თქვენ შეხვდებით ოსს, ხევსურს, ფშავს, თუშს, მონათლულს თათარს, მეგრელს, გურულს, აფხაზს, სვანს, რაჭველს, იმერელს, აჭარელს, კახელს, ქართლელს და სხვ. ამ ყოველ მხრიდან თავ-მოყრილს შეგირდობას რომ მასწავლებელმა ჩააწერინოს ყველა ის მასალა, რაც გაუგონიათ და იციან: ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ჩვეულებანი, ადათები და სხვ., რამდენად ძვირფასი იქნება ეს მასალა? იმას გარდა, რომ ეს მასალი იქნება ყველა ადგილებში შეკრებილი, იგი იქნება აგრედვე ურიცხვიც. თითო შეგირდს ხუთი ზღაპარი და რამდენიმე ლექსი მაინც ეცოდინება. სემინარიაში 500-მდე კაცი სწავლობს. ყველამ რომ ხუთ-ხუთი ზღაპარი ჩასწეროს, ხელად შეიკრიბება 2500 ზღაპარი!

საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს მასალა. მასწავლებელმა კანიკულებში უნდა დაავალოს შაგირდებს ყველა იმ ლექსებისა, ზღაპრებისა, ჩვეულებისა და სხვ. ჩაწერა, რომლებსაც გაიგონებენ და შეიტყობენ სოფელში საორთვეოდ. მასწავლებელმა შეგირდს წინდაწინვე ვრცელი ინსტრუქცია უნდა მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაი-

წეროს თქმულება, რაზედაც ზევითა გვქონდა ლაპარაკი. აგრედვე შეგირდმა ზღაპარს სათაური უნდა დააწეროს, რომ კაცმა იცნოს ახალს ზღაპრებთან აქვს საქმე, თუ არა; უნდა აღინიშნოს სოფელი, სადაც ჩაიწერა და იმის სახელიც, ვინც უამბო ჩამწერს; ასე შეკრებილი მასალა უნდა გადაითვალიეროს და ასო-ასოდ განმეორებული ზღაპრები გამოსტოვონ, ან უკეთესია, შეინიშნოს იმის შესახებ, რომ ამა და ამ ადგილებშიც იპოება ასეთი და ასეთი ზღაპრებიო; სრულებით ახალი და სხვა-და-სხვა ვარიანტები კი წარადგინოს, სადაც რიგია.

5) ეხლა შევეხოთ იმას, თუ ვინ უნდა დაბეჭდოს ეს მასალა. სახალხო სიტყვიერების შინაარსი საგრძნობელად გავაფართოვეთ, როცა იგი დავუკავშირეთ სხვა-და-სხვა მეცნიერებას და ნამეტურ ძველს მწერლობას. ამ გარემოებამ გაართულა თვით საქმეც—მასალის დაბეჭდვა. ამის გამო ძნელად თუ კერძო კაცმა შეჰბედოს ამ საქმეს. შეიძლება იყოს ისეთი შვილიც მამულისა, რომელიც თავს დასდებს ამ საქმისათვის და საქმესაც ადვილად შეასრულებს, მაგრამ ასეთის მწიგნობრობისა და მეცნიერების მოყვარულის გაჩენა ჩვენში ჯერ საეჭვოა. შეიძლება კერძო შეწირულებითაც შესდგეს ფონდი და საქმე გაკეთდეს, მაგრამ ეს შეეხება მომავალს და „იქნება"-ზედ არის დამყარებული, „შეიძლება"-ზედ. ჩვენ კი ეს „იქნება" და „შეიძლება" ვერ გვაკმაყოფილებს. ჩვენ გვინდა უფრო კატეგორიულად, მოკლედ მოვსჭრათ სიტყვა. **ვის შეუძლია დღეს ჩვენი სახალხო პოეზიის ნაწარმოების დაბეჭდვა, ან ვინ უნდა მოჰკიდოს ახლაგე ხელი ამ საქმეს?** ჩვენის აზრით, ეს საქმე უნდა იკისროს „გამომცემელ ამხანაგობათა" და უფრო ტფილისის ამხანაგობამ.

ტფილისის ამხანაგობა 1891 წელსვე შეჰპირდა მკითხველს საზოგადოებას, რომ „დაჰბეჭდავს ჯერ უპირველესად ზღაპრებს და შემდეგ ლექსებს, ლეგენდებს, ანდაზებს, გამოცანებს, ლოცვებს, შელოცვას, ცრუ-მორწმუნეობას—სრულ სახალხო ზეპირ სიტყვაობას". რაც შეეხება ქუთათურს ამხანაგობას. იმანაც უკანასკნელს კრებაზე ბ-ნ გარსევანაშვილის წინადადება მიიღო,

როგორც მოვიხსენეთ ეს ამ წერილის შესავალში,—და ამ ნაირად სახალხო პოეზიის ბეჭდვა თავის მოვალეობად დაჰსახა. თუმცა ეს „ამხანაგობა“ დღეს ღარიბია და იმაზედ გადაჭრილს ვერას ვიტყვით, ესევე არ გვეთქმის ტფილისის ამხანაგობაზედა. ეს ამხანაგობა, იმას გარდა, რომ უკვე შეუდგა სახალხო პოეზიის ბეჭდვას და ამ საქმის განგრძობასაც დაგვპირდა, დღეს ქონებრივის მხრითაც სულმოთქმულია იმდენად, რომ ადვილად შეუძლიან ნახევარი თვისის ძალ-ღონისა სახალხო პოეზიას დაუთმოს და ნახევარით კი ისევ ბელლეტრისტიკა ჰბეჭდოს; **დღესვე** შეუძლია, ვიმეორებთ, ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს და განაგრძოს ის შრომა, რომელიც 1890 წელს დაიწყო. მართლაც, რად უნდა იყოს ამ ამხანაგობისათვის საძნელო და მით უმეტეს შეუძლებელი ეს საქმე? თუ 1890 წელს ჰგრძნობდა იმდენს ძალას, რომ კიდეც შეუდგა საქმეს და პირველი წიგნი დაჰბეჭდა, დღეს უფრო ღონიერი არ არის?

ამ ნორჩმა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, კარგად მოღონიერებულმა კოლლექტიურმა ძალამ უნდა იკისროს ეს ყოვლად სანატრელი, საჩქარო და სასახელო საქმე. ჩვენი ახალი ბელლეტრიტიკა ისე მდიდარი არ არის, რომ ეს ამხანაგობა სრულებით იმას მოუნდეს. უმთავრეს მწერალთა ნაწერები ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და მერე დარჩება ნაწერები ისეთებისა, რომელთაც მხოლოდ თითო წიგნაკი დაუწერიათ! ამხანაგობას, რაღა თქმა უნდა, შეუძლია სხვა ლიტერატურას მიჰმართოს, სთარგმნოს და ბეჭდოს; ეს ყოველად სანატრელი საქმეა და ამასაც მოველით, რასაკვირველია, ისეთის დაუღალავის ამხანაგობისაგან, როგორიც არის ტფილისის ამხანაგობა. მაგრამ ამ საქმემ, არა თუ არ უნდა დასჩაგროს ჩვენგან დასურათებული საქმე, არამედ ამ საქმემაც და სხვამაც იმ საქმეს პირველი ადგილი უნდა დაუთმოს; სახალხო სიტყვიერების გამოქვეყნება არაფერმა არ უნდა შეაფერხოს. პირველი ძალა ამ საქმეს უნდა მოანდომოს ამხანაგობამ და, რაც გადარჩება, მეორე ნახევარი ძალისა შესწიროს ბელლეტრისტიკას. ამ ორს საქმეს შეუძლიან ერთად პარალლელურად იაროს და ერთმანერთს არაფერი არ

დაუშაონ. როგორც შესავალშიაც შევნიშნეთ, ტფილისის ამხანაგობა უკვე სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზედ, მაგრამ ამ საქმის განხორციელებით კიდევ უფრო მაღლა დასდგება ჩვენის საზოგადოების წინაშე და თავისს სიტყვასაც აღარ უღალატებს, იმ სიტყვას, რომელიც 1890 წელს დაბეჭდილ ზღაპრების წინასიტყვაობაში მოგვცა... მაშ აღჰყვავდეს საქმე ამ „ამხანაგობათა“ ჩვენის იმედების განსახორციელებლად!...

მ. კელ—ძე

ქ. კიევი.
1892 წ.

მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი.

IV

რაც ხანი გადიოდა, საქმე უფრო მეტად იწეწებოდა და ეხლართებოდა. ახალმა მთავრობამ გული ვერ მოიგო ქართველებისა და ვერც მოიგებდა, რადგან მართვა-გამგეობის წესი უფროსმა მოხელეებმა ვერ შეუხამეს და ვერ შეუფერეს ქართველების ზნესა, ჩვეულებასა და ტრადიციასა. დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა იყო საჭირო პირველ ხანში მაინც, მაგრამ ამის მაგიერ მოხელეობა კალიასაებრ დაესია ქვეყანას, დიდი და პატარა, ყველა ცდილობდა მალე გამდიდრებულიყო, რადგან არავის ეგონა, რომ დიდ ხანს დარჩებოდა ამ უცხო ქვეყანაში. ერთის სიტყვით, კეთილ-გონიერების მაგიერ, მოხელეობამ სახელი გაითქვა ანგაარებით, ხალხის სიძულვილით და ვერცხლის მოყვარეობით. ან კი რა უნდა მოეთხოვნა ადამიანს იმდროინდელ მოხელეებისაგან, რომელთაც არც ნიჭისა, არც პატიოსნებისა და არც განათლების ნიშან-წყალიც არ ეტყობოდათ.

რუსის მხედრობის შემოსვლისათანავე დაიწყო მღელვარება საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში. მღელვარებით დაიწყო თვით ერთგულების ფიცის მიღება. შემდეგ, 1802 წელს, მოჰხდა ამბოხება კახეთში. მართალია, მალე ჩააქრეს ეს მღელვარება კახეთის თავად-აზნაურობისა, მაგრამ უკმაყოფილება მთელს საქართველოს მოედო და, დატყვევებას ვინც

გადარჩა, განიფანტნენ და მთელს ქვეყანაში გაწთესეს უკმაყოფილების თესლი.

არც ერთი კუთხე საქართველოსი ისე არ იყო შეწუხებული იმ დროს, როგორც საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი. ძალა-უნებურად მთიულნი დარიალის ხეობის დარაჯებად გადიქცნენ და ჯარის მიმყვან-მომყვანად გაჰხდნენ. ხუმრობა საქმე არ იყო ლალაობა ამ საშინელის გზისა. მუშაობით წელში სწყდებოდნენ ისედაც ღარიბნი მთიულნი. პოლიტიკურად მოხევე-მთიული თითქმის სრული თავისუფალი იყო და რუსეთის მხედრობის შემოსვლის შემდეგ უფრო მომეტებულს სილაღეს მოელოდნენ. ამის მაგივრად მთიულმა იგემა კაპიტან-ისპრავნიკების მწარე მახრახები და მათი ენით გამოუთქმელი უჯიათობა. საშინელია სოფლელისთვის ეხლანდელი ჩაფრის მკლავი და რამდენად მძიმე და საშინელი იქნებოდა მაშინდელი ჩაფარ-ყაზახის მათრახი, მერე როცა მათ ჰბრძანებლობდა ანანურის კაპიტან-ისპრავნიკისთანა უფროსი, ადვილად მისახვედრია. მთიულებს შესძულდათ გუშინდელი მეგობრები, და, რადგანაც მთა სილაღეს იყო მიჩვეული და პოლიტიკურად თვით საქართველოს მეფესაც არ ემორჩილებოდა, თუ არ თვისის სურვილით, ამიტომაც ყველაზედ უწინარეს აქ იფეთქა ამბოხებამ 1804 წელსა. მთაში აგიზგიზებულ ცეცხლის ნაპერწკლები თითქმის ნახეუარ ქართლს მოედო და, ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს საქმე, რუსეთს საქართველოში მხნე და ნიჭიერი მთავარ-სარდალი თ. ციციშვილი რომ არა ჰყოლოდა.

გაბრაზებული და გამწარებული მთა მხოლოდ შემთხვევას და მოხერხებულ დროს ელოდა, რომ გულში ჩაგუბებული ბალლამი ნაკადულსავით გადმოექუხებინა. ასეთი დროც მალე დადგა. 1804 წელსა, გაზაფხულზე, მთავარ-მართებელი ციციშვილი შეუდგა ერევნისაკენ გალაშქრების სამზადისსა. მიზეზი ომის დაწყებისათვის მრავლისაგან მრავალი აღმოჩნდა. რაკი რუსეთმა გადმოლახა კავკასიონის ქედი და დამკვიდრდა საქართველოში, აუცილებლად უნდა ეზრუნა, რომ ახალ შეძენილ სამ-

ფლობელოს უშიშარი სამზღვრები ჰქონოდა. განჯის დაპყრობის შემდეგ რიგი ერევნის სახანოზე მიდგა. საქართველოს სამზღვარი სამხრეთით ღია იყო, არავითარი ბუნებრივი ზღუდე არა ჰქონდა შემორტყმული ამ მხრით საქართველოს და მტერსაც თავისუფლად და დაუბრკოლებლივ შეეძლო შემოსეოდა ქვეყანას. ჩვენი ძველი ისტორია უტყუარი მოწამეა, რომ სწორედ აქედან ხშირად დასხმიან თავსა ჩვენს ქვეყანას მტრის ურდო-ბრბონი. ეს კარგად ესმოდა თ. ციციშვილს და ამისათვის, რაც უნდა საძნელო ყოფილიყო, უსათუოდ უნდა ეზრუნა, რომ საქართველოს სამზღვრები არეზის მდინარემდე მიეტანა ან აქ გამაგრებულიყო[20]). თ. ციციშვილის საპოლიტიკო იდეალი ის იყო, რომ აღედგინა საქართველოს უძველესი სამზღვარნი კასპიის ზღვიდან შავ-ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან არეზამდე. ამ იდეალის მისაღწევად თ. ციციშვილი არაფერს არა ჰზოგავდა, ასე რომ საჭირო არც კი იყო იმისთვის რაიმე მიზეზი ერევნის ხანის შინაურ საქმეებში ჩასარევად. იმპერატრიცა ეკატერინა მეორე და მისი ძლიერი მინისტრი თავადი პოტემკინი იცნებობდნენ ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნეში ერთი ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფო დაეარსებინათ ამიერ-კავკასიაში, და როგორც ამბობენ, მეფობა ამ სამეფოში ფვით პოტემკინს უნდოდა.[21]) თ. ციციშვილიც მეზობელ ხანებს მუდამ ეამს იმას აგონებდა, რომ უკანონოდ გიჭირავთ ესა და ეს საქართველოს ნაწილი და ნება-ყოფლობით უნდა დამითმოთ თქვენი სახანოები და

[20]) იხ. Закав. Д-на, გვ. 293.

[21]) თ. გარსევან ჭავჭავაძე მეგობარი იყო თ. პოტემკინისა. გარსევანი ურჩევდა მეფე ერეკლეს, პოტემკინი ვასსალად გაიხადე და უბოძე ბატონობა დარიელის ხეობისა, ხევისა და მთისაო. რაკი ასეთი ძლიერი კაცი დაუმეზობლდება საქართველოსა, ევროპული განათლება შეუმჩნევლად დამკვიდრდება საქართველოშიაცაო. ამასთანავე გარსევანი ურჩევდა მეფეს, როგორმე მოახერხეთ, შეაძულეთ თქვენს ქალს, 18 წლის ანასტასიას, თ. რევაზ ერისთავი და პოტემკინს შევრთოთო. გარსევანს ყური მოეკრა, რომ ვითომ თვითონ პოტემკინსაც სურდა ჩვენს მეფეს დამოყვრებოდა. ეს განზრახვა გარსევანისა არ ასრულდა და ანასტასია თ. რევაზ ერისთავს მისთხოვდა. იხ. Бутковъ, ტ. II. გვ. 188—189.

ჟქვენ თვითონ რუსეთს უნდა გადასახლდეთო. ომს რომ გამოუცხადებდა, პირდაპირ უთვლიდა ხოლმე, თქვენი სამფლობელო საქართველოს მეფეებს ეკუთვნოდა, და რადგან მე საქართველოს დამცველი ვარ, მოვალეობად მიმაჩნია ამ ქვეყნის ძველი სამზღვრები აღვადგინოვო. ასე რომ მთავარ-მართებელს პირდაპირი მიზეზი სრულიადაც არ ესაჭიროებოდა ერევნისკენ გასალაშქრებლად; მისთვის მხოლოდ დრო და ჟამი იყო საჭირო, სხვა არაფერი. საბუთი ყოველთვის მზადა ჰქონდა.

მაგრამ ვიდრე განვაგრძობთ ჩვენს მოთხრობას, საჭიროდ მიგვაჩნია, მცირეოდნადაც არის, ვუამბოთ მკითხველს თ. პავლე დიმიტრის ძის ციციშვილის ბიოგრაფია, რადგან უამისოდ მრავალის მკითხველისათვის გაუგებარი იქნება ზნე-ხასიათი ამ კაცისა და შეიძლება ბევრს ეგონოს კიდეც, რომ თ. პავლე ჩვენებური თავადიშვილი იყო და არა რუსის გენერალი.

ღვიძლი პაპა მთავარ-მართებლისა პაატა (რუსებმა ეგ სახელი პავლედ გადააკეთეს) გადაჰყვა რუსეთში მეფე ვახტანგ VI კანონმდებელს პეტრე დიდის მეფობის უკანასკნელ ჟამსა. პაატა ჩაირიცხა იმ დროს დაარსებულ ქართველებისთვის გუსართა პოლკში და მალე მიიღო ჩინი კაპიტნობისა. პაატა მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე პრუსიაში, ქ. ვილმანსტრანდთან. პაატას შვილი დიმიტრი აღიზარდა კადეტთა კორპუსში სახელოვან რუმიანცევ-ზადუნაისკისთან ერთად. აგრედვე მრავალი სახელოვანი რუსეთის მოღვაწე სწავლობდა დიმიტრის დროსვე. დიმიტრი მსახურებდა მერე სამოქალაქო უწყებაში, მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი და ბოლოს ითვლებოდა თარჯიმანად მოსკოვში, საცა არსებობდა ესრედ-წოდებული იუსტიც-კოლლეგია.[22]) დიმიტრი გარდაიცვალა 1777 წელსა,

[22]) ირაკლის ელჩმა ნამაიშვილმა (ნათიშვილმა) გამოუცხადა მთავრობას, რომ მეფე ვერ ენდობა თარჯიმანს ბოდპოლკოვნიკ აბაზაძეს, რადგან მეფემ ბევრი ქართლის დიდებულნი დასაჯა ამბოხების გამო და შეიძლება აბაზაძემ, როგორც ქართლელმა, მეფეს უმტროს და განზრახ სხვანაირად გადასთარგმნოს წერილებიო. ამიტომ დაასახელა ორი თარჯიმანი, ერთი იერომონახი და მეორე თ. ციციშვილი. ელჩმა სთქვა, პირველი, როგორც კახელი და მეორე, როგორც ნათესავი მეფისა, მტრობას არ მოინდომებენ მეფისთვინაო. იხ. Грамоты... Цагарели, გვ. 151—152.

ექვს შვილში პავლე დაიბადა 8 სექტემბერს 1754 წელსა მოსკოვში. პავლე დიმიტრის ძემ მშვენიერი განათლება მიიღო. ზედმიწევნით იცოდა ფრანგული, მრავალი თხზულება სთარგმნა ამ ენიდან რუსულად, ზოგი მარტოდ და ზოგიც თვისის უფროსის ძმის იაგორის დახმარებით. პავლე სწერდა აგრედვე ლექსებს. მაშინდელი დროის ჩვეულებისამებრ პავლე ბავშვობაშივე ჩარიცხეს ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში და 1777 წლის პირველ იანვარს უკვე კაპიტან-პორუჩიკობის ჩინი ებოძა.

პავლე დიმიტრის ძემ დიდი სახელი გაითქვა გმირობისა და ვაჟკაცობისა 1787 წ. ოსმალეთთან ომში, ასე რომ ეკატერინე დიდმა თ. ციციშვილს „თავისი გენერალი“ უწოდა. 1794 წელს პოლონელთა აჯანყების დროს თ. ციციშვილი გრენადერთა პოლკით ვილნოსთან იდგა. ვილნოს დაქცევას უპირობდა, რომ მოქალაქენი არ დამორჩილებოდნენ ₰ 100,000ს. კონტრიბუცია არ მიეცათ სასტიკის გენერალისათვის. ამას შემდეგ თ. ციციშვილმა დაამარცხა პოლონელთა გენერალი საპეგა. ამ გამარჯვებისთვის ებოძა წმ. გიორგის ჯვარი მესამე ხარისხისა. კიდევ მრავალჯერ გამოიჩინა თავი თ. ციციშვილმა და განსაკუთრებით გაითქვა სახელი პოლონელ რევოლიუციონერების დამარცხებით, რომელთაც წინაამძღვანელობდა პოლკოვნიკი ბრაბოვსკი. პოლონეთის დამშვიდების შემდეგ ციციშვილს ებოძა 1,500 სული გლეხი, სხვა დანარჩენ გენერლებს კი მხოლოდ ხუთას-ხუთასი სული. ამბობენ, როცა ეკატერინე მეორეს წარუდგინეს სია გენერლებისა დასაჯილდოვებლად, დედოფალმა თ. ციციშვილის გვარის წინ დაწერილ ციფრს 500-ს მიუმატა და თან წარმოსთქვა, მართალია, ციციშვილი გენერალ-მაიორია, მაგრამ გენერალ-პორუჩიკებზე უკეთესად მოქმედობდაო.

ოსმალებთან ბრძოლაში და პოლონეთის ამბოხების დამშვიდების დროს თ. ციციშვილმა ისეთი გმირობის სახელი მოიხვეჭა, რომ გამოჩენილმა მხედართ-მთავარმა სუვოროვმა ყველასთვის სამაგალითოდ დაჰსახა. ვარშავის ასაღებად რომ გაემ-

ზადა სუვოროვი, ასეთი ბრძანება დაურიგა ჯარებსო იბრძოლეთ ისე მხნედ, როგორც იბრძვის მამაცი გენერალი თ. ციციშვილიო. 1796 წლის უკანასკნელ თვეებში და 1797 წ. დამდეგს თ. ციციშვილი ბაქოს კომენდატად იყო დანიშნული. ბაქოში პავლე დიმიტრის ძემ გაიცნო ბაქოს ხანი ჰუსეინ-ყულიხანი და დაუმეგობრდა. შემდეგ, 8 თებერვალს 1806 წელსა, როდესაც ციციშვილი ბაქოს შემოერტყა და აღებას უპირობდა, ჰუსეინ-ყული-ხანმა შეუთვალა, ჩემის ხელით ჩაგაბარებ ციხის გასაღებსაო და ბრძოლა შეეწყვიტოთო. თ. ციციშვილი, სადარბაზოდ გამოწყობილი, მარტო თარჯიმანის პოდპოლკოვნიკ თ. ერისთავისა და ერთის ყაზახის ამარად, წავიდა ციხისაკენ, სადაც ამალით გამოეგება ჰუსეინ-ყული-ხანი. მოუახლოვდნენ თუ არა მთავარ-მართებელს, ხანმა ანიშნა ამალას და იბრაჰიმ-ბეგმა დამბაჩა დასცა თ. ციციშვილს; სეიდ-ბეგმა და ამიდ-ჰამირზამ დამბაჩები დასცეს თ. ერისთავს. გადარჩა მხოლოდ სიკვდილს ყაზახი. მთავარ-მართებელს მოჰკვეთეს თავი და ძღვნად გაუგზავნეს სპარსეთის შაჰსა. თ. ციციშვილი საქართველოს მთავარ-მართებლად დანიშნა 1-ს სექტემბერს 1802 წელსა, ასე რომ ოთხი წელიწადიც არ გასულა ამ საკვირველ კაცის ყოფნისა ჩვენს ქვეყანაში. გარდაიცვალა 51 წლისა უცოლშვილოდ. მისი გვამი მარკიზ პაუულუჩიმ გადმოასვენა 1811 წელსა ტფილისს და დაასაფლავა სიონის ტაძარში. საფლავის ძეგლს რუსულ-ქართულად აქვს წარწერა [23]).

ადვილად მისახვედრია, რა ძრიელ გვინდოდა, გაგვეგო იცოდა თუ არა თ. პავლე დიმიტრის ძემ ქართული, მაგრამ ეს კანონიერი ცნობის-მოყვარეობა ჩვენი ვერას გზით ვერ დავაკმაყოფილეთ. ვერსად ვერ ამოვიკითხეთ ვერაფერი ამ საგნის შესახებ. საფიქრებელი კია, რომ თ. ციციშვილმა ქართული იცოდა, რადგან მამა მისი დიმიტრი მშვენიერი მცოდნე იყო ქართულისა, უამისოდ თარჯიმანობასაც ხომ ვერ გასწევდა. მაშინ მოსკოვში მრავლად სცხოვრობდნენ ქართველები, ხშირი მისვ-

[23]) იხ. А. В. Висковатый—Біографія кн. Цицiанова, Кавказскій Календарь. 1848 годъ.

ლა-მოსვლა ჰქონდა რუსეთს საქართველოსთან, წარჩინებულ გვამთ და სასულიერო წოდებას მრავლად მისდევდნენ აქედან მხლებელნი და ძნელი საფიქრებელია, რომ თ. დიმიტრის ოჯახს კავშირი არა ჰქონოდა საქართველოდან მისულ ქართველებთან. სამსახურის მოვალეობაც ისეთი ჰქონდა, რომ კავშირს ვერ გასწყვეტავდა ქართველებთან და, მაშ, რა ნაირად გადარუსდებოდა ამ კაცის ოჯახი მცირეს ხანს? ამიტომ, ჩვენა გვგონია, რომ საქართველოს მთავარ-მართებელს უსათუოდ უნდა სცოდნოდა ქართული, კარგად თუ არა, მცირედ მაინცა, რადგან წმინდა ქართულ ოჯახში ძნელად თუ ასცდებოდა თვისის დედა-ენის შესწავლას. მართალია, სასწავლებელში ბავშვი მიაბარეს, მაგრამ მამის სიკვდილის ჟამს პავლე 23 წლისა იყო და ნუ თუ სწავლის გამო სრულიად იქნებოდა ოჯახს მოწყვეტილი?!

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ თ. ციციშვილი უცნაურის თვალით უცქეროდა საქართველოს, ისე არა, როგორც მოხელეს შეჰფერის. განუსაზღვრელი ერთგული რუსეთის ტახტისა, მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ აღედგინა ძველი ტერრიტორია საქართველოსი, დაემშვიდებინა, დაეწყნარებინა და განათლება გაეერცელებინა ამ ქვეყანაში. საქართველოს „თავის სამშობლოს“ ეძახის და განგებას მადლობასა სწირავს, რომ წილად არგუნა ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობა. თ. ციციშვილი მეტის-მეტი სასტიკი იყო, განსაკუთრებით სასტიკად ეპყროზოდა სამეფო საგვარეულოს. ისეთის სიჩქარით და ასწრაფვებით ჰგზავნიდა ბატონიშვილებს რუსეთში, თითქოს მოხუც დედაბერის აქ ყოფნა კერძოდ თ. ციციშვილის ბედნიერებას ხელს უშლისო. სძულდა აგრედვე თავისი თანამეგვარენი და ამიტომ ცუდად ეპყრობოდა. ძნელია მიხვდეს ეხლა ადამიანი, რას ეტანებოდა, რას შესტრფოდა, რა სწადდა თ. პავლე დიმიტრის ძეს ბ რა აზრითა ჰხელმძღვანელობდა თავის მოღვაწეობაში, საით მიისწრაფებოდა მისის სულის კვეთება, რადგან წერილობითი საბუთი არა დარჩა-რა. უბრალო მოხელე იყო, სხვასავით ერთგული აღმასრულებელი თვისის მოვალეობისა, თუ ჰფიქრობდა განეხორციელებინა თ. პოტემკინის ოცნება—დავაარსებ ერთს

საქრისტეანო სახელმწიფოს ამიერ კავკასიაში და სამეფო გვირგვინით შევიმკობ თავსაო.

ეხლანდელ დროში ძნელად თუ რომელსამე განდიდებულს მოხელეს მოუვა ასეთი საოცნებო აზრი ფიქრად, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ამისთანა ამბავი არავისაც არ გააკვირვებდა. ნაპოლეონ პირველი თავის გენერლებს ამეფებდა. ნამდვილს მეფეებს ამხობდა. მაინცა და მაინც ჩვენ ამ აზრს მტკიცედ არ ვადგივართ და წარმოვსთქვით მხოლოდ, როგორც საეგებიო მოსაზრება, ანუ იპოტეზა.

დავუბრუნდეთ შეწყვეტილ მოთხრობას. ზემოდ აღნიშნულ საზოგადო მიზეზებს გარდა, თ. ციციშვილს პირდაპირი მიზეზიცა ჰქონდა ჩარეულიყო ერევნის ხანის მაჰომედის შინაურ საქმეში, რადგან მაჰომედი არ ასრულებდა რუსეთის იმპერატორის სურვილსა.

30 ოქტომბერს 1800 წელსა იმპერატორმა პავლემ დაამტკიცა სომხეთის კათალიკოსად იოსები, გვარად არღუთაშვილი-მხარგძელი, კაცი ცნობილი თავისის გვარიშვილობით საქართველოში. დამტკიცების შემდეგ იოსები წამოვიდა ტფილისს პეტერბურგიდან. აქ, 1801 წელს, მარტში იოსები გარდაიცვალა და ეჩმიაძინს წასვლა, იქ მირონ-ცხება და კათალიკოსად კურთხევა ველარ ეღირსა. [24]) ეჩმიაძინის საკათალიკოსო კათედრის გამგემ, მთავარ-ეპისკოპოსმა დავითმა, მოისყიდა ერევნის ხანი მაჰომედი და იმის დახმარებით ეკურთხა პატრიარქად 1801 წელსა. დავითმა მოახსენა უმაღლესს მთავრობას, განსვენებულმა კათალიკოსმა იოსებმა ანდერძად დასტოვა, რომ

[24]) ბუტკოვი მოგვითხრობს, რომ მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი დიდი პატივის მოყვარე კაცი იყოვო, სურდა აღედგინა სომხეთის სამეფო და მეფედ თავისი ძმისწული დაესვაო. სახელს კი არ მოიხსენიებს ამ სამეფო არღუთაშვილისას; ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს სულომონ არღუთაშვილი, მომხრე პატრიარქის დავითისა, რომელთაც ერთად გაძარცვეს ეჩმიაძინის მონასტერი, რათა დაექრთამათ ერევნის ხანი მაჰომედი. სომხეთის მომავალ მეფისათვის კათალიკოსს იოსებს პეტერბურგშივე გაეკეთებინებინა სამეფო გვირგვინი. იხ. Матеріалы, II, გვ. 456 და სხოლიო; Закав. Д-на, გვ. 117—123.

მის შემდეგ კათალიკოსად იყოს დავითიო და ამის გამო სთხოვდა, დამამტკიცეთ კათალიკოსადაო. მთავრობამაც აღარ გამოიძია საქმე დაწვრილებით და დამტკიცა დავითი. შემდეგში აღმოჩნდა თვალთმაქცობა დავითისა და ყოველივე გამოაშკარავდა. განსვენებულ იოსებ არღუთაშვილს არავითარი ანდერძი არ დაეტოვებინა. რუსეთის უმაღლესი მთავრობა, მოტყუებული დავითის მიერ, ცდილობდა როგორმე გაესწორებინა თავისი შეცდომა და ამისათვის სადიპლომატიო მიწერ-მოწერა გაჰმართა ერევნის ხანთან. რუსეთი ცდილობდა დაერწმუნებინა მაჰომედი, რომ დავითმა უკანონოდ დაიჭირა საკათალიკოსო კათედრა და სთხოვდა, გადააყენე დავითი და დაამკვიდრე არქიეპისკოპოსი დანიელი, შეწყნარებული, როგორც რუსეთის იმპერატორის მიერ, აგრედვე ბრწყინვალე პორტისაგან სომხეთის სურვილისამებრო.

რადგან მიწერ-მოწერამ არავითარი ნაყოფი არ მოიტანა, თებერვალში 1803 წ. მთავარ-მართებელმა ციციშვილმა გაჰგზავნა ერევანს ელჩები: ახალგაზდა გრაფი ვორონცოვი,[25]) კაპიტანი ჩუიკო,[26]) და თავადი თამაზ ორბელიანი. ელჩების პირით თ. ციციშვილმა შეუთვალა ერევნის ხანსა, უსათუოდ განდევნე ცრუ პატრიარქი დავითი და დაამკვიდრე ნამდვილი კათალიკოსი დანიელი, რომელიც უკვე შეწყნარებულია ორის ძლიერის ხელმწიფისაგან, თორემ საშინელი წყრომა მოგელის ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდანაო. მაგრამ მაჰომედი არ შეუშინდა საქართველოს მთავარ-მართებლის მუქარას და ელჩებს უარი უთხრა, თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებო. ამგვარად ელჩები ხელცარიელები დაბრუნდნენ ტფილისში.

მთავარ-მართებელი ცეცხლს აფრქვევდა სიბრაზისაგან: ძლიერმა რუსეთმა უბრალო რამ სთხოვა ერევნის ხანსა და რო-

---

[25]) შემდეგში მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავადი მ. ს. ვორონცოვი.

[26]) საკმერალიო აღწერა საქართველოსი პირველად ამ კაპიტანმა შეასრულა. ჩუიკო ირიცხებოდა კვარტირმეისტერის უწყების აფიცრად, რაიცა ეხლა უდრის საგენერალო შტაბის აფიცერს.

გორ გაბედა ასეთი ურჩობაო. იმ წამსვე იმპერატორს მისწერა მთავარ-მართებელმა წერილი, რომ ერევნის ხანი მაჰომედი ასეთის ურჩობისთვის სასტიკად უნდა დაისაჯოსო,[27]) თორემ სახელი გაგვიტყდება საქართველოს მეზობელთა შორისაო. აზიაში კი, თ. ციციშვილის აზრით, მხოლოდ შიში შეიქმს მორჩილებასა და მარტო ძალასა სცემენ პატივსაო[28]).

რაკი არც თხოვნამა და არც მუქარამ არ იმოქმედა ერევნის ხანზე, მთავარ-მართებელი შეუდგა სალაშქროდ მზადებასა. ამ დროს საქართველოში იყო დაბანაკებული შემდეგი პოლკები: კავკასიის გრენადერთა, 9, 15 და 17 ეგრეთა პოლკები, ტფილისისა, ყაბარდოსი, სარატოვისა და სევასტოპოლის მუშკეტერთა პოლკები თავ-თავიანთის არტილერიით. ზარბაზნების რიცხვი არ აღემატებოდა 24-ს. კავალერიას შეადგენდა ნარვის დრაგუნთა პოლკი და ერთი დონელ ყაზახთა პოლკი. არც ერთი აქ დასახლებული პოლკი სრული არ იყო ჯარის კაცებით: ზოგს მათგანს ნახევარი აკლდა. ამას გარდა ჯარები გაბნეული იყო საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს. აირა და რა ადგილები ეჭირა რუსეთის მხედრობას 1804 წლის გაზაფხულზე: ორი როტა ერთის ზარბაზნით იდგა ცხინვალში ოსების ავკაცობისა და ქურდობის ასალაგმავად; ერთი ბატალიონი ორის ზარბაზნით სურამში. ამ დაბას თ. ციციშვილის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მოსამზღვრე ადგილს. იმერეთი ჯერ ისევ თავისუფალი იყო და რუსთ-იმერეთის ელჩები აქ იკრიბებოდნენ მოსალაპარაკებლად. ერთი როტა ქარელში, ერთი—ხოვლეში ზარბაზნით, ერთი ატენის ხეობაში, ერთი ძაღლის წყაროსთან ზარბაზნით და ორიც გორში. ბატალიონი ტფილისის პოლკისა ორის ზარბაზნით წალკაზე იყო დაბანაკებული, ერთი ბატალიონი პამბაკში თათრების დასაწყნარებლად, სამი როტა ერთის ზარბაზნით ბორჩალოს იდგა მთა-მად-

---

[27]) თუმცა ერევნის ხანი სრულიად დამოუკიდებელი იყო რუსეთისაგან, თავ. ციციშვილი ხანის უარს მაინც ურჩობას ეძახის (რუსულად ослушаніе).

[28]) Закавк. Д—на, გვ. 121—122; 292.

ნის წარმოების დასაცველად; ერთიც ს. დმანისში. მეჩვიდმეტე ეგერთა პოლკი სამის ზარბაზნით იდგა მეციხოვნედ განჯას და ამ ახლად დაპყრობილ ქვეყნის მოვლა ჰქონდა დავალებული. ერთი ბატალიონი და ორი როტა იდგა ტფილისში, ლარის კარსა და სოღალუღსა; ორი როტა ერთის ზარბაზნით ანანურში იდგა, საიდანაც თვალ-ყურს ადევნებდა თუშ-ფშავ-ხევსურებს. ალაზნის პირად იდგა მეთხუთმეტე ეგერთა პოლკი და ორი ბატალიონი ყაბარდოს პოლკისა, ზარბაზნებით, რომელიც იცავდა კახეთს ლეკების ცარცვა-რბევისაგან; ბატალიონს ყაბარდოს პოლკისას ერთის ზარბაზნით ბინა ჰქონდა ყვარელში, გავაზში, ფშაველში და მატანში. [29]) ძნელი იყო ამ ჯარების ხელის ხლება, რადგან მეტის-მეტად საჭირო ალაგნი ეჭირათ, მაგრამ რადგან მთავარ-მართებელს სხვა ახალი ჯარები არ მოუვიდოდა რუსეთიდან, მეტი ჯანი არ იყო,—ისევ ცოტ-ცოტა ყველა ჯგუფისათვის უნდა მოეკლო და ამგვარად შეედგინა საომარი ლაშქარი. მთავარ-მართებელი სწორედ ასეც მოიქცა და რის ვაივაგლახით გაამზადა სალაშქრო ჯარი, სულ 3,421 ქვეითი ჯარის-კაცი; კავალერიად იყო ოთხი ესკადრონი ნარვის დრაგუნთა პოლკისა, სულ 400 კაცი და 440 დონელი ყაზახები. რუსის მხედრობას 300 კაცამდე ქართველი თავადაზნაურობაც გაჰყვა, სულ, მაშასადამე, მთავარ-მართებელს ჰყავდა 4,461 კაცი ცხენოსანი და ქვეითი.

რაკი შეიტყო თ. ციციშვილის მზადება, ერევნის ხანმა საჩქაროდ შიკრიკები აფრინა სპარსეთის მფლობელ ბაბა-ხანთან და შეუთვალა, მალე მომეშველე, რუსები ამხედრდნენ საომრადაო. ბაბა-ხანს მაჰომედის თხოვნა არც კი უნდოდა, უიმისოდაც მზად იყო ყველას გამოსარჩლებოდა, ვინც კი ხმალამოღებული შეებრძოლებოდა რუსებს. მთავარ-მართებელს ამბავი მოუვიდა, რომ სპარსეთის დიდ-ძალი ჯარი იკრიბება არეზის ნაპირებად და დღე-დღეზე აპირობს ერევნის სახანოში შემოსვლასაო. ზოგი ამბობდა, ორმოცი ათასიაო და ზოგი კი—

---

[29]) იხ. Закавк. Д—на, გვ. 293—294.

სამოცი ათასიო. გაქცეულ ბატონიშვილების, ალექსანდრესი და თეიმურაზის წერილებიცა ჰმოწმობდა, რომ სპარსეთს დიდ-ძალი მხედრობა შეეგროვებინა.

მხნემა და დაუღალავმა ბატონიშვილმა ალექსანდრემ, რუსეთის დიდმა მოძულემ, რომელმაც თვისნი დღენი ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში დალია, შიკრიკები აფრინა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს და იწვევდა ხალხს, დასტოვეთ სახლ-კარი და მოდით შაჰის კარზეო. აქედან ურიცხვი ჯარი მოდის საქართველოს განსათავისუფლებლად და რუსების განსადევნელადაო. შაჰიმ ქალაქის მოქალაქეთაც ფირმანი გამოუგზავნა და იწვევდა საბრძოლველად რუსეთის წინააღმდეგ. ალექსანდრემ ორი კარდანახელი გლეხი იმერეთს გაჰგზავნა, რათა იქიდან უფრო ადვილად გაევრცელებინათ მისი ბარათები, საქართველოს თავადიშვილებთან მოწერილი, რადგან თ. ციციშვილის ჯაშუშები თვალ-ყურს ადევნებდნენ ბატონიშვილის შიკრიკებს, ქართლში შემოსულებს [30]).

მართალია, დიდი განსაცდელი მოელოდათ ბატონიშვილ ალექსანდრეს შიკრიკებს საქართველოში, მაგრამ ერთგულ ყმებს ვერა განსაცდელი და თვით სიკვდილიც ვერ აშინებდა. თავგადადებული ზაქარია ჯორაშვილი უვნებლივ უსხლტებოდა ხელიდან მთავარ-მართველის მიერ სამზღვრებზე ჩაყენებულ სამხედრო პიკეტებს და მიწის მგელივით ხან სად გაჩნდებოდა, ხან სად. ოც და თხუთმეტამდინ ბარათი დაარიგა ალექსანდრემ და სთხოვდა ქართველობას, თავადსა და გლეხსა, ამხედრებულიყვნენ სამშობლოს განსათავისუფლებლად. ზოგს ანუგეშებდა, ზოგს მრავალს წყალობას ჰპირდებოდა, ზოგს ამხნევებდა, რომ შაჰი, როგორც ძველად, ჩვენი მწყალობელია და 50,000 ჯარის კაცით ჰგზავნის თავისს მემკვიდრე აბას-მირზას რუსების გასარეკადაო. ზოგს მასხარად იგდებდა და არცხვენდა ქალაჩუნობით. დედოფალს დარიას, თავის დედას უთვლიდა, თუ ცოცხალი ვარ, საქართველოს ტახტს დავიბრუნებ და თუ მომ-

[30]) Ак. II, გვ. 165; Закавк. Д—на, გვ. 300—301.

კლეს, დაივიწყე, რომ შენ და ბატონს ერეკლეს ოდესმე გყავ-
დათ შვილი ალექსანდრეო. [31]) ბატონიშვილი ალექსანდრე
დიდადა ჰყავდა მიჩნეული ბაბა-ხანსა, უბოძა გუბერნატორობა
არეზის ახლო მდებარე პროვინციებისა, და მიანდო ციხეთა
აშენება, დაუნიშნა პენსია და აჩუქა მრავალი ყოფელი. ქართვე-
ლებმა კარგად იცოდნენ, რომ ბატონიშვილი დიდად იყო
მიჩნეული სპარსეთის მფლობელისაგან და ამისათვის მის ბარა-
თებს დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე. მომეტებულ ნაწილს
ქართველობისას კარგად ახსოვდა საშინელი დარბევა და აო-
ხრება ტფილისისა აღა-მამად-ხანის მიერ და ჰფიქრობდა სპარ-
სეთის ძლიერებას ოთხი ათასი რუსის მეომარი როგორ გაუ-
ძლებსო. ამ ნაირად ბატონიშვილის ბარათებმა მაშინდელი
ქართველობა გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო, კიდეც
უნდოდათ დაჰხმარებოდნენ მხნე და გამბედაობით აღსავსე
ბატონიშვილსა, თან კიდეც ეშინოდა სასტიკის მთავარ-მართე-
ბლისა, რომელიც დაუყოვნებლივ ციხეში უკრავდა ხოლმე
მოღალატეებს თავსა და შემდეგ რუსეთში ისტუმრებდა. თ.
ციციშვილის დროს რუსეთში გაგზავნა საშინელ და უსასტი-
კესს სასჯელად ითვლებოდა და ხშირად დამნაშავეს ამის გაგო-
ნება და დამუქრება, რუსეთს გადაგასახლებთო, შიშის ზარსა
სცემდა. რაკი ასეთი ზედმოქმედება იქონია ბატონიშვილის ბარა-
თებმა ქართველობაზე, უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია ორიოდე
ბარათის შინაარსი მოვიყვანოთ აქა. ბატონიშვილი ალექსანდრე
სწერს ფშავ-ხევსურთ: ათას სამასი წელიწადია, რაც თქვენის
ლვაწლით იმოსებოდა ჩვენი სახლი. თქვენ იყავით ძვირფასი
ქვეშევრდომი ჩვენის სახლისა და ნუ თუ დღეს დაიზარებთ, არ
გაიგონებთ წარსულს და კვლავინდებურად თავს არ გამოიდებთ
ჩვენის სამსახურისათვისაო.. [32]) მუხრან-ბატონიანთ [33]) პირ-და-
პირ უთვლის, ან ჩემთან მოდით, ან თუ აქ ვერ წამოხვიდეთ,

---

[31]) Ак. II, гв. 151.

[32]) Ак. II, гв. 167.

[33]) დუბროვინის სიტყვით, ეს წერილი მიწერილია თ. ანდრონიკა-
შვილებთან. იხ. Закавк. 365—366.

შემოსდგამს თუ არა სპარსეთის ჯარი ფეხს საქართველოში, დაუყოვნებლივ უღალატეთ რუსებსაო [34]). ალექსანდრემ არც ტფილისის სომხობა დაივიწყა, ამათაც ცალკე ბარათი მისწერა და ურჩევდა ძველებურს ერთგულებას [35]).

გულხელ-დაკრეფილი არც ბატონიშვილი თეიმურაზი იყო. ესეც სწერდა ბარათებს უცხოეთიდან და იწვევდა ქართველებს საბრძოლველად და საწინააღმდეგოდ. „რას უზიხარ შინა, სწერს თეიმურაზი ასლან ორბელიანს, თუ შვილებს უფუხილდები, ისინიც ხომ წაგგლიჯეს და რუსეთში გაჰგზავნეს. ტფილისში რას აკეთებ და რას მოელი? ჰო, მართლა, ცოლი ლამაზი გყავს, გირჩევ, ნუ მოშორდები“ [36]).

მაისის უკანასკნელ რიცხვებში ჯარი ერევნისაკენ გასალაშქრებლად კიდეც შეიკრიბა. თვით მთავარ-მართებელი დღე-დღეზე აპირობდა წასვლას ტფილისიდან. ბატონიშვილის ალექსანდრეს მიწერ-მოწერამ ძალიან დააფიქრიანა თ. ციციშვილი, თუმცა ჩვეულებრივს მხნეობას არა ჰკარგავდა და გულს არ იტეხდა. დასაფიქრებელიც იყო. მაშინდელი მდგომარეობა. მთავარ-მართებელი საომრად სხვაგან მიდიოდა და შინ არეულობა იჩენდა თავსა. ბატონიშვილების მოწოდებას ბევრი თავადიშვილი აჰყვა, განსაკუთრებით კახელობა და გაიქცნენ ალექსანდრესთან [37]). დარდმა და მწუხარებამ მოიცვა მხნე მთავარ-მარ-

---

[34]) Акты, II, გვ. 159—160.

[35]) ibid. წერილი ასე იწყება: „ბატონიშვილი ალექსანდრე სიყვარულით მოიკითხამს: მელიქს დარჩოს, (კოჯლი დარჩო ბებუთაშვილი ქალაქის მელიქად იყო) ფითუაშვილს აღას, თაქუაშვილს ისაიას, ბასტამაშვილს სტეფანეს, ნაზარბეგიშვილს გიორგის, გურგინბეგიშვილს სტეფანეს, ნურქეთხუდაშვილს ოსეფას, ყუზანაშვილს გეურქას, ფულიასშვილს საკას და სხვა წარჩინებულ მოქალაქეთ“.

[36]) Акты II. გვ. 184; Закавк. Д—на, გვ. 366.

[37]) აი აქტებში ვისი სახელი და გვარია აღნიშნული: თ. ადამ ანდრონიკაშვილი, რომელმაც გააპარა ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე; თ. გიორგი ანდრონიკაშვილი, თ. ნიკოლოზ ბებურიშვილი (ვაჩნაძე), ასლან ბებურიშვილი, დავით ანდრონიკაშვილი და დიმიტრი აგათისშვილი. ქიზიყელები: ბესარიონ კურბანალიშვილი, სოლომონ სერგეევი, ნიკოლოზ

თებელის გული მოსალოდნელ შინაურ არეულობის გამო, ასე გასინჯეთ, ბატონიშვილს ალექსანდრეს ბარათიც კი მისწერა, ოღონდ დაბრუნდი საქართველოში, იახელ ხელმწიფე იმპერატორსა და გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომელიც ჯერ არ გამიტეხიაო, რომ მრავალს წყალობას და შეცოდებათა პატიებას მიიღებო. არეულობას გარდა თ. ციციშვილს ის აწუხებდა და გულს ის უკლავდა, ვაი თუ გულჩვილმა და ანგელოზის მსგავსმა იმპერატორმა შეიტყოს ეს ამბები და შესწუხდესო [38]). ამისათვის გაუგზავნა იმპერატორს უქვეშევრდომილესი მოხსენება და თამამად და იმედიანად აუწყებდა, რომ გარდახვეწილ ბატონიშვილების ბარათები კიდეც რომ ვერ ჩავიგდო ხელში, დიდი ზარალი არა მოგვეცემა-რა, რადგან ძლიერი და გავლენიანი თავადიშვილობა შეურყეველის ერთგულებითაა გამსჭვალული თქვენის უდიდებულესობისა და რუსეთის მართვა-გამგეობის წინაშეო [39]).

მთავარ-მართველი გულდამშვიდებით ატყობინებდა ხელმწიფეს არეულ-დარეულს საქმეების ამბავს და ამავე დროს ფიცხელს განკარგულებას აძლევდა მაზრის მოხელეებს, თვალით ნუ დამენახვებით, ვიდრე ბატონიშვილ ალექსანდრეს მომხრეებს სუყველას არ დაბაწრავთ და ტფილისში არ წარმომიდგენთო. კახეთში დაბანაკებულ ჯარების უფროსს გენერალ-მაიორს თ. ორბელიანს სწერს,[40]) მიიღე ყოველივე ღონისძიება და შეიპ-

---

თარაევი, იაგორ ბოსტაშვილი, ივანე მორჩილოვი, აბრამ მანაევი, სოლომონ ასისთავი, დავით ჩიხიტოვი, იოსებ ჟანიევი და იოსებ გოზალოვი. Акты II, გვ. 166. გვარები ასეა მოყვანილი აქტებში და ვერ გავბედეთ გადაქართულება, რადგან შეგვეშინდა, ისეც დამახინჯებული, უფრო არ დაგვემახინჯებინა.

[38]) თ. ციციშვილი დიდის მოწიწებით იხსენიებდა ყოველთვის იმპერატორ ალექსანდრეს და ხშირად ანგელოზს ადარებდა (ангелоподобный).

[39]) Ак. II, 164—165; Закавк. გვ. 300—301.

[40]) თავადი დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი, ბოლოს გენერალ-ლეიტენანტი, ერთი საუკეთესო გენერალთაგანი იყო მთავარ-მართველისა. ორბელიანმა ბევრჯელ ისახელა თავი ვაჟკაცობით ომში და არა ნაკლები საადმინისტრაციო ნიჭი გამოიჩინა. თ. ორბელიანი მეხივით დაეცემოდა

ყარ თ. ანჩიკო ბებურიშვილი და ქიზიყის ნაცვლის შვილი თ. თარიმანი. გორის კომენდანტს მაიორს რეიხს დაავალა, მაგრად შეჰკარი ატენის ხეობა და მალულად უთვალთვალე ქარელს ახლოს ქართლის გაქცეულ თავადიშვილებს. მთავარ-მართებელის აზრით, ატენის ხეობით უნდა დაბრუნებულიყვნენ წალკიდან ს. ხელთუბნიდან გაპარული თავადნი სოლომონ დავითიშვილი და ზაალ თუმანიშვილი თავიანთის მხლებლებით. ამ ბრძანების ასრულება მიანდეო,—სწერდა მთავარ-მართებელი რეიხს,—გორის პოლიც-მეისტერს იოსებ კალატოზიშვილს და თან საკმარისი რიცხვი ყაზახთა გააყოლეო [41]).

ხოლმე ლეკებს და შიშით გონებას უფანტავდა. ეს ის ორბელიანია, რომელიც ახალციხემდინ ჩაჰყვა ლეკებს ქარელისა და ხოვლეს აკლების შემდეგ, ქარელზე ჩამოატარა უიარაღოდ და შემდეგ დაღესტანში გადარეკა შერცხვენილნი და თავზე ლაფ-დასხმულნი. თ. დიმიტრიმ მშვენივრად იცოდა რუსული ენა და სამსახური რუსეთში დაიწყო, მიიღო მონაწილეობა ოჩაკოვისა და ბენდერის აღებაში. რუსებმა ანაპა რომ აიღეს, თ. ორბელიანი გაგზავნეს პეტერბურგს შიკრიკად (კურიერად) ეკატერინე დიდის წინაშე მოსახსენებლად ამ სასიამოვნო ამბისა. ანაპა ძალიან გამაგრებული ციხე იყო, რადგან მის გასამაგრებლად მუშაობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ინჟენერები. 1809 წელს ორბელიანმა ოსმალებს ფოთი წაართვა. ფიცხი გულის პატრონი მთავარ-მართებელი ამ საუკეთესო გენერალსაც კი ხან-და-ხან საყვედურით არჩობდა, წესიერად და ფიცხად ვერა ჰმოქმედობო.

[41]) Акты II, გვ. 163—165. აქვე სანიმუშოდ მოვიყვანთ თ. ციციშვილის ბრძანების ნაწყვეტს, რათა მკითხველმა ცხადად დაინახოს, რა კილოთი სწერდა ხოლმე მთავარ-მართებელი ბრძანებას. სამოქალაქო უწყების გამგებელმა და პირველმა თავ-მჯდომარემ იმ კომისიისა, რომელსაც შემდეგში დავალებული ჰქონდა გამოერკვია, ვის რა დანაშაული მიუძღვოდა 1804 წ. ამბოხებაში, მოახსენა მთავარ-მართებელს, რამდენიმე თავადი გაგვექცა და ვერ მოვასწარით ჩვენების ჩამორთმევაო. განრისხებული ციციშვილი სწერს: на оной рапортъ в.вс.б. доношу, что негодной сей исправникъ (თელავის კაპიტან-ისპრავნიკი სოლომკა) руководимый мудрыми наставленіями вашими, упустилъ время къ изловленію ихъ и что всѣ главнѣйшіе начинщики бунта, яко-то: Симонъ Кобуловъ и Джимитскій Моуравъ находятся уже у царевича Александра, коихъ видѣли мои лазутчики, когда они явились къ нему. Имѣніе ихъ, яко измѣнниковъ, предписываю взять въ казенное вѣдомство. Акты, II, ст. 169.

ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა ერევნის გალაშ-ქრების წინად. მთავარ-მართებელმა შინაურთა საქმეთა გამგეობა გადასცა თავისს თანაშემწეს, გენერალს თავადს ვოლკონსკის და თვითონ სოღალნუღს მიჰმართა, სადაც უკვე შეკრებილი იყო რუსეთის მხედრობა. ერევნის ხანი ახლა კი შეფიქრიანდა; ხანს იმის იმედი ჰქონდა, რომ მთავარ-მართებელი მცირედის მხედრობით ვერ გაჰბედავს სპარსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებასაო. ხანს მოლოდინი არ გაუმართლდა და, მეტი ჯანი არ იყო, ისევ დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა დაეწყო, ეგებ როგორმე თავიდან ავიცილო ომიო. ასეც მოიქცა ხანი და კაცები გამოჰგზავნა ტფილისში, მორიგებით გადავსწყვიტოთ სადავო საქმეო. მთავარ-მართებელმა უარი შეუთვალა, არავითარი მოლაპარაკება არა მსურს შენთანა, ვიდრე ჩემს მოთხოვნილებას სრულად და სავსებით არ შეასრულებო. პირობანი წინადვე შეგატყობინე, ე. ი. დაუყოვნებლივ გადააყენე ცრუ პატრიარქი დავითი, დაამკვიდრე საკათალიკოსო კათედრაზე არქიეპისკოპოსი დანიელი, ერევნის ციხეში ჩააყენე რუსის მეციხოვნენი, აღიარე მეფედ ხელმწიფე იმპერატორი რუსეთისა და წელიწადში იხადე 80,000 მ. ხარკად, როგორც წინადაც გიხდია საქართველოს მეფეების სასარგებლოდაო. სხვა პირობის მიღება არ შემიძლიან, ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვაო. ამასთანავე თ. ციციშვილი რჩევასაც აძლევდა ერევნის ხანსა: მე გიჩვენებთ საკეთილო გზასა და, თუ ამ გზაზე არ გაივლით, დაიღუპებით და ჩემი ბრალი აღარ იქნებაო. ეს წერილი რომ გაუგზავნა მაჰმედ-ხანსა, ჯარებს უბრძანა მაშინადვე შესულიყვნენ პამბაკის საზღვრებში და ამ ნაირად ომი დაიწყო რუსეთსა და ერევნის ხანისა და მის მომხრე სპარსეთს შორის. მაგრამ ვიდრე ომი გაძლიერდებოდა, სპარსეთმაცა სცადა სადიპლომატიო მიწერ-მოწერით სადავო საქმე გადაეწყვიტა და სისხლის ღვრა აეცილებინა თავიდან. ამისათვის მირზა-შეფიგმა ბაბა-ხანის პირველმა მინისტრმა ვრცელი წერილი გამოუგზავნა თ. ციციშვილსა. მირზა სწერდა: წესადაა მიღებული, რომ როდესაც ორი ხელმწიფე რმს განიზრახავს, ყოველთ უწი-

ნარეს სანდო კაცებს აირჩევენ და ამათის შემწეობით ცდილობენ სადავო საქმე მშვიდობით გაათავონო. ამისათვის მირზა-შეფიგი ურჩევდა თ. ციციშვილს, თავი შეიკავეთ, ნუ გულჰფიცხობთ და კეთილ-გონიერების სამზღვარს ნუ გადაჰლახავთო. რა ჭკუაში მოსასვლელია, სწერდა დარბაისელი მირზა, რომ მზის სადარმა ირანის ბატონმა საქართველო ასე ადვილად დაუთმოს სხვასა, მარტო იმის გამო, ერთმა უგუნურმა (ალბად აქ გიორგი XIII იგულისხმება) ასე მოიწადინაო. თუ გინდათ, ქრისტეანთა და მუსულმანთა სისხლით არ შეიღებოს ქვეყანა, ეცადეთ მშვიდობა ჩამოვარდეს სპარსეთსა და რუსეთს შორის, ნუღარ დაახანებთ და მალე გამოჰგზავნეთ სანდო კაცები შაჰის მემკვიდრესთან, რომელთანაც იმყოფება ბატონიშვილი [42]. როგორცა ჰხედავს მკითხველი, მირზას წერილი, ომს გარდა, დიდ საყურადღებო საგანს ეხება. სპარსეთი თვისსა უმაღლესსა უფლებას აცხადებს საქართველოზე, უკანასკნელ საქართველოს მეფეს უგუნურს უწოდებს და საქართველოს მთავარ-მართებელს პირდაპირ სწერს, მეფეს ნება არა ჰქონდა, რუსეთისათვის საჩუქრად მიერთმია საქართველოვო. კანონიერი მემკვიდრენი საქართველოს სამეფო ტახტისა დიდებულ შაჰს ახლავან; წესი, რიგი და სამართლიანობა მოითხოვს, ელჩები გამოჰგზავნოთ და სადიპლომატო მოლაპარაკება გაჰმართოთ ბატონიშვილ ალექსანდრესთან, სპარსეთის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას თანადასწრებითაო. ამგვარ უზურპაციას, საქართველოს ტახტის გაუქმებას ძალ-მომრეობით, სპარსეთი ვერ მოითმენს და ეცდება ხმლით დაიცვას თვისნი უფლებანიო. სწორედ ეს იყო ნამდვილი მიზეზი, რომ სპარსეთი ჩაერია ერევნის ხანსა და რუსეთს შორის ატეხილ ომში და არა მხოლოდ ისე, რომ მაჰომედს გამოსარჩლებოდა.

---

[42]) ეს საყურადღებო წერილი მირზა-შეფიგისა დაბეჭდილია აქტებშიაცა და დუბროვინის თხზულებაშიც. თარგმანები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. დედანიც არის დაბეჭდილი სპარსულად აქტებში. იხილ. Акты, II, გვ. 807—808; Закавк. Д—на, 305—306.

მირზა-შეფიგის ბარათის მომტანი იაყუბ-ხანი გულ-ცივად მიიღო მთავარ-მართებელმა, განრისხდა და იმდენიც ველარ მოითმინა სიბრაზისაგან, რომ პასუხი მოხელეებს მოემზადებინათ, ადგა და საკუთარის ხელით მისწერა წერილი მირზა შეფიგს: გოჩის ტბაზედა და მტკვარზედ ყუმბარებითა და ხიშტებით დაგიხვდები, აი ეს იქნება ჩემი პასუხი. მშვიდობა მაშინ ჩამოვარდება ჩვენსა და თქვენს შორის, როდესაც მეამბოხე ბატონიშვილებს ალექსანდრესა და თეიმურაზს აქ გამომიგზავნი. ეგენი არღვევენ მყუდროებას და ჰღუპავენ თავიანთ სამშობლოს შინაურის ამბოხებით და გარედან მტრის შემოყვანით. მხოლოდ მაშინ არ მოირწყვის მინდორ-ველნი სპარსელთა სისხლითა, როდესაც ბატონიშვილებს ბინას აღარ მისცემთ და აქ დააბრუნებთ, როგორც ტყვეებსა. ვის გაუგონია, გაკვირვებით ამბობს თ. ციციშვილი, რომ შიში ჰქონდეთ იმათ, ვინც მიჩვეულია გამარჯვებას მთელს დუნაიზე! ვის შეაშინებს მუქარა, ან სიმრავლე სპარსთა ლაშქრისა თუნდა ზღვის ქვიშის ოდენისაცა, როდესაც იგი ლაშქარი ომობს ბუმბულითა და არა მახვილითაო! [43]).

თ. ციციშვილის ხასიათის დასასურათებლად არ შეგვიძლიან აქვე არ მოვიყვანოთ ნიმუშები იმის წერილებისა სხვადა-სხვა ხანებთან მიწერილებისა. აი რა კილოთი სწერს მთავარ-მართებელი ლეკების ბატონს ალისკანტეს:

„სხვა გზა არა გაქვს შენდობისათვის, იმის მეტი, რომ მოხვიდე ჩემთან და ფეხ-ქვეშ ჩამივარდე. არც ძე და არც ძმა შენი საჭირონი არ არიან. რაში მეპრიანება შენი წერილები იმის შესახებ, რომ ვითომ ერთგული ხარ და ან რა ხელ-წერილით უნდა შეეკრა ჩემის დიდის ხელმწიფის მოღალატესა და მოხარკესა? ნურავითარს მოწყალებას ნუ ელი,—შენი საქმენი და შენც თვითონ იმადაც არა ჰღირხართ, რომ ერთი გადამღვრძალი ძაღლი გამოგიგზავნოს კაცმა საჩუქრად. მოვა დრო, რომ მიწას გალოკინებ და მაშინ გაჩვენებ რაც შემიძლიან მე აქ, რა ძალი და ხელმწიფება მაქვს მონიჭებული. ვისაც მორ-

[43]) Ак. II, გვ. 808—809. თარიღი ამ წერილისა 27 მაისი 1804 წ.

ჩილება უნდა, ის პირობის წერილებისა და ხელ-შეკრულობის დადებას კი არა თხოულობს, წყალობასა და შენდობას ეძებს ქედ-მოხრილი, ზეიადობა-შემუსვრილი. ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია, ბრძანებაც იმას შეჰფერის, ხოლო სუსტის საქმე მორჩილებაა: ლერწმის წესია იზნიქებოდეს, ხოლო ასის წლის მუხა ჰხედავს, რომ ერთი ფოთოლიც არ მოაკლდება, რაც უნდა ქარ-ტეხილი ეკვეთებოდეს". *)

შემდეგი წერილი უფრო საშინელის კილოთია დაწერილი.

„ყველამ იცის რა ფიქრ-აზრის კაციცა ვარ, მე რბილი ლოგინი მიყვარს, თუ ველი ბრძოლისა, საცა სისხლი მდინარესავით მჩქეფარებს და თავნი კაცთანი ისე სცვივა, თითქო ვაშლებიაო. მაშასადამე, არა ისეთი სუსტი ბუზი, როგორიც არ-ს ხანი ავარიისა, უნდა ზვაობდეს რუსეთის საჭურველის წინაშე და ჰგონებდეს შემაშინოს მე, თოფ-ქვეშ დგომაში გაჭაღარავებული. ჯევათ-ხანმა ქედ-მაღლობით მიწერილ წერილებისათვის თავისს სისხლში იბანავა და იმისი წერილებიც მისვე სისხლში გავავლე" **).

ელისუის სულთანმა თავის დროზე არ გამოჰგზავნა აბრეშუმის ხარჯი და მთავარ-მართველი ასეთს წერილსა სწერს:

---

*) „Иной дороги тебѣ къ прощенію нѣтъ, какъ пріѣхать ко мнѣ и пасть къ моимъ ногамъ. Ни сына, ни брата твоего не надобно. Какія мнѣ умѣрительныя письма и трактаты дѣлать съ измѣнникомъ я данникомъ моего великаго государя? Милости не жди никакой,—твои дѣла и ты не стоишь и мертвой собаки въ подарокъ. Будетъ время, что тебя заставлю укусить землю и тогда тебѣ покажу, что могу я здѣсь, какую власть и силу имѣю; покорность означается не условіями и трактатами, а исканіемъ милости и прощенія со смиреніемъ. У кого громъ въ рукахъ, тому повелѣвать довлѣетъ, а слабому повиноваться: трости свойственно гнуться до земли, столѣтнему дубу свойствено видѣть то, что листъ его не пошевелится при ужаснѣйшей бурѣ". 441.

**) „Вамъ (მუსა-ჰაჯი) извѣстенъ мой образъ мыслей, постелю-ли я люблю, или поле боевое, гдѣ кровь льется рѣками и головы валятся, какъ яблоки. Слѣдовательно, не слабой мухѣ, каконъ Аварскій ханъ, противъ россійскаго оружія братъ гордый голосъ и думать устрашить меня, посѣдѣвшаго подъ ружьемъ. Джеватъ-ханъ за гордыя письма выкупался въ своей крови и я оныя письма вымылъ въ ней". (Ак. II; ст. 772.)

„უსირცხვილო, ყიზილბაშურის გულის სულთანო, შენ კიდევ ჰბედავ ჩემდა წერილის მოწერას. მოვიცლი შენთვისაც და გეწვევი სტუმრად იმიტომ, რომ ხარკს არ იძლევი... შენ ძაღლის სული და ვირის ჭკუა გაქვს და შეგიძლიან, მაშ, განა შენის ცბიერებითა და მიზეზ-მიზეზებით მომატყუო? შენ ეს იცოდე, რომ თუ შენი კაცი კიდევ უაბრეშუმოდ მოვიდა ჩემთან, ციმბირის გზა აქეთ დარჩება. ხოლო მე, ვიდრე ერთგული მოხარკე შეიქმნებოდე ჩემის დიდის ხელმწიფეთა-ხელმწიფის იმპერატორისა, წყურვილ ვიქნები, შენის სისხლით გავრეცხო ჩემი ჩექმები“. *)

სურხაი ხანის შვილს ხელიდ-აღასა სწერს: თუშური ცხვრებისაგან ლულა-ქაბაბის მირთმევა გსურდათ და იმისთვის ასტეხეთ ომი. მერე რა მოიგეთ? მრავალი მოკლული და დასახიჩრებული. აი ასე იციან რუსებმა დაუპატიჟებელ სტუმრების დახვედრა. თუ არა გსურსთ, რომ თქვენც მწვადივით შეგხრაკონ ხიშტებზე, დამორჩილდით მამა თქვენსა, რომელსაც მე პატივსა ვსცემო.[44]) წერილებში მთავარ-მართებელი ირონიასაც არ ერიდებოდა. ავარელ ახმედ-ხანსა სწერდა სხვათა-შორის, ქართველი მეფეების დროს წელიწადში თუშებს შვიდ ჯორს ართმევდით ხარკად და, რადგან დრონი მეფობენ, არ მოისურვებთ (во взаимность того) ეხლა ჩვენ გვიგზავნოთ შვიდის მაგიერ თორმეტი ჯორიო? [45])

ასე ელაპარაკებოდა თ. ციციშვილი საქართველოს მეზობელ ხანებს, თვით სპარსეთის შაჰს და შემდეგ თითქმის იმერეთის მეფესაც და დამოუკიდებელ მთავრებს.

---

*) Безстыдный и съ персидскою душою султанъ и ты еще смѣешь ко мнѣ писать. Дождешься ты меня къ себѣ въ гости за то, что дани не платишь... Въ тебѣ собачья душа и ослиный умъ, такъ можешь-ли ты своими коварными отговорками меня обмануть? Было-бы тебѣ вѣдомо, что если еще твой человѣкъ придетъ ко мнѣ безъ шелку, то быть ему въ сибири, а я, доколѣ ты не будешь вѣрнымъ данникомъ великаго моего Государя государей Императора, дотолѣ буду желать кровью твоею мои сапоги вымыть.“ (ibid. ss. 695; Закавк. Д-на, ss. 357).

[44]) Ак. II. ss. 774.

[45]) Ак. II. 773. ss.

მიწერ-მოწერა ერევნის ხანთან, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, უნაყოფოდ გათავდა. თიბათვის დამდეგს გენერალ ტუჩკოვის მხედართ-მთავრობით ჯარი შეესია ძველის სომხეთის სამზღვრებს. სამის დღის შემდეგ თვით მთავარ-მართებელი დანარჩენის რუსთა ჯარით და ქართველთ მხედრობით გაეშურა ერევნისკენ.[46])

ს. ფურცელი

---

[46]) ტუჩკოვის სიტყვით, თ. ციციშვილს ერევანს ახლდა 3,000 ქართველი, დუბროვინი კი ამბობს, რომ 300-იო, იხ. Зак. Д—на. გვ. 295, 309.

რ ძ ე

IV *)

ბ) სხვა-და-სხვა საშუალებანი, რომელთაც ჰხმაროობენ ნაღების მოსაგროვებლად.

როგორც ზემოდაცა ვსთქვით, რძეს ან წყნარად და შეურხეველად შეინახავენ რამდენსამე ხანს რომელსამე გარემოებაში, რომ ნაღები თავისთავად მოგროვდეს და ან ამ ნაღებს ცენტრიფუგის შემწეობით აცლიან; ყოველ მხრით ცენტრიფუგების ხმარება უფრო სასარგებლოა და, მაშასადამე, სარჩევიც, მაგრამ რადგანაც ეს ცენტრიფუგები ჯერ ყველგან გავრცელებული არ არის, ამიტომ ჩვენს მკითხველებს ჯერ იმასთანა სხვა-და სხვა საშუალებას გავაცნობთ, რომელთა ხმარების დროსაც ნაღები თავისთავად გროვდება და მათ შემდეგ ცენტრიფუგებს და მათ ხმარებასაც ავწერთ.

A) თავის-თავად ნაღების მოგროვება

მრეწველობაში და ოჯახობაში ნაღები გროვდება ან ჩვეულებრივ ტემპერატურაზე და ან გაცივებულ რძიდან; პირველს ეკუთვნიან ჰოლლანდიური, ჰოლშტინიური, დევონშიური და სხვანი და მეორეს—შვარცის, რეიმერისა, კულეისა და სხვანი.

1) **ჰოლლანდიური საშუალება.** ყველა იმ საშუალებათა შორის, რომელსაც ნაღების მოსახდელად ხმარობენ, ჰოლლანდიური უფრო უძველესია და აქედან წარმოსდგა სხვა საშუალებანიცა, ასე რომ ეს საშუალება პროტოტიპია მათ შორის; ჰოლლანდიელები მეთორმეტე საუკუნეში გადასახლდნენ გერმანიაში და, რასაკვირველია, აქაც გაავრცელეს თავიან-

*) «მოამბე» № V.

თი საშუალება, რომელიც ახალ ადგილას ცოტაოდნად შეიცვალა.

ჰოლლანდიური საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ნაღებ-მოსახდელ რძეს ჯერ გაცივებენ და გაცივებულს ჩასხამენ ნაღებ-მოსახდელ ჭურჭელში, რომელიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზეა შემდეგ შენახული.

ჰოლლანდიაში ამ საშუალებას ასე ხმარობენ: რძეს მოწველის შემდეგ ჩაასხამენ დიდრონ მოკალულ სპილენძის ჭურჭელში და ჩასდგამენ რამდენისამე ხნით ცივ წყალში. წყალის აუზები ან იქვე გომებში არის და ან ცალკე რძის ქარხნებში. ამ აუზებში რძე იმდენს ხანს დარჩება, რომ წყალის ტემპერატურა მიიღოს. რძის ამგვარ წინად გაცივებას ჰოლლანდიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ და მართლა, როგორც უკვე ვიცით, გაცივებული რძე უფრო დიდ ხანს შეინახება და, მაშასადამე, დრო ექნება ნაღების მოგროვებისა. ამგვარად გაცივებულ რძეს ახლა ჩაასხამენ ნაღებ-მოსაკრეფ ჭურჭელში, რომელიც ზოგიერთ ადგილას წარმოადგენს ხის გობებს ანუ ვარცლებს, სიგანით 40 სანტიმეტრი და სიმაღლით 8—12 სანტ. და შიგ ჩადის 4—6 ლიტრი რძე. სხვა ადგილებში კი უფრო გავრცელებულია სპილენძის ან თიხის ჭურჭელი, რომლის სურათიც აქ მოგვყავს (სურათი 19).



19 სურათი

ჰოლლანდიაში ხმარებული ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი.

ა) დამდგარი.

ბ) დაყუდებული, ზემოთი პირი.

ამ ჭურჭელს სიგანე 50—55 სანტიმეტრი აქვს და სიმაღლე კი 12—15 სანტ. და შიგ ჩადის 40—45 ლიტრი რძე. ამ ჭურჭელში ნაღები გროვდება 36 საათის განმავლობაში, და ამის შემდეგ ამ ნაღებს ერთგვარის კოვზებით ანუ ქაფქირებით ჰხდიან. რასაკვირველია, საჭიროა, რომ ამ დროს განმავლობაში რძე არ დამჟავდეს.

ამისათვის ზოგიერთ ადგილებში ნაღებს ჰხდიან ყოველ 12 საათის განმავლობაში, ასე რომ 36 საათში სამჯერ მოჰხდიან. თუ რძე დამჟავდა, მაშინ მხოლოდ უკანასკნელი ნაღები (რომელიც შედარებით ძალიან ცოტა იქნება) დაიკარგება. ჰოლლანდიურ საშუალებას ბევრი ნაკლულევანება აქვს და უმთავრესი რძის გაცივებაშია; რძის გაცივების დროსაც, რასაკვირველია, გროვდება ნაღები და ახლა თუ ასე ნაღებიან რძეს მეორე ჭურჭელში გადავასხამთ, მაშინ, რასაკვირველია, რძე ისევ აირევა და ეს ხომ, როგორც უკვე ვიცით, ძალიან უშლის ნაღების მოგროვებას.

2) **ჰოლშტინიური საშუალება.** როგორც წინადაცა ვსთქვით, ჰოლლანდიელებმა თავიანთი საშუალება გაავრცელეს გერმანიაში, ამის გამო ჰოლშტინიური საშუალება ბევრად მიემსგავსება ჰოლლანდიურს. მსგავსება ის არის, რომ აქაც ნაღების მოსაგროვლებად რძეს ინახავენ დაბალ და განიერ ჭურჭელში, რაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს ნაღების მოგროვებას, რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, რამდენადაც ნაღებ-მოსახდელ რძეს დაბალი ტანი აქვს, იმდენად ბევრი ნაღები მოგროვდება. ძველად აქაც ხის გობებს ხმარობდნენ, როგორც ჰოლლანდიაში (სურათი 20), რომლებშიაც ეტევა 4—6 ლიტრი რძე. ჰოლლანდიურ და ჰოლშტინიურ საშუალებათა შორის ის განსხვაებაა, რომ ჰოლშტინიაში ან პირ-და-პირ ახალ-მოწველილ რძეს ასხამენ ნაღებ-მოსაკრეფ ჭურჭელში და ან, თუ აცივებენ, საცივებელის საშუალებით აცივებენ. ნაღებ-მოსახდელ რძეს ინახავენ 36—48 საათის განმავლობაში და დაბალ ტემპერატურაზე, რომელიც არას დროს არ უნდა გადასცილდეს 10—15°-ს. ამაზე დაბალ ტემპერატურაზე ნაღები კარგად არა გროვდება და მაღალზე კი რძე მალე მჟავდება. ამის გამო ჰოლშტინიაში ყოველგვარი საშუალება და მეცადინეობა არის მიღებული, რომ ტემპერატურა ნაღების მოგ-



სურათი 20.
ხის გობი ძველად ჰოლშტინიაში ხმარებული ნაღების მოსაგროვებლად.

როშვების მთელ ხანაში ნაჩვენებ მიჯნებს არ გადასცილდეს, თუ-მცა კი, რასაკვირველია, ამ მოთხოვნილების შესრულება ყოველ დროს ძალიან ძნელია, მეტადრე ზაფხულში. ერთი უპირველესი და უმთავრესი პირობა ნაღების მოგროვებისა ის არის, რომ ამ ნაღების მოგროვების დროს რძე არ დამჟავდეს, რომ რძემ უვნებელად გასძლოს 36—48 საათი. მხოლოდ ამ გარემოებაშია შესაძლებელი ნაზი, გუმრიელი და კარგად შესანახავ ერბოს მომზადება; ერბო მხოლოდ მაშინ იქნება კარგი და სუნნელოვანი, როცა ნაღები სრულიად მტკნარია და მტკნარ რძეს აქვს მოხდილი. თუ ნაღებ-მოსახდელ რძის ტემპერატურამ აიწია, მაშინ ნაღები უფრო ადრე უნდა მოიხადოს, თუმცა კი ამით ერბოს გამოსავალი შემცირდება. მაშ, სარძევე ქარხანა, ანუ ის ადგილი, სადაც ნაღებ-მოსახდელი რძე არის შენახული, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ზაფხულში დიდი სიცხის დროს იმის ტემპერატურამ ძალიან არ იმატოს და არ გადასცილდეს 15°-ს. მაშ, საჭიროა ამ ადგილის მიწაში სარდაფივით აშენება და ამასთან ჩრდილოეთისკენ უნდა ჰქონდეს პირი შექცეული; ისიც კარგი იქნება, რომ თითონ შენობა დიდრონ ხეების ჩრდილ-ქვეშ იყოს და ამასთან კედლებიც ძალიან სქელი ჰქონდეს. ამგვარის სარდაფის აშენება, რასაკვირველია, ძალიან ძვირადა ჯდება და ამასთან ხშირად ვერც ეს ასრულებს თავის დანიშნულებას. ამის გამო ამ საშუალებას ეხლა გერმანიაში თითქმის ყველგან თავს ანებებენ. მაინც, რაც უნდა იყოს, ეს კი საჭიროა, რომ ნაღები რძის დამჟავებამდე იყოს მოხდილი, თუმცა ზოგიერთ ადგილებში ამ გარემოებას ყურს არ უგდებენ და დამჟავებული რძიდან ჰხდიან დამჟავებულ ნაღებს, მაგრამ ეს ძალიან მავნებელია როგორც თითონ ერბოს ღირსებისათვის, ისე მისის გამოსავლისათვის. იმას გარდა, რომ, როგორც წინადაცა ვსთქვით, მჟავე ნაღებიდან ნაზი და კარგად შესანახავი ერბო არ გამოდის, ამ დამჟავებას ერბოს გამოსავალზედაც ცუდი გავლენა აქვს, მის რაოდენობას ამცირებს. თუ რძე მალე დამჟავდა, მაშინ ნაღებში ცოტა ერბო გადავა და აქედანაც ცოტა ერბო მოგროვდება.

ამის გამო ბევრი ურჩევს რძის გაცივებას საცივებლის შემწეობით ნაღებ-მოსაკრეფ ჭურჭელში ჩასხმის წინად; ამბობენ, რომ ამ რძეზე სარდაფის მაღალი ტემპერატურა ისე ცუდად ვეღარ ჰმოქმედობსო. რძის გაცივების ზედგავლენის შესაგნებად კირხნერმა მოახდინა შემდეგი გამოცდილება, რომლის შედეგიც აქ მოგვყავს ერთ სქემაში:

ტემპერატურა სარძევე სარდაფში.	რძის სიმაღლე ჭურჭელში.	ნაღების მოგროვების ხანი.		ნაღების მოგროვების სისრულე.	
		გაუცივებელი რძე.	გაცივებული	გაუცივებელი	გაცივებული
ზამთარში:					
10—10°	4,5 სანტიმეტრი	38 საათი	38	89,68	83,96
ზაფხულში:					
17—22°	4,5 —	20 —	25,½	76,89	81,47

როგორც ვხედავთ, ზამთარში, როცა საძევე სარდაფში ტემპერატურა ისე დაბალი იყო, რომ გაუცივებელი რძეც დიდხანს დარჩა დაუმჟავებელი, მაშინ თითქმის არავითარს განსხვავებას არა ვხედავთ გაცივებულ და გაუცივებელ რძის ნაღების რაოდენობაში, გაუცივებელმა რძემ თითქმის 1% მეტი ნაღები მოიგდო, მაგრამ ზაფხულში კი, როცა სარდაფში ტემპერატურა მაღალი იყო (17—22°) და რძე მალე დამჟავდა, გაცივებულმა რძემ უფრო დიდ ხანს გასძლო და ამის გამო მის პირზე მოგროვილ ნაღებსაც დიდი განსხვავება ეტყობა, გაცივებულმა რძემ 5%-ით გადაამეტა (81,47—76,89). ამას გარდა, ისიც მოვიგონოთ, რომ გაცივებულ რძიდან მოხდილი ნაღები ეფრო კარგ ერბოს იძლევა და მაშინ ცხადი იქნება რძის გაცივების სარგებლობა.

რაც შეეხება ნაღებ-მოსაკრეფ რძის ჭურჭლის მასალას, ძველად, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, შლეზვიგ-ჰოლშტინიაში თითქმის ყველგან ხის ჭურჭელს ძხმარობდნენ ზოგიერთ ადგილების გარდა, სადაც გავრცელებული იყო დამილანქრებული

თუჯი, ან დაქაშანაურებელი თიხა და ან თეთრი თუნუქა. ამ სახმარებელ ჭურჭლის სხვა-და-სხვა მასალის ზედგავლენის და მნიშვნელობის გასაგებად კირხნერმა ბევრი გამოცდილება მოახდინა და დარწმუნდა, რომ ყველას თეთრის თუნუქის ჭურჭელი სჯობს; სამწუხაროდ, მის გამოკვლევიდან თიხის ჭურჭლის მნიშვნელობა არა სჩანს და ეს ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნებოდა, რადგანაც ჩვენში უფრო თიხის ჭურჭელია გავრცელებული.

რადგანაც ამ სწავლულს სახმარებელი ჭურჭელი ერთის ტანისა არა ჰქონდა, ამისათვის იძულებული იყო ორგვარი გამოცდილება მოეხდინა, ერთი რძის რაოდენობაზე და მეორე რძის სიმაღლეზე ჭურჭელში; ორსავე გარემოებაში რძის ტემპერატურა იყო 11—12° და ნაღები მოხდილი იყო 38 საათის შემდეგ. აი მისი გამოცდილება:

1) შესახებ რძის ერთგვარის რაოდენობისა: ყოველ ჭურჭელში 4 კილო რძე იყო ჩასხმული.

	რძის სიმაღლე ჭურჭელში:	ნაღების მოგროვების სისრულე:
ხის ჭურჭელში . . .	41 მილიმეტრი	84,49 %
დამილანქრებულ თუჯის ჭურჭელში . . .	65 —	85,01 —
თეთრ თუნუქის ჭურჭელში	56 —	87,54 —

როგორც უკვე ვიცით წინად ნათქვამიდან, რძის სიმაღლეს დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ნაღების მოგროვების დროს; რამდენადაც ეს სიმაღლე დიდია, იმდენა ცოტა ნაღები იკრიფება ერთსა და იმავე დროში და, პირ-იქით, რამდენადაც რძის ტანი დაბალია, იმდენად—ბევრი. ამისათვის ჭურჭლის მასალის ზედგავლენის შესაგნებად ნაღების მოგროვება ამ მხრითაც უნდა შედარებულიყო და აი ამან რა უჩვენა:

(ამ გამოკვლევაშიაც რძისა და სარდაფის ტემპერატურა იგივე იყო, როგორიც პირველ გამოკვლევაში, ესე იგი 11—12° და ამასთან ყოველ ჭურჭელში რძე ერთ სიმაღლეზე იდგა, 45 მილიმეტრი).

	ნაღების მოგროვების სისრულე:
ხის ჭურჭელში	89,$_{07}$ %
დამილანქ. თუჯის ჭურჭელში	93,$_{61}$ —
თეთრ თუნუქის ჭურჭელში. .	94,$_{49}$ —

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში თეთრ თუნუქის ჭურჭელში უფრო ბევრი ნაღები მოგროვდა, ვიდრე სხვა მასალის ჭურჭელში. ესევე შემდეგ დაამტკიცა შროდტმა, რომელმაც შეადარა ხისა, თიხისა და თუნუქის ჭურჭლები; იმის გამოცდილებაშიაც პირველი ადგილი თუნუქის ჭურჭელს დარჩა. ამგვარ გავლენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თუნუქის ჭურჭელში ჩასხმული რძის ტემპერატურა უფრო მალე უთანასწორდება ჰაერის ტემპერატურას, რადგანაც, როგორც ვიცით, ეს მასალა (თეთრი თუნუქა) უფრო ადვილი გადამცემია სითბოსი, ვიდრე ხე და თიხა. აქ მოგვყავს ამ თუნუქის ჭურჭლის სურათი, რომელიც ეხლა გავრცელებულია ნაღების მოსახდელად (სურათი 21). ყველგან, სადაც კი ჰოლშტინიურ საშუალებით მუშაობენ, ყველგან თეთრ თუნუქის ჭურჭელს უპირატესობა მიეცა; ამას ისიც ემატება, რომ ეს ჭურჭელი უფრო იაფია, სუბუქია, ადვილი გასარეცხია და ადვილი გასატეხი არ არის.

სურათი 21.
ჰოლშტინიაში ხმარებული თეთრი თუნუქის ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურქელი.

რაც შეეხება სარძევე სარდაფის სიდიდეს ამ ჰოლშტინიური საშუალებით რძის შესამუშავებელად, ამ მხრით გამოცდილებამ გამოარკვია, რომ ყოველ ძროხაზე თითო ოთხ-კუთხი მეტრი არის საჭირო და, მაშ, ვისაც ოცი ძროხა ჰყავს, მათის რძის შესამუშავებლად საჭირო იქნება 20 ოთხ-კუთხი მეტრი ანუ ათი ოთხ-კუთხი საჟენი. ნაღების მოსაგროვებელი ჭურჭელი სარდაფში ერთი-ერთმანეთის გვერდზე უნდა იდგეს; ზედი-ზედ დადგმა კარგი არ არის, რადგანაც ერთი ჭურჭლიდან აორთქლებული წყალი ზემო ჭურჭელზე მოგროვდება და დროს განმავლობაში ისევ წვეთობით ჩავა იმავე ჭურჭელში და ნაღებს გააფუჭებს.

3) **დესტინონის საშუალება.** 1843 წელს გრენვალ-
დის მცხოვრებმა (ჰოლშტინიაში). ცოტათი შესცვალა ჰოლ-
შტინიური საშუალება; ეს საშუალება, როგორც წარმომ-
დგარი ჰოლშტინიური საშუალებიდან, ბევრად მიემსგავსება
ამას: ამ საშუალებითაც ნაღები გროვდება იმავე გარემოებაში,
ესე იგი სარძევე სარდაფში, სადაც ტემპერატურა 10—12° არ
უნდა გადასცილდეს და ნაღებ-მოსახდელ რძესაც დაბალი ტა-
ნი აქვს; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აქ
ნაღებ-მოსახდელ ჭურჭელს უფრო ფართო ტანი აქვს, თითქმის
სამი ადლი სიგძე (200 სანტიმეტრი), სიგანე ერთ ადლზე ცო-
ტა ნაკლები (60 სანტიმ.) და სიმაღლე კი მხოლოდ 10 სან-
ტიმეტრი და შიგ ჩადის 60 ლიტრი რძე (ამ ჭურჭელს სხვა
ტანისასაც აკეთებენ, უფრო პატარებს); ჭურჭელი თუჯისა არის,
რომელიც შიგნიდან დამილანქრებულია და ისეა მოწყობილი,
რომ ზედ მიკეთებულ ბურღის შემწეობით შესაძლებელია ერ-
თი თავის აწევ-დაწევა. ჭურჭელს ერთბაშად არ ავსებენ რძით;
ჯერ პირველ ჭურჭელში ჩაასხამენ ცოტაოდენს რძეს და ასე
გაუშვებენ, რომ მალე გაცივდეს და ასე გაჰყვებიან და შემ-
დეგ ჭურჭელშიაც იმდენსავე რძეს ჩაასხამენ; ახლა ისევ მოუ-
ბრუნდებიან პირველ ჭურჭელს და კიდევ მიუმატებენ რძეს და
იმავე რიგად სხვებზე გადავლენ. ამას რამდენჯერმე გაიმეორე-
ბენ, ვიდრე რძის სიმაღლე 6 სანტიმეტრამდინ არ ავა. ახლა
ასე გაუშვებენ ნაღების მოსაგროვებლად. როცა ნაღები მოგ-
როვდება, მაშინ ბურღის შემწეობით ამ ჭურჭელს თავს აუწე-
ვენ, ისე რომ მეორე თავში რძემ ჭურჭლის პირას ამოიწიოს.
ახლა ამ თავში მიუდგამენ რამე ჭურჭელს და ერთგვარ სახვე-
ტავის შემწეობით, რომელიც უკბილო ფოცხსა ჰგავს, ნაღებს
მოაგროვებენ ამ თავისაკენ და გადაჰღვრიან სანაღბე ჭურ-
ჭელში.

დესტინონის აზრით, მისის საშუალების ხმარებით უფრო
კარგად იკრიბება ნაღები, რადგანაც აქ რძე უფრო მალე ცივ-
დება, უფრო დიდ ხანს ინახება მტკნარად, ნაღები უფრო ადვი-

ლი მოსახდელია და თვითონ ჭურჭელიც ადვილი გასარეცხი და ადვილი მოსახმარებელია.

გამოკვლევამ მართლა დაამტკიცა, რომ ნაღები უფრო კარგად გროვდება და კარგად იხდება, მაგრამ რაც შეეხება რძის დიდ ხანს მტკნარად დარჩენას, ეს გარემოება არ დამტკიცდა; პირ-იქით, რადგანაც დიდრონ და ფართო ჭურჭელში უფრო მალე მჟავდება რძე, აქაც ხშირად რძე ნაღების სრულ მოხდის წინად მჟავდება; ამისგამო ამ საშუალებას ახლა თითქმის აღარა ჰხმარობენ.

4) გუსანდერის საშუალება (Gussander). ამ საშუალებით ნაღების მოსაგროვებლად საჭირო არ არის ცივი სარდაფი, არამედ ოთახი კარგად განათებული, კარგად გამონიავებული და მშრალი. ჭურჭელში ჩასხმულ რძეს ძალიან დაბალი ტანი აქვს და შენახულია კარგად მაღალ ტემპერატურაზე და თითონ ჭურჭელი თეთრის თუნუქისა ან მოვილანქრებული თუჯისაა. რძეს მოწველის უმალვე ჩაასხამენ ნაღებ-მოსაგროვებელ ჭურჭელში, რომელიც, როგორც ვსთქვით, თეთრის თუნუქისა არის, მოგრძო (სიგძე აქვს 57 სანტიმეტრი და სიგანე 37 და სიმაღლე კი მხოლოდ 5); გვერდები შემორგვალებული აქვს და შიგ ჩადის 7 ლიტრი რძე. ამ ჭურჭელს მთლად არ ავსებენ, არამედ რძეს უნდა ჰქონდეს 3 ან 3,5 სანტიმეტრი სიმაღლე (სურათი 22). ამ ჭურჭელს ერთ ბოლოში ერთი მასრა აქვს დატანებული, რომელიც დაცობილია საცობლით. ამ მასრას ოთხ ადგილას წვრილი ნაპრალი აქვს (fente). ეს



სურათი 22.
გუსანდერის ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი.

ჭურჭელი დაწყობილია ოთხ-ოთხი თითო (სურათი 23) სტოლზე; სტოლს სწორედ სანაღბე ჭურჭლის მასრების ქვეშ კარგა მოზდილი ღარი აქვს, რომელიც ერთი მხრისკენ ცოტათი

დაქანებულია. შენახულ რძეს ნაღებს ჰხდიან 23 საათის შემდეგ. ნაღების მოსახდელად ასე ჰმოქმედობენ: ღარზე მყოფ მა-



სურათი 23.

გუსანდერის ჭურჭელი სტოლზე დაწყობილი.

სრას ახდიან საცობელს და მაშინ ნაღებ ქვეშ მყოფი ნაღებ-მოხდილი რძე ჩადის მასრაში ნაპრალებიდან, აქედან სტოლზე მყოფ ღარში ჩადის და მერე გვერდზე მიდგმულ ჭურჭელში გროვდება; ნაღები კი თავის სისქის გამო ვერ გადის ნაპრალებში და ჭურჭელში რჩება. ამ ნაღებს შემდეგ გადაასხამენ შესანახავ ჭურჭელში. რადგანაც ამ საშუალებით ნაღების მოგროვების დროს ტემპერატურა 16°-ზე დაბალი არ უნდა იყოს, ამისათვის ოთახს გასათბობი ბუხარი უნდა ჰქონდეს, რომ ზამთარში შეიძლებოდეს მისი გათბობა.

თუ სარძეველში სისუფთავე სუფევს და ნაღების მოგროვების დროს კარგი ყურადღება აქვს მიქცეული, ამ 23 საათის განმავლობაში რძეც და ნაღებიც კარგად ინახება, არა მჟავდება. გუსანდერის საშუალებით მოგროვილი ნაღები ძალიან სქელია და ამასთან ძალიან სუქანიც. ვოლმარკის, შტეკარდის და მოზერის გამოკვლევიდან სჩანს, რომ ამ საშუალებით რძეს ეცლება 83—91% ერბო. ეს საშუალება დიდ ხანს იყო ნაქები, მაგრამ ახლა თითქმის დავიწყებულია, რადგანაც უფრო კარგი საშუალება იპოვეს.

5) დევონშირული საშუალება. ამ საშუალებას ჰხმარობენ ინგლისში, დევონშირში: ნაღებ-მოსახდელ რძეს ჩაასხამენ ან

თეთრ თუნუქის ან დამილანქრებულ თუჯის ცილინდრის მსგავს ჭურჭელში, რომელსაც 8—10 სანტიმეტრი სიმაღლე აქვს და 20—30 სანტიმეტრი სიგანე და შიგ ეტევა 3—7 ლიტრი რძე; ამგვარ ჭურჭელში ჩასხმულ რძეს ნაღების მოსაგროვებელად ინახავენ გრილს ადგილას. თორმეტი საათის შემდეგ ამ ჭურჭელს ჩასდგამენ წყალით სავსე ქვაბში და ცეცხლზე გაათბობენ თითქმის აღუღებამდე, ვიდრე ნაღების პირას პატარ-პატარა ბუშტები არ გამოჩნდება (the milk blisters), ვიდრე ნაღები არ აბურცდება აქა-იქ და ამას შემდეგ ამ ჭურჭელს ისევ ცივ ადგილას გადაიტანენ და დაასვენებენ 15 საათს და ამის შემდეგ მოჰხდიან გასქელებულ ნაღებს (clotted cream). ასე მომზადებული ნაღები ძალიან სუქანია, სქელი და ამის გამო ადვილი მოსახდელია (ჩვენებურ ნაღებსა ჰგავს); ნაღები მტკნარია და ჰხმარობენ სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად. რაც შეეხება ერბოს გამოსავალს ამგვარ ნაღებიდან, ფლეიშმანის სიტყვით, აკლენდმა მოახდინა შემდეგი გამოკვლევა და აი რა აღმოჩნდა: (ამ გამოცდილებაში ერთი და იგივე რძე ორად იყო გაყოფილი და მათგან ერთი გამთბარი და მეორე კი არა და შენახული ნაღების მოსაგროვებლად).

	რძის რაოდენობა	ნაღები %	ერბო %
გაუმთბარი რძე	29,375 გირვანქა.	3,687 გირ.	1,375 გირ.
გამთბარი —	29,375 —	2,500 —	1,281 —

აქედან გამოანგარიშებით 100-ზე აღმოჩნდა შემდეგი:

100	გირ. გაუმთბარი რძიდან გამოვიდა	12,555 ნაღები და	4,681 ერბო.
100	— გამთბარი — —	8,511 — —	4,381 —

როგორც ვხედავთ, ერბოს გამოსავალში დიდი განსხვავება არ არის; ამგვარივე გამოკვლევა ამავე საგანზე ეკუთვნის მიულერსაც, რომელმაც ნაღებ-მოსახდელი რძე ჩაასხა ჩინურ ჭურჭელში 8,1 სანტიმეტრი სიმაღლით და 12 საათის შემდეგ გათბო 95°-დინ და 11 საათით შესვენების შემდეგ ნაღები მოჰხადა, რომლის რაოდენობაც იყო 3,17%.

ქიმიური ანალიზი რძისა და მოხდილ ნაღებისა შემდეგი ჰლმოჩნდა:

	რძე:	ნაღები:
წყალი . . .	87,58 %	22,83 %
ერბო	3,49 —	70,20 —
ხაჭო	3,24 —	4,10 —
შაქარი	4,96 —	2,31 —
ნაცარი . . .	0,73 —	0,56 —

აქედან ცხადად სჩანს, რომ რძეში მყოფ ერბოდან ნაღებში გადავიდა მხოლოდ 64% ერბო, მაშასადამე, ნაღებში ძალიან ცოტა ერბო ამოსულა და ცხადია გათბობას არავითარი სიკეთე არ მოუტანია. ამას ისიც დავუმატოთ, რომ, თუმცა დეევონშირული რძე სრულიად მტკნარია, მაგრამ ნადული რძის გემო აქვს და, მაშასადამე, ყველას არ მოეწონება.

6) **შვარცის საშუალება.** ამ საშუალებითაც ნაღები თავისთავად გროვდება, მაგრამ სულ სხვა გარემოებაში, ძალიან დაბალ ტემპერატურაზე. რძეს მოწველის უმალვე ასხამენ თეთრ ფუნუქის დიდრონ ჭურჭლებში, რომელთა სიმაღლეც შეადგენს 40 ან 50 სანტიმეტრს და სიგანე კი ერთგვარი არა აქვთ—ერთის მხრით უფრო განიერია (გძელი) და მეორე კი უფრო მცირე, გვერდები შემორგვალებული აქვთ (სურათი 24). რძით სავსე ჭურჭელს სდგამენ ცივ ჭის წყალში და ან ყინულით გაცივებულში, ასე რომ ნაღების მოგროვების მთელს ხანში ტემპერატურამ 8°-ზე ზევით არ აიწიოს.

სურათი 24.
შვარცის ჭურჭელი.

თუმცა ამ საშუალებას შვარცის საშუალება დაერქვა, მაგრამ ნამდვილად კი ორის კაცისგან არის მოგონილი თითქმის ერთსა და იმავე დროს; შვარცმა, შვეციის შემამულემ და დალმა (Dahl), ნორვეგის სამეურნეო სასწაელებლის მმართველმა. პირველმა თავის ქვეყანა-

ში 1863 წელს გაჰმართა სარძევე სარდაფი და მეორემ კი 1864 წლის დამდეგს. თუმცა ამ უკანასკნელმა უფრო გვიან დაიწყო, მაგრამ ამ დროს მაინც არა იცოდა-რა შვარცის საშუალებისა. ამგვარად ამ ორის კაცის მეოხებით სკანდინავიაში გავრცელდა შვარცის საშუალება, რომლის არსებაც ის არის, რომ ძალიან დაბალ და შეუცვლელ ტემპერატურაზე აგროვებენ ნაღებს. დაბალ ტემპერატურის გარდა აქ ის განსხვავებაც არის, რომ რძეს ნაღებ-მოსაგროვებელ ჭურჭელში მაღალი ტანი აქვს, დიდი სიმაღლე უჭირავს. როგორც უკვე ვიცით, ორივე ეს გარემოება (დაბალი ტემპერატურა და რძის მაღალი ტანი) ნაღების მოგროვებას უნდა აფერხებდეს, უნდა უშლიდეს; მართლაცა-და, როგორც წინად მოვიხსენიეთ, დაბალ ტემპერატურაზე და მაღალის ტანის რძეზე უფრო ცოტა ნაღები გროვდება და ამასთან ეს ნაღები ისე სუქანი არ არის, როგორც მაღალ ტემპერატურაზე. ამის მიუხედველად პრაქტიკამა და გამოცდილებამ ცხადად დაამტკიცა, რომ ამ გარემოებაში არა თუ შესაძლებელი არ არის მთელ ერბოს რძის პირას ამოსვლა, არამედ უფრო კარგი გამოსავალი აქვს. ამ გარეგანის წინააღმდეგობის და უთანხმოების მიზეზი ადვილი ასახსნელია და დამოკიდებულია მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ახლად მოწველილ თბილ რძეს პირდაპირ ასხამენ ნაღებ-მოსახდელ ჭურჭელში; თუ რძე თბილი არ არის ჩასხმული, მაშინ გამოსავალი კარგი აღარ არის. რა არის ამის მიზეზი? აქ საქმე იმაშია, რომ ერბოს სფერები, რძეზე გვიან ცივდება და ამის გამო უფრო დიდი განსხვავება ჩნდება ერბოსა და რძის სიმჭირხნეს შორის; გაცივებით რძე უფრო მალე სქელდება და ამის გამო თვითონ ერბო შედარებით უფრო მსუბუქდება და ადვილად ამოდის რძის პირას. ერბოც რომ რძესთან ერთგვარად გაცივებულიყო, მაშინ ისე კარგად და ისე ჩქარა აღარ ამოვიდოდა ნაღებში. ისიც შესაძლებელია, როგორც კირხნერი ჰფიქრობს, რომ ალბად ჭურჭელში ჩასხმულ თბილ რძის და გარეგან გაცივებულ წყალის ტემპერატურას შორის დიდის განსხვავების გამო რძეში გამოწვეულია ერთგვარი მოძრაობა, რძის ნაწილების ასვ-

ლა ჩასვლა და ეს მოძრაობა ძალიან უმართავს ხელს ნაღებ-ბის მოგროვებას და ამ ნაღების სისუქნეს; იმ ადგილში, სადაც ნაღებ-მოხდილი რძე არის შენახული, ჰაერის ტემპერატურა უფრო მაღალი არის და, რადგანაც ამასთან რძის ჭურჭელი პირამდე არ არის წყალში ჩამდგარი (ათიოდე სანტიმეტრით წყალის ზევით ამოდის), ამისათვის ამ გარემოებაში შენახული რძის პირი ყოველთვის ქვედაპირზე თბილი იქნება და ამგვარი ტემპერატურათა განსხვავება ჰბადავს და ამოქმედებს იმ მოძრაობას, რომელიც ხელს უმართავს ნაღების მოგროვებას. რძის ძირისა და პირის ტემპერატურათა განსხვავების გამო, ერთ-ხელ ამოსულ ერბოს წვეთები ძირს ვეღარ ჩავა, რადგანაც ამ გარემოებაში ერბოს სიმჭირხნე უფრო შემცირებულია, მაშასა-დამე, ეს ერბოს წვეთები რძის პირას დარჩება. თუ საცივებელ წყალის და რძის ტემპერატურათა შორის დიდი განსხვავება არ არის, მაშინ ნაღები კარგად არ მოგროვდება. მთელ ნაღების მოგროვების დროს საცივებელ წყალის ტემპერატურამ 8—10°-ზე ზევით არ უნდა აიწიოს—თუ ეს მოვლენა მოსალოდნელია, მაშინ საცივებელ წყალს ყინული უნდა მივმატოს. რამდენა-დაც საცივებელ წყალის ტემპერატურა დაახლოვებული იქნება ყინულის ტემპერატურაზე, იმდენად ემჯობინება, იმდენად უფრო ჩქარა მოგროვდება ნაღები. ამ მხრით ღირსია ყურადღებისა ფიოორდის გამოცდილება, რომლითაც მან ცხადად დაამტკიცა, რომ, თუ საცივებელი წყალის ტემპერატურა 10°, მაშინ მთელ ნაღების მოგროვებას უნდება 34 საათი და, თუ ეს ტემპერა-ტურა ძალიან დაახლოვებულია 0°-ზე, მაშინ მთელ ნაღების მოსაკრეფად 10 საათიც საკმარისია.

ამასთან ისიც არის შენიშნული, რომ რამდენადაც რძის შესანახი ჭურჭელი პატარა არის, მაშასადამე, რამდენადაც ჭუ-რჭელში ცოტა რძე ჩადის, იმდენად უფრო კარგად გროვდე-ბა ნაღები. აქედან ცხადია, რომ თუ გარემოება ნებას არ იძ-ლევა ძალიან ცივი წყალის ხმარებისას, ე. ი. თუ ამისთანა ცივი წყალი არ მოიპოვება, მაშინ ნაღების მოსაგროვებლად წვრი-ლი ჭურჭელი უნდა იყოს ხმარებული. ნაღების მოსაგროვებელ-

ჭურჭლად შეიძლება ბადიები და ტაშტებიც ვიხმაროთ, მაგრამ ამ ჭურჭელს ბევრი ცივი წყალი დასჭირდება რძის გასაცივებლად.

რაც შეეხება წყლის აუზებს ანუ გეჯებს, რომლებშიაც რძით სავსე ჭურჭელი უნდა ჩაიწყოს, იმათი ტანი, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება, რაგორც თვითონ რძის შესანახ ჭურჭელზე, ისე იმ დროზედაც, რამდენ ხნის განმავლობაშიაც რძე უნდა იყოს შენახული ამ აუზებში. თითო აუზში. ჩასდგამენ რამდენსამე ჭურჭელს, ხშირად ექვს ანუ შვიდს. საჭიროა, რომ რძით სავსე ჭურჭელი აუზის ძირზე არ იდგეს, საჭიროა, რომ ამ ჭურჭლის ქვეშაც ცივი წყალი იყოს, უამისოდ ძირი კარგად გაცივებული არ იქნება. ამისათვის აუზებში ჩაწყობილია დაბალ-ფეხებიანი ფიცრის სკამები, ან ხარიხები, და ამათზეა დამდგარი ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი; მიუცილებლად საჭიროა, რომ ამ ჭურჭლებ ქვეშ 10 სანტიმეტრის სიმაღლის წყალი იყოს. თვითონ აუზები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საცივებელი წყალი ძირში ჩამოდიოდეს და აუზის პირზე გამთბარი წყალი კი აუზის პირიდან გამოდიოდეს (სურათი 25). გასაცივებელი წყალი



სურათი 25.

შვარცის აუზი შიგ ჩადგმული ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭლებით. (სურათზე მხოლოდ ორი ჭურჭელია ნაჩვენები).

წყაროს წყალი უნდა იყოს, რადგანაც მხოლოდ ამ წყალს ექნება მთელი წლის განმავლობაში ერთგვარი დაბალი ტემპერატურა, არა ნაკლებ 8°—10°-სა. როცა ნაღები მთლად მოგროვილია,

მაშინ ამ ნაღებს მოჰხდიან ერთგვარ ჩამჩებით, რომელთა ფორმაც სურათიდან ცხადად სჩანს (სურათი 26).

სურათი 26. ნაღების მოსახდელი კოვზი ანუ ჩამჩა.

შვარცის საშუალებით მოკრეფილ ნაღების რაოდენობა თითქმის ისეთივეა, როგორც ჰოლშტინიურ საშუალებით და ზაფხულში გადააჭარბებს კიდეცა, რადგანაც აქ რძე უფრო დიდ ხანს ინახება დაუმჟავებლად დაბალ ტემპერატურის გამო.

ფლეიშმანმა შეადარა ორივე საშუალება და ამ შედარებით აღმოჩნდა შემდეგი:

ნაღებში ერბოს ამოსვლის სისრულე.

	12 საათში.	24 საათში.	36 საათში.
ჰოლშტინიური საშუალებით . . .	80,11	87,49	90,93
შვარცის საშუალებით	82,49	89,46	90,21

როგორც ამ შედარებითა ვხედავთ, ამ ორთა საშუალებათა გამოსავალში დიდი განსხვავება არ არის, როცა ნაღების მოსაგროვებლად რძე შენახულია 36 საათით; უფრო ადრე ნაღების მოხდით კი განსხვავება ეტყობა და შვარცის საშუალებით 2—3%-დინ ადის ეს განსხვავება; მაშასადამე, შვარცის საშუალების ხმარებით ნაღების მოხდის დრო კარგად მოკლდება. შვარცის საშუალება მხოლოდ იმით ჩამოუვარდება, რომ ნაღებს აქ უფრო დიდი ტანი აქვს და ჰოლშტინიურს 12—20%-ით გადაემატება. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ ამ გარემოებაში დაბალ ტემპერატურის გამო ეს ნაღები ცოტა წყალსა ჰკარგავს, უფრო ცოტად შრება: ამისგამო შვარცის საშუალებით მომზადებული ნაღები უფრო წყლიანია და ისე სუქანი არ არის, როგორც სხვა საშუალებით უფრო მაღალ ტემპერატურაზე მომზადებული ნაღები.

შვარცის საშუალების უპირატესობა წინაშე ჰოლშტინიურისა და ყველა სხვა საშუალებისა ის არის, რომ ნაღების მოგროვე-

ბა აქ დამოკიდებული არ არის გარეგან მოვლენისაგან, რო-
გორც სარძევე ოთახის ტემპერატურა და სხვანი; ამასთან ისიც
არის ღირსი ყურადღებისა, რომ ამ გარემოებაში მოგროვილი
ნაღები ყოველთვის ერთგვარია, კარგი, წმინდა და მტკნარი
და ნაღებ-მოხდილი რძეც ეგრეთვე რჩება; თითონ ნაღები კა-
რგი შესამუშავებელია და მუშაობაც შემოკლებულია. მხოლოდ
ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან იშვიათად ნაღები ხალისიანად
არა გროვდება. სამწუხაროდ, ეს საშუალება ბევრ ცივ წყალს
და ყინულს თხოულობს და ეს, რასაკვირველია, დიდ ხარჯსა
სდებს გამოსავალს და აძვირებს. ამისგამო ეს საშუალება ჩვენ-
ში ძნელი მოსახმარებელი იქნება, ზოგიერთ ადგილებს გარდა;
მისი ხმარება შეიძლება მხოლოდ მთებში, სადაც ადვილი სა-
შოვარია ცივი წყალიცა და ყინულიც.

7) ამერიკული საშუალება. ამერიკაში გავრცელებულია
ერთგვარი ნაღებ-მოსაკრეფი საშუალება, რომელიც შვარცის
საშუალებას მიემსგავსება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქ
რძის მოსაგროვებლად დაბალი ტანის და განიერ ჭურჭელსა
ჰხმარობენ, და, მაშასადამე, ნაღებ-მოსახდელ რძესაც დაბალი
ტანი ექნება. ეს ჭურჭელი აქაც წყალის აუზში არის ჩამდგარი
და ყოველ ჭურჭლისთვის ცალკე აუზი არის, რომელსაც ერთის
მხრით წყალის მოსაყვანი მილი აქვს და მეორეს მხრით ძირ-
ში გაკეთებული აქვს წყალის გასაშვები მასრა; ეს მასრა საცო-
ბლით არის დაცობილი და, თუ წყალს შეთბობა დაეტყო, ამ
საცობელს ახდიან, რომ წყალი გავიდეს და ამავე დროს წყა-
ლის მოსადენ ონკანსაც, რომ აუზი ისევ შეივსოს. თითონ ნა-
ღებ-მოსაგროვებელ ჭურჭელსაცა აქვს ძირში მიკეთებული მი-
ლი, რომელიც აუზის ძირშიაც არის გატარებული და რომლის
შემწეობითაც გამოუშვებენ ნაღებ-მოხდილ რძეს; ნაღებ-მოსახ-
დელ რძეს ჭურჭელში ჩასხმის წინად კარგად აცივებენ საცივე-
ბელის შემწეობით, აქედან ცხადია, რომ ამერიკელთ საშუალება
წარმოადგენს ჰოლშტინიურ და შვარცის საშუალებათა შეკავში-
რებას, შეერთებას და, რაც ამ ორივე საშუალებაში კარგია,
აქ არის გადმოტანილი. ეს საშუალება შვარცის საშუალებას

იმითი სჯობია, რომ უფრო ცოტა წყალი უნდება გასაცივებ-ლად და იმდენად უფრო ცოტა მოუნდება, რამდენადაც ჭურ-ჭელს დაბალი ტანი ექნება. ამას გარდა, ამ საშუალებით მო-გროვილი ნაღები უფრო სქელია და, მაშასადამე, უფრო ერ-ბოიანი. ესევე საშუალება ჰოლშტინიურ საშუალებასაც სჯო-ბია, რადგანაც მუდმივ გაცივებულია რძე და ისე მალე აღარ მჟავდება.



სურათი 27

ამერიკული ნადებ-მოსაკრეფი ჭურჭელი.

ა) სარძევე.

ბ) წყალის აუზი.

რძის ჭურჭელი გაკეთებულია თუთრის თუნუქისა, ოთხ-კუთხია, მოგძო და კუთხეები შემორგვალებული აქვს; მისი სი-მაღლე 15—25 სანტიმეტრს არ გადასცილდება; ამ ჭურჭელს სხვა-და-სხვა ტანი აქვს, ზოგში ჩადის 10 ან 20 ლიტრი და ზოგში კი 400—500 ლიტრი. ეს, რასაკვირველია, დამოკიდე-ბულია ნაღებ-მოსახდელ რძის რაოდენობაზე და ძროხების რი-ცხვზე.

როგორც ვსთქვით, ეს ჭურჭელი ჩადგმულია აუზში, რო-მელიც ან ხის სტოლზე სდგას და ან ქვითკირით ნაგებზე; პი-რველი ემჯობინება, რადგანაც გადატან-გადმოტანა შესაძლებე-ბელი იქნება (სურათი 27).

ნაღების მოხდა ორგვარად შეიძლება: ან, როგორც ზე-ვითაცა ვსთქვით, ჯერ ნაღებ-ქვეშ მყოფ ნაღებ-გაშორებულ

რძეს გამოუშვებენ ძირში გაკეთებული მილიდან, რომელიც ონკანით თავდება აუზის გარეგ; როცა ნაღებ-მოხდილი რძე დაიწრიტება, მაშინ ნაღებს კოვზებით გადაასხამენ რამ ჭურჭელში და ან იმავე მილით გამოუშვებენ; უფრო ხშირად ჯერ ნაღებს მოუოცხვენ და მოჰხდიან, როგორც დესტინონის საშუალებით; ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ნაღებ-მოსახდელი ჭურჭელიც ისევე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც აწერილი იყო დესტინონის საშუალების გარჩევის დროს და მაშინ ამ ჭურჭელს მილი აღარ ექნება გაკეთებული ძირში.

ამერიკელთ საშუალებას სრულიად მიემსგავსება რეიმერსის საშუალებაც. ნაღების მოსაგროვებლად რძეს ინახავენ დიდრონ და გძელ თუნუქის ჭურჭელში, რომელიც აგრეთვე წყალით სავსე აუზში არის ჩამდგარი; აუზი ისეა მოწყობილი,



სურათი 28.

რუიმერსის ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი თავისი წყალის აუზით.

როგორც შვარცის ან ამერიკის საშუალება; ზემოდ გაკეთებული მილიდან ცივი წყალი ჩადის აუზის ძირში და აუზის წყალი კი გადის ამ აუზის პირას გაკეთებული მილიდან; რადგა-

ნაც, როგორც სარძევე ჭურჭელი, ისე აუზიც, ღრმა არ არის, ამისათვის აქ უფრო ცოტა ცივი წყალი იხარჯება. რძის შესანახ ჭურჭელს სხვა-და-სხვა ტანისას აკეთებენ, ზოგში ჩადის 100 ლიტრი, ზოგში 600 და ზოგშიც მეტნაკლები. ჭურჭელში ჩასხმულ რძეს 15—30 სანტიმეტრი სიმაღლე უნდა ჰქონდეს. აქ მოყვანილი სურათი წარმოგვიდგენს ორ ჭურჭელს ერთ აუზში მოთავსებულს (სურათი 28). ამ ჭურჭელის აწერას საჭიროდ არა ვრაცხთ, რადგანაც უამისოდაც ცხადად სჩანს.

8) **კულეის (Cooley) საშუალება.** ამ საშუალებით ნაღების მოსახდელად რძეს ჩაასხამენ მაღალ თუნუქის ჭურჭელში, რომელიც ძალიან ემსგავსება მეარცის ჭურჭელს და რომელსაც შემდეგ ჩასდგამენ ცივ წყალში; ამ ჭურჭელს ხუფი აქვს დასახუარი, რომლის პირიც ისე განიერია, რომ ქუდივით ჩამოეცმება და ამასთან ხუფის პირის და ჭურჭლის გვერდებ შორის ცარიელი ადგილი დარჩება, ე. ი. ხუფის პირი ჭურჭელზე განიერია, როგორც ეს ცხადად სჩანს სურათზედ (სურათი 29). ნაღებმოსაგროვებელ ჭურჭელს ძირში ჩატანებული აქვს პატარა შუშა ფანჯარასავით, რომ შესაძლებელი იყოს რძის დათვალიერება ჭურჭლიდან გამოშვების დროს. ამ ფანჯარასთან ამ ჭურქელს გვერდზე გაკეთებული აქვს პატარა ონკანი, რომლის მოშვება და მოჭერა შესაძლებელია ერთის მოკალულ მილის შემწეობით; როცა მილი პირდაპირ ყირაზე სდგას, მაშინ ონკანი მოჭერილია და თუ მილი დახრილია, მაშინ მოშვებულია. მაშ, მილის ცოტაოდენის დახვრით ონკანი მოეშვება და რძე გამოვა მილიდან ნელ-ნელა, შეურხეველად, ასე რომ ნაღები არ აირე-



სურათი 29.

კულეის ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი, წყალის აუზში ჩამდგარი.

ა) წყალი.
ბ) ჰაერი.
გ) ნაღები.
დ) რძე.

ვა რძეში. როგორც ვსთქვით, ჭურჭელი დახურულია ხუფით, რომელიც დამაგრებულია ზედ-გადმოცმულ ჭურჭელის ყურებით. თუმცა ამგვარად ჭურჭელი გერმეტიულად არ არის დახურული, მაგრამ წყალში ჩადგმის დროს მაინც შიგ წყალი არ ჩავა, რადგანაც ამ ხუფის პირის და ჭურჭლის გვერდების შუა მყოფი ჰაერი შეიკუმშება და წყალს ნებას არ მისცემს ჭურჭლის პირამდინ ასვლისას. რადგანაც ჭურჭელი სრულიად შიგ წყალშია ჩამდგარი და წყალი ხუფზე მაღლა სდგას, ამისათვის გარეგანი ჰაერი ვეღარ იმოქმედებს რძესა და ნაღებზე. ჯერ ჭურჭელს კარგად აავსებენ ნაღებ-მოსახდელ რძით, ხუფს დაჰხურავენ და წყალში ჩასდგამენ, ისე რომ წყალის პირი ჭურჭელზე ზეით იყოს, ესე იგი ჭურჭელი მთლად ჩამალული იყოს წყალში. ჭურჭელი წყალში დარჩება 24 საათი, რომლის შემდეგაც წყნარად ამოიღებენ, დასდგამენ წყნარადვე სტოლზე და შუშის მილის დახვრით ნაღებ-მოხდილ რძეს გამოუშვებენ. როცა რძე სულ გამოვა, მაშინ ფანჯარაში გამოჩნდება ნაღები; ახლა ონკანს ცოტათი შეავიწროებენ, რომ რძეს ნაღები არ გამოჰყვეს და როცა რძე დაიწრიტება, მაშინ ნაღებს პირდაპირ გადაასხამენ ცალკე ჭურჭელში. ჭურჭლის საცივებელ წყალს უნდა ჰქონდეს 8—12° ტემპერატურა. ამ საშუალების ღირსება ის არის, რომ აქ ნაღები გროვდება სრულიად გაშორებული გარეგან ჰაერის ზედმოქმედებისაგან; ამის გამო ეს რძე და ნაღები უფრო მტკნარად შეინახება, დამჟავების შიში აღარ არის, რადგანაც რძის დამამჟავებული ფერმენტი ვეღარ მიეკარება რძეს; ამასთან არც არავითარი სუნი მიეცემა სარდაფის ჰაერის მიზეზით.

ამ საშუალებით ნაღები კარგად და ჩქარა გროვდება და სიჩქარით შვარცის საშუალებასაც გადააჭარბებს; ეს ორი საშუალება შეადარა შროდტმა და აი რა აღმოჩნდა.

კულეის საშუალებით. შვარცის საშუალებით. ნაღებში ამოსული ერბოს რაოდენობა:

12 საათის შემდეგ	66,74%	58,84%
24 — —	89,19—	86,98—

საფრანგეთში გავრცელებული საშუალება. აქ ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებთ საფრანგეთში და განსაკუთრებით ნორმანდიაში გავრცელებულ ნაღებ-მოსახდელ საშუალებასაც. ამ ქვეყანაში ნაღებ-მოსახდელ რძეს ინახავენ ცივ სარდაფებში, სადაც ტემპერატურა 12° უნდა იყოს და რძის შესანახავ ჭურჭლად ჰხმარობენ თიხის ან ჩინურის მათრათებს (სურათი 30). თიხის ჭურჭელი დაქანურებულია და შეხედულობით წარმოგვიდგენს ჩვენებურ მათრათებს: პირში სიგანე აქვს 40 სანტიმეტრი და ძირში კი მხოლოდ 15 სანტიმეტრი, სიმაღლე კი 15—18 სანტიმეტრს არ გადასცილდება. ჭურჭელში ჩადის 7—8 ლიტრი რძე. ნაღები გროვდება, თუ ზაფხულია, 24 საათის განმავლობაში და, თუ ზამთარია, მაშინ 48 საათს; ზოგიერთ ადგილებში კი, სადაც განთქმულ ერბოს ამზადებენ, რძე შენახულია ზაფხულში 12 საათით და ზამთარში 12—20 საათით. როცა ნაღები მოგროვილია, მაშინ ამ ნაღებს ჰხდიან ერთგვარის ქაფქირის მსგავსის კოვზებით (სურათი 31). 25, 30 ლიტრ რძიდან გამოდის 4 ლიტრი ნაღები და ამ ოთხ ლიტრ ნაღებიდან ერთი კილო ერბო.



სურათი 30.
ნორმანდიაში ხმარებული თიხის მათრათი ნაღებ-მოსაგროვებელი.

სურათი 31.
ნაღებ-მოსაკრეფი კოვზი.

როგორც ვნახეთ, ნაღების მოგროვება, მოკრეფა და მოხდა სხვა-და-სხვა გვარად შეიძლება, სხვა-და-სხვა საშუალებით, რომლებსაც ყველას თავ-თავისი ღირსებაც აქვს და ნაკლულევანებაც. მაშ, რომელი საშუალება უნდა ამოვირჩიოთ, რომელი უფრო სასარგებლო და გამოსადეგი იქნება ჩვენის ქვეყნისათვის. სამწუხაროდ, პირდაპირ და გადაწყვეტით რისამე თქმა არ შეგვიძლიან; ძნელია რომელიმე მათგანის რჩევა; მათ შორის რომელისამე ამორჩევა დამოკიდებულია ბევრს სხვა-და-სხვა ადგილობრივ გარემოებასა და ვითარებაზედ. მაშ, ის საშუალება უნდა ავირჩიოთ, რომელიც უფრო ადვილი სახმარებელია და სასარგებლო ჩვენს გარემოებაში: თუ რომელსამე ად-

გილში ან ოჯახობაში მოიპოვება ბევრი ცივი წყალი და ან ყინული, მაშინ, რასაკვირველია, შვარცის, ან კულეის და ან ამერიკული საშუალება უფრო სარჩევი იქნება და ამათგანაც ის, რომლის მოხმარებაც უფრო ადვილია; ამ სამსავე საშუალებას თითქმის ერთგვარი ღირსება აქვს და რომელიც უნდა იყოს ამორჩეული—სულ ერთია. თუ რომელსამე ადგილში ან ოჯახობაში არც ცივი წყალია და არც ყინულია იაფი, მაშინ სარჩევია დაბალისა და განიერის ჭურჭლის ხმარება, მაშასადამე, უფრო ჰოლშტინიური საშუალება, ან ნორმანდული და ესეც მხოლოდ იმ პირობით, რომ სარძევე ქარხანა კარგად იყოს მოწყობილი, გრილი იყოს ერთგვარის, ანუ შეუცვლელის ტემპერატურით და ამასთან მშრალიც და ადვილი გამოსანიავებელიც.

ამ გარემოებათა აწონ-დაწონით ყველას შეეძლება თვითონ გადასწყვიტოს და ამოირჩიოს ის საშუალება, რომელიც უფრო შეეფერება მის ოჯახობის გარემოებას და მოწყობილების ეითარებას.

B) ნაღების მოხდა ტენტრიფუგების შემწეობით

ჩვენ აქამდინ ის საშუალებანი გავარჩიეთ და ავწერეთ, რომელთა ხმარების დროსაც ნაღები თავის-თავად იკრიფებოდა; როგორც ვნახეთ, ყოველ საშუალების ხმარების დროს რძე რამდენისამე ხნით წყნარად იყო შენახული და ამ გარემოებაში მისი ერბო თვისის სიმსუქნის გამო რძის პირას ამოდიოდა და ნაღებად გროვდებოდა. ამასთან ისიც ვნახეთ, რომ მთლად ნაღების მოგროვებას კარგა ხანი უნდებოდა, არა ნაკლებ ერთის დღისა და ღამისა და უფრო ხშირად კიდევ მეტი. ამას გარდა, ისიც ხომ კარგად შევნიშნეთ, რომ თუ ამ გარემოებაში ყოველი ღონისძიება არ არის მიღებული, რათა რძე უენებლად იქმნას შენახული, რძე მჟავდება, იჭრება და ამით თვით ნაღების მოგროვება მცირდება და ამასთან, რასაკვირველია, მცირდება ერბოს გამოსავალიც; უკანასკნელ, ისიც შევნიშნეთ,

რომ ცუდ გარემოებაში მოგროვილ ნაღებისაგან გაკეთებულ ერბოს თვისებაც და ღირსებაც ასე თუ ისე იცვლება.—ამისათვის საკვირველი არ არის, რომ სწავლულების ყურადღება დიდი ხანია მიქცეული იყო იმაზე, რომ ეპოვნათ იმისთანა საშუალება, რომლითაც ნაღების მოგროვება უფრო გადვილებულიყო და აჩქარებულიყო, რომ ამით ერთის მხრით შემცირებულიყო ხარჯი და დრო და მეორეს მხრით თვითონ მასალაც უფრო კარგი და ნაზი გამოსულიყო. 15 თუ 20 წელიწადი იქნება, რაც რძის მრეწველობაში ნაღების მოსაკრეფად შემოიღეს ცენტრიფუგები, რომელთა პრინციპიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ წინა წერილში. ძნელია გადაწყვეტით ითქვას, პირველად ვინ შემოიტანა რძის მრეწველობაში ეს მანქანები, ანუ პირველად ვის მოუვიდა ეს აზრი: ფრანგები ცალკე იჩემებენ, ჩვენ მოვიგონეთ პირველადო და გერმანელებიც კიდევ ცალკე. ნამდვილი კი ეს არის, რომ გერმანელმა ინჟინერმა ლეფელდმა პირველმა ააშენა 1876 წელს პირველი ნაღებ-მოსახდელი ცენტრიფუგი, რომელიც თუმცა შემდეგ ბევრნაირად შეიცვალა და გადაკეთდა, მაგრამ მისი პრინციპი მაინც საზოგადოდ დარჩა მიღებული.

ნაღების მოსახდელი ცენტრიფუგები ეხლა ძალიან ბევრია სხვა-და-სხვა ფასისა და სხვა-და-სხვა ღირსებისა; ჩვენ ყველას არ ავწერთ; ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და არც საჭირო არის. მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ სამსა თუ ოთხზე, რომლებიც უფრო გამოსადეგია და ადვილი მოსახმარებელი.

ცენტრიფუგების აწერას დავიწყებ ლეფელდის პირველად მოგონილ ცენტრიფუგიდან. თუმცა ეს ცენტრიფუგი ეხლა ხმარებაში აღარ არის და მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაინც მისი გაცნობა ურიგო არ იქნება. ამით ჩვენ გავიცნობთ იმ პროტოტიპს, რომლისაგანაც წარმოსდგა სხვა ცენტრიფუგები; ამას გარდა მისს აღწერას ის მნიშვნელობაცა აქვს, რომ ამაზე უფრო ადვილი გასაგები და შესაგნები იქნება ამ ცენტრიფუგულ ძალით ნაღების მოხდა; უკანასკნე-

ლად ისიც საინტერესო იქნება, ამასთან სხვა, ახლა ხმარებულ ცენტრიფუგების შედარებით შევიტყოთ, თუ ამ 15—17 წ. განმავლობაში რა გვარად განვითარდა და გადაკეთდა პირველი პროტოტიპი.

აქ მოვიყვან ლეფელდისაგან 1877 წელს აშენებულ ცენტრიფუგის სურათს, თუმცა აწერას დავიწყებთ იმ ცენტრიფუგიდან, რომელიც მან წინა წელიწადში მოამზადა (1876 წ.); ამათში დიდი განსხვავება არ არის და, მაშასადამე, ყოველივე ნათქვამი მოყვანილ სურათზედაც ცხადი იქნება. სურათი გაჭრილია დახატული და რძის განაწილება ნაღებად და ნაღებმოხდილ რძედ სქემატიურად არის წარმოდგენილი (სურ. 32).



სურათი 32.

ლეფელდის პირველი ცენტრიფუგი, 1877 წ. ჭოდელი.

რკინის პერანგში (1) ჩამდგარია რკინისავე ქვაბი (2) პირ-შევიწროებული; ქვაბის ძირიდან ამოდის ცარიელი კონუსი (3), რომლის თავშიაც მჭიდროდ გადის და დამაგრებულია ყირაზე

დაყენებული ღერძი (4). ამ ღერძის დატრიალება ქვაბსაც დაატრიალებს. (ღერძის დატრიალება შეიძლება ან ხელით ან ორთქლის შემწეობით,—ეს მოწყობილება სურათზე ნაჩვენები არ არის). იმ კონუსზე, რომელშიაც ღერძია დამაგრებული, ჩამოცმულია კარგი განიერი კონუსი (5) და თავში ნახვრეტი აქვს რძის ჩასასხმელად (ეს კონუსი პირველ ტიპს არა ჰქონდა). თუ ამ ქვაბში ჩავასხამთ რამდენსამე რძეს (პირველად მოგონილ ქვაბში ჩადიოდა 100 ლიტრი) და ღერძს დავატრიალებთ, რძე გამოიცვლის თავის გორიზონტალურ მდგომარეობას და ცენტრ-ლტოლვის (центро-бѣжная сила) ძალის გამო, ცოტ-ცოტაობით ღერძს გაშორდება და ქვაბის გვერდებს მიეკვრება. რამდენადაც ღერძის ტრიალი აჩქარებულია, იმდენად უფრო და უფრო მოიკრიფება რძე ქვაბის გვერდებზე და ბოლოს წარმოადგენს კარგა განიერ და სქელ რკალს, შიგნიდან ქვაბის გვერდებზე მიკრულს, ასე რომ რძე ამოავსებს მთელ ქვაბს ძირიდან ხუფამდინ და ამასთან ქვაბის შუაგული კი ცარიელი დარჩება; მაშ, კონუსზე დაშორებული იქნება. როცა ღერძისა და ქვაბის ტრიალი ძალიან გაძლიერდება და ერთს წუთში 800—1000-დინ ავა, მაშინ თვითონ რძეც განაწილდება ცოტ-ცოტაობით ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ. ქვაბის ღერძისკენ, ცენტრისკენ ამ რძის რკალს ნაღები მოუგროვდება და ქვაბის გვერდებისკენ კი ნაღებ-მოხდილი რძე. ამ ორთა კეცთა შუა ჯერ ისევ გაუნაწილებელი, ნაღებ-მოუხდელი რძე დარჩება, როშელიც ხნის განმავლობით და ცენტრიფუგის ძალის შემწეობით თან და თან განაწილდება და ბოლოს რძის რკალი შემდგარი იქნება ნაღებისაგან (შიგნითი კეცი) და ნაღებ-მოხდილ რძიდან (გარეთი კეცი ქვაბის კედლებზე მიკრული). ამგვარი რძის განაწილება ადვილი წარმოსადგენი და ადვილი შესაგნები იქნება, თუ მოვიგონებთ წინა წერილში ნათქვამს შესახებ გატყორცნილ მსუბუქ და მძიმე სხეულებისას. ერბო, როგორც უფრო მსუბუქი რძის შემადგენელ სხეულთა შორის, უფრო ახლო უნდა იყოს ცენტრზე და ნაღებ-მოხდილი რძე კი, როგორც უფრო მძიმე, უფრო განშორებული უნდა იყოს ცენტრ

ზე. ამას იმასაც დავუმატებთ, რომ თუ რძეში რამ უწმინდურება იყო, ბალანი ანუ პატივი და სხვანი, ესენი სულ ქვაბის გვერდებზე იქნება მიკრული და, მაშასადამე, სრულიად გამოეცლება რძეს.

როცა, ქვაბის რამდენსამე ხანს ტრიალს შემდეგ, რძე მთლად განაწილდება და ნაღები სრულიად ერთ კეცად მოგროვდება, მაშინ მოსწყვეტენ ხელით ან ორთქლით ტრიალს და დაიცდიან, ვიდრე ქვაბის ტრიალი თავისთავად არ შეჩერდება. შეჩერების შემდეგ რძე ისევ იმ მდგომარეობას მიიღებს, რომელიც ქვაბის ტრიალის წინად ჰქონდა და რადგანაც ნაღები უკვე გამოცლილია ანუ მოგროვებული, ამისათვის ეს ნაღები ამ რძის პირას მოექცევა, როგორც რძეზე მსუბუქი. ახლა ამ ნაღებს მოჰხდიან ან კოვზებით და ან ნაღებ-მოხდილ რძეს გამოუშვებენ ქვაბიდან და შემდეგ გამოსულ ნაღებს ცალკე ჭურჭელში ჩაასხამენ.

ფლეიშმანის გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ამ ცენტრიფუგით უფრო სრულია ნაღების მოგროვება და მოხდა და ამოცლილ ერბოს რაოდენობა ადის 95,6%-დინ, რაც წინად აწერილ საშუალებით არას დროს არ იყო შესაძლებელი; ამასთან ფლეიშმანის გამოცდილებამ ისიც გამოარკვია, რომ ნაღების მოგროვების სისრულეში აქ ორ გარემოებასა აქვს დიდი მნიშვნელობა: რძის ტემპერატურას განაწილების დროს და ხანს, რომლის განმავლობაშიაც ტრიალობს ცენტრიფუგის ქვაბი თვისის სრულის სისწრაფით.

რამდენადაც მაღალია რძის ტემპერატურა (საზოგადოდ მიღებულ მიჯნათა შორის) და, მაშასადამე, რამდენადაც ამით რძის სიმჭირხნე შემცირებულია, იმდენად უფრო ადვილად ეცლება ერბოს სფერები ამ რძეს (როგორც წინადაც იყო ეს ნათქვამი) და იმდენად უფრო სრულიად. ამასთან რამდენადაც ბევრჯელ შემოტრიალდება ქვაბი ერთსა და იმავე დროს განმავლობაში (მაგ. წუთში), იმდენად უფრო ენერგიულია ამ ცენტრ-ლტოლვის ძალის გავლენა რძეზე, იმდენად უფრო ადვილად მცირდება ის შემაბრკოლებელი ძალა, რომელიც უშ-

ლის და აბრკოლებს ნაღების მოგროვებას და ამასთან, რასაკვირველია, იმდენად უფრო სრული იქნება ნაღების მოგროვება.

წინად აწერილ ლეფელდის პირველ ცენტრიფუგს (1876 წლის მოდელს) ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და უმთავრესი ის იყო, რომ დიდის ხნით ცდა უნდოდა, ვინემ ქვაბის ტრიალი თავის-თავად დაწყნარდებოდა და შეჩერდებოდა; და ქვაბის შეუჩერებლად ნაღების მოხდა კი შეუძლებელი იყო. რადგანაც ნაღების მოსაგროვებლად ქვაბს უნდა ეტრიალა არა ნაკლებ ნახევარ საათისა, ამისათვის იმის გაჩერებასაც იმდენივე ხანი დასჭირდებოდა; ამ გარემოებაში ნაღების მოგროვებას და მოხდას ერთ საათზე მეტი დრო უნდემოდა. ამასთან თითონ ნაღების მოხდაც კოვზების შემწეობით სრული არ იყო, ყოველთვის რჩებოდა რძეში ცოტაოდენი ნაღები. ამ ნაკლულევანებათა ასცილებლად ლეფელდმა მეორე წელს (1877) მოიგონა ერთგვარი ხერხი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყო ნაღების მოხდა ქვაბის ტრიალის დროსვე. აი ეს ხერხი რაში მდგომარეობს: (ახლა გაუკეთა ამ მანქანას ცარიელი კონუსი) როცა ნაღები სრულიად გამოეცლება რძეს და შიგნით კეცად მოგროვდება, ქვაბის ტრიალს არ შეაჩერებენ და ამ ტრიალის დროსვე ამ ქვაბში ჩაუშვებენ მილის შემწეობით ნაღებ-მოხდილ რძეს (ცარიელ კონუსში) და თუ რძე არ არის—წყალს. რადგანაც ნაღებ-მოხდილი რძეც და წყალიც ნაღებზე უფრო მძიმეა, ამისათვის მიმატებული რძე ქვაბის ძირში ჩასვლის უმალვე ამ ქვაბის გვერდებისკენ გაიწევს და ნაღებ-მოხდილ რძეს მიემატება და ამით ამ რძის კეცის სისქე იმატებს; ნაღებ-მოხდილ რძის სისქე იმიტომ მატულობს, რომ სიმაღლის მომატება არ შეუძლიან, რადგანაც ეს სიმაღლე ქვაბის ძირით და ხუფით არის ჩაკალაპოტებული. თუ ამ გვარად ნაღებ-მოხდილ რძის კეცის სისქემ იმატა, მაშინ ეს მოაწვება ნაღების კეცს და ღერძისკენ გამოსწევს, ღერძს ანუ ცენტრს მიუახლოვებს. ამგვარის გამოწვევით ნაღების კეცი ცოტ-ცოტაობით გამოვა ხუფის კალაპოტიდან და რადგანაც ეხლა

ზე. ამას იმასაც დავუმატებთ, რომ თუ რძეში რამ უწმინდურება იყო, ბალანი ანუ პატივი და სხვანი, ესენი სულ ქვაბის გვერდებზე იქნება მიკრული და, მაშასადამე, სრულიად გამოეცლება რძეს.

როცა, ქვაბის რამდენსამე ხანს ტრიალს შემდეგ, რძე მთლად განაწილდება და ნაღები სრულიად ერთ კეცად მოგროვდება, მაშინ მოსწყვეტენ ხელით ან ორთქლით ტრიალს და დაიცდიან, ვიდრე ქვაბის ტრიალი თავისთავად არ შეჩერდება. შეჩერების შემდეგ რძე ისევ იმ მდგომარეობას მიიღებს, რომელიც ქვაბის ტრიალის წინად ჰქონდა და რადგანაც ნაღები უკვე გამოცლილია ანუ მოგროვებული, ამისათვის ეს ნაღები ამ რძის პირას მოექცევა, როგორც რძეზე მსუბუქი. ახლა ამ ნაღებს მოჰხდიან ან კოვზებით და ან ნაღებ-მოხდილ რძეს გამოუშვებენ ქვაბიდან და შემდეგ გამოსულ ნაღებს ცალკე ჭურჭელში ჩაასხამენ.

ფლეიშმანის გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ამ ცენტრიფუგით უფრო სრულია ნაღების მოგროვება და მოხდა და ამოცლილ ერბოს რაოდენობა ადის 95,6%-დინ, რაც წინად აწერილ საშუალებით არას დროს არ იყო შესაძლებელი; ამასთან ფლეიშმანის გამოცდილებამ ისიც გამოარკვია, რომ ნაღების მოგროვების სისრულეში აქ ორ გარემოებასა აქვს დიდი მნიშვნელობა: რძის ტემპერატურას განაწილების დროს და ხანს, რომლის განმავლობაშიაც ტრიალობს ცენტრიფუგის ქვაბი თვისის სრულის სისწრაფით.

რამდენადაც მაღალია რძის ტემპერატურა (საზოგადოდ მიღებულ მიჯნათა შორის) და, მაშასადამე, რამდენადაც ამით რძის სიმჭირხნე შემცირებულია, იმდენად უფრო ადვილად ეცლება ერბოს სფერები ამ რძეს (როგორც წინადაც იყო ეს ნათქვამი) და იმდენად უფრო სრულიად. ამასთან რამდენადაც ბევრჯელ შემოტრიალდება ქვაბი ერთსა და იმავე დროს განმავლობაში (მაგ. წუთში), იმდენად უფრო ენერგიულია ამ ცენტრ-ლტოლვის ძალის გავლენა რძეზე, იმდენად უფრო ადვილად მცირდება ის შემაბრკოლებელი ძალა, რომელიც უშ-

ლის და აბრკოლებს ნაღების მოგროვებას და ამასთან, რასაკვირველია, იმდენად უფრო სრული იქნება ნაღების მოგროვება.

წინად აწერილ ლეფელდის პირველ ცენტრიფუგს (1876 წლის მოდელს) ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და უმთავრესი ის იყო, რომ დიდის ხნით ცდა უნდოდა, ვინემ ქვაბის ტრიალი თავის-თავად დაწყნარდებოდა და შეჩერდებოდა; და ქვაბის შეუჩერებლად ნაღების მოხდა კი შეუძლებელი იყო. რადგანაც ნაღების მოსაგროვებლად ქვაბს უნდა ეტრიალა არა ნაკლებ ნახევარ საათისა, ამისათვის იმის გაჩერებასაც იმდენივე ხანი დასჭირდებოდა; ამ გარემოებაში ნაღების მოგროვებას და მოხდას ერთ საათზე მეტი დრო უნდემოდა. ამასთან თითონ ნაღების მოხდაც კოვზების შემწეობით სრული არ იყო, ყოველთვის რჩებოდა რძეში ცოტაოდენი ნაღები. ამ ნაკლულევანებათა ასცილებლად ლეფელდმა მეორე წელს (1877) მოიგონა ერთგვარი ხერხი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყო ნაღების მოხდა ქვაბის ტრიალის დროსვე. აი ეს ხერხი რაში მდგომარეობს: (ახლა გაუკეთა ამ მანქანას ცარიელი კონუსი) როცა ნაღები სრულიად გამოეცლება რძეს და შიგნით კეცად მოგროვდება, ქვაბის ტრიალს არ შეაჩერებენ და ამ ტრიალის დროსვე ამ ქვაბში ჩაუშვებენ მილის შემწეობით ნაღებ-მოხდილ რძეს (ცარიელ კონუსში) და თუ რძე არ არის—წყალს. რადგანაც ნაღებ-მოხდილი რძეც და წყალიც ნაღებზე უფრო მძიმეა, ამისათვის მიმატებული რძე ქვაბის ძირში ჩასვლის უმალვე ამ ქვაბის გვერდებისკენ გაიწევს და ნაღებ-მოხდილ რძეს მიემატება და ამით ამ რძის კეცის სისქე იმატებს; ნაღებ-მოხდილ რძის სისქე იმიტომ მატულობს, რომ სიმაღლის მომატება არ შეუძლიან, რადგანაც ეს სიმაღლე ქვაბის ძირით და ხუფით არის ჩაკალაპოტებული. თუ ამ გვარად ნაღებ-მოხდილ რძის კეცის სისქემ იმატა, მაშინ ეს მოაწვება ნაღების კეცს და ღერძისკენ გამოსწევს, ღერძს ანუ ცენტრს მიუახლოვებს. ამგვარის გამოწევით ნაღების კეცი ცოტ-ცოტაობით გამოვა ხუფის კალაპოტიდან და რადგანაც ეხლა

აღარა აბრკოლებს-რა, ხუფზე გადაესხმება, ხუფზე ამოვა და აქედანაც გაექანება იმავე ცენტრიფუგის ძალის მოქმედებით ხუფის პირისკენ. საცა ხუფის პირი თავდება, იქ გაკეთებულია ქვაბის პერანგზე ირგვლივი ღარი (6) და ამ ღარში ჩავა და აქედანაც ამ ღართან დატანებულ მილით (7) გამოვა რამ ჭურჭელში ჩასასვლელად. ნაღებ-მოხდილ რძეს ან წყალს იმდენს მიუმატებენ, რომ ამის ტანი დაახლოვებით მოგროვილ ნაღების ტანს უდრიდეს. ამგვარად მთელი ნაღები თავისთავად ამოვა ქვაბიდან და სრულიად გამოეცლება ნაღებ-მოხდილ რძეს. ახლა ქვაბის ტრიალს ერთბაშად შეაჩერებენ და ნაღებ-მოხდილ რძესაც ცალკე გამოუშვებენ. ამგვარის ხერხით დროც უფრო სარგებლიანად მოიხმარება და ამასთან ისიც იქნება შესაძლებელი, რომ სურვილის დაგვარად თხელი თუ სქელი ნაღები მომზადდეს. მაგ. თუ საჭირო იყო 100 კილო რძიდან 20 კილო ნაღების ანუ 20% ნაღების მოხდა, მაშინ გამოანგარიშებულ დროში სწორედ 20 კილო ნაღებ-მოხდილ რძეს მიუმატებენ; ამგვარად შესაძლებელი იქნება ერთი წონა ანუ ერთი საწყაო რძიდან იმდენ ნაღების მოხდა, რამდენიც სასურველია; რამდენადაც ბევრი ექნება მიმატებული ნაღებ-მოხდილი რძე, იმდენად ბევრი ნაღები ამოვა ქვაბიდან და ამასთან, რასაკვირველია, იმდენად თხელი იქნება ეს ნაღები. ამგვარის ხერხით ნაღები კარგად მოიხდება და გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ერბოს გამოცლაც დიდძალია და ადის 94%-დინ.

ლეფელდმა შემდეგში მოამზადა უფრო დიდი ცენტრიფუგი, რომელშიაც შესაძლებელი იყო 200 ლიტრი (16 ვედრო) რძის შემუშავება ნაღების მოსახდელად.

ამ ნაღების მოსახდელ მანქანასაც თავისი ნაკლულევანება ჰქონდა, თუმცა კი, რასაკვირველია, ბევრად სჯობდა ძველ საშუალებათა; ამის გამო რძის მრეწველობაში მალე გავრცელდა, თითქმის ყოველ ქვეყანაში შემოიღეს და განსაკუთრებით გერმანიაში.

ახლა გავსინჯოთ, რა გვარად გადაკეთდა ეს ცენტრიფუგი და რაგვარად გადაიქცა იმ მანქანად, რომელიც ამ უკანა-

სკნელ ხანში არის გავრცელებული და რომელიც დიდად მაღლა სდგას თავის სარგებლობითა და მოქმედებით.

ლეფელდის ცენტრიფუგის შემდეგ ბერლინის ერთმა ინჟინერმა ფესკამ 1880 წელს მოიგონა და გააკეთა ისეთი ცენტრიფუგი, რომელიც რძეს აგრედვე ანაწილებდა და ლეფელდის ცენტრიფუგიდან იმით განირჩეოდა, რომ ამ ჭურჭლიდან ტრიალის დროს გარედ გამოდიოდა ნაღებ-მოხდილი რძე და ნაღები კი შიგვე რჩებოდა. ამგვარი გადაკეთება, თუმცა დიდი არ არის, მაგრამ დიდ წარმატებას და განვითარებას წარმოადგენდა—უფრო დიდძალის რძის განაწილება შეიძლებოდა, მაგრამ ამანაც დიდ ხანს არ გასძლო და ამისათვის ამაზე მეტს აღარას ვიტყვით. ამავე წელს, ერთმა გოლშტინიელმა მცხოვრებმა, პეტერსელმა მოამზადა ისეთი ცენტრიფუგი, რომლის ქვაბსაც ღერძი ყირაზე კი არა ჰქონდა დაყენებული, არამედ გორიზონტალურად, რისგამოც შესაძლებელი იყო ერთის ღერძით ორის ქვაბის ტრიალი; ამასთან ის გაუმჯობესობაც ჰქონდა, რომ ორის, ბოლოში გაკეთებულ მილის შემწეობით, შესაძლებელი იყო ცალ-ცალკე გამოსულიყო ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე. ამ მანქანას სახელად ერქვა: „შეუწყვეტელად მოქმედი ნაღებ-მომხდელი“ (Kontinuierlich wirkende Schälmachine). არც ამან გასძლო დიდ ხანს. 1881 წელს დანიელებმა ნილსონმა. და პეტერსენმა გააკეთეს ახალი მანქანა „დანიური სეპარატორი“ ანუ როგორც ახლა ეძახიან: **ბურმეისტერის და ვაინის** ცენტრიფუგი, რომელსაც ნაღების და ნაღებ-მოხდილ რძის გამოსასვლელი მილები აქვს და რომელშიაც ქვაბი ტრიალებს ყირაზე დაყენებულ ღერძის შემწეობით. 1888 წელს ამ ცენტრიფუგების რიცხვი უფრო გამრავლდა: გამოჩნდა ცენტრიფუგი „**სასწორი**“ და შემდეგ „**ვიკტორია**“ სეპარატორი; ამათ გარდა გამოჩნდა ცენტრიფუგა ნავსკოვისა, ცენტრიფუგა დონისა, ინგლისური ცენტრიფუგა გირეისა, გაუმჯობესებული ნაღებ-მოსახდელი ჰანსენისა და სხვანი. ამათ მიემატა ხელით სამუშავებელი ცენტრიფუგა ლავალისა, ხელით სამუშავებელი ცენტრიფუგა არნოლდისა, აგრედვე ბურმეისტერისა და ვაინისა,

ბრაუნისა, მელოტისა, მაფფეისა, სეპარატორი „ვიკტორია“ ბეხტოლსგეიმისა და სხვანი.

ამ მრავალთაგან ჩვენ ამოვარჩევთ მხოლოდ რამდენსამე, რომელიც უფრო ღირსია ყურადღებისა, როგორც თვისის ღირსებით, ისე ფასით და ადვილად მოხმარებით.

იმ ცენტრიფუგთა შორის, რომელნიც ორთქლის შემწეობით მუშაობენ, მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ორ-სამს, ლავალისას თვისის რძის გასათბობით, ლეფელდისა და ლენტშისას და უკანასკნელს მათ შორის, რომელიც ხელით არის სამუშავებელი, „ვიკტორიას“.

1) **სეპარატორი დე-ლავალისა.** ეს ცენტრიფუგი სურათზე (სურათი 33) გაჭრილი არის ნაჩვენები, რომ შესაძლებელი იყოს მისის აგებულობის და მოქმედების შეგნება. აქ ქვაბი (1-1) წარმოადგენს ფოლადის რგვალ ჭურჭელს, რომლის პირიც შევიწროებულია და შიგ ეტევა 7 ლიტრი რძე. ეს ქვაბი ჩამდგარია რკინის პერანგში (2-2), რომელიც დამყარებულია რკინისავე ფეხებზე (3). ყირაზე დაყენებული ღერძი ზემოთი თავით მიმაგრებულია ქვაბის ძირზე (4) და მოძრაობს ორთქლის შემწეობით. გასანაწილებელი რძე ჯერ სათბობ ჭურჭელში (5) ჩადის და აქედან ქვაბის ძირას დამატებულ პატარა თასში (6) და ამ თასის ძირში გაკეთებული მილით (7) გადადის თვითონ ქვაბში. სადაც რძე გამოდის თასიდან. ამ ადგილას ქვაბში ჩაღობებულია თეთრი თუნუქის ძგიდე (8), რომელიც ქვაბში ჩასულ რძეს ეღობება და ქვაბთანავე ატრიალებს მისის ტრიალის დროს. ამ ტრიალით რძე ნაწილდება ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ, რომელთაგანაც ნაღებ-მოხდილი რძე ქვაბის გვერდებზე იქნება მიკრული და ნაღები კი ცენტრისკენ. რადგანაც რძე შეუწყვეტლივ მოდის ქვაბში, ამისათვის მოგროვილი ნაღები ამოდის ძაბრისა და ქვაბის პირს შუა და აქედან ესხმება თუნუქის თეფშებზე (9—9) და აქედანაც გარედ გამოსასხმელ მილში (10) ჩადის, რომელსაც ამ დროს რამ ჭურჭელი უნდა ჰქონდეს მიდგმული. რაც შეეხება ნაღებ-მოხდილ რძეს,

ესეც ქვაბის გვერდზე დამაგრებულ მოხრილ მილის (11) შემ-



სურათი 33.
დე-ლავალის სეპარატორი რძის სათბობითა;
სურათი აქ სქემატიურად არის ნაჩვენები

წეობით ადის ზევით და აქ მყოფ ნახვრეტიდან (a) გადადის

შეორე რიგ თეფშებზე (12—12) და აქედანაც ჩადის გარედ გასაყვან მილში (13). ნაღებ-მოხდილ რძის გასატარებელ ნახვრეტს ზემოდან ბურღი აქვს (b), რომლის შემწეობითაც ადვილია ამ ნახვრეტის გაგანიერება ანუ შევიწროება. თუ უნდათ, რომ ნაღები სქელი გამოვიდეს, მაშინ ნახვრეტს გააგანიერებენ ბურღის ამოწევით და თუ, პირ-იქით, თხელი ნაღებია საჭირო, მაშინ შეავიწროებენ ამ ბურღის შემწეობითვე.

ქვაბის ღერძს, პერანგის ცოტა ქვეით, მოწყობილი აქვს ამ ღერძის ბრუნვის შესამოწმებელი მანქანა (14), ბრუნვის მთვლელი; ეს მანქანა ხრახნილი ბორბალია და ისეა გამოანგარიშებული, რომ როცა ღერძი ასჯერ შემოტრიალდება, ეს ბორბალი ერთხელ შემოტრიალდება და ყოველ შემოტრიალების დროს ზარს ჰრეკს. ამისგამო თუ თითო წუთში ღერძი 6500—7000-ჯერ შემოტრიალდა, მაშინ ამავე ხანში ზარი 65—70-ჯერ დაჰკრავს.

რადგანაც საჭიროა, რომ ყოველ წუთს ქვაბში ერთგვარი რძის რაოდენობა ჩადიოდეს და ამასთან ამ რძეს შესაფერი ტემპერატურაც ჰქონდეს, ამისათვის ამ ცენტრიფუგს პირზე გაკეთებული აქვს ერთგვარი სათბობი ჭურჭელი (იანსონისა), რომელიც ამავე დროს რეგულატორიც არის. ეს სათბობი აი როგორ ჰმოქმედობს: რძის გამოსაშვებ ონკანის ქვეშ (ა) მოტივტივე საცობელია (ბ) და ჩამდგარია პატარა აუზში (დ), რომელსაც გრძელი და განიერი მილი აქვს ბოლოში გაკეთებული (ე) და ეს მილიც თვისის ქვეითის ბოლოთი დამაგრებულია მეორე ჭურჭლის (3—3) ძირზე; თითონ მილს ამ ადგილას ნახვრეტნი აქვს, რომელთა შევიწროება თუ გაგანიერება შესაძლებელია პატარა აუზის მიბრუნ-მობრუნებით და ამ გვარად შესაძლებელი იქნება რძის რაოდენობის ან შემცირება და ან მომატება.—მეორე ჭურჭელი (ვ—ვ) ჩამდგარია წყალით სავსე ჭურჭელში (ზ—ზ); ამ წყალის გათბობა აქ ნაჩვენებ მილის შემწეობით (ი) შეიძლება (ორთქლით); რადგანაც წყალი გათბობით ტანს ჰმატულობს, ამისათვის ამ ჭურჭელს მეორე მილიცა აქვს (თ) ამ ნამეტის წყალის გამოსა-

შვები, როცა სათბობი ჭურჭელი რძით გაივსება, ეს რძე მისის პირიდან ამოვა და გადმოესხმება წყალის ჭურჭლის გარეგან გვერდებზე და აქედანაც ჩავა სეპარატორის პირზე დამაგრებულ ძაბრში (მ) და აქედანაც ქვაბის თასში.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სეპარატორში ჩასასვლელ რძის მუდმივ ერთგვარობას; ეს იქიდანა სჩანს, რომ რამ შეცვლა ამ რაოდენობისა მაშინვე დაეტყობა ნაღების რაოდენობას და, მაშასადამე, ის ხარისხიც შეიშლება, რა ხარისხითაც უნდა იყოს რძე ნაღებ-მოხდილი და ამით მუშაობა რიგიანი აღარ იქნება.

ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ კარგად დავაკვირდებით თითონ სეპარტორის აგებულებას: წარმოვიდგინოთ, რომ სეპარატორის ქვაბში ყოველ საათს ჩამოდის 400 კილო რძე და ამასთან ნაღებ-მოხდილი რძის გასადენი ნახვრეტიც იმ გვარად არის გაგანიერებული ბურღის შემწეობით, რომ ამაში ამავე დროს 320 კილო გაივლის და მილში გადავა; მაშინ ნაღების რაოდენობა იქნება 80 კილო ანუ 20%.

ახლა ამასთან ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ გარემოებაში სეპარატორში ჩამოშვებულ რძის რაოდენობამ იკლო და საათში მხოლოდ 360 კილო რძე ჩამოვიდა. აქედან რა ცვლილება მოჰხდება? ნაღებ-მოხდილ რძის გასასვლელ ნახვრეტიდან ხომ მაინც ისევ ის რაოდენობა გავა, ე. ი. 320 კილო; მაშ, ნაღებად უნდა დარჩეს მარტო 40 კილო და ამით შემცირდება მისი გამოსავალი და წინანდელ ნაღებსა და ნაღებ-მოხდილ რძეს შუა მყოფი ურთიერთი რაოდენობა 20: 80 დაიშლება და ამის მაგივრად ნაღების რაოდენობა იქნება მხოლოდ 12.5%; ახლა ის წარმოვიდგინოთ, რომ სეპარატორში ამავე დროს განმავლობაში ჩამოდის 440 კილო რძე; რადგანაც ნაღებ-მოხდილ რძის გასავალ მილიდან 320 კილოზე მეტი ვერ გავა, ამისათვის ნაღების რაოდენობამ უნდა აიწიოს 120 კილომდე, მაშასადამე, ამ გარემოებაში ნაღები ძალიან თხელი იქნება და იმის რაოდენობა ავა 27%-დინ. აქედან ცხადია, რომ სეპარატორის მუშაობის დროს ყოველთვის ერთგვარის რძის ჭევლი

უნდა ჩამოდიოდეს, არც უნდა იმატოს და არც იკლოს, თუ, რასაკვირველია, საჭიროა ერთგვარის ნაღების მოხდა. ამისგამო ყოველ ცენტრიფუგს აქვს თავისი რეგულატორი რძისჭევლის ერთგვაროობისათვის.

ლავალის სეპარატორით მუშაობა ასე იწყება: ჯერ დაატრიალებენ ორთქლის შემწეობით ბიმის ღერძს და, მაშასადამე, ქვაბსაც და, როცა მისი ტრიალი ნორმაში ჩადგება, ესე იგი წუთში 6500—7000 ჯერ შემოტრიალდება, მაშინ აუზიდან გამოუშვებენ რძეს და მანამდისინ ეს რძე ჩადის ამ ჭურჭელში. ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე ცალკ-ცალკე გამოდიან და ბოლოს, როცა რძე სრულიად ჩავა, მაშინ ცოტაოდენ ნაღებ-მოხდილ რძესაც ჩაასხამენ, რომ ამან სეპარატორიდან გამოიყვანოს შიგ დარჩენილი ცოტაოდენი ნაღები; ამისათვის საჭიროა 6—7 ლიტრი ნაღებ-მოხდილი რძე.

თუმცა ამ სეპარატორს სხვა-და-სხვა ტანისას აკეთებენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია № I, რომელიც საათში 400 კილო რძეს მოჰხდის ნაღებს, აი ფასი ამ სეპარატორისა:

თვითონ მარტო სეპარატორი	550	მარკი	(205 მანეთი).
ამასთან სხვა-და-სხვა ჭურჭელი და მოწყობილება	330	—	(150 —)
აგრეთვე რძის გასათბობი და მისი მოწყობილება	122	—	(60 —).

მაშ, მთელი ეს სეპარატორი თავის მოწყობილებით ეღირება 415 მანეთი.

სეპარატორი ისე კარგად მუშაობს, რომ თითქმის მთელი ერბო ამოდის ნაღებში და რძეში რჩება მხოლოდ 0,,%₀ ერბო, ასე რომ ნაღების მოხდის სისრულე ამ სეპარატორით ადის 91,,%₀-დინ.

ამ ბოლოს დროს ლავალმა ეს სეპარატორი ცოტათი გადაკეთა, მხოლოდ ქვაბის შიგნითი აგებულება გამოსცვალა. შეცვლა იმაში მდგომარეობს, რომ ქვაბის ძირში ჩამდგარ თასს აქ ძირის მასრა აღარა აქვს და ამისათვის აქ ჩამოსული რძე

ტრიალის დროს თვითონ თასის პირიდან ამოდის და აქედან გადადის ცოტ-ცოტაობით, კეც-კეცად ამ ქვაბში ჩამაგრებულ მრავალ თეფშთა შორის; ამ თეფშთა შორის რძე უფრო ენერგიულად და უფრო მტკიცედ ნაწილდება ნაღებად და ნაღებმოხდილ რძედ.—ეს სეპარატორი იმითიც არის საყურადღებო, რომ რძის გასანაწილებლად უფრო სუსტი ტრიალი არის საჭირო, მხოლოდ 500 თითო წუთში.—ამ სეპარატორს ჰქვიან **ალფა-სეპარატორი.** ამ სეპარატორსაც სხვა-და-სხვა ტანისას აკეთებენ და მათგან ერთი, რომელიც საათში 125 ლიტრს რძეს ანაწილებს, ღირს 370 მარკი (170 მანეთი) და იმისთანაც არის, რომელიც საათში 1500 ლიტრ რძეს ჰხდის ნაღებს (122 ვედრო) და ჰღირს 1500 მარკი (700 მანეთი).

ვ. პეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

კერძო თაოსნობა

სწავლა-განათლების საქმეში

გერასიმეს სასუფეშო სურათის წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება. ერი, რომელსაც ორი ათასის წლიზე მეტი უცხოვრია ქვეყანაზე, ათასი წირი და კაბა გამოუვლია, მაგრამ წელში მაინც არ გადრეკილა, დღეს ეს ერი, ეკონომიურად გაღატაკებული, სწავლა-განათლებას მოკლებული და ზნეობრივად შებღალული, უკანასკნელ წერტილამდე მისულა. რა არის მიზეზი ასეთის დაქვეითებისა? ვერავინ იტყვის, რომ ქართველ კაცს ნიჭი აკლდეს. თუ საზოგადოდ მთელი კავკასიის მკვიდრნი ნიჭიერად არიან აღიარებულნი, მათში, ცხადია, ერთი უმჯობესი ადგილი ქართველებს უჭირავთ. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ის ფაქტი რომ ვიცოდთ, რომ ამ ერთმა მეფემ (ამბობენ ქართველების რიცხვი არასოდეს სუთ მილიონს არ ასცილებია) ორი ათასი წელი უვნებლად იარა ქვეყნის პირად, ცხადად ამტკიცებს, რომ მას დიდი ნიჭი და სიცოცხლის ძალა ჰქონია.

განა გასაკვირველი არ არის, თუ როგორ აიტანა ამ ბაწაწკინტელა ერმა ისეთი ქარ-ტეხილი, როგორიც იყო, მაგალითებრ, მაკედონელების შემოსევა, ჩინგიზ-ხანის თარეშობა, თემურ-ლენგისგან ოხრება, არაბებისაგან დამოხება და სხვა ათასი უბედურება? რამდენჯერ გასადგურებული მთელი საქართველო ათასს ურჯულოთაგან ისე, რომ ქვა-ქვაზედაც კი არ დარჩენილა, მაგრამ, როგორც იმ მითოლოგიურ გველს, რომელსაც ყოველის მოჭრილის თავის მაგიერ ასალი თავი ებმებოდა, ისე საქართველოც ყოველ ოხრების შემდეგ ძალ-რბილს ისხავდა და ხელ-ახლა დორძინდე-

ბოდა. განა ამას უნიშნო სიტყვა შესძლებდა? ეს კიდევ რა? საქართველო სიდიდ და გზად ჭქონდათ გაკეთებული ევროპის და ნამეტურ აზიის სიტყვებს; ვინც კი დაიბრუნდა ან ერთი ქვეყნიდან, ან მეორედან, უოუოდ აქ უნდა გამოეკლო. ჭუნნები, ყაზარები, პაკანიკები, არაბები, მონგოლები, ყაბარტინები, სპარსელები და ოსმალო-ნი,—ყველა ესენი ბუზებივით ირეოდნენ ჩვენს ქვეყანაში სხვა-და-სხვა დროს. რა ენერის სიტყვის სიისლი არ შერეულა ქართველის სიისლში, რა ენა და კილო არ სმენია მისს ყურს თავისს ხანგრძლივ სიცოცხლეში, მაგრამ არც თავისი სიისლი და არც ენა მისს არ დაუკარგავს. ისტორიაში ბევრი არ მოიძებნება ამისთანა მაგალითები. სადღა არიან ესენი ქართველების დროის შესანიშნავნი სიტყვნი: ასურელნი, ბაბილონელნი, ფინიკიელნი და სხვანი? ალიგაკენ ქვეყნის პირდამ, დროთა ბრუნვამ შთანთქა იგინი; და იმაგვ დროს პატარა საქართველო, პატარა ნომადივით, უკუნებლად გადარჩა. რას ამიგაწერეთ ეს საოცარი მოვლენა, რამ გადაარჩინა ეს ერთი მუჭა სიტყვი დროთა ბრუნვასს? ვისაც როგორ ენებოს ისე ახსნას, და მე კი ამას კეტყვი, რომ ქართველს დიდი სიცოცხლის ძალა ჭქონია სიისლში, თორემ ის ადრე განიავდებოდა, როგორც განბავდნენ სხვანი უფრო მეტნი რიცხვით და ძლიერნი კულტურით (ფინიკიელნი). დიახ, სწორედ ძლიერმა სიცოცხლის ძალამ და მისმა ნიჭმა გადაარჩინა ქართველი ერი ასმეფადმოდ გაქარწყლებას.

ამბობენ, მთა-გორიანმა ადგილმა შეინახა ქართველებიო. ვერ კეტყვიო, რომ გეოგრაფიულ მდებარეობას თავისი მნიშვნელობა არა ჭქონდეს; მაგრამ განა ჩვენის ქვეყნის ათასჯერ დარბევა სხვა-და-სხვა ჯურის და მოდგმის მტერთაგან სუფეთესო დამამტკიცებელი საბუთი არ არის, რომ მთა-გორა ვერავინ ინსინის, თუ თავით სიტყვა არ ვარგა? ანა დამისასლეთ, საქართველოს რომელი კუთხე, რომელი ადგილი გადარჩა მტრის სისრბეს აოსრებულად? განა მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ამისთანა ადგილი, სადაც მტრის ფეხი არ დადგმულიყოს? დაკვირდით, როგორ ადგილზე არიან აშენებული ჩვენი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები: ტყადია, რომ მთა-გორა ვერ აკავებდა მტერს.

დღეს ეს ნიჭიერი და სიცოცხლით სავსე ხალხი ჩვენის უთავობით და დაუდეგრობით ძლიეს სულს იბრუნებს; ღამის მთელი საქართველოს მიწა-წყალი და ავდა-დადება სსვის სელში გადავიდეს. რაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ასეთის სამწუსარო მოვლენისა? მიზეზები, შეიძლება, ბევრი დავასახელოთ, მაგრამ უმთავრესი და უპირველესი მათში გახლავთ ჩვენი ხალხის უგან ჩამორჩენა სწავლა-განთლებაში, მისი განუვითარებლობა დროის შესაფერად. დიაღ, უოველი ჩვენი უბედურება ეკონომიური თუ ზნეობრიები ჩვენის განუვითარებლობით, სწავლა-ცოდნის ნაკლებობით აიხსნება. განთლება, ცონების გავრცელება დღეს ისეთი იარაღია ცხოვრებისათვის, ურომლისოდ ვერც ცალკე პირი, ვერც მთელი ერი ვერა სძლებს ქვეყანაზე. ვერავითარი სიცოცხლის ძალა, ვერავითარი ნიჭი დღეს ვერ ისესის სალხს გაქარწყლებისაგან, თუ ის დროის შესაფერად არ არის აღჭურვილი სწავლა-განთლებით. ჩვენ რომ სადმე ევროპის უდაბნოში ვსცხოვრებდეთ, მაშინ, რასაკვირველია, განთლებაც საჭირო არ იქნებოდა; ისედაც შეგსძლებდით ქვეყნად ცხოვრებას,— უდაბნოში მეტოქე კინ გვეყოლებოდა? აგი მთელი საუკუნოები გავსძელოთ ქვეყანაზე ჩვენის პატარა კულტურით, იმიტომ რომ არც ჩვენი მეზობლები იყვნენ, მაინცა და მაინც, ჩვენზე მეტის კულტურის; ისინიც ისე დაბლა იდგნენ განთლების კიბეზე, როგორც ჩვენ. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ ჩვენი გაგვჭონდა, ღუკმას მაინც ვერავინ გვტაცებდა პირიდან. დღეს კი ცხოვრების პირობები საგრძნობლად შეიცვალა: რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო-და-უფრო მჭიდროდ ვვერტყმიან გარს ჩვენზე უფრო დაწინაურებულნი, ჩვენზე უფრო გონება-გახვითარებულნი. აქ ბრძოლა არსებობისთვის აუცილებელია. ამ ბრძოლაში წაგებულნი, რასაკვირველია, ჩვენ დავრჩებით, როგორც სუსტნი და ულონონი, თუ დროზე არ გუშველეთ თავს და არ გამოვედით იმ სიბნელიდან, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით.

გასაკვირველია, რომ ქართველ კაცს დღემდე არა სწამს, ან-კ განგებ არ უნდა იარწმუნოს ის უბრალო ბუნებითი კანონი, რომელსაც გამოჩენილმა დარვინმა «ბრძოლა არსებობისთვის» უწოდა; ქართველი ვერ შეჭრიგებია იმ აზრს, რომ ქვეყნად ცხოვრება სასტიკი ბრძოლაა ადამიანთა შორის, სადაც ძლიერი სსვარავს უძლურს, და-

დი—პატარას; ის თითქმრიძესავით დარბაისლურად სჯის, რომ სიტყოტხლე კაცს ჭამა-სმისთვის და „ვარხარალე"-ს ძახილისთვის აქვს მინიჭებულიო.

ძვირად გვიჯის ჩვენ ეს შეუგნებლობა; მხოლოდ ამით აიხსნება ის გასაოცარი უდარდელობა და უზრუნველობა, რომელიც ქართველ კაცს თან დასდევს და რომლის წყალობით ის ასეთის სიადვილით ელევა რაღაც ორ გროშში ძვირფასს დედულ-მამულს, რომელიც, ვინც იცის, რა წვა და დაგვით არის ნაშოვარი.

საჭიროა, ღრმად ჩაუფიქრდეს ქართველი ერი თვის დღევანდელ მდგომარეობას და წამალი რამ მოსცხოს, თორემ ჩვენ ის დღე მოგველის, რასაც მოესწრდნენ, მაგალითებრ, ჩრდილო-ამერიკელი ინდიელები. მოგეხსენებათ, ამ სალხმა არ ინდომა, თუ კერ მოასერსა განათლების მიღება, და დღეს, თქვენს მტერს, იმას დღე ადგია: ოდესღაც პატრონნი მთელი უზარ-მაზარი ქვეყნისა, თავისებურად ბედნიერნი, მრავალნი რიცხვით, დღეს ჩრდილო-ამერიკელი ინდიელნი სრულიად განადგურდნენ, ამოსწყდნენ; ის მცირეოდენი ნაწილიც კი, რომელიც გადურჩა დროთა ბრუნვას, სადღაც ტყე-ღრეში მიმამულან და დღეს თუ არა, სვალ ამათაც ბოლო მოეღება. დიაღ, წყვდიადით და სიბნელით გარემოცული ინდიელი კერ შეებრძოლა ჭკუითა და განათლებით აღჭურვილ ევროპიელს და დაუტოვა მას „ბრძოლის ველი". ამ შედარებით მე იმის თქმა კი არა მსურს, კითომ ქართველებიც ისეთი ველური სალხი იყოს, როგორც ინდიელები: რასაკვირველია, ჩრდილო-ამერიკელ ინდიელებზე ჩვენ გაშორებით წინა კართ, მაგრამ შეგვიძლიან კი გამარჯვებული გამოვიდეთ ჩვენი პატარა კულტურით „არსებობისთვის ბრძოლიდან"? მე იმას მოგასსენებთ, რომ თუ ჩვენც იმაკე პროგრესის გზას არ დავადექით, რომელსაც დღეს განათლებული ერი ადგას, ჩვენი საშველი არ არის,—ამოვწყდებით, როგორც ჩრდილო-ამერიკელი ინდიელები;—ეს საზოგადო კანონია. მიისედ-მოისედეთ, ვის უჭერია დღეს ბურთი და მოედანი? მას, ვინც განათლებულია, ჭკვა და გონება უჭრის. მაშ, ერთად-ერთი ხსნა ჩვენის ერისა მდგომარეობს სწავლა-განათლებაში.

—კეი, რაც შეგეიძლია, თან და თან ვნათლდებითო,—იტყვიან,—ყოველ წელს ასალ-ასალი სკოლები გეეხსნება, მოწაფეების რიცხვი თან და თან მატულობსო და სხვა.

რასაკვირველია, ვნათლდებით, მაგრამ, კაი თქვენს მტერს; იმ დროს, როდესაც რბენაა საწყისო, ჩვენ კუს ნაბიჯით ვზიზღინობთ.

თუ რამდენად სუსტად გასდაკარ ნამეტურ ჩვენ, ქართველები, განათლებაზე, ამის ბევრი ანგარიში და სტატისტიკური გამოთვლაც არ ეკმარება, ისედაც ყველასათვის ცხადია ეს სამწუხარო მოვლენა, მაგრამ, ვისაც არა სჯერა ჩვენი საბრალო უკან ჩამორჩენა ამ საქმეში, იმისთვის მოვიყვან აქ ორიოდე მოსაზრებას (შენიშვნას). ცნობილ მწერალ-ბედაგოგის სტრანნოლიუბოვის სტატიებიდან, რომელიც ამას წინად იბეჭდებოდა ყურნალ „Русская школа"-ს №№ ში ამ სათაურით: „Состояніе народнаго образованія въ селахъ Европейской Россіи („Русск. школа" №№ 3 და 4 1893 წ.). თავის დროზე ამ სტატიებმა დიდი ყურადღება მიიქციეს როგორც საზოგადოებისა, ისე მწერლობისა. საქმე ისაა, რომ ყოველი ცნობა, რომელიც სტრანნოლიუბოვის მოჰყავს თავის ნაწერებში, დამყარებულია ოფიციალურ ციფრებზე, და, მაშასადამე, ეჭვს აქ არავითარი ადგილი არა-აქვს. აი რას ამბობს პატივცემული მწერალი თავის ზირველ სტატიაში („Русск. школа", № 3, 1893 წ. გვ. 163—164): «შიდა რუსეთის სოფლებში (ამ ანგარიშში არ შედის ბოლონიისა და ოსტზეის გუბერნიები) 1880 წელს იყო სულ 18,023 სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 756,152 კაცი და 138,653 ქალი — სულ 894,905 მოწაფე; ერთი სასწავლებელი მოსდიოდა 14 სოფელს, 231 ოთხ-კუთხიანი ვერსის სივრცეზე. ყოველ 1000 (ათასს) უმაწვილში სწავლობდა მხოლოდ 129 კაცი და 22 ქალი! დანარჩენი 781 კაცი და 978 ქალი მოკლებულნი იყვნენ იმ მცირეოდენ სწავლასაც კი, რომელსაც ძლევს უმაწვილებს ჩვენი დაწყებითი სკოლები».

იქნებეთ სასაუბრო, რომ ეს ცნობები შეეხება შიდა რუსეთის, ესე იგი ამ გუბერნიებს, სადაც შემოღებულია ეგრედ-წოდებული ეკონომია (земство), და ვის არ მოგესმენებათ, რომ ეს დაწესებულება დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლებას. თუ ასეა საქმე თვით შიდა რუსეთში, ახლა ის იფიქრეთ, რა იქნება განაპირ გუბერნიებში, სა-

დაც ერობა არ არსებობს, მაგალითებრ, ჩრდილო კავკასიაში და ბოლოს ის წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნება საქმე სამხრეთ კავკასიაში (და ეერიოდ საქართველოში), სადაც, როგორც ცნობილია, საქმინისტრო სკოლების რიცხვი ორჯერ უფრო მეტია რიცხვით, კიდრე ჩრდილო-კავკასიაში? თუ შიდა რუსეთშიაც კი ათასს ემაწვილში მხოლოდ 129 კაცი სწავლობს და 22 ქალი, ჩვენში, სულ რომ ტოტა ეთქვათ, სამჯერ-ოთხჯერ მაინც იქნება ეს რიცხვება შემცირებული, ასე რომ ეოველ 1000 ახალ-ზოზარად ქართველში განათლებას ღებულობს ალბად (და ისიც კიდეე რა განათლებას,— სტრანნოლიუბსკი განათლებულს უწოდებს, კინტ კი ანბანი იცის!) მხოლოდ 30—40 კაცი და 5—6 ქალი! დანარჩენნი 960 კაცი და 994 ქალი ღვთის ანბარად არიან გაშეებულნი. ამნაირი განათლება ხომ თითქმის უტოდინარობას ეერის; ანა რა სიკეთე დაეტეობა ამ ქვეყანას, სადაც ასე მცირეა მოწაფეების რიცხვი? დროა გამოვიზიზღეთ და ღრმად ჩაეუფიქრდეთ ამ საეშეარო მოვლენას.

— შენ პირს შაქარია,—მეტეეკინ,—განა ჩვენ კი არ ეკესმის, რომ სალსს განათლება ეკირეკება, რომ განათლება დედაბოძია ქვეყნად არსებობისათვის, მაგრამ სადა ეკაქვს შეძლებაო.

ამის პასუხად აი რა მოგასსენოთ: არსად მთელ ბედამიწაზე არ მოიმსდარა იმისთანა მაგალითი, რომ ეერ ქონება შეეძინოს სალსს, გამდიდრებულიეოს, და მერე სწავლა-განათლება შეიოლოს; პირიქით, შეუძლებელია, უტოდინარმა, გაუნათლებელმა ერმა რაიმე ჩიმდიდრე მოისვეკოს. სიმდიდრის მოპოება ტოდნით შეიძლება, და თუ კი ტოდნა არ არის, საიდან შეიძლება ძატერიალური აღორძინება? დაკვირდით დღეკასდელ სასელმწიფოებს: ეკელაზე უფრო მდიდარი ერი ის არის, რომელიც უფრო განათლებულია: ინგლისი, საფრანგეთი, შეერთებული შტატები, გერმანია, შეეიცარია ამის მაგალითნი არიან; ეკელაზედ უფრო ღატკი სასელმწიფო ის არის, სადაც განათლება სუსტად გასლავთ; მაგალითად, თუნდ საფთრეთი ან სპარსეთი აიღეთ. ჩვენ თუ იმ დროს ეეტვდეთ, როდესაც ქონებრიკ სიმდიდრეს შეკიძენთ, მეტი თქვენი მტერი ნუ არის, ჩვენ განათლებას ვერ მოეკესწროთ. კინ ამბობს, ჩვენ ღარიბნი ვართ, შეიძლება ძალიან ღარიბნიც, მაგრამ ნუ თუ აქედან ის დასკვნა გამო-

დის, რომ სულები გულზე დაეიკრიბოთ და სხვას ბირში შეკეხერ-
დეთ: ბბა, იქნება, გვიწყალობოს რამეო. «თუ გული გულობსო, ქა-
და ორიეე სულებით იკმებაო», ქართული ანდაზა ამბობს. თუ მო-
ეინდომებთ, ჩვენც ბეკრს რასმეს შეეძლებთ. შესედეთ სხვა ქვეყნის
მაგალითებს. რა იყო, მაგალითებრ, ფინლანდია ამას წინად? ან რას
წარმოადგენდნენ მისი მკვიდრნი? ლატკი ბუნება, მწირი და მოუ-
საგლიანი ნიადაგი, ტიეი და ნოტიო ჰაერი, აი რა იყო ფინლანდი-
ის წინანდელი სურათი. ეხლა კი ეს უდაბნო ქვეყანა ედემის ბაღად
გადაქცეულა. მისნი მკვიდრნი, წინანდელი მეთევზენი და მონადირე-
ნი, რომელთაც ლუკმა ბერი უჭირდათ საჭმელად, დღეს უბირველ-
ეეს ევროპელებად გამსდარან; მათი განათლება უბირველეს ევროპის
საღსების განათლებას უდრის (უსწავლელების რიცხვი ფინლანდია-
ში 2% შეადგენს, სწორედ ისე, როგორც ინგლისში, საფრანგეთ-
ში და გერმანიაში).

რა საშუალება ისმარა ამ ლატკამ ქვეყანამ, რომ გათანასწო-
რებოდა ევროპის უწარჩინებულ ქვეყნებს არა მარტო განათლებით,
არამედ ნიეთიერი შეძლებითაც? რასაკვირველია, სწავლა-განათლება.
მერე, როგორა ეგონეთ, რა ავლა-დიდებით შექმნა ფინლანდელ-
მა ის ეკოლები, სადაც მთელი მათი ახალ-თაობა იწვრთნება ეო-
ნებით! იქნება ითიქროთ, რომ ეს მილიონერების საქმე იყოს? შე-
ცდარი ხარ. ეკოლა ფინლანდიაში შექმნეს მისმა ეულ-მხურვალე
მამულიშვილებმა ეროშ-ეროშობით ჩამოთხოეილ ფულებით. ფინ-
ლანდიის ეკოლა ღარიბების საქმეა. ან კი სად იქნებოდნენ ამ მცირე
ქვეყანაში მდიდრები? და რაღა ფინლანდია ეინდათ, აიღეთ, თუნდ
ისეთი კლასიკური სიმდიდრის ქვეყანა, როგორც ინგლისი; იქაც
კი მთელი სწავლა-განათლება კერძო ბირების, და ისიც ღარიბ კე-
რძო ბირების, საქმეა და არა მილიონერებისა. დასამტკიცებლად წა-
ეკითხეთ მშვენიერი სტატია ბროფესორის შლეიფერისა: «სწავ-
ლა-განათლება ინგლისში», რომელიც დაიბეჭდა ეურნალ „Обра-
зованье"-ს 1894 წლის მაისის და ივნისის №№-ში.

«მთელი ინგლისის განათლებაო,—ამბობს შლეიფერი,—ეველაზე
უწინარეს კერძო ბირების საქმეა; მხოლოდ ბოლოს დროს შეუერთ-

დნენ ამ პირებს სსვა-და-სსვა რელიგიური ძმობანი და დაწესებულებანი».

შეეჩერდეთ ტოტა სხს ამ სტატიაზე: ამ კერძო პირთაგანო,— განაგრძობს ძღეიფერი,—ყველაზე შესამჩნეი იყო იოსებ ლანკასტერი. ეს იყო მეტად ღარიბი კაცი. 1789 წელს მან შეეკრიბა მამიმისის ქოხში რამდენიმე უმაწვილი და დაუწყო მათ სწავლება. ქალალდის მაგივრად უმაწვილები სმარობდნენ სილით მოყრილ სტოლებს, რომლებზედაც თითით გამოჭყაედათ ასოები. ლანკასტერი ისეთის გატაცებით და გულმსურვალებით ეკიდებოდა თვისგან არჩეულ საქმეს, რომ მალე მისმა პატარა ქოხმა ბელარ დაიტია ყველა მსურველების რიცხვი. სხვების შემწეობით მან იქირავა უფრო კრტელი შენობა. უმაწვილების რიცხვმა ძლიერ იმატა. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ის უფასოდ ასწავლიდა მოწაფეებს. ლანკასტერმა ბელარ შეიძლო მარტო ამოდენა შეგირდების სწავლება, არც ჭქონდა საშუალება, რომ თანაშემწეები დაექირავებინა; ამისათვის მან ეს თანამდებობა მიანდო თავისს უფროს შეგირდებს (მას აქეთ ამნაირ სწავლას ლანკასტერის სისტემა ეწოდა სასელად— Ланкастерская система обученія). ასე მიდიოდა საქმე 1811 წლამდე. ამ წელს კი შესდგა «ნაციონალური საზოგადოება ღარიბ მოწაფეთა აღზრდისა ინგლისში და უელსში». ამ საზოგადოების დამფუძნებელი გახლდათ მეორე კერძო მოღვაწე სწავლა-განათლებისა—ანდრიუ ბელლი. აი სწორედ ამ ორმა პირმა (ლანკასტერმა და ბელლიმ) შეჭქმნეს მთელი ინგლისის სწავლა-განათლება. ამათ ენერგიას და დაუღალავს შრომას უნდა უმადლოდეს ინგლისის ერი, თუ რომ მას დღეს საუცხოოდ მოწყობილი სკოლები აქვს.

ანდრიუ ბელლისგან დაფუძნებულმა კერძო საზოგადოებამ დაიწყო პროპაგანდა პროვინციებში სწავლა-განათლების საჭიროებაზე და ამ საქმისთვის შემოწირულობაზე. ყველგან აღმოუჩნდნენ მას თანამოაზრენი და დამხმარენი. რა ნახა, რომ სალხს მართლა აღძრია სწავლის სურვილი, ასევ მართებლობაც მიეშველა ამ საქმეს. 1832 წელს ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატამ გადასწყვიტა ოთველ წლიე 20 ათასი გირვანქა სტერლინგი გადასდოს სკოლების გასაგრძელებლად. 1835 წელს მართებლობამ კიდევ 10

ათასი გირვანქა სტერლინგი გადასდო მასწავლებლების მოსამზადებლად, რადგანაც ლანკასტერის და ბელლის მეთოდით სწავლა აღარ აკმაყოფილებდა საზოგადოებას. ამაკე დროს კერძო პირები და კერძო კომიტეტები ქსელივით მოედვნენ მთელს ინგლისს და უქადაგებდნენ სალსს სწავლის საჭიროებას და თხოულობდნენ შეძლების დაგვარად შემოწირულებას. ბოლოს კერძო ინიციატივით დაწყებულმა საქმემ ისეთ ფეხზე მიიყვანა, რომ 1870 წელს ინგლისში საკალდებულო სწავლაც შემოიღეს.

იმავე კერძო თანხობამ სულ ამ ბოლო სანებში ისეთი საქმე დაბადა ინგლისში, რომლის მზგავსი მთელს დედამიწაზე არა მოიძებნება-რა: მე მოგასსენებთ ეგრედ-წოდებულ საბბოთ უნივერსიტეტებზე. გორება-გაბრწყინვებულმა ინგლისელებმა აღარ აკმარეს სალსს დაწყებითი სწავლა, ასლა მაღალი სწავლაც უნდა ძიღებინონ. ეს დალოტვილი ქეყანა! «ერთი ამასაც მოსცლიაო,—იტყვიან,—სადაური მაგალითები მოჭყავსო, სად ინგლისი, სად საქართველო! იქ ერთ ჭაცს მოეპოება იმდენი შეძლება, რამდენიც მთელს საქართველოში არ შეიკრიბებაო». მართალი ბრძანებაა; მაგრამ მდიდრებს როდი დაუწყია იქ განათლების საქმე, ესენი მხოლოდ ბოლოს სერიენენ საქმეში, როდესაც დაინახეს, რომ უმათოდაც კეთდება საქმე. საქმე დაიწყეს გულ-შმატკივარმა ღარიბებმა, რომელთაც არა მოეკვოდათ-რა, „არ და კარგი გულისა და წმინდა სიყვარულისა თავის სამშობლოსადმი.

ეი კიდეკ მეორე მაგალითი. 1866 წლამდე საფრანგეთში ძალიან სუსტად იყო გავრცელებული სწავლა-განათლება. სალსი თითქმის სულ გაუნათლებელი რჩებოდა. მაგრამ ეი ამავე წელს გამოდის ვინმე ჟან-მასსე—ერთი უბრალო მასწავლებელი და აგროსებს თავის მეცადინეებს, დაარსონ საფრანგეთში ისეთივე საზოგადოება სწავლა-განათლების ასაღორძინებლად, როგორც სუფეკდა იმ დროს ბელგიაში (ეს ამბავი აწერილი აქვს ქ-ნს მაქსიმოვიასს ურნალ „Образованье“-ს 1894 წ. მე 10 № ში). ორი დღის შემდეგ ჟან-მასსემ ჩასწერა მომავალ საზოგადოების სწავლრა სიაში სამი კაცი: ანტონ მარი—ობერ-კონდუქტორი დიონის რკინის გზისა, ჟან-პეტი—ქვის მტეხელი და პოლიციელი ლეფრამიე; მეორეს მან თავის თავი ჩაიწერა და გამოაცხადა, რომ საზოგადოება

შემდგარიყო. ამას მარტო ფერანგი თუ იფიქრებდა; მაგრამ დასეთ მისს წინასწარ-მეტყველებას: ერთი წლის შემდეგ მან უკვე მოიპოვა 4792 წევრი. ამათი მიზანი იყო ფულის მოკრება და ამ ფულით სკოლებისა და უფასო ბიბლიოთეკების დაარსება. წევრების რიცხვმა თან და თან იმატა: დაარსდა ცალკე წრეები, რომელთაც პროგრამებში დაიწყეს მოქმედება. თვით პარიაქიაც დაარსეს განსაკუთრებული წრე, რომელსაც შეამჯობინა უნდა გაეწია პროგრამულ წრეებისათვის პარიაის წიგნის მაღაზიებთან. ამ წრის დამაარსებელი იყო კაცარი ეოშე, რომელიც თავდაპირველადვე გვერდს ამოუდგა ჟან-მასსეს და მასთან ერთად მოქმედობდა. 1870 წელს წევრების რიცხვმა 72 ათასამდის აიწია. ესლა კი შეეძლო ეთქვა მასსეს: ჩემი საზოგადოება სუმრობა აღარ არისო. 1870 წლის ომიანობამ შეაფერხა ეს დიდი საქმე; მაგრამ გათავდა თუ არა ომი, ჟან-მასსე და ეოშე დიდის მხნეობით შეუდგნენ თავიანთ წმინდა მოვალეობას. ამათ სიხოტეს მარეულობასა სოფელთა წაკვლებულ სწავლა შეიოლოთ საფრანგეთში. შესდგინეს პეტიცია, რომელზედაც 300 ათასამდე კაცმა მოაწერა ხელი. საკვლებულო სწავლა მოითხოვდა ბევრ ფულებს, ამისათვის საქმის მოთავეებმა გამართეს ხელის მოწერა. თვითეულ პირს უნდა შემოეტანა არა ნაკლებ ერთი სუ-სა • (სუ=$1^1/_4$ კაპეიკი). თვით ამ ხელის მოწერას უწოდეს სუ-სა, ან ჩვენებურად რომ გესთქვათ, კაპეიკიანი ხელის მოწერა; მთელმა საფრანგეთმა მიიღო მონაწილეობა ამ საქმეში. ნაპოლეონის მართებლობამ ტყდის თვალით შესდა როგორც პეტიციას, ისე ამ ხელის მოწერას. თვით პარლამენტმაც კი უარ-ყო საკვლებულო სწავლა. მაგრამ საქმის გამგეებმა, და მათში ნამეტარ ეოშემ, დიდად გამოიდეს თავი: ამათ მიეცა ერთეულ პირდაპირ ამოშრჩეულებს და სთხეს გამოთქვათ თავიანთი აზრი. ბუნი კეირის განმაგლობაში 35 ათასმა ამოშრჩეველმა, რომელნიც წარმოადგენდნენ 14—15 მილიონ მცხოვრებლებს, ერთხმად აღიარეს, რომ საკვლებულო სწავლა საჭიროაო. ამნაირად 1875 წელს საფრანგეთშიაც შემოიღეს საკვლებულო სწავლა კერძო ინიციატიკის წყალობით.

1881 წელს განცალკევებული და განსუფლი წრეები თავის საზოგადოებისა ყან-მასსემ შეართა ერთ დიდ საზოგადოებად და უწოდა მას სასელი ლიგა. ეს ლიგა დღესაც არსებობს, როგორც კერძო დაწესებულება და განაგებს თითქმის მთელი საფრანგეთის სწავლა-განათლების საქმეს.

მე განგებ მოვიყანე ეს მაგალითები, რომ დავანახვო მკითხველს, თუ რა დიდი ძალა კერძო თანასწორობა, თუ კაცი მოინდომებს. ამაკე ძალამ აალორძინა სწავლა-განათლება არა მარტო ზეშეხსენებულ ქვეყნებში, არამედ ყოველგან—ამერიკაში და ევროპაში. ამ ბოლო დროს რუსეთშიაც იბინა თავი კერძო თანასწორობამ და დიდი სარგებლობაც მოაქვს. ვის არ მოეხსენება ეგრედ-წოდებული პეტერბურგის და მოსკოვის წერა-კითხვის კომიტეტები. უკელას ესსო�ება ეპისტოლე, რომელთაც ამას წინად მიმართა პეტერბურგის კომიტეტმა საზოგადოებას და თხოულობდა მისგან შემწეობას ასი უფასო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის რუსეთში (ეს ეპისტოლე დასტამბული იყო აგრეთვე კავკასიის გაზეთებშიაც). მოგეხსენებათ აგრეთვე სხვა-და-სხვა კერძო ფირმები, რომელნიც ასი ათასობით აკრეტლებენ სალსში ინფ-ფასიან წიგნებს.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ თვით საზოგადოების სელშია მისი ბედი და უბედობა. თუ მოინდომებს და გაირკვება—ბედნიერი იქნება, თუ არა-და—არა. რასაკვირველია, დამაბრკოლებელი მიზეზები ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ, ერთი მაბძანეთ, განა არის საქმე იმისთანა ბედნიერი ქვეყანა, სადაც ათასი განსაცდელი არ უსვამდებოდეს წინ ყოველ კეთილ საქმეს? სხვათა შორის, ჩვენი ნაკლულოვანებაც იმაში მდგომარეობს, რომ პირველიგე დამაბრკოლებელი მიზეზი სელს გაკლებინებს კეთილს საქმეზე. სხვა ქვეყნებში აგრეროდი იქცევიან; იქ საქმე თავის განწირვამდის მიდის; იქ საზოგადო ინტერესები სრულიად აქარწყლების კერძო ინტერესებს. დროა ჩვენც შეგეჩვიოთ პატარა თავის შეწუხებას, თორემ უამისოდ არა გაკეთდება-რა.

რასაკვირველია, ჩვენში ის ძალა და გაკლენა არ ექნება კერძო თანასწორობას, რაც, მაგალითებრ, საფრანგეთში ან ინგლისში აქვს, მაგრამ, თუ საქმეს გულწრფელად მოვეკიდებით და არ დაგიზარებთ

შრომას და ჯაფას, აქაც ბევრი რამ გაკეთდება. ამის დამამტკიცებელი საბუთები ესლაც სჩანს. დაკვირდით, სიიდან არ მოდის თითო-ოროლა გრაფში ჩვენს რედაქციებში ამა თუ იმ კეთილი საქმისათვის. სჩანს, რომ სალხი იღვიძებს, ინტელიგენციის მოკალთობას ისარგებლოს ამ მომენტით და სალხს წინ წარუძღვეს კეთილ საქმეში.

ჩვენცა გვაქვს ერთი კერძო დაწესებულება, რომელიც სწავლა-განათლების საქმეს მისდევს ჩვენში; ეს გახლავთ «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება», მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ამ საზოგადოებას დიდი თვსა გამოეჩინოს მისგან არჩეულ საქმეში. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ეს საზოგადოება არსებობს, და ძლივს ხუთიოდე სკოლა დაუარსებია! რასაკვირველია, ბევრი აქ მარტო იმათ კი არ ედებათ, ვინც ამ საქმეს მარაობს, არამედ ჩვენც: დაგვიარსებია «საზოგადოება», მიგვიგდია ის ხუთი ექვსი კაცისთვის და ასე ვფიქრობთ, რომ ამ ხუთმა კაცმა უნდა აკეთოს ყველაფერი. შეუძლებელია ამნაირი ფიქრი. თუ ჩვენ მარადა გვსურს კეთილი, მარადა შეგვიტკბეს გული სალხისათვის, მარადა გვქონდეს ჩვენი სალხის უვიცობა და გვინდა სასკოლოებმა არ დაგვაცარონ, არ დაგვამცირონ და არ გამოგვტაცონ სკოლიდან ის, რაც ასეთის შრომით და ტანჯვით გადმოგვცემს ჩვენ ჩვენსა წინაპრისა. მაშინ საჭიროა შეერთებული ძალა ყველა ქართველებისა და არა ხუთი-ექვსი კაცისა. ყოველი ქართველი, რომელსაც კი ანბანი უსწავლია, ტოტარამ გაუგია ქვეყნიერობისა, კალდებულია მონაწილეობა მიიღოს იმ საშვილი-შვილო საქმეში, რომელსაც სალხის განათლება ეწოდების. უმისოდ ჩვენი მომავალი ფუჭია.

მე იმისთანა ქართველი არ მეგულება, რაც უნდა ღარიბი იყო იგი, რომ თითო-ოროლა აბაზის გამოღება არ შეეძლოს წელიწადში. თუ ფრანგებმა ბითო კაპეიკობით შეკრიბეს საჭირო თანხა განათლებისთვის, ვითომ რა ტოდვა იქნება, ჩვენ რომ თითო აბაზობით, ხუთ-ხუთ შაურობით შეკვრიბოთ ფული იმავე მიზნისთვის? ვერ თითო აბაზის მეტი რომ არ გამოიღოს თვითეულმა ქართველმა, მაშინაც კი 300 ათასს მანეთამდის შეიკრიბება, და ამ ფულებით სულ უკანასკნელი 600 დის სკოლა გაიხსნება (თითო

სკოლაზე რომ 500 მანეთი კიანგარიშოთ). ექვსას სკოლაში შეუძლიათ სწავლა მაიღონ 24—30 ათასმა ყმაწვილმა! ასლა ის ბრძანეთ, რამდენი თითო აბაზზე მეტსაც შემოიტანს, ოდონდ კი სურვილი იქნეს, ოდონდ კი ჩვენმა ინტელიგენციამ შრომა არ დაიზარონ და ნახავთ, რა საქმეები გაკეთდეს. ასეა არა იყოს-რა, სირცხვილია, რომ იმ სალხს, რომლის კალთაში ჩვენ აღგიზარდეთ, სამაგიერო არ გადგუსადოთ. «არც კაცი კარგა, თუ ტოტსალი მეკვალრსა ემზავსოს, იყო სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს».

ბ. ს—ლი

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) **ისტორია საქართველოსი.**—შედგენილი ბრუსეს-მაერ, თარგმნილი სვ. ღოდობერიძის-მიერ. ტფილისი 1895 წ.

2) **ორი ბიესა** იერ. გულისაშვილისა. ტფილისი 1895 წ. ფასი 50 კ.

3) **О народныхъ санаторіяхъ для слабогрудныхъ. Къ вопросу о борьбѣ съ бугорчаткой.** Д-ра С. А. Марка. Изданіе Кавказ. Мед. Общества. Тифл. 1895 г.

4) **მოდალატე ძმა.**—ზღაპრული პოემა მ. ლელაშვილისა. კ. თავართქილაძის გამოცემა № 12. ახალ-სენაკი 1895 წ. ფასი 10 კაპ.

5) **ესპანეთის ომი.**—ისტორიული ამბავი მოზრდილი ყმაწვილებისათვის, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ. კ. თავართქილაძის გამოცემა № 43. ახალ-სენაკი 1895 წ. ფასი 10 კაპ.

6) **არაკები და ზღაპრები.**—შეკრებილი ჯ. ოტნასელის-მიერ. კ. თავართქილაძის გამოცემა № 44. ახალ-სენაკი 1895 წ. ფასი 10 კაპ.

7) **სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი ჯანონების შესწავლისათვის.**—შედგენილი ფილიმონ ქორიძის-მიერ. ტფილისი 1895 წ. ფასი 60 კ.

8) **ფილოსოფოსი სოკრატი.**—ტფილისი 1895 წ. ფასი 5 კ.

რედაქტორი ალექსანდრე ჭეონია
გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი

ამ 1895 წლის მარტიდან

მეურნეობის, ეკონომიის, ვაჭრობისა და მრეწველობის, ჰიგიენის, სტატისტიკის და საბეითალო

ყოველკვირეული ჟურნალი

„მეურნე“

გამოიტეგმა ქუთაისში ასადის რედაქციისაგან

ხელ-მოსაწერიფასი: ერთი წლიდ სუთი მანეთი, ნახევარის წლით სამი მანეთი. წელიწადი ითვლება ამ წლის აპრილიდან მომავალის წლის აპრილამდე. ვინც მეურნის აგენტობას იკისრებს, მას წლიური ფასიდან დაეთმობა 10% ანუ ათი შაური წლის ეგზემპლიარიდან.

—

ამასთანავე «მეურნის» რედაქცია აცხადებს, რომ

თავისს ხელის-მომწერთა უმრავლესობის თხოვნისამებრ გადასწყვიტა

უსასყიდლოდ შეუტყობს საჭირო ცნობები (სპრავკები)

ქუთაისში, როგორც მართებლობის, ისე საზოგადოებრივს და წოდებრივს

ორველ გვარ დაწესებულებაში

იმ ხელის მომწერთ, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და

წლიური ფასი მთლად შემოტანილი ეძნებათ

ცნობის (სპრავკის) შეტყობის თხოვნამდე.

პასუხისთვის უნდა გამოიგზავნოს ჯეროვანი ფასის ფოსტის მარკა.

ადრესი: Въ Кутаисъ, въ редакцію газеты „Меурнэ“.

გამოვიდა და იყიდება

ახალი ქართული წიგნი

„ცოდვა სიყვარულისა“

(Crime d'amour)

რომანი

პოლ ბურჟესი

თარგმნილი

ბრ. ჟიფშიძის მიერ

ფასი 70 კაპ

მსურველს შეუძლიან დაიბაროს წიგნი პირდაპირ მთარგმნელისაგან ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „Моамбе“. Гр. Кипшидзе. ვინც ხუთს წიგნზედ მეტს დაიბარებს, 20% დაეთმობა.

საქართველოს სიძველენი

1. სიგელი, 107×22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მრგვალის და ლამაზის მხედრულის ხელით. თითოეულ სიტყვის შემდეგ ნამდვილში სამ-სამი წერტილია, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ. სიგელი ეკუთვნის ა. გ. წულუკიძეს და დროებით ხონიდან ჩამოიტანა ტფილისში ა. ვ. ქუთათელაძემ და გადაწერილი გადმოგვცა. ქრონიკონი სიგელისა უჩვენებს 1151 წელს, ხოლო მეხუთე ინდიქტიონი გიორგი IX მეფობისა ცნობილის ქრონოლოგიით უდრის 1450 წელს[1]).

1451, ივლისის 1. ქ. სახელითა ღთისათა გიორგი მეფეთა მეფისაგან, იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატონიანისა, ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა ‌ᲓᲔ სომეხთა მეფისა, შანშა ‌ᲓᲔ შარვანშა, ‌ᲓᲔ ყოვლისა ალმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თვთ აკლმწიფედ მფლობელ მპყრობელთასა, მოვიდეს ‌ᲬᲨᲔ ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი ‌ᲓᲔ თავ-დადებით ნამსახურნი ‌ᲓᲔ ჩუენისა ‌ᲓᲔ ტახტისა უზედაე ყოფისთჳს დიდად ჭირ-ნანახნი წულუკისძე ვირშელი და მისნი შვილნი ვალადემურ, სხლუყაზან, ბეეროზ, ბეჟან ‌ᲓᲔ სიაოშ გუეაჯნეს ‌ᲓᲔ მოგუაკსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა ნამსახურთა მათთასა შეგუეწყალნეს, სიგლითა ამით დაგუემტკიცა ‌ᲓᲔ მათთჳს მათისავე მკუიდრისა ‌ᲓᲔ ნასისხლისა ‌ᲓᲔ გუარეულად მათგანვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გუეყო, დაგუაჯერა ‌ᲦᲚ ‌ᲓᲔ ვისმინეთ აჯა ‌ᲓᲔ მოკსენება თქუენი ‌ᲓᲔ მოგიბოძეთ თქუენი მკუიდრი ‌ᲓᲔ ნასისხლი მამული, ‌ᲓᲔ ყოვლისა ადამის ტომისა მონათესავისა კაცისაგან მოუდეევარ მოუსარჩელი სოფელი აწა მისითა მიმდგომითა ‌ᲓᲔ გასათუალავითა, მზღუ-

[1]) ეს და სხვა ამგვარი ხელ-მოუწერელი შენიშვნები ეკუთვნის ე. თაყაიშვილს.

რითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაკითა, საყანოთა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, სასაძოვროთა, შესავლითა ⸗ გამოსავლითა, საძებრითა ⸗ უძებრითა, საკმრითა ⸗ უხმრითა, მათითა ჭურ-მარნითა, სასახლოთა ⸗ მისითა სამართლიანჰითა, ერთობ სრულად ⸗ უკლებად გქონდეს, ვითა თქუენსა მკუიდრსა ⸗ ნასისხლსა მართებს. აგრე ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი ⸗ დიდებულნი, ⸗ ვერ აზნაურნი, ⸗ მათ უქუედაესნი ვერას ჟამისა გამოცუალებისათჳს ვერაოდეს ვინ მოგერჩოდეს, ⸗ ვერც ვინ გეცილებოდეს, ⸗ თუ ვინ მოგერჩოდეს, პირნი ⸗ პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ, ⸗ თუ ვინმე ამა ადგილისა ⸗ სოფლისა გაცემულობისა წიგნი ⸗ ნიშანი ვინმე მოიღოს, ამა მტკიცითა სიგლითა გაგუიცუდებია, ⸗ მტკიცე ესე ოდენ არის, ამად რომე მკუიდრი ⸗ ნასისხლი თქუენი ⸗ თქუნისა სახლისა ყოფილა, ⸗ თქუენგან მეტსა სხუასა კაცსა არავის მართებს, პაპანი ⸗ მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა ⸗ ერთგულობასა შიგან დაკოცილან, ⸗ ჩუენთა გუართათჳს მრავალი უმსახურებია, ⸗ თქუენ ობოლნი ⸗ წურილნი დარჩომილხართ მას დროსა ⸗ ჟამსა შიგან. მეკმეობით თუ ვისმე ესე თქუენი მკუიდრი ⸗ ნასისხლი მამული სოფელი იწა გამოეურვოს ⸗ ეშოვნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი ⸗ უსამართლო გჭირვებია, არა თუ აწ თქუენსა მკუიდრსა ⸗ ნასისხლსა ამა მამულსა სოფელსა იწასა მოგასარჩლოთ ⸗ ძალად ⸗ უსამართლოდ ნაქონებისათჳს ვისმე სხუასა კაცსა სიგელი აეღოს, ტყუვილია ცუდი ⸗ უსამართლობა არის, ⸗ ამა ჩუენმან მტკიცემან სიგელმან გატეხოს იგი; ⸗ არავინ გუიბრძანებია მშლელი ⸗ მაქცეველი ამის ბ-ბულისა ჩუენისა, არცავინ მეუბნებლე მავნებელ ⸗ მაკლებელი თუინიერ შეწევნისა ⸗ თანადგომის მეტი. გქონდეს თქუენ ჩუენთა დიდად ერთგულთა ⸗ თავდადებით ნამსახურთა წულუკისძესა ვირშელსა ⸗ თქუენთა შვილთა ვალადემურს, სალუყაზანს, ბევროზს, ბეჟანს ⸗ სიაოშს, ⸗ თქუენთა მომავალთა ყოველთავე სოფელი იწა თქუენი მკუიდრი ⸗ ნასისხლი მისითა მზღვრითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბი-

თა, საყანოთა, შესავლითა ⵔ გამოსავლითა, საკმრითა ⵔ უკმრითა, საძებრითა ⵔ უძებრითა, ყუელათა მისითა სამართლიანითა ბ᾽ბა ნიშნად გუიბოძებია, აწ ვინცა ნახოთ ბ᾽ბა ⵔ სიგელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა ⵔ დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოურავთა, კელუსუფალთა, დივანთა ⵔ მოსაქმეთა, მეკლუხეთა, პურისა ⵔ საკლავისა მკრეფელთა, ტყუისა ⵔ მპარავთ მეძებართა, ციხისთავთა ⵔ ციხოანთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, ახორსალართა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა ⵔ ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა, და უმტკიცეთ, ⵔ ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბ᾽ბულსა ამას ჩუენსა. ⵔ თქუენ, წმიდანო მეუფენო ქართლისა ⵔ აფხაზეთისა კაკოზნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ ბ᾽ბული ესე ჩუენი. დაიწერა ბ᾽ბა ⵔ სიგელი ესე ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა „Გ“, ქᲙᲜᲡᲐ „რლთ“, ივლისსა Ი, კელითა წირქუალელისძისა რატისათა.

ბრძანება ესე გიორგის დაგუმტკიცებია (ხელჩართულად)

---

2. სიგელი, 121×20 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ ლამაზის მხედრულის ხელით; თავში დახატულია მაცხოვარი, მარჯვენა ხელი ჯვარის სახედა აქვს და მარცხენა ხელში გაშლილი სახარება უპირავს შემდეგის წარწერით ხუცურად: „მოვედით ჩემდა ყ᾽ნი ტჯრთ მძიმენი და მე განგისუენო თქვ(ენ)“. მაცხოვრის ქვემოთ ხუცურად(ნუსხური): „(ს)ახელითა სახიერისა, სამგვამოვნისა ერთ“... შემდეგ დახატულია თვით მეფე გიორგი IX, რომელიც ზის ტახტზე და აწვდის სიგელს ჟურულს. მარჯვენა ხელის ზემოთ მეფის სურათს გარეთ აწერია მხედრულათ: „მეფეთ მეფემან“. ორივე მხატვრობა ამ სიგელისა ჩვენ გადავაღებიეთ ფოტოგრაფს ერმაკოვს. ეს სიგელი შეცდომებით დაბეჭდილია „ივერიაში“ 1886 წ. № 124 და „Кавказское Обозрѣніе“-ში 1887 г. Апрѣль. ფრანგული თარგმანი მისი ბროსეს შეუტანია თავის Jntroduxion-ში, XCV—XCIX.

1460. სახელითა მღრთისათა ჩუენ[1]) ორსავე ტახტის [და] სამეფოსა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შანშე და შარვანშაე ⵔ სრულისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთ ფლობით კელმწიფედ მტკი-

---

[1]) ეს სამი სიტყვა ხელჩართულია.

ცედ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან გიორგი, და თანა მეცხედ-
რემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან ნესტარ-დარეჯან და
ძემან ჩუენმან ალექსადრე ესე მტკიცე და უცვალებელი წყა-
ლობისა სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ ერისთვისა შალვასა
და ლარგუელისა კითხეითა მათსა მკჳდრსა და თანა აღზრდილ
შეზრდილსა და პატივცემულსა[1] . . . . . ლსა მღდელსა გიორ-
გის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და რატის, და თქუენსა
შვილსა დემეტრეს, და ძმის წულსა შიოს, თქუენთა შვილთა
და მომავალთა და[2] აბირონს, აბრაამს და სიაოშს... გუარისა
თქუენისათა, მას ჟამსა ოდეს მოხუედით წინაშე ჩუენსა და გვა-
ჯჳეთ, რათამცა ჩუენცა სიგლითა ამით ჩუენცა პატივ გუეცა და
შეგუეწყალენით, ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი, ვქენით
მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრა-
ზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მო-
ნასტრისა და ციხისა შვილი და მჭონებელი, აწ ჩუენცა შეგი-
წყალეთ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩი-
ნეთ ასსამოცი (ასმოცი) ათასი კილმანაური თეთრი ამა პირთა
ზედა: თუ ვინმე კადროს და თქუენისა გუარის კაცი მოკლას,
დიდითა შემოხუეწითა ასსამოცი (ასმოცი) ათასი კილმანაური და-
გიურვოს, თუ ვინმე კადროს ანუ ზედა დაესხას, ანუ ცოლი[3]
[გაგიუპატიოს, ანუ ცოლსა უცემოს] . . . . . ნას თქუენისა გუარი-
სა კაცსა, ორმოც-და-ხუთი ათასი კილმანაური დაგიურვოს დი-
დითა შემოხუეწითა; თუ ვინმე სასახლესა ზედა დაგესხას და
ალაფი წაგიღოს, იგივე ორმოც-და-ხუთი ათასი დაგიურვოს,
და ნაცუარცი უკლებად შემოგექცეს; თუ ვინმე მახჳლი შე-
მოგდვას და დაგჭრას, ოც-და-ათი ათასი კილმანაური დაგი-
ურვოს; თუ ვინმე ისარი გესროლოს, ორმოცი ათასი დაგიურ-

---

[1]) ამას იქით ორი თუ სამი სიტყვა განგებ ამოფხეკილია.

[2]) ამას იქით ერთი თუ ორი სიტყვა განგებ ამოფხეკილია და ზემოთ სხვა ხელით და მელნით ის ოთხი სიტყვა არის ჩამატებული, რომელიც ამ სიტყვის შემდეგ არის მოყვანილი (ხელი თუმც სხვაა, მაგრამ ანბნების ხასიათი იმავე დროსი არის).

[3]) ამას შემდეგ ერთი სტრიქონი გადასულია ეტრატის გადანაკეცზე.

ვოს; თუ ვინმე ჯოგი და ანუ ნახირი გაგიტეხოს, თორმეტი ათასი დაგიუროს; თუ ვინმე თუალი წამოუგდოს, სამოცი ათასი დაგიურვოს; თუ ვინმე ანუ კელითა და ანუ ფერკითა დააშაოს, ორმოც-და-ათი ათასი კილმანაური დაგიუროს; თუ ვინმე საკიჩარი[1]) რამე დააჩინოს, ოცი ათასი დაგიურვოს; თუ ვინმე ცეცხლი სასახლესა შემოგაყაროს, რაცა სული ჯალაბი სახლსა შინა იყოს, მისი სისხლი სამართლითა გაიბრჭოს; და, თუ ვინმე სასახლესა გარეთა ცეცხლი შეუდვას და დაწუას, ანუ საჯბეელი, ანუ ძნა, ანუ თივა, ანუ წისქვლი, ანუ ვენაკისა სახლი, ანუ ღობენი, ოც-და-ათი ათასი კილმანაური დაგიურვოს; თუ ვინმე ჯოხი და ანუ სხუა კმელად საცემელი რა გკრას, ათი ათასი კილმანაური დაგიუროს; თუ ვინმე ცოლსა უცეს, ოც-და-ათი ათასი დაგიურვოს; თუ ვინმე ციხე გაგიტეხოს, ორმოცი ათასი კილმანაური დაგიურვოს; თუ ვინმე მტერთა ზედა სასიკუდილოდ გაგცეს, ორმოც-და-ათი ათასი დაგიურვოს; თუ ვინ ანუ ჯოგი, ანუ საქონელი გაგიცეს მტერთა ზედა, თხუთმეტი ათასი დაგიურვოს, და თუ სხუა, ანუ უპატრობა, ანუ მუქარისა თხოვნა და ანუ სხუა რამე საქმე, ანუ შეყოვილი, ანუ სხუა, რა გინდა ვინ დაგიშაოს, მისნი ბრჭენი და გამჩენელნი იქუნენ ანუ ებისკოპოსნი, ანუ დარბაზისა კარისა ვაზირნი და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქისა ვაჭარნი და ყოველთა ქუეყანათა მავალნი და მნახუელნი კაცნი, ანუ ღთის მოშიშნი და სულისა კერძნი კაცნი, და ანუ ქუეყანისა მამასახლისნი და ძუელნი კაცნი, თქუენ საქმე ესე ვითარმა კაცთაგან გაიბრჭობოდეს ჩუენგან წყალობით ბოძებულსა ამა სასახელოსა და სისხლისა განაჩენსა სიგელსა ზედა, და ნუმცა ვინ არის მშლელი და მქცეველი ჩუენგან ბოძებულისა ამის სასისხლოსა სიგლისა, და არა შეგეცვალოს ჩუენგან ბოძებული ესე სასისხლო სიგელი არას ჟამთა გამოსულობისათჳს, არა თქუენ ეურულიჳ შვილსა მღდელსა გიორგის და

---

[1]) სახიჩარი—გაუწყობელობაა, რამ საწყენი (საბ. ლექსიკონი). ეს ახსნა მართალი არ არის, აქ სახიჩარი დაკოდილობის დანარჩენს კვალს ჰქვია.

თქუენსა ძმასა ავგაროზსა და რატის, და თქუენსა შვილსა და ძმის წულსა შიოს, თქუენთა შვილთა და მომავალთა ყოელ-თა გუარისა თქუენისათა, გქონდეს ჩუენგან ბოძებული ესე ძველი და აწ ჩუენგან მოკითხული და გაახლებული და წყალობით ბოძებული მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი, და ვერავინ იკადროს შლად და ქცევად ჩუენგან ბოძებულისა სასისხლოსა ამის განაჩენისა, ბრძანებისა და სიგლისა; გქონდეს ბრძანება და სასისხლო განაჩენი სიგელი თქუენ ჟურულის შვილსა მღდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და რატის, შვილთა მომავალთა ყოელთა სახლისა და გუარისა თქუენისათა, და ვერავინ კელ ყოს შეცვალებად ჩუენგან ბოძებულისა ამის განაჩენისა სასისხლოსა სიგლისა. და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულნო ქართლისა კათალიკოზ და ეპისკოპოსნო, ქართლისა ერისთავნო და ერისთავთა ერისთავნო და ყოელნო თავადნო ქართლისანო და ქალაქისა ამირანო და ამირათა ამირანო, დიონნო(?) და მეტამღენო და ყოელნო კელისუფალნო ქალაქისანო, და მთიულეთისა თავადნო და კევის-ბერნო და მამასახლისნო, და კარისა ჩუენისა ვაზირნო, და ყოელნო ჩუენგან პატივ ცემულნო და კელისა მქონებელნო, ნუ ვინ უშლით ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგელსა თჳნიერ შეწევნისა და თანა დგომისა. დაიწერა ბრძანება ესე ჩუენი და სიგელი ინ-

ᲗᲘ

დიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათთმეტესა[1]), ქჳ ნსა რმᲣ[2]), კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა და ᲯᲣᲐᲠᲘᲡ მტჳრთველისა ᲯᲝᲠᲯᲨᲘᲚᲘᲡᲐ გაბრიელისითა, ივნისსა ათორმეტსა.

დიდ მეფეს გიორგის ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია (ხელ-ჩჳრთულად).

---

[1]) ვინაიდგან «ᲗᲘ» ამ სიტყვაში «Თ» ზევით სწერია, ამისათვის სიტყვა, მეათხუთმეტე-თაც წაიკითხება და მეათოთხმეტე-თაც. მაგრამ ქრონიკონი უჩვენებს, რომ მეათხუთმეტე უნდა.

[2]) «რმᲣ», ეს «Უ» ვიღასაც «ნ» გადუსწორებია შემდეგ.

ქ: ჩუენ ქს ღთისა მიერ ქრთლისა ეზი მარკოზ კანონითა ვამტკიცებთ.

ქ: შემდგომად ამისა ჩუენ ღთივ გურგენ ოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებითა ღთისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა ბიძისა ჩუენისა გ´გისგან წყლობით ბოძებული, და ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ თქუენ წინამძღვარსა ეურულისა გ´გის და თქუენთა შვილთა და ძმათა, რა გუარაცა ამა სასისხლოსა სიგელსა და განაჩენსა ჰმართებს და ეფერების, ამა წესითა თქუენი საქმე და სისხლი გ´ჩნებოდეს ნიშანი ესე გვბოძებია და დაგვმტკიცებია ას სამოცი ათასი კირმანაური თეთრი, და ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის. დაიწერა ბ´ბა და ნიშანი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა «ზ», ქკ´ნსა «რჲ», კელითა ყოლადვე ცოდვილისა ქართლისა მაკ´ზისა ბესითა. (ხელჩართულად ხელს აწერს მეფე ბაგრატ).

ქ: ჩ´ნ ესე ვითა ღთივ გურგენ ოსანსა მეფეთა მეფესა ბაგრატს ბიძისა მათისა ნაბოძები სასისხლო სიგელი დაუმტკიცებია ეურულისთვს, მე გლახაკი ქს ეზი დბთი კანონითა ვამტკიცებთ, დამამტკიცებელნი ღთმნ აკურთხნეს და წმიდამან დედა ქალაქმან მცხეთისამან.

ქ: ჩუენ სამთავნელ მთავარ ებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა ქათალიკოზთა დაუმტკიცებიათ, ეგრეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკიცებთ.

---

3. გუჯარი, 372×20 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ მრგვალის და მსხვილის მხედრულის ხელით, თითოეულ სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. ნამდვილი დ. გ. კარიჭაშვილმა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს“. და მანვე გადმოსწერა ეს გუჯარი. ქორონიკონი ამ გუჯრისა უდრის 1579 წ., ხოლო ინდიქტიონი მიღებულის ქრონოლოგიით—1589 წ.

1579. სიქადულო და სკიპტრაო მეფობისა ჩვენისაო, ასულო დავითისო და ქალწულად ევმანოელისა, რომელი ეგე

სამწლისა მიყვანებულ იქმენ ტაძრად, ტაძარო სულისა წმიდისაო, მახარებელო, ევას ნაშობთა გარეულთაო, ბნელისაგან ნათლად მომყვანებელო, ნათლად მოცემისა და ჩუენად ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართებელო მეფობისა ჩვენისა, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორფირისა ჩუენისა და გვრგვინო . . . . . და ხახულისა ღთის-მშობელისა(ჲ)თა, და შუამდგომელობითა თქუენითა, მსასოებელმან ძისა თქუენისამან და მონდობილმან ცუა-ფარუათა თქუენთამან, მეფეთ მეფისა სულ კურთხეულისა პატრონის ლეონის ძემან, მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე, და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალათა დედოფალმან პატრონმან თინათინ, და ძეთა ჩუენთა, პატრონმან ერაკლე, პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი, პატრონმან კოსტანტინე და ბატრონმან[1]) როსტომ, ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრედ ჯერ ვიჩინეთ და ვიძიეთ სამსახურებელად სუეტისა ღთივ აღმართებულისა, კუართისა საუფლოსა, და მირონისა ღმერთმყოფელისა, და მუნ მყოფისა ელიას ხალენისა მას ჟამსა, ოდეს ჩუენს საბატონოში მცხეთის მამულებისა შესავლისა და სოფლების მზღუარნი და სარგონნი მეჟმეობით მესამზღურეთა მამულნი და აგარაკნი მიეტაცნეს მეჟმეობითა და ღთის უშიშობითა,—მობძანდა წინაშე ჩუენსა ჩუენის სულის მეოხი და შესავედრებელი, ჩუენი ძმა პატრონი კათალიკოზი ნიკოლოზ, და სრულად ერთობილნი მცხეთის შვილნი, მცხეთის ძუელნი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს, გავსინჯეთ და ვქენით მოკითხულნი, რომელიც პირველთ ძუელთ კელმწიფეთ, ჩუენთ მამათა და პაპათა, დედათა და ბებიათა ჩუენთა სულკურთხეულთ, გეერიგებინნეს, გეესაზღურნეს და შეეწირნეს, ეგრეთვე ჯერ ვიჩინეთ, შევსწირეთ და მოვახსენეთ უდაბნონი, მონასტერნი, ეკლესიანი, სოფელნი და აგარაკნი, აზნაურნი და გლეხნი. მოგახსენეთ (ხო)რაუგს საწინამძღვრო მონასტერი ეუაგისთავე, ეალმატი და ასკიდოვანი, კილმატის

---

[1]) ეტყობა წინად ყოფილა ბპ ტ ო ნ მ ა ნ, შემდეგ გასწორებულია: ბ ა ტ რ ო ნ მ ა ნ,

ციხე მთითა და ბარითა, ვერეს ციხითა, ციხითა გარდაღმა **საფასტეს**[1]) ციხემდი, გარდმოღმა **ოვდოვშენი, ტასრეში, ვესთა, საბა-წმიდა, ვაწარეთს** ძმარაშვილის სახლს აქათა რომ ღრმა ღელე ჩამოვა ჩამოსწორ ჩამოველით, ირარს გაღმა რაჟიანთ ეკლესიას ქუემოთ, **სამგოროში** თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით, ჩავლით ბოსტან-ქალაქის მზღურამდი, ჩავლით საჯერნეს ტბამდი, მიდგმით გრძელს ტბამდი, ჩავლით ამართულს ქუამდი, ჩავლით შურთხაანთ კლდემდი, ჩავლით ლურჯს ფლატომდი, ჩავლით მამადის გორამდი, მიდგმით საქალაქოს შარამდი, ამოვლით დამპალის ქერძო იორთაკენ, მარტვილთ მონასტერთ წამოვლით, წინ გამოვლით იორის პირს საყდრის ჩამოსწორ სამნი გორანი სხენაან, დედოფლის წისქვილთა თავს იორსა გამოღმა, ხშირს მუხებთან, ისპიანთ ბოლოს რომ დიდი ლიკა. ამოსწვრივ მცხეთის გორაკი თარაქთ ბოლოსა, ამოვლით ბრმა-წყაროს, ამოვლით შავქეთთ ღელე, ამოვლით დავალთისასა იქით რომ ცოტა ღელეა, რომელსა ეწოდების მარიამ-ჯვარი, შიგნით გარდავლით შიგნით კერძო და სტაფის თავს ძველი ეკლესია, ჩავლით ველტყიანი, ჩავლით შავ-წყაროს ღელე, ჩავლით წინანდლის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან **ხოდაშესსა** და წინანდალს შუა ოლე ჩავლის, დაბლა ბალთ-კარნი, ამოვლით **ვანთა** მონასტერი, **ბუშაგი** მთითა და ბარითა და მონასტრითა, შაშიანთ თავს მთავარ-ანგელოზთ საყდარი, მარმაროვა . . . . . სამზღურამდის მოდამნახის ციხემდი, წავლით გოგას წყარომდი და დევთ ნასახლარამდი; და წავლით ომანის სასაკლაომდი, მიდგმით გომთ წყლამდი, სადაც გომის-წყალი ჭერემის კევს შეერთვის; იქიმდი ნაპირნი, **რაჯახს** წმიდის გიორგის ყაყდარნი და შესავალნი, **ვარცა** და **დუმას-უბანი** და **შუნოანთ-უბანი, ახალშენი** სოფელი და **ოოდაანი** მათითა მზღურითა, **კახას-უბანი** თავისის მთითა და წყლითა, შალვაშვილნი თავისის მამულითა, **ჯვარასასოფლარი, ახშანს** ხუთი კუამლი გლეხი და ერთი ზვარი, ალაზანს გაღმა **ფეიხოჯანს** თორმეტი მთელი მამული საგლეხო

[1]) ეს სიტყვა შემდეგ ასე გაუსწორებია: საფსიტეს.

ორი კომლი გლეხი პანკისა, და ოორმეტნი კომლნი ვაჭარნი სომეხი და ურია, **გრეშს** ორნი გლეხნი, გვერდის ძირს **ვეშასტევს** მონასტერი ვარცანისა და სოფელი **ვეშასხევი**, **გიორგიწმიდა**, **გოგანა**, **ლელის-უბანი**, **ქორეთი**, სეფორის ღელე და ბაწკინტელის ღელე, ორნივე მთითა და ბარითა, **ჩელტს** გამოლმა გრემისა კერძად დაბლა თეთრს კლდემდი, სოფელი **ფაშანი**, **გაჯას** საკუამლო შვიდი და ზვარი ერთი. **ბარაუნთ**, რაც მცხეთის სოფელნი მონასტერნი, საკონე, საფიჩხულე, საოთევზითა, **ლაგოდეხი**, **დანუკი**, რაც მცხეთისა არის, **ვარდიანში** შვიდი მთელი საკუამლო, **ჭარანს** ხუთი მთელი საკუამლო, **ელისნელში** ლერწანი და სოფელი **კულენანი**, **ბაზარს** სასახლე, საყდარი და თვრამეტი კომლი ურია და სომეხი, **ერწოს** მონასტერი **ბოპორმისა**, წმიდის გიორგისა, მისის შესავლითა, ერწოს მონასტერი კიდევე წმიდის არჩილის სამარხო, სოფელი **კვერნაძენი**, ტოხაძე, თავისის მამულითა[1]), ერწოს თხილნარას ორს გლეხს სადაც რომ მამული დღეს კელთა აქს მთითა და ბარითა, საკნავითა და უკნავითა, შესავლითა და გასავლითა, ჩრდილოთ აძუძამდე, დასავლით თექმის-კევამდე ეცილებოდა ომან და ტოხაძეს დარჩა[2]) რამინოს, სოფელი **ნოდეკოტრა**[3]) და **ასადურნი**, სოფელნი **ჩეკურნნი** მთითა და ბარითა, აღმოსავლით ნეფეს-წყაროამდე და ზემოთ გოგის ფლატემდე, დასავლით ძლევის-ჯვარს აქეთ გასწურივ დამპალი წყალი, მიდგმით გრძელი ღელე, ტოხაძეს და ნოდოკრელთ მთის მზღუარში სამანი უსხენ; ულელტეხილთა გორასთანა, **ბაგნაკორნას**, რაც მცხეთისა არის, თორმეტი მთელი მამული, **ანუშს** მონასტერი ყოვლად წმიდისა და სოფელი **ანუშა** და ოდიშელიძენი ზარბე, მამისიმედი და მისი განაყოფი, სოფელი **წირდალი**, **ხატის-წობენა**, **ნოჯა** და **ნოჯიკეთი**, **შიტლოანი**, **ეკუეტი**, **აბანო**, **გორანა**,

---

[1]) უკანასკნელი სამის სიტყვის ზევით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, შემდეგში ჩაწერილია: „ომან ეცილებოდა და დარჩა რამინსა“.

[2]) უკანასკნელის ოთხის სიტყვის ზევით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, შემდეგში ჩაწერილია: „ეცილებოდა ცოტას ალაგსა ზაქარიასა“.

[3]) „დ“ ამ სიტყვაში მემრეა ჩამატებული.

თორეჯნა, სოფელი ილი, ხარჯაშნს, თიანეთს თავს, სოფელი ჯიჯეთი, და ეკლესია სვეტის ცხოვლისა და გლეხნი ბამანძურიძენი, და ხანდაკს კირაულნი მათითა მამულითა, სოფელი ბაგა, და ცოცხაძის მამული, სულა ერთპირად მისი სოფელი ჭოპარტი, სოფელი ბიწმენი და გიჯიყრელნი ორნი სახლნი, ახალგანს ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული, მეორე ბიწმენი, სოფელი ბოკოწინი, სოფელი არჯაკალი და მიწობელნი ნავნიოს და გიორგი მისი განაყოფი და პატა მისი განაყოფი მათითა მამულითა, სოფელი იპტისი, სოფელი ზაქარიანი, სოფელი ასგი, საგურამოს ზედაძნელაშვილნი თავისის მამულითა, გორის-უბანს წყალს სთველას შვილი თავისის მამულითა, მონასტერი ჯვარისა თავისის მამულითა, სოფელი ფოსგი, სოფელი ჯაშგი, და გარაყანიძე ზავრად თავისის მამულითა, ნასოფლარი ავშალა, სოფელი ოროტგ თავისის მზღურითა, მოლამურთ თავს რომ ჯვარი ასვენია, იქით მოლამურთ ჩატანებასა მუხრაულთა პირპირ გოგიას კევამდი, უნაგირას ქვას ქუეით გარდაკუეთილამდი, იქით წამოლმა ჩრდილთა წუერწუერ წამოვლით, სადა უფროს მაღალი ქედი არის, იქით კურინჩხთაკენ რომე თელანი დგანან, იმას ჩავლით სადა გრდნული შარა გარდაუქცევს, შარა შარა წავლით, სადა დიდნი სხალნი დგანან, იქიმდინ ნიშარძეულის ნასახლარამდე ღელე, შემოტანებასა სამნიასშვილის მიწის თავს რომ იფნი დგანან სამნის კომლნის ნასახლარნი ოროტისათვის დარჩნეს, ესე იქით ახალუბანს ჩატანებით ქაცუთა თავს ქუანი სხენან, იქით ქაცუთ ჩატანებით კევამდი, სადა სანაკირო შარა გავალს, ამას ამოვლით ნასახლარამდე, ფხაკას იქით ქედის ბოლომდე, ამათ შუა რაც არის, ყუალა ოროტისა არის, გდანს ღაჩიაძე გიორგი და გულბაათ თავისის მამულითა, ნასოფლარი კუტალა, ლიდოს გუერდის სოფელი ახალდაბა. სოფელი ჯამითა მისითა მთითა და ბარითა, დასავლით საყარაულოს კოშკთაკენ თუთუბოს ღელე, ნასოფლარი ნაკუერცხალა, ჩავლით ღრმა ღელე, მიდგმით საგუელე ქუა, გაღმით დავით ალმაშენებელის აღშენებული ჭიაბერთ ეკლესია, ფხოელთაკენ წამოვლით

ლაკუათ პირს ჩავლით წურილი ღელე, მიდგმით დიდი გო-
რა, გარდავლით ჩუმლაყთაკენ კულენანნი, ჩავლით ძამაურა,
ჩავლით წურილი კევი, ჩავლით გაწყუეტილა წნორის მიდგომა-
მდე, ზემოთ ნაპირთ სამძღურამდე რაჯაკი და მისი მიდგმა და
ნასოფლარი, გაღმა შავწყალის პირს სოფელი წითელანი. ამათ
მამულთა, მთათა და ბართა, მინდორთა, თუ ტყეთა, რაც რომე
საძოვრათ პირუტყუი დადგებოდეს, ზამთარ თუ ზაფხულ, ამათ
საძოვრის სარგოს თქუენ აიღებდეთ, ცხვარი იყოს თუ ძროხა,
თუ ღორი, უდაბნოებს მის წილს ნურას დააკლებთ, და თქუე-
ნი თქუენვე მოიკსენეთ. ჩუენის ბძანებით წარვლელინნი [1])
და ამა სამანთა და სიროონთ დამსხმელნი და მოწამენი: ბატო-
ნი ალავერდელი კირილე, ჭერემელ ეფისკოპოზი ბასილ, ჩო-
ლაყაშვილი რევაზ, ციციშვილი მერაბ, დიდი საგინაა, მაყა-
შვილი ზაალ, ზუბელი რუსიშვილი ინდო, ჩოლაყაშვილი თა-
მაზ, ვაჩნაძე გიორგი, ბულალაშვილი და სეფეადავლე ობლისძე,
ვერცა ალავერდელმან და ვერც სხვათ ჩვენის საბატონოს ეფის-
კოპოზთ თქუენი ურჩობა და წინააღმდგომობა ვერა ქნან რა,
და თუ რამ დააშაონ და რჯულიერის საქმით გაუწყრეთ, არ
დაგიშალოთ, და ვერცა რა თქუენის საყდრის ნიშანი და სა-
მართალი და ბაჟი დაგაკლონ. ესე ასე გაგვითავებია და მო-
გვხსენებია თარხნად და კელშეუალად და ყოველის ნივთისა
გან რომ არაფერი არა ეთხოებოდეს-რა, და არცა-რა ეწერე-
ბოდეს, არა მალი, არა სათათრო დიდი საური, არა სამასპინძ-
ლო, არა საჯინიბო, არა სააზორსალლო, არა შეშისა და წყლის
ზიდვა, არა მუახლე, არა ძიძა, არა ქორწილის ხარჯი და არც
მიცვალებულისა, არაფერი, რაც მოიგონების ან რაც მწერლი-
საგან დაიწერების, არც ბაზიერთა და არც მეურმეთა, თვინიერ
ლაშქარ ნადირობისა და მტრის დარაჯობა, და თუ მცხეთისა
და უდაბნოსაგან მოცლით იყუნენ, ციხე გვიმუშაონ და სასახ-
ლეც უმიზეზოდ იმუ...

---

[1]) წინად ყოფილა „წარვლელინენ“, შემდეგ გადატუსწორებია.

არც თქუენი უნდომო მოკელე და ჩუენგან გაგებული. ესე ასე დაგიმტკიცეთ და მოგახსენეთ ძმასა ჩუენსა პატრონს კათალიკოზს, წმიდის ბასილის და იოვანე ოქროპირისა და გრიგოლის მიმსგავსებულსა და მათის წესის მიმბაძავსა კათალიკოზს ნიკოლაოზს, ასე მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა, და სუეტსა ცხოველსა, და კუართსა საუფლოსა, და მირონსა წმიდასა. აწ ვინცა და რამანცა ამის დაშლად და ქცევად კელყოს და გამოკუეცად და დაკნინებად, ჯერემც რისხავს დამბადებელი ღმერთი, მამა, [ძე და] სული წმიდა და მისი უბიწოდ მშობელი წმიდა ქალწული მარიამ და წმიდანი ზეცისა ძალნი[1]) ანგელოზნი და მთავარ-ანგელოზნი, წმიდა ცხოველს მყოფელი ძელი ჯვარისა, ქრისტიანეთა შესავედრებელი, წმიდანი წინასწარმეტყუელნი, მოციქულნი, მოწამენი და ნეტარნი მამანი, წმიდანი ქალწულნი, მეუდაბნოენი, მესუეტენი, რომელთა დაჯერეს ღმერთი ღუაწლითა მათითა. მშლელი და მაქცეველი ამისი კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ნურათამც სინანულით ნუ იქნების ესნა სინანულისა მისისა, მაზედამცა დაესრულების ღაღადება მეასდარეისა ფსალმუნისა, იყავნ ცოლი მისი ქურივ და შვილნი მისნი ობოლ, მასზედამცა მოიწევის კმა იგი: **„წარგედით დაწყეულნო ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ეშმაკისათვისა და ანგელოზთა მისთათვის“.** მაზედამცა მოიწევის მეხი მსგავსად დიოსკორესა, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა, და შიშთვილი უფლის მიმცემელისა იუდასი, და წყევა ნისტორ დაიოროგინესი. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან უბიწოდ მშობელმან მარიამ და სუეტმან ცხოველმან, სამოციქულომან საყდარმან და მას შინა მკუიდრმან კუართმან უფლისამან, და წმიდამან მირონმან. დაიწერა ინდიკტიონსა მეფობასა ჩუენისასა თხუთმეტსა, ქჳსა „სნიზ“, კელითა წინამძღოლრის ვაჩნაძის იოსებისათა და მოწამეცა ვართ[2]).

---

[1]) დაწყებული სიტყვებითგან ს ულ ი წმ ი დ ა აქამდე აღდგენილია სხვა ხელით.

[2]) უკანასკნელი სამი სიტყვა უფრო წვრილის ხელით არის დაწერილი.

ალექსანდრე ეამტკიცებ ნებითა ღმრთისათა[1]).

ამას შემდეგ ხელმოწერილია კათალიკოზისგან, მაგრამ ეს არ გაირჩევა. შემდეგ აზის ოთხი ბეჭედი. ერთზე იკითხება: **ალექსანდრე.**

---

4. სიგელი დაწერილია ქაღალდზედ მხედრულის ხელით. ნამდვილი დროებით ჰქონდა თ. ი. გ. ჭავჭავაძეს, რომლიდგანაც ჩვენ გადმოვსწერეთ 1892 წ.

1768, დეკემბრას 13. ქ: წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომანიან პანკრატოვანმან, ორთავე სრულიად საქართველოს [2]) და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ მქონებელმან, პატრონმან მეფემან, მეორემან ჰირაკლიმ, და თანა მემცხედრემან ჩვენმან, დადიანის ასულმან, დედოფალმან პატრონმან დარეჯან, და საყვარელმან და სასურველმან ძემან ჩვენმან, ორთავე საქართველოთა [3]) უფლის წულმან, პატრონმან გიორგიმ, ლევან, იულონ, ვახტანგ, თეიმურაზ, მირიან, და ძის ძემან გიორგისაძან დავით და იოანემ [4]), ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი საჯილდაო წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩვენთა ერთგულთა და თავ-დადებით ნამსახურსა ვაჩნაძეს ბებურის შვილს პაპას, და ძმასა შენსა ასლანს, დიმიტრის, ძმის წულთა შენთა ქაიხოსროს, შვილსა შენსა გრიგოლს, სვიმონს, ადამს და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისასა, ასე და ამა პირსა ზედან: რა შენს ოჯახში გამოიზარდე, მუდამ ამისი მცდელი იყავ, ჩვენს წინ სასიკვდილოდ მრავალს ომებში თავი არ დაგიზოგავთ ორთავ [5]) ძმაო, ციხის უკუდომაში, თუ მრავლის ყიზილბაშთ, თუ დაღისტნის ჯარების ომებში, მრავალჯერ მტრის თავები მოგვართვით, აგრიზედ რომ დავმარცხდით და გამობრუნდით (sic), ერთს უფო-

---

[1]) ეს სიტყვები დაწერილია ხელჩართულით.
[2]) დედანში სწერია: საქთველოს.
[3]) დედანში სწერია: საქარველოთა.
[4]) დედანში „იონემ“ სწერია.
[5]) დედანში სწერია: ორავ.

ნოს ადგილს ალაზნის წყალში შემოვცვიდით, შენ პაპა ახლო შეგვრჩი, შიგ წყალშიგ შვიდი რვა კაცი ჩვენს ცხენს და ჩვენ მოგვეპიდა, წყალმა რომ ცხენი და ჩვენ და ჩვენ ჩაგვწივა, იმ დროს მოგვეშველე, ის კაცნიც ხმლით მოგვაშორვე, და ღმერთს გარდა იმ დღეს შენ გვიხსენ სიკვდილისაგან, და იმავე ძნელის გაჭირებიდამ ღთითა და შენის მოხმარებით და შემწეობით მოვრჩით. ამრიგად დიდი ნამსახური დი გარჯილი ხარ ჩვენზედ. მასუკან ხუნძახის მებატონე მუცალი დაღისტნის ჯარით, აჯიჩალაბის შვილი და ჭარელნი, და ის ძირობის კაცნი ყუარელის ციხეს შემოადგნენ, ციხეს რომ საქმე გაუჭირეს და აღებაზედ მიწურეს, იმ დროს შენ და სოლომან მდივნის შვილი კახეთიდამ, ქართლიდამ სამი ოთხი საბატიოს კაცის შვილები და აზნაურიშვილი, ყიზიყიდამ ას სამი კაცი, და კახეთიდამ და ქართლიდამ ოთხმოც-და-ჩვიდმეტი გლეხი კაცით, ამ ორასის კაცით და მრავლის ტყვია-წამლით მიგაშველეთ. ჯერ ღვთის სიყვარულისათვის და მერე ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის ერთგულობისთვის და სარწმუნოებისათვის თქვენი თავი სასიკვდილოთ გადადევით და იმ დღეს არ დაზოგეთ არც შენ და არცა ამ სხვათა თავადთა და გლეხთა, წახვედით ღთით და ჩვენის ბძანებით. დიდათ შემოსაფრული იყო ის ციხე, ხმალ-დახმალ შეხვედით, ღთის მოწყალებამ და თქვენმან შესვლამ შეამაგრა, შესვლაში და შიგნით ციხიდამ მრავალი კაცი მოკალით, და ლომსავით გაისარჯენით, თითონ შენ შიგ დაიჭერ, მას უკან გარეთ ხმალდა-ხმალ გამოუხედით, და ბევრი კაცი მოუკალით. ოც-და-მესამეს დღეს გაქცეულნი, გაწბილებულნი, პირშავნი, უკეთურნი წავიდნენ. ახლა ამ ყვარელში ციხის შესვლის და ასე გარჯისათვის გიბოძეთ თქვენივე ნაყმევი კარდანეხს მარტას შვილი ჯერანა, ამისი შვილი გიორგი თავისის მამულით, რისაც მქონებელნი არიან; კიდევე ჩვენი ყმანი სარვანიელი სამოურაოდ, რაგვარადაც რიგი არის, იმ წეს-რიგით მარტას შვილი მკვიდრ ყმათ და საჯილდაოდ, სარვანი სამოურაოდ გვიბოძებია, ყო-

ვლის კაცის უცილებლად [1]). მეორე შენის ნამსახურობის დიდი ვალი კიდევე ჩვენზედ არის, ღთით იმისი წყალობა და მაგბარი ჩვენგან დაგემართება. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ყოველნო ჩვენო მოხელენო, მოსაქმენო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით ამ ჩვენს საჯილდაოდ ნაბოძებს სიგელსა. რაც [2]) ამას შიგან ეწეროს, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან და არცა უფლისწულთაგან. ქონდესთ და გიბედნიაროსთ ღთინ ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე დეკემბერს „იგ", ხელითა ხუაბულიძის მდივნის ოთარისათა.

ქჯს „უნვ" — 1768.

აზის ბეჭედი ირაკლისი, დარუჯანისი, მეფის ძის გიორგისა და ლეონისა, სახლთ-უხუცესის გრიგოლისა და მდივნის ოთარისი.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

ქ. რაგვარადაც სიგლითა ამით მარტასშვილი ჯერანა და თავისის შვილებით გვიბოძებია, ეგრეთვე ამისსი ძმის წული დათო გვიბოძებია ხელ-ერთ-პირ ცოლშვილით და მამულით.

დეკემბერს „იე", ქჯს „უნზ" — 1769.

ირაკლი

მერმე სწერია:

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ბოძებულს სიგელს ჩვენცა ვამტკიცებ (sic), თებერვალს „იგ", ქჯს „უნც" [3]) — 1770.

ხელ-ჩართულად ხელს აწერს კათალიკოზი.

შემდეგ აშიაზე სხვა ხელით სწერია:

---

[1]) დედანში სწერია: უცლებლად.

[2]) ეს სიტყვა დედანში არ არის.

[3]) ორი უკანასკნელი ასო არ მოსჩანს დედანში.

ქ. ჩვენ ორთავე საქართველოს მეფემ ირაკლიმ კიდემ გიბოძეთ საჯილდოოთ კარდანეხს სამი კომლი კაცი ვაჟბედაშვილი პატარკაცი ჭუნია, ამათი ბიძაშვილი ტეტია, ურუმაშვილი გოგია და ივანე, მესამე მარტაშვილი დემეტრე და სიხო თავისის მამულითა, სასხლავითა, სახნავითა, შესავლითა, გასავლითა, მთითა, ბარითა, გვიბოძებია, რთნ ჩვენს ერდგულობასა და სამსახურსა შინა მოგახმაროს.

აღიწერა მარტს „დ“ „ქჯს“ უჟ—1772.

აზის ბეჭედი ირაკლისი.

---

5. სიგელი, 202×24 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ლამაზის მგვალის მხედრულის ხელით. სიძველის გამო ზოგიერთი ადგილები აღარ განირჩევიან. თავში აკლია, ზოგ ადგილას ქაღალდის დაწებების გამო სიტყვები და ასოები აღარ მოჩანან, ამას გარდა განცალკევებული ნაწილები სიგელისა თავ-თავის ადგილაკ არ არის მიწებებული. ამიტომაც ჩვენ ტექსტი შინაარსის მიხედვით დავაწყვეთ. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. ჩვენ სიგელში მოხსენებული ბაგრატ მეფე არის ბაგრატ III იმერეთისა (1510—1548). ქორონიკონი სიგელისა უჩვენებს 1545 წელს, ხოლო ინტიკტიონი 1514 წ. ინდიკტიონი უნდა ყოფილიყო ოცდა მეთოთხმეტე, ვინაიდგან ვიცით, რომ ბაგრატ III დაჯდა მეფედ 1510 წელს და ეს წელი მართლდება ოყურეშის ეკლესიაში დაცულის ხომლის ხატის წარწერით, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბაგრატ III და მის მეუღლეს ელენეს ხელმეორეთ მოუტეხიათ ეს ხატი ქ“კს „სკდ“, ინდიკტიონს „კვ“. აქ ინდიკტიონი და ქორონიკონი ერთგვარათ უჩვენებენ 1536 წ. (Brosset. Voyage arch. Rapp. ix p. 26). მაშასადამე ჩვენს სიგელში მეოთხე ინდიკტიონი შეცდომით არის ნაჩვენები. ეს და ამის ქვემოთ მოყვანილი 23 სიგელი გადმოვგცა ჩვენ გ. ე. წერეთელმა, რომელსაც მიეღო ისინი ქუთაისიდგან ერთ წიგნათ შეკრული, ხოლო გადაწერა მათი იკისრა ა. ვ. ქუთათელაძემ.

1545, ივნისსა 12... ბელსა ტ შვიდწილ უძლეველსა, მოწამეთა შორის მხნესა წმიდასა გიორგის ტ საყდარსა შენსა სამარხოსა და საძვალესა ჩვენსა, ჯი, ყოვლად წმიდაო დედოფალო, ხახუ-

ლისა საკურთხეველისა და გაენათისა ღთის მშობელო, და მოწამეთა მთავარო, წმიდაო გიორგი, შეიწირე მცირე და უნდო ესე ძღვენი და შესაწირავი ჩვენი, ვითარცა შეიწირა ქრისტემან მწვლილნი იგი ქვრივისანი, და მეოხ და მფარველ გვექმენ წინაშე ძისა შენისა და ღთისა ჩვენისა, რათა გვიხსნას ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, და გვიხსნას ჩვენ ცოდვილნი და ულირსნი ესე მონანი თქვენნი, მეფეთ მეფე ბაგრატ და თანა მეცხედრე ჩვენი, დედოფალთა დედოფალი ელენე, და ძენი ჩვენნი, და აწ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და კელვყავთ საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლალებოდა (sic) ღ მოშლილიყო, ღ აწ ჩვენდა სამარხოდ ღ სა[ძ]ვალედ შევქმენით, აღვაშენეთ და შევამკევით ხატითა, წიგნითა, კანდლითა, კელაპტრითა, სანთლითა, საკმევლითა, და მამულითა, მივიღეთ პატივი მასზედა და დავადგინეთ სასოდ და შესავედრებელად სულისა ჩვენისა მოძღვარი, და დავდევით ენქერი, და გაუჩინეთ მწირველად ჩვენთვის, და დავსდევით წირვა წელიწადთა შინა თორმეტთა საუფლოთა დღეთა, და იწყოს მეზვერისა და ფარისევლისა შაბათ კვირიაკითგან ვიდრე აღდგომამდის, წირონ დიდნი მარხვანი სრულად და უცვალებლად, და ქრისტეს შობისა მ[ა]რხვათა სწიროს ოცი დღე უკლებლად, და სულის მარხვათა [ში]ნა წიროს თორმეტი დღე უკლებლად, და მარიამობისა მარხვათა შიგან წიროს ათი დღე უკლებლად, და ამა ჩვენგან გა[ნაჩენ] განწესებულსა წირვასა ენქეროსანი ჩვენი მოძღვარი ნურაოდეს მოგვაკლებს ჩვენ მეფეთა მეფესა ბაგრატს და თანა მეცხედრესა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა ელენეს, და განვაწესეთ საუკუნონი აღაპნი წელიწადსა შინა ოთხნი, და გარდ[იხ]დებოდეს ერთი აღაპი ყველიერისა ხუჩაბათსა და სწირევდეს თ[ვითონ] . . . და პატრონი გაენათელი და თვითონ ჩვენი მოძღვარი და ს[რ]ულად გაენათის კელის მქონებელნი ძმანი, და მიერთმეოდეს ამა[თ] საწირავად მოძღვრის კელითა ჩვენგან შეწირულის სოფლების მოსავლისაგან; პატრონს გაენათელსა თეთრი ოცდაათი, პატრონის

გაუნათლის საწირავი ასი თეთრი არის, მაგრ[ამ] . . . . და ძმათ
ბულისთვის დაგვჯერდა, თვითონ მოძღვარსა თეთრი ექვსი, სე-
ფეთ ჯვარის მტვირთველსა, კანდელაკსა, აღმაშენებლის [საყ-
დრ]ისა, მეფის ბაგრატის მწირველსა, ვახტანგის მკვდრისა—ამა
[ხ]უთთა სამსამი თეთრი მიეცემოდეს, მეფის ვახტანგის მწირველ-
სა და მეფის ალექსანდრეს მწირველსა, პატრონის გიორგის
მწირველსა, გა[ენათი]ს ჯვარის მტვირთველსა და ომფორის მო-
ლარესა, კელარსა და ერისთვის მწირველსა—ამათ რროლი თე-
თრი მიეცემოდეს საწირავად. ამავე აღაპშიგა წაიგებოდეს ორ-
მოცის თეთრისა თევზი და ყველი და კვერცხი, წმიდა პური
კოდი სამი, ღომი კოდი სამი, ღვინო კოკა ოცი ათიანითა;
სანთელი, საკმეველი, რაც მოუნდებოდეს, გაჩენილისაგან იხმა-
რებოდეს.

+ მეორე აღაპი გარდაიხდებოდეს საკორციოთა სულის
წმიდის მოსლვასა . . . [შაბათსა] და წაიგებოდეს ზროხა ორი . . .
ორმოცდა-თორმეტი, რა რიგადცა ეპირიანებოდეს, მოძღვარი
მოიკმარებდეს, და ამა ათას ორას სამოცდაოთხის კო[კი]ს ღვი-
ნისაგან ოთხმოცსა კოკასა ღვინოსა ჩვენს აღაპშიგან წაგ[ებო-
დეს], და ორის კოდის წმიდის პურისაგან და სამას და ექვსის
კოდის ღომისაგან თორმეტი კოდი წმიდა პური და თორმეტი
კოდი ღომი ჩვენს აღაპშიგან წაიგებოდეს, და სხვა რაც იყოს . . .
ღომი, ქერი სამოცდა თექვსმეტი, ძღვენი ეს ყვალ[ა] მოძღვ-
რისათვის მიგვიბარებია, და რა რიგადცა მოძღვარსა ეპირიანე-
ბოდეს, სასმლად, საჭმლად, სახარჯოთ საყდრის მუშაობაზედა,
რითაც ფრიად . . . ისრე იკმაროს.

+ რაცა ნიჟარაძის ეულნი გლეხნი არის და ან მკეცი-
ძის ეულნი გლეხნი, სამოქალაქოს რაცა სამეფო კელი შევა,
არა მოგვიშლია რა, და სხვა რაცა სააზნაურიშვილო ბეგარი და
სამსახური მართებს, ისი ჩვენგან ნასყიდი არის და [სა]ყდარისა-
თვის შეგვიწირავს, აგრეგე უყურეშლიძე და მამრივის შვილე-
ბი შეგვიწირავს, ციხისთვის ეული გლეხნი კელ შეუვალად, და
აგრეგე ნავენახევი შეგვიწირავს კელშეუვალად და განთავი-
სუფლებით თვინიერ ნადირობისაგან კიდე, და ნადირ[ი]ს ჯერ-

გად ნუ დაგვკლდებიან, აშა ჩვენგან შეწირულსა და გლეხთა სხვა ჩვენის კარიდალმა გამოსული სათხოვარი არა [ე]თხოვებოდეს რა, არასთანა არა.

+ აწ განგვითავის უფლებია ყოვლ[ი]სა სათხოვრისაგან, არა ეთხოვებოდეს რა, არა სამეფო, არა სა[დე]დოფლო, არა პური, არა ღვინო, არა საკორცე, არა ზროხა საკლავი, არა საციხისთვო, არა საჯინიბო, არა საბაზიარო, არა ლაშქრობა, არა ულაყი, არა გოჭ-ქათამი, არა საყველიე[რ]ო, არაფერი არა ეთხოვებოდეს რა.

+ ვინცავინ ამა ჩვენგან დადგინებულსა მოძღვარსა უჯერო და ურიგო ჰკადროს, ანუ სიკვდილითა, ანუ დაკოდითა, ანუ კელთ დაჭირვითა, ანუ გაცურცუითა, ანუ მეკობრობითა, ანუ საკლად ჩახდომითა, ანუ ჯოგის გატეხითა, ანუ გინებითა, ამასცა და რაცა ვინ გლეხნი შეგვიწირავს, რარიგადცა გაენათის საყდრის ძველს იადგარსა და გვიჯარშიგან (sic) სწერია, ისრე დაეურვებოდეს.

+ აგრეთვე ვქენით მოკითხული და წმიდის გიორგის საყდარსა [ძ]ველად შეწირული მამული ჟამთა ვითარებისაგან მოშლილ იყო და დაკარგულ იყო, და რასაცა ოდენ მოვესწრენით და შევიტყვენითა, ისიცა შემოვკრიბეთ, და მოძღვრისათვის მიგვიბარებია, და რარიგადცა მეფეთა და დედოფალთა შეეწიროს, და მათგან დადებულსა ძველსა სიგელშიგან ეწეროს, რაცა მათგან დაწესებული აღაპნი და წირვა იყოს, ისი მათ ნუ მოეშლების, და მოძღვარი გარდახდიდეს, ნურას დაკლებს.

+ არის გლეხი ზღუდეს გარეთ, საბას მოძღვრის ეული სენაკი მისითა ჭურმარნითა, ვენახითა, სახარდნითა, საბოსტნითა, კიდევე მას ქვეშეთ ე . . . ი მეახორე მისითა სახლკარითა, ჭურმარნითა, ვენახითა, მისითა, [დანა]რჩომითა, **ოხომარას** გლეხნი ვირისალაძენი ოთხნი, იბრიალა კვამლი ორი და პარტახტი ორი, **ჯონაას** მემნაძე კვამლი ათი, არის **ნაბა...სლეკს** კოზალაძე კვამლი ორი, **კურსებ**[ს]. . [სამა]რხო თეთრი ორი, იმ ორის პარტახტისა ასრე იქნას, სანამდის [კა]ცი დაესახლებოდეს, ვინც იხმარებდეს, ან მინდორსა და ან ტყესა, იალასა გამოიღებდეს,

და როგორაც კაცი დაესახლოს, რაც იმა [ალ]აგსა ბეგარა მართებოდეს, იმას გამოიღებდეს.

+ კვალადცა გკა[დ]რეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ჩვენგან ნასყიდი იმავე ნიჟა[რა]ძისეული **მაღლაკს** გლეხნი ოთხი კვამლი, და მართებს ბეგარა ეს: [დე]მეტრასა თეთრი ოცი, ღვინო კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, ღომი ნაოთხალი ათი, მართებს ლექვინაძესა გიორგასა თეთრი ათი, ღვინო კოკა ოცი, ბატკი ერთი, სამაჭრობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღომი ნაოთხალი ორი, სამარხო თეთრი ორი, მართებს მებუნიშვილსა თევდორასა თეთრი ათი, ღვინო კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, ღომი გვერდი ორი, მართებს ყამაზაშვილსა აბესალამასა თეთრი ოცი, ღვინო დიდით კოკითა [ას]ოცდათი, ღომი ნაოთხალი ორი, და ღომი ურემი ერთი, სამაჭრობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღვინო კოკა სამი, ბატკი ერთი, სამარხო თეთრი ორი. იმავე ნიჟარაძისეული ჩემგან ნასყიდი **ნამაშევს** ჭოლაძე მამუაი, მართებს თეთრი ოცი, ღვინო კოკა ორმოცი, ღომი ნაოთხალი ოცი, სამაჭრობო საკლავი ორი, ქათამი ოთხი, ღვინო კოკა ექვსი, ბატკი ორი.

+ ესე [ცხ]რა კვამლი კაცი და ორი პარტაჯტი ნიჟარაძესა ესტატეს ლაშხ[ი]შვილისა] ნასისხლად მიეცა, და ლაშხიშვილისაგან ჩვენ ვიყიდეთ ჩვენით თეთრითა, ესე ნიჟარაძისეული ნასყიდი გლეხნი **ფარსმანაყანევს, ქუტარს** და **ნამაშევს** ვიყიდეთ მამულითა, ეკლ[ესი]ითა, სასაფლაოთა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ყანითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზითა, მთითა, ბარითა, შესაველითა და გამოსავლითა, საძებრითა და ფუძებრითა, მისითა მ[ზ]ღვრითა, და მისითა სამართლიანითა ყოვლითურთ უცილებლადა. კვალადცა გკადრეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ფარსმანაყანევს მ[არ]დალაშვილები ფუზეთ ერთი და კვამლათ რვა, მართებს ესტატე მარდალაშვილსა ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი, მ . . . ფნი კვამლი სამი, და ზემო ქუტირს ფეტუშნელიძე კვამლი ორი, ესე გლეხნი ღოლაბერიძის ციხისაგის მკვიდრი

მამული იყო და უშვილოდ გარდახდა, და ჩვენ ნაშვილეობით მოგვცა, და ჩვენ ჩვენის სულისათვის შევსწირეთ.

+ ნავენახევი პირველადცა საყდრისა ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან გამოხვმოდა, და ღოღაბერიძესა დაეჭირა, და სააზნაურიშვილოდ შექნილიყო, და ამას უკანის ჟამთა აშლილობისაგან მხეციძესა ეშოვნა, და მერმე მხეციძესა მრავალი ჩვენი საქმე და უპატიობა შევარდა, და ჩვენ საუპატიოდ გამოვართვით, და ჩვენ ჩვენის სულისათვის შემოვსწირეთ, ამისთვის გამოხვებასა და მოშლასა არავინ გვემართლების.

+ ნავენახევი ძველად ორი ფუზე ყოფილიყო, და ცოტა ადგილი ჰქონდა, და სასვიმანეთოს შარას აქად ვერ გარდმოვიდეს, აწე აშენდა ისინიცა, დამრავლდეს, სხვა გვარნი კაცნიცა ბევრნი დავასახლეთ, და სამჭმელო არ ეყოფოდა და ჩვენ ჩვე...ნით თეთრითა. ამას გარეთ იმავე მხეციძისაგან ვიყიდე [მე] სამკვიდრო მამული: მესხეთს გლეხნი კვამლი სამი, და პარტახტი ერთი, მართებს ღანდურიძესა ვარსიმეს თეთრი ოცდათი, ღვინო კოკა სამოცი, ღომი ნაოთხალი ექვსი, მართებს ღანდურიძესა ივანასა თეთრი ათი, ღვინო კოკა ოცი, ღომი ნაოთხალი ორი, ესე ასრე ჩვენგან ნასყიდი არის. მხეციძის ჯანგაშის შვილსა მისის ბიძისა სასისხარი საქმე შეხდა და იმაშიგან დასჭირდა, და რითაცა გული შეუჯერდებოდა, სრული ფასი მივეცა, და ვიყიდე ფარსმანაყანევს მარდალაშვილები კვამლი რვა და პარტახტი სამი, და მესხეთს ღანდურიძენი კვამლი სამი და პარტახტი ნახევარი მათითა მამულითა, ეკლესითა, სასაფლაოთა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ყანითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა, მზღვრითა და მისითა სამართლიანითა ყოვლითურთ უცილებლად.

+ ჯოღევს უყურეშლიძე კვამლი ერთი, რიონს მ[ა]ბრიკისშვილი ნაცვალი და მისნი განაყოფნი. . . . [ება] მარდალაშვილსა მამისთვალსა ღვინო კოკა ორმოცი და [თე]თრი ორი; მართებს მარდალაშვილსა ნავროზასა ღვინო კოკა ორმოცი,

თეთრი ორი; მართებს მარდალაშვილსა გოგალასა ღ[ვინ]ო კოკა ორმოცი, თეთრი ორი; მართებს მარდალაშვილსა . . . . ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი; მართებს მარდალა შვილსა გიორგასა ღვინო კოკა ორმოცი და თეთრი ორი; მართებს მარდალაშვილსა ესაიას ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი; მართებს მარდალაშვილსა მიქელასა ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი, პარტახტი ერთი. ვინც აშენებდეს, ოცს კოკას ღვინო[სა] გამოიღებდეს და, როგორაც კაცი დაესახლოს, როგორაც [თვ]ითოს, სხვასა ბეგარა ემართოს, აგრეგე ის გამოიღებდეს, [ო]რი პარტახტი სხვა და, ვინც ჭამდეს, ან მინდორსა ღ ან ტყე[სა, ია]ლას გამოიღებდეს და, თუ კაცი დაესახლოს, მართალი [ბე]გარა ქნას, ესე გლეხნი მარდალაშვილები ჭილაძესა ზითვა . . . მხეციძესა . . . . . ურო სახლები და გვიწყალობებია თქვენ სახლშიგა ღ დარბაზშიგა მისით ზედა ქვედათ სახლითა.

+ რაცა ამა სიგლითა მამული და გლეხნი, სოფელი და დაბანი, შეგვიწირავს და მიგვიბარებია ჩვენის მოძღვრისათვის, და საუკუნონი წირვა და ალაპი გაგვიჩენია, ესე ნურაოდეს მოგვეშლების ჩვენ მეფეთ მეფესა ბაგრატს და თანამეცხედრესა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა ელენეს, რათა ღირს ბუყვნეს წინაშე უფლისა, იესოს ქრისტეს, ღთისა ჩვენისა.

+ აწ ესე ჩვენგან ბრძანებული სიგელი და იადგარი მტკიცე და უქცეველი და შეუცვალებელი ყოვლისა ადამის ტომისა კაცისაგან, და შემდგომთა ჩვენთა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, და თქვენ წმინდანო მე[ფ]ენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, და ყოველნო მღდელთ-მთავარნო, დაჯერებით დაუმტკიცეთ, და დიდსა ზესთა აღმატებულისა, ახლისა იერუსალიმისა, გაენათისა საყდრისა მამათ მთავარეფისკოპოზნო და წმინდანო საღმრთონო მ[ამა]ნო და [სრ]ულობით კრებულნო და ერთბ[ამ]ად ლავრანო და ყოველნო კარისა ჩვენისა ვაზირნო, ერისთავთ ერისთავნო, ათაბაგ ამირ-სპასალარო, დადიან-გურიელო, სვანთ ერისთავო, მანდატურთ უხუცესო, და ყოველნო ერისთავნო, ქუთათისისა ციხისთავთ ცი-

ხისთავენო, და ლიხთ ამერისა და ლიხთ იმერისა ციხისთავენო, მოლარეთ უხუცესო და მოლარენო, მეამბჯრეთ უხუცესო და მეამბჯრენო, მეჯინიბეთ უხუცესო და მეჯინიბენო, მესტუმრეთ უხუცესო, მესტუმრენო და მზარეულნო, ბაზიართ უხუცესო და ბაზიარნო, ფარაშთ უხუცესო და ფარაშნო, ახოსალართ უხუცესო და ახოსალარნო, მეღვინეთ უხუცესო და მეღვინენო, მუქიფთ უხუცესო და მუქიფნო, ყოველნო კარისა ჩვენისა წარვლენილნო, მალისა, ხარაჯისა და და ზროხა საკლავისა მკრეფელნო, და ყოველნო კარისა ჩვენისა მოსაქმენო, და ხ[ე]ლისა მქონებელნო, არავისთვის გვიბრძანებია ამა ჩვენგან ბრძანებულის სიგლისა შლად და ქცევად თვინიე[რ] შეწევნისა და თანა დგომისა კიდე. აწ ვინცა და ვინც, რამანცა ადამისა და ევის ნათესავმან კაცმან ესე ჩვენ[გან] შეწირული გლეხნი და სოფელნი, და აგარანი, და ესე [ჩვენ]გან გაჩენილი წირვა და აღაპი მოგვიშალოს და გაენათსა გამოახვას, და კელყოს შლად და დაქცევად ამისადა [და] ესე ჩვენი ბრძანება უგულებელს ყოს, და შეცვალოს, [გინა] მეფეთა, გინა დედოფალთა, გინა მამაცმან, გინა დედაკაცმან, გინა თავადმან, გინა აზნაურმან, გინა უზედაესთა, გინა უქვედაესთა, ანუ სამოციქულოდ შემოვიდეს, [ანუ გამო]საკუებად და შესაცვლელად, შემცაიცვალების სჯულისა ქრისტიანეთასა, რისხავსმცა დაუსაბამო ქრისტე ღთი ჩვენი, მამა, ძე და სული წმიდა, დამცაიწყევლების სული [და] კორცი მისი შვიდთა კრებათაგან და ოთხთა პატრიაქთაგან და ათორმეტთა მოციქულთაგან, შემცაედების ძრწო[ლა] კაენისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა და[თან და აბი]რონისი, მასზედამცა დახდების კმა იგი ჯვარც . . . . ისა, რომელთა თქვეს სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა, მას ზედამცა დასრულდების მეასდარვისა ფსალმუნთა წყევა, ნესტორს და ოროგინესთანამცა არის ნა[წი]ლი და სამკვიდრებელი სლვისა მისისა, კრულმცა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ნურარათამცა სინანულითა ნუ იქნების კსნა სულისა მისისა, ნუ წირვითა, ნუ ლოცვითა, ნუ გაღ . . . . თა მიცემითა, ნურცა იელუსარემს წასვლითა, ნურცა სინ[ას] და მთაწმიდას წასვ-

ლითა, ნუცა საყდართა და ეკლესიათა შენებითა, მშლელი და მქცეველი ამისი კრულ წყეულ და შეჩვენებულ იყავ უკუნითი უკუნისამდის, და დამამტკიცებელნი ამისნი ღონ აკურთხნეს და წმიდამან და დიდმან საყდარმან მონასტერმან გაეწათისამან. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა, ქჯსა „სლგ“, თვესა ივნისსა „იბ“, კელითა ფრიად ცოდვილისა გიორგი აბა[შიძ]ისათა. თქვენ წმიდანო მღდელთ-მოძღვარნო და საღთონო კრებულნო, გევედრები, რათა შენდობა ბძანოთ ცოდვილისა სულისა ჩემუსათვის.

დაიწერა სიგელი ესე შვიდი ათას ორმოც და [ცამეტსა][1]).

ჩ-ნ. ქს. მრრ. ქართლისა პატრიარქი კანონითა ვამტკიცებთ.

(ამას შემდეგ სანახევროდ დაცულია ხელჩართული ხელის-მოწერა კათალიკოსისა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს კათალიკოსს მალაქია აბაშიძეს).

ბაგრატ. ელენე (ხელჩართულად).

ამას შემდეგ სხვა ხელით სწერია:

ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან ბატონმან გრიგოლ თქვენ ცათა [მოგაძ]ავსა ბიჭვინტისა ღმთის მშობელსა ეს მოგახსენეთ, რომ დავით ნემსაძეს კაზის დროს . . . . მეფის შვილს ალექსანდრეს ბიჭვინტისა ღმთის მშობლისათვის სამი კუამლი კაცი . . . ისშვილი ერთი და ორი ობოლაძე გიორგას შვილები შეეწირა, და ნემსაძეს კათალიკოზს ამ სამი კუამლის კაცის ბეგრის დადება არ დასცალებოდათ, მერმე ჩვენ..... გაგირიებით რომ კებლასშვილმან ნასიდამ, დათუნამ და ასან-ბეგ—ამ სამმან [კაც]მა ერთი შამახური სანთელი ხატს მიართვას, და სხვა ამას გარედ ხატის სამსახურისა და....ის შინაყმობისა მეტი მართებული ამ კუბლაძეს არავისგან რა ეთხოვებოდეს. ორს ობოლაძეს სამი შამახური სანთელი დაეადევით და ხატს მიართმევდეს და..... (შემდეგი აკლია).

---

[1]) ეს სტრიქონი სხვა მელნით ორის დაწერილი.

6. გუჯარი, 108×22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მგვალის მხჯდრულის ხელით, თითოეულ სიტყვის შემდეგ უზის სამსამი წერტილი. თავი და ბოლო აკლია. გვერდებიც ტყავისა დაზიანებულია. ქორონიკონი არა სჩანს, მაგრამ სიგელი უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენის აზრით, ლევან II დადიანს (†1657). ამის დროსვე ცხოვრობდა ჩვენ გუჯარში მოხსენებული აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, რომელიც 23 აპრილს 1630 წ. ნახა ლევან II კარზე რუსის დესპანმა ელჩინმა, ხოლო 1650 წ. მაქსიმემ იმერეთის მეფესთან ალექსანდრე მესამესთან ერთად ფიცი მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. პაპნი და პაპის პაპნი ლევან მეორისა გიორგი, ვამეყ, შერგილ და სამადავლე, ანუ შამადავლე, მართლა დასაფლავებულნი არიან ხოფში. ერთი წარწერა გუჯრისა უჩვენებს, რომ ლევან II ჰყოლია ძმისწული სახელით ლევანი, რომელიც უნდა იყოს ლევან III, ანუ შამადავლე (†1680) (H. G. II, 1, p. 646. II, 2,438).

1611—1657. ერთ ბუნებისა, ერთ ღთაებისა, ერთ უფლებისა, ერთ კელმწიფებისა, განუყოფელისა და შეურევნელისა, გამოუთქმელისა, მიუწდომელისა, შეუ[ხებელ]ისა, შეუწერელისა, შეუსაზღურებელისა, უმიზეზოს, უკვდაუის, საუკუნოს ც[ხოვრებ]ისა, მოუკლებელისა, დაუსრულებელისა, გამგებელისა, მფლობელისა, შემოქმედისა, გამოუკულეველისა, დიდება სახიერებისა და სუფევა დაუსრულებელისა, და ლხინება მოწყალებისა, ამის წმიდისა სამებისა წყალობითა, ძალითა, შეწვნითა, რომელნ კაცთ მოყვარებისათვის წარმოაცარიელა თავი თჳსი და კაც იქმნა თვინიერ ცოდვისა, და მრავალთათვის თვისთა მოწყალებათა ჯუარცმა და დაფლვა თავს იდვა, ხოლო ვითარცა ღთი, აღდგა მესამესა დღესა და ჯოჯოხეთი შემუსრა, და წარმოსტყუენა, და ადამ ყოვლით ნათესავითურ დაჰყარა, დაიხსნა და ღთაებასა თვისსა იზიარა სასუფეველსა თვისსა, და ყოვლად წმიდა უბიწოდ მშობელი თვისი, მარადის ქალწული მარიამ, შუამდგომელ იყო თვით ღთაებისა თვისისა, და კაცთა შორის, ამის ყოვლად წმიდისა თავდებობითა, მეოხებითა, შუამდგომლობითა, მინდობითა და ძლიერებითა, ნიშოვან [ქმნი]ლის და ნიშ შემოსილისა, პატიოსნისა და ცხოველს მყოფლისა ჯუარისა, მტერთა მოტეხელისა

და ყოვლისა ძალისა ეშმაკთასა დამწუელისა, წმიდათა ურულოთ
მცველ მართებელთა ჩუენთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზ-
თა, მიქაილ და გაბრიელისათა, წინა მორბედისა ნათლის მცე-
მელისა და ყოველთა დედათა ნაშუთა უმეტესისა, იოვანე წინა
მსრბოლისა, ⁂ გზათა მშვიდობისათა განმმზადებელისათა, წმიდისა
იოანე ღთის მეტყველისა, რომელმან მკერდსა საუფლოსა მი-
ყრდნობითა აღმოიწრიდნა ღთის მეტყველებისა უფსკრულნი
დაულეველნი, წმინდათა მოციქულთა ⁂ ყოვლად ქებულთა თუა-
ლით მხილველთა და კელით მსახურთა, და თუალით მხილველთა
ღთისათა ⁂ განგებულებისა მისისა მესაიდუმლოეთა, თავთა მო-
ციქულთა პეტრე, პავლე, ადრია და სხვათა ათორმეტთა მოცი-
ქულთა, და კლად სხვათა სამეოცდა ათთა მოციქულთა, ⁂ წმი-
დათა მოციქულთა თანა სწორებით შესატყვისთა წდათა წინასწარ-
მეტყველთა მამათა, მამათ მთავართა, მღრდელთ მოძღუართა, მო-
წამეთა, ქალწულთა, მამათა მეუდაბნოეთა, აღმსაარებელთა ⁂ ყო-
ველთა საუკუნითგან სათნოყოფილთა ღთისა წდათათა, ზეცისა ⁂
ქუეყანისათა, და განმაცხოველებელისა ქრისტეს საფლავისა
აღსადგომელისა, საუფლოსა საფლავის და ჯუარისა ცხოველს
მყოფელისა თავსმდებობითა, შუამდგომლობითა და მინდობითა,
გკადრეთ და მოგახსენეთ დაწერილი ესე სიგელი, იადგარი უმი-
ზეზო და უკუნისამდე წელთა და ჟამთა შეუცვალებელი, და
მარადის განთავებით განსრულებული, თქვენ ჩუენსა მცველსა
და მფარველს და ცხოვრებისა ჩუენისა წარმმართებელსა, და
განმარჯვებითა მძლეველსა მტერთა და მბრძოლთა ჩუენთჳსა
ქალწულსა; უბიწოსა მარადის ბიწ შეუხებელსა, დედასა ნათლი-
სასა და მშობელსა მეუფისასა, **უფრანსნისა** ღთის მშობელსა, და
ძელსა ცხოველსა, ხოფს ტაძარსა შინა განსუენებულთა, მისაძი-
ნელთა და საძუალთა პირველ კურთხეულთა და საუკუნოდ
განსუენებულთა პატიოსანთა და სახელოვანთა ძველთა ჩუენთა
პაპთა და პაპის პაპთა: ყოვლად სანატრელთა გიორგი, ვამეყ, შერ-
გილ და სამადავლე—ამათ ოთხთა ღთივ პატივცემულთა და
გკრგკნოსანთა საფლავსა, და ჩუენსა სასოებით შესავედრებელს
ხოფს განსუენებულსა სახესა ⁂ ხატს წისა ღთის მშობელისასა ⁂

ჯუარის ყოველთა განმაცხოველებელსა, მოგახსენეთ და გკადრეთ
იადგარი და სიგელი მტკიცე, ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი,
ჩუენ თქვენ მიერითა მადლითა და ცვა ფარვითა მძლედ და
ძლიერად ამაღლებითა განძლიერებულმან, და ოხითა თქუენი-
თა ზესთა აღმატებულმან, და მტკიცედ მპყრობელ-მქონებელ-
მან, თჳთ განმგებელმან, თქუენ მიერ სახელ ამაღმატებულმან
და ფ~ლ მსასოებელმან, და მადლთა და წყალობათა თქუენთა
მინდობითა სარწმუნოდ მოსავმან, და სურეილით მოქენემან,
კელმწიფემან, პატრონმან დადიანმან ლევან, შიშით და კრძალ-
ვით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე ესე უკუნისამდე
კაცთა ნათესავისაგან შეუცილებელ შეუსარჩლელი წიგნი და
ნიშანი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჟამთა ვითარებისა და
წელთა გარ~დასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვალე-
ბისაგან, მოშლილიყო სოფელი და ტყე, და ველი, ვნახეთ და
მოკითხული ვქენით, და ძველთა ჩუენთა მამა პაპათა საფლა-
ვი ყოფილიყო, კურთხეულთა და სახელ დებულთა, და მათ მიერ
დადებული იადგარი და სიგელი ვნახეთ, და ჩუენცა გულს მო-
დგინებით ესრეთ დაუმტკიცეთ: ესე ვითარცა დადიან გურიე-
ლისა, სულ კურთხეულისა სამადავლსაგან გარიგებული სიგელი
ვნახეთ, ესრედ ეწერა და გაერიგა: „ძველითგანი იადგარი გრყუ-
ნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღთის მშობელისაო, მას ჟამსა
ულმთოდ და უსჯულოებად მიაქციეს აფხაზნი, და აღვიყვა-
ნეთ იოვაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო,
რომელი აფხაზთა გარყუნეს სჯული, და ჯზობა, ხოლო ჩუენ
მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათა და იერუსალემისა და ან-
ტიოქისა პატრიაქისა **მიხაილს** ნება დართვითა გავარიგეთო ჯუ-
არითა და ონფორითაო“. აწე ჩუენც მათი გარიგებული და და-
დებული იადგარი ვნახეთ, განვიცადეთ და ჩუენცა მსგავსად
მათებრ დავამტკიცეთ, და გავარიგეთ **თავს მსხუჯებას** წდა
გიორგი მის შესავლითა და გასავლითა, წყლითა, ტყითა, სა-
ნადიროთა, სათევზოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა,
იმა რიგითა გლეხებითა, ჯუარის მტვირთლითა: ბერი ზოსიმე,
ეემხელს გეგებერია, ვაჭრის შვილები ბაბადიში და მისნი ძმანი

კახიაი და ვაჟბედაი, მასთანა ორნი მაშოს ძენი დეის მამაი, და ორნი ლადარია მიქაილ და მამისთუალი, წუწუნარი მამული და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესის კარითა, და სათევზოთა, კვრია მასხულია მისითა შვილებითა, თათარაი წუწუნავა მისის მამულითა, ბერია მისის მამულითა, წყლის პირს ბონია ქრისტეშია მისით მამულითა, წყლის პირს რიონზედა ქალადიდსა ნახევარი ბაჟი ხოფისა ღ̈ის მშობელისა არის.. არის ქარატას და კემხელს მესამედი ნავი და ბაჟი ყდ წ̈დისა არის, ნახუდენს ოთხი კუამლი კაცი ყურუა და სხვიტავა ანდალაისშვილი და შონია მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზოთა და ეკლესის კარითა. აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი და სხუათა თავადთა და აზნაურის შვილთა ნიშანი ჯ̈ზისა არის, სხუათა ეფისკოპოზთა. . . . . .

დგოთ მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს-რა, აგრევე ცუს გამოღმა და ჭვირას გამოღმა ვინც ნადირი მოკლას, სეფესა ყდ წ̈მინდასა წინ მ̈ღებდენ, ნურავინ დაკლებთ, აგრევე ჩვენ პატრონმან, დადიან-გურიელმა შამადავლამ, იადგარი ძუელითგნი ვნახეთ და ასრე ყოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა: „ვინცა ხოფისა საყდარსა გარეშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა, ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დარბიოს და დაწუას, მეხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა, ბოდ(?), ანუ ღალატითა კაცი მოუკლან, ორი ზომა სისხლი დაუურვოს; ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი პოტინატი დაუურვოს, აგრეგე ჭვირას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წ̈ისა ხოფისა ღთის-მშობელისა არის უცილებელი“. ესრეთ ეწერა ძუელსა სიგელსა და იადგარ შიგან, ამა წყევითა და კრულვითა, აწე ჟამთა ვითარებისაგან სიგელი გარყვნილიყო, და კურთხეულსა დადიან-გურიელსა შამადავლსა გაერიგებინა, როგორც ძუელად ყოფილიყო, ისრევე გაერიგებინა. აწე მელია და საყდრის კაცები იცილებოდეს, და დავსხედით ჩვენ კელმწ̈იფე პატრონი დადიანი ლეონ და ჯ̈ზი პატრონი მაქსიმე

მაჭუტაძე და ვნახეთ ძველი იადგარი, და სრულიად ჩვენი დარ-
ბაისელნი დავსხით, და გავსინჯეთ, და ასრე ეწერა წყევით, რომე
ჭვირის და ცუს... (ამას ქვემოთ სიგელს ცოტაზედ აკლია).

მეორე გვერდზე, სადაც ტექსტი ყოფილა გადატანილი, დარჩენილია:

ლეონ დადიანი (ხელჩართულად).
ჯ. ზი. მაქსიმე (ხელჩართულად).

პირველი გვერდის აშიაზე სწერია სხვა ხელით:

სახელითა ღმთისათა ჩვენ ქრისტეს ღმთისა მიერ კურთხე-
ვით კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა ჯ[ზ]მან, ბატონ-
მან გრიგოლ, ესე გკადრეთ დავთარსა თქუენსა წარწერით მცი-
რედითა სიტყჳთა და კნინოდენითა შესაწირავითა, ასრე რომე
მეოხებითა შენითა, საშინელო ხობისა ღმთის-მშობელო, და
გულს-მოდგინებითა ჩვენითა, ეს შონია მამაში ჩვენ მოვიყუანეთ
და მისი ძმა მამიდა, რა ამას წინეთ ჟამთა ვითარებისაგან და-
კარგული იყო, და ჩვენ მოვიყუანეთ და ისრევე თქუენ შემო-
გწირეთ ჩვენის ცოდვილის სულის საოხად და ერთის . . . ველს
ყოველს დიდს ხუთშაბათს, ხობისა ღმთის-მშობელო, თქუენ მო-
გართმევდეს, რათა მეოხ მეყო. აწ ვინცა ჰ რამანცა კაცმან ეს
ხელახლად ჩვენგან შემოწირული შონია თქვენგან [გამოწი|როს ჰ
გამოგახვას, ჩვენს კანუნსამც ქვეშ ის იქნება მაშინ.

ხელჩართულად ხელს აწერს: „გრიგოლ“.

მეორე გვერდზე სხვა ხელით სწერია:

ქ: როგორათაც ბიძა ჩემს ლეუან დადიანს გაურიგებია, იად-
გარი ეს უნახეთ და ჩვენ ხელმწიფეს დადიან ლევანს ასრე გა-
გვირიგებია, და ჩვენცა ასრე დაგჳმტკიცებია, და ამა წიგნში-
დაც ასრე სწერია: სამი ნავის თათრები რომ მოვიდეს, ორი
ჩვენი კაცისას დადგეს და მესამე ხატის ყმისას დადგეს, და ჩვენ-
მან მებაჟენმან ასრე გარიგოს.

ლეონ (ხელჩართულად).

იმავე გვერდზე სხვა ხელით სწერია:

ქ: მე ხახუმ ფაციას კაცი შემომაკდა და საკანონო გამიჩინეს, და ბიძაბ ცხომარია დავიხსენი, და ხატს შევსწირეთ. ბატონმა კაზმა და ხოფლმა გამიჩინა საკანონოდ და შევსწირეთ ხატს. არის ამის მოწამე ბატონი ჭყოინდაელი და ხახუ ჩიჩუვა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

ქ: ჩვენ ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზომან დავით შემოგწირე ბაჟუნაი მირცულა მისის შვილითა და ძმისულითა, მისის სახულ-კარითა, ეკულესის კარითა, ტყითა, წყლითა, უძებარ-საძებარითა და მისის ყოულის ფერითა. ხახუა ფაციას ნიშნად ბატონმა დადიანმან მიბოძა ეს გულეხი და მე ხობისა ღთის მშობლისათვის შემიწირაუს ჩემის სულის საოხად და საცხოუნებლად.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

ქ: ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კ[ზ]ზმან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ თქუენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთის-მშობელისა და ხოფის ღთის-მშობელს ლიფონავა ისუფ და მისი ძმა იანვარაი მათის ცოლშვილით, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მისის ეკლესიის კარითა, მისის მამულითა, საყანითა, ტყითა, ველითა, გასავლითა და გამოსავლითა, დღეს რისიც მქონებელი იყოს, მისის [ყო]ვლის ფერით სამართლიანის საქმითა, ასრე არის ამისი. . . . რომე **გულერას კარს** ბიჭვინტისა ღთის-მშობლის მეთ[ევზობა] . . . შენაწირი ესახლა და ასპანა ფაღავამ გაიქურდა, და სახლ-[კარ]ობით დაგვიკარგა, და მერმე მის გარდასახადად ბატონმან დადიანმან ლეონ **ხარგას** ეს ლიფონავა გვიბოძა, და ჩვენ ბატონის დადიანისა და დედოფლის ბატონის თამარის ბრძანებითა ბიჭვინტისა და ხოფისა ღთის-მშობლისათვის შეგვიწირავს, აწე ვინცა და რამანცა ძმან კაცისამან, ანუ დადიანმან, ანუ დიდმან და ან მცირემან, ამ ჩვენს შენაწირს გ[ანაჩენ]ს შლად, დაქცე-

ვად ხელ-ყოს, ისიმც შეიცულების რჯულ[სა] ქრისტიანობი-საგან, ნუცა იხსნების წირვითა და ლოცვითა, ნუცა გლახაკთ მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წასვლითა, მასამც რისხავს დაუ-საბამო დაუსრულებელი ღთი მა . . . ლ და შეჩვენებულიმც არის მისი სული და ხორცი ამა და მას საუკუნოს, აწდა უკუნისამდე ამინ. არიან ამისნი შუამავალნი ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ჩიჩუა ხახუ, და[რ]ისმანა ჯაიანი, და მოწამე სრულად სჯ ზო და სახოფო ანაურის (sic) შვილები.

ლეგან ლიბარტიანი (ხელჩართულად).

კათალიკოზი დავით (ხელჩართულად).

ამას შემდეგ თათრული ხელის მოწერაა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

1682. ქ. მაჟამსა ოდეს გურიელმან ოდიში დაიჭირა, მე ზებედეს ქვაჩი ყურუა შემომეხვეწა, და აქ ხოფის შევახვეწა, და დავაყენეთ ამ იასამ უტყუა, და კახაბერს ჩიჩუას მისცა, და მა-მა-შვილი ორი გამიყიდა, აწე ხობისა ღთისმშობლის განატეხ-შიდ ეს იასავები შევსწირეთ ბაძულეი და მომაძინი მათის ცოლ-შვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა, ტყითა, ველითა, საძებ-რითა და უძებრითა, რისაც მქონებელი იყოს, მისის სამართ-ლიანის საქმით, ვინც ეს ჩვენგან შეწირული ბიჭვინტისა და ხოფისა ღთის მშობელს გამოსწიროს, ჩვენსამც კანონსამც ქვე-შე არის. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკორთხნეს და წმიდამან ღთის მშობელმან. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ათას ექვსას ოთხმოც და ორსა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილო-სა და აფხაზე[თისა] ჯ ზმან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ მცი-რე და კნინი ესე შესაწირავი საშინელსა და შვიდ ცათა უმაღ-ლესსა და ქერაბინთა უწმიდესსა ხობისა [ღთის]მშობელსა მირ-

ცხულავა ბიჯოჯია და მისი შვილი ქოჩუა და პაჭკუ მ[ისითა ც]ო[ლ]შვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა... (დანარჩენი აკლია).

განის აშიაზედ სწერია სხვა ხელით:

ქ. ეჰა შენ ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უწმიდესო, რომელმან შევ ერთი სამებისაგანი და შობითა მისითა განხეთქე ცოდვათა ჩვენთა კელით წერილი, შენ ჭდ კურთხეულო, ცათა მობაძავო ხობისა ღთის მშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა შენისამან, და საკუთრებით მოტრნემან სამსახურისამან, კნინმან მადლთამან... და ფრიადმან ცოდვითა, წინამძღვარმან ზებედე, შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ ხობს ვიდექით ჩვენ, და ღოლაბერიძის კაცს ამ ხობისა ღმთის მშობლის ფიცის ტეხა დაედვა და ბატონმან კათალიკოზმან [დავით] თავს შეიდვა და მერმე ზაალ ღოლაბერიძემ გასტეხა და... აღარ გაეწყობოდა და ის კუამლი კაცი ხობს შემოსწირა, და ჩვენც მოგვაშორა ეცადია გეგენავა და... ოთია ჩვენ გესახუ... ბდა. მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშკრად, და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყავით, და დავბრუნდით, და აქ ხობს მოვედით. აწე ეს გეგენავები ხირველად ამ ხატის [ყოფი]ლ იყო მაგრამ ჩვენ... და ცოდვათა ჩვენთა შე[სანდობელად] ხელ-მეორედ ორივე ძმანები შემოგვიწირავს. შეიწირე [კნი]ნი ესე შესაწირავი ხობისა [ღთის-მშობელო]... (დანარჩენი აკლია).

7. სიგელი, 27×12 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ მგვალის მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. მარცხენა ნაწილი სიგელისა ჩამოჭრილია სიგძეზე. თავი აკლია. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც სიგელი იხსენიებს ლევან დადიანს და გიორგი ლიპარიტიანს, ამისათვის ეს სიგელი უნდა ეკუთვნოდეს ლევან II და გიორგი პირველი ლიპარტიანის დროს, აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე, როგორც ვიცით, 1611 წლის წინეთ დადგენილი იყო კათალიკოსათ, და 1615 წელში კათალიკოსათ იხსენიება მალაქია გურიელი, მეორეს მხრით ლევან II 1611 წლამდის არ ყოფილა დადიანათ, მაშასადამე სიგელი უნდა იყოს დაწერილი 1611—1615 წლებში.

1611—1615 . . . ტას ერთი კვამლი . . . ვანდაი შაფათია და მისი შვილები მათის . . . რისაც მქონებელნი არიან მისის. . . ლევან დადიანის გასაზრდელად სადღეგრძელო. . . [ლიპ]არტიანს გიორგის სადღეგრძელოდ და ასაღო[რძინებელად]. [ბიჭვინტი]-სა ღთის მშობლისათვის სახსრად სულისა . . . თი კუამლი კაცი ბატონს ჯოზს ეფთუიმის აწე . . . მესამეს წელიწადს თითო ძროხა ერთ[ი] . . . [ე]რთი მახათელი ღომი, კიდევ მართებს ეს ბე[გარი]: ერთი ჯამი პური; მარილი კიდევ მართ[ებს] . . . ამას გარეთ სამი კოკა ღვინო, სხვა მართებს . . . [ე]რთი მახათელი ღომი და სამი გუდა ღვინო [არიან ამის მოწმენი] თავად ღთი, კაცთაგან მერაბ ქორთოძე მო . . . ი და ვაზირთ უხუცესი, სახლით უხუ[ცესი . . . [მესტუ]მრეთ უხუცესი კაკაუჩა ქვიფია, მელვინეთ უხ[უცესი] . . . აწე ესე ჩუენგან შეწირული გლეხი ვინც გამ-[ოწიროს] . . . ღთის მშობელსა, რისხავს თავად ღთი და ბი[ჭუ-ინტისა ღთის მშობელ]ი და ყოველნი წმიდანი ღთისანი ზეცისანი [და ქუეყანისანი და ყოველნი კორციელ]ნი და უხორცონი, და დამამტკიცელნი ამის[ა ღნ აკურთხნეს].

ლევან (ხელჩართულად)

აზის ბეჭედი, რომელზედაც აწერია: **გიორგი ლიპარტიანი**

8. ფიცის წიგნი, 29×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მგვალის მხედრულის ხელით. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც წიგნი იხსენიებს აფხაზეთის კათალიკოსს მალაქია გურიელს, რომელიც იხსენიება 1615 და 1641 წ., ამისათვის დაახლოვებით ეს ფიცის პირი უნდა იყოს დაწერილი 1615—1641 წლებში (H. G. II. 2. p. 438, 440).

1615—1646. ესე წიგნი ფიცი, და პირი, დღეს დაწერილი და ადამიერ უკუნისამდე ჟამ გასათავებელი, დაგიწერეთ და მოგვართუით ჩუენ ქორთოძემან როსტომ თქუენ. შუიდ ცათა უმაღლესსა, საშინელსა ბიჭუინტისა ღთის მშობელსა და სრულიად საქართუელოსა მაკურთხეველსა, აფხაზედისა (sic) კ ზსა, კელმწიფესა გურიელსა, პატრონსა მალაქიას, ასრე და ამა პირსა ზედა: თქუენ რომ წყალობა გუიყავით და წიგნი გუიბოძეთ, და გაგუირიგედ და გაგუისაზღურეთ, იმასდა გარდაის არას შემოგეცილოთ, და თუ ვინმე ჩემი ყმა შემოგეცილოსთ, სამართლიანის საქმით გაგივლინოთ, რაცა ამ თქუენსა წყალობას წიგნშიგან არ სწერია, სახიბულოს ალაგსა არას შემოგეცილოთ იმის მეტსა. ამისად გასათავებელად თავდებად მოგუიცემია თავად ღთი და საშინელი ბიჭუინტისა ღთის მშობელი და ყოველნი წმინდანი ღთისანი, კორციელი და უკორცონი, ზეცისანი და ქუეყანისანი. +

---

9. ფიცის წიგნი, 25×16,6 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი თითოეულს სიტყვის შემდეგ, თარიღი არა აქვს, მაგრამ ამაში მოხსენებული ლევან დადიანი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ლევან II და ამისათვის ფიცის წიგნი უნდა ეკუთვნოდეს 1611—1657 წლებს. ამავე დროს ცხოვრობდა გიორგი პირველი ლიპარტიანი, ბიძა ლევანისა, რომელიც მოწმეთ იხსენიება ჩვენ ფიცის წიგნში.

1611—1657. ქ. დაუსაბამოსა ღთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, თავსდებობითა, მინდობითა, შუამბითა და შუამდგომლობითა, ყოველთა წმიდათაგან ღთისათა, ზეცისათა და

ქუეყნისათა, უხორცონთა და კორციელთა, ესე აუარებელი ფიცი, წიგნი და პირი დაგიწერეთ და მოგახსენეთ ჩუენ შანგულია ქაიხოსრო და თქუენ დადიანსა ბატონსა ლეუანს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე საჯ ზო და საცაიშლო მამულზედან, სახევისთაოზედან, და სათქუენოს საქმეზედან ვყარყაშობდით და აწე თქუენ გაგვარიგეთ, და რაც თქუენ არ გაგუიჩინეთ, და ამას გარეთ რაც წესი და სამართალი არ ყოფილიყოს, არც ჩუენის მტერობისა და გამორჩომის გულისათვის არა ვაწყინოთ რა, და არც იქაურის მოხელის შეუკითხავად სასაქმოდ მივიდეთ, არც ძალი და უსამართლო უყოთ, ამისდა გათავებისად თავსდებად მოგვიცემია თავად ღთი და ბიჭვინტისა და ცაიშლის ღთის მშობელი, და წმიდა გიორგი ილორისა, და ყოველნი წმიდანი ღთისანი, და კაცთაგან ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ბიტონი მოქუელი, გოშოძე თოდორუხუ, პაპუნია ამჯაფარიძე, და წესსა და სამართალს გარეთ თუ რამ ვაწყინოთ, რაც გუიყოთ, ღთნ უბრალოდ გამყოფოს, და რაც წესი სამართალი ყოფილიყოს, ბატონის ჯ ზის მოხელებთა არ დაუმალოთ და მივსცეთ.

---

10. შემოწირულობის წიგნი, 21×22 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მგვალის მხედრულის ხელით, ნიშნებათ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თავი და ბოლო აკლია. გვერდზე ქაღალდის დაწებების გამო ასოები არ მოჩანან ამ წერილში მოხსენებული ლეონ დადიანი უნდა იყოს ლევან II, ამის დადიანობის დასაწყისში იყო ეფთვიმე კათალიკოსი, რომელიც ამ სიგელში იხსენიება, ვგონებ გარდაცვალებულად. ამისათვის წერილი უნდა იყოს დაწერილი 1611—1657 წლებში.

1614—1657 . . . ივანესაგან ვიყიდე ჩემის ალალის თეთრითა გო . . . . სასახლე და კიდევ მე გავაწყობინე სასახლე მისის სათიბითა და ერთის სათევზოს წყლითა, და ერთის შინ მოსასახლის კვამლის კაცითა, კიდევე . . . ბატონს დადიანსა ლეონს გარდვეკიდეთ და შემოვაწირვინეთ, ღთნ ადიდ[ნეს] . . . ი სასახლე მისის სამის კვამლის კაცითა, სათიბითა, საყანითა, და მისი [ერ]თი

კვამლი კაცი მე მიბოძა და ჩემაგიერად მე შემომიწირავს, კვალად . . . ქორიასაგან მიშოვნია და ერთი კვამლი კაცი **სუბეიშს** დამისახლებია . . . გკადრეთ და მოგახსენეთ ამილახორისაგან მიშოვნია ხარაიძე და **ხიბულას** და[მისახლებია]. გკადრეთ და მოგახსენეთ ხიბულას სალარო არ იყო, ნაციხვარი სალა[რო და] სასახლე გამიკეთებია, ერთი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა [მიყ]იდია და შიდ მოსასახლეთ დამისახლებია, ციხე სალარო გაკეთებ[ული] ერთის კვამლის კაცითა შემომიწირავს, კვალადცა გკადრეთ... [მე]ჯოგე, საყდრისა გატეხა, და მისის საუპატიოთ ვიშოე; ერთი კვამლი . . . მოსასახლეთ დამისახლებია, კეალადცა გკარდეთ და მოგახსენეთ . . . [მოგა]ხსენეთ **ხოიარს** სასახლე არ იყო, სასახლე ადგილი, დიდი სახლი ჩარდახბი, [სახ]ლეები დგას ჭიშკრიანათ, ჩემის ალალის თეთრითა მიყიდია და სამი . . . ეთ ჩამისახლებია, და კიდევ შვიდი რვა საყანე მისის მამულიანათ ჩემ . . . და ასრე გაკეთებული სასახლიანათ მისის სათიბითა მე თქუენთვის შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ [ერ]თი მოსახლე კაცი ხურჯინი ამილახორისაგან მიშოვნია და **თიღითს** დამისახლებია, და შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ **ჯიქოუბანს** სასახლე არ [იყო და გამიკეთ]ებია მისის სათიბითა, და რაც სახლეები დგას ჭიშკრიანათ, ისი ჩემი . . . სათევზე-საღობი ბაგრატს მეფეს აქეთ დაკარგული და მოშლილი იყო. [მე]რმე დადიანისაგან კაცი ავიბარე და მე ვიშოე და ძველითგან დაკარგული ახლ[ად გამია]ხლებია, ერთი კვამლი კაცი ზედ დამისახლებია და ისრე გაკეთებული [შემომიწირ]ავს. კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ მურასა ბარტყულა და მაზარა . . . მარგალიტითა, სხვა ოქროს ყავარჯენი კურთხეულს ეფთვიმეს ჯ ზსა გ . . . პირი, კარგი ვერ იყო და ვერცა კარგი თვალი და მარგალიტი არ [ესხა], [მო]ვაყვანინე ოსტატი, ოქრო ისივ არის, მაგრა ახლად დავარღვევინ[ე და] მრავალი თვალი და მარგალიტი ჩემი შევმატე, კარგი და პატიოსან[ი] . . .

11. ფიცის პირი, 41×16,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი წერტილი და ზოგჯერ სამ-სამი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ამ წერილში მოხსენებული დავით კათალიკოსი გვაძლევს საბუთს წერილი მივაწეროთ 1661—1680 წ., რადგანაც კათალიკოსი დავით ნემსაძე ამ წლებში კათალიკოსობდა, რამდენათაც ვიცით. ამას გარდა ყუაპუ შარვაშიძეც ამავე დროს ცხოვრობდა (Brosset U. arch. Rapp. VIII, p. 143). ძმა მისი ქერექიმ ცნობილი არ არის.

1661—1680. ქ. სახელითა სახიერისა ზეშთა არსისა დაუსრულებელისა ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღთის მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდებობითა, მინდობითა, და შუამდგომლობითა, ძლიერებითა პატიოსნისა ცხოველს მყოფელისა ჯუარისათა, რომელმან განიპყრნა ქრისტემან ღთნ ჩვენმან უკრწნელნი მკლავნი თვისნი სამეუფონი და მეწამულყო სისხლითა პატიოსნითა კსნისათვის კაცთა ნათესავთა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, და სხვათა ცხრათა დასთა ანგელოზთათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდისა იოვანე ნათლის მცემელისა, წინა მორბედისა და ყოველთა ნაშობთა დედათასა უზეშთაესისათა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, და თავთა მოციქულთა პეტრე და პაულესითა, ათორმეტთა მოციქულთა და კვალად სამეოცდა ათთა მოციქულთათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა და რანიცა დიდსა საუფლოსა სვინაქსარსა შიგან წმიდანი ღთისანი სწერიან და ან დღითი დღედ ყოველ მოიხსენებიან, ამათის მადლითა და მეოხებითა, ზეცისა და ქუეყანისათა, კორციელთა და უკორცოთა, სათნო ყოფილთა, და კვალად სათნო ყოფადთა ღთისა, ამა ყოველთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე აუარებელი და დღეთა ჩვენთა სიკუდილამდის საბოლოოდ გასათავებელი, მტკიცე,

უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყუაპუ და ჩემმან ძმამან ქერექიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ **ნაჟნაურელი** და **კოირული** კაცები რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქვენდა უკითხავად აღარც გავყიდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ, და არც თქვენი ბეგარა და სარგო, რომელიცა ემართოს, და ჩვენ, რომელიც არ დავხარჯოთ, ის მოგიშალოთ, და დაგიჭიროთ კიდეც, როდისაც მობრძანდეთ, როგორათაც სხვას ძველს კათალიკოზებს ემსახურებინოს და ბ ეხმაროს, თქვენც ისრე გამსახუროთ და გერგებოდეს. ამისდა თავდებად და გასათავებლად მოგვიცემია თავად ბ̇თი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი, და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი. და [1]) ამაზე მოწერილის მადლმან ჩვენ კელიცა გულის მართლით ჩაგვირთავს ასრე რომე ა.... (დანარჩენი ხელის-მოწერი აკლია).

---

12. წერილი, 43×17 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია ორორი წერტილი. წერილი დროთა ვითარებით ცოტა დაზიანებულია, უფრო მეტად თავში და ბოლოში, ქორონიკონი არა სჩანს, მაგრამ წერილი ჩვენის აზრით უნდა იყოს დაწერილი 1650—1658 წლებში, ვინაიდგან აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ, რომლისადმი მართა მონაზონს ეს საყურადღებო წერილი მიუწერია, უნდა იყოს, ჩვენის აზრით, გრიგოლ პირველი, რომელიც დაახლოვებით ამ წლებში კათალიკოსობდა, ამავე წერილში მოხსენებული კათალიკოსი მაქსიმე უნდა იყოს აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, გრიგოლ პირველის მოადგილე. შეიძლება ეს მაქსიმე იყოს ის, რომელიც ტიმოთე გაბაშვილის აზრით ყოფილა იერუსალიმში 1840 წლებში. (H. G. II, 2. 438, 440).

კაზს გრიბლს.

1650—1658 ... დარჩომილი, ცოდვათა ჩემთა მიერ მოგლინებული, ომ ... საქართველოს ამბის დანატრებული, მარიამ დედოფალს აქეთ სისხლის [ნთხევ]ით ამ დიდს დავითის ქალაქს

---

[1]) ამ სიტყვიდან იწყება თვით შარვაშიძის ხელი.

და წმიდას იერუსოლიმს მავალი, ცოდვისაგან დახშულის პირით მაგათის ტახტისა, და დოვლათისა, და უფროსად ამ წმიდად იერუსოლიმად მოვლინებისათვის მხურვალედ რუდუნებით ცრემლით მტირალი, წმიდა საფლავსა და სისხლ შეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო, ხელის დებადცა ულირსი, მონა უფლისა და ერდგულად მადიდებელი მაგათი, მონაზონი მართა ვკადრებთ აიე კირ პროტო-სინგელო, უფალსა და მეუფესა ჩვენსა ზეცის კაცსა და ქვეყნიერსა ანგელოზსა, სავანესა და პალატსა წმიდისა სულისასა, თვით ბრძენნსა, თვით ვრცელსა, თვით ფილასოფოსსა, რიტორსა და გამომეტყველსა, მსმენელსა, და მსწრაფლ მიმგესა მსაჯულსა და მართლ მსაჯულ მწყემს მთავრად განჩინებულსა, უზესთაეს და აღმატებულს ხარისხზედ ხელ განპყრობ ყოველთაფვის უშურველად მკურნალსა, და ჯვარის მსახველსა, წმიდათ წინასწარმეტყველთა ნაქადაგევსა და გრიგოლის და იოვანეს მღთის მეთქისაგან გამომეტყველებულსა, და მათ სახელ დებულსა, და მათგან პატრიაქადვე კურთხეულსა, და აწ მრავალი რაღა თავი მოვაწყინო: ბატონს მრავალი შიშით და მომიწებით თაყვანის ცემა, მაზარის კალთას განკრძალვით შემთხვევნა და, თუ მაგათ მოლდინი სული მედგას, მორეს წელიწადს კიდევ მაგათის მშვიდობის გაგონების ნატრა მიკადრებია. რასთვის ასრე იქმნენ? ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყანასა? თუ ამისთანა კათალიკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი ურჩ იქმნების მაგათის ბრძანებისათვის, რასთვის კრებას არ იქმენ ეფისკოპოზნი? რომ ქრისტიანს მოუჭირონ, ხომ ყველა დამონდების? ვისი შიში აქუთ უფროს უფლისა? ასრე არ მოიხსენებს საღთო? „კეთილ არს მოსავ ყოფა უფლისაო, ვიდრე კაცისაო, კედ ხოლო შიშისაგან თქვენისა არ გვეშინოდისო“. და ვით მამა უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთუ დაგივიწყო შენ იერუსალიმ, დაივიწყეს მარჯვენეცა ჩემი“. აქ არ მობრძანდით, მაგრამ უნებლიად ერთს წამეს არ მოვლენ, ყოველი სული, მაგათი თავის ჭირიმე, აქ სიონს არ ეგულების მოსლად ბევრეულთა გუნდითურთ უფალსა. ამისთანა რა გასაჭირი არის,

რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეცა. აქაური ამბავი ამ ჩემა შვილმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირვება არის მაგისთანა, რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება, წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების! ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოელენ და ეშურებიან. ბერები გამოგზავნეთ, თავი თქვენ ბრძანდები, გამოიდევ პირად ამ ცხოლს მყოფელის საფლავისა და ჯვარის სიყვარული. ახლა ჩემი სვიმონ ოსტატი და ბრძენი შეიქნა, აქაური ანბავი დიაღ კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართებს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოვო, მე წინ მოუძღვებიო. ჲ ახლა ცოტა ნამუსი დაიდვეს. ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშონოს, და თქვენ სულ იერუსოლიმი დაკარგეთ. ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლ[ამის] რომ სულა გამოვრდეთ: წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა ,ადროთ რამეო“. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს: ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქუს, და ჩვენი სამწირველი ისრევ მორთული არის, თუ არ მოხვალთ, დაქცევენ. საბრალ პატრიაქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ

ხვანთქართან, ისრევ მოგცემსთ. უსაცილოთ გოლგოთასაც და გესამანიას დაიპირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გო[ლ]გოთა დაიპირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჯვარის მამა გა[ი]ჩინეთ, რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვევანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავის ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიაქოშიდ სტანბოლს მოეიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს, თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისის[1]) ფეხით იარეთ ბ ვინც ბატონები იყოს, ან გურიას, ან ოდიშ, ან იმერეთ და ქართლით, პირობა დასდევით და ამ გვარად კრება და ვეზირობა ქენით. თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასღა სჯული და ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მანდაური შიში უფროსი მოსდის. მოგვეხმარენით, თავს აღარ იქნა, თხუთმეტი წელი არის პატრიაქი ა[რ] მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსოლიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი, რაც ქართველის არის, ყველა გაგიცემიათქო, ან დაგვათათრე, ან დაგ[ვ]ხოცე, და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვართვამთქო, თვარა არ იქნება . . . თვარა. . . .

....[კა]თალიკოზის მეოხებამ ვაი რომ . . .

....[სა]ფუძველი აიშენეთ, ტაროსი არის ეცადეთ....

....[სა]ქციელი ზოგი ნუ გვარს აგრე უქნია...

....არ უნდათ თქვენ აქური ანბავი.

(აქ უზის მგვალი ბეჭედი. წარწერა არ ვანირჩევა).

განის აშიაზე სწერია:

მაგრამ მ[აგას] ნუ იქთ, ქართველნი კიდურნი არიან, რაც ამ მონასტრის მამულები არის, თქვენ ნახეთ და გა[აჩინეთ] . . .

---

[1]) დედანში სწერია დავისის.

13. ფიცის წიგნი, 26,5×15,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც ფიცის პირი მიცემულია აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძისათვის, რომელიც დაახლოვებით კათალიკოსათ იყო 1661—1680 წლებში, ამისათვის ეს წერილი ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს.

1661—1680. ქ. დაუსაბამოსა დამბადებელისა ღთისათა, მამისა, ძისა [და] სულისა წმიდისათა და ყოველთა მისთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შუა მდგომლობითა ეს საბოლაოდ გასათავებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგართვით თქვენ კაზს ბატონს დავითს ჩვენ ჯაიანმან დეისმამ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თქვენსა და ჩვენს შუა სასამდურავო საქმე ჩამოვარდა, და გვიწყრებოდით, და მოვედით ხორგას სასახლეშიდ და შემოგეხვეწეთ გარიგების საქმეზედ, და სანამდის თქვენის მამულის საბუჩარგო არ გამოგვართვი, მანამდის არ შეგვირიგეთ. აწე ეს პირობა მოგვიხსენებია; დღეს ამასა იქით ჩვენგან ამ ხორგას რომელიც თქვენი ყმა იყოს, ან აზნაურის შვილი, ან მსახურისა, ან გლეხი ძალად და უსამართლოდ ჩვენგან და ჩვენის შვილისაგან, და ჩვენის მორჩილის ყმისაგან, არა წაერთმევოდეს რა, თუ რამე სათხოვარი და გარდასახადი მოვიდეს, ან დადიანის, ან დედოფლის, ან ლიპარტიანის, ან სხვა რამე საოთემო საქმე მოხდეს, თუ ბრძანდებოდეთ, თქვენ დაკითხოთ, თვარემ თქვენი მოხელე არ დავიხვედრო, ისრე არა ვსთხოვო რა, თუ, ვინ იცის, და ნაქურდალი რამე გამოჩნდეს, ან თქვენ არ დაგიკითხოთ, თუ ახლო სადმე ბრძანდებოდეთ, ან თქვენს მაგიერს ყმას, და მოხელეს არ ვაცოდინო, ისრე არა ვისაქმო რა, და არა გადავახდევინო რა, და გარდანახადი სათქვენო თქვენთვის დავსდვა. თუ აქ ნავი მოვიდეს, გულის მართლით რომელიც თქვენი ბაჟი ყოფილიყოს, არც ის დაგაკლოთ და რომელიც წესი ყოფილიყოს, ნავიცა ისიცა მოვაბაროთ თქვენს მოხელეს, ამ ხორგის ქვეყანას თქვენს ყმაში არა გასავალი, არა გამოსავალი, არა სათხოვარი მაგისთანა თუ რამე მოხდეს, ცუდს სათხოვრის ჩამოჩისად არა გარდასახადი თქვენის მოხელეს უკი-

თხავად, ან ჩვენის ნებით არა ვისაქმოთ რა, და გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღთი და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცისანი, ქვეყნისანი, კორციელნი და უხორცონი. არიან ამისი შუამავალ[ნი და მოწა]მენი თავს ცაიშელი მაქსიმე, გენათელი გირგოლი, ჯოლია ხახუ, ზებედე, ამა ზ[ემოთ]წერილთ მადლმან კელიცა გულისა მა . . . . ჩაგვირთავს, რომ ამისი გამთავე ვიყო... (ამის შემდეგ აკლია).

---

14. სიგელი, 44×18 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. სიგელი სანახევროთ არის დაცული. პირველ გვერდზე სხვა სიგელი ყოფილა მოყვანილი წითლურის სათაურით და მშვენიერი მგვალი მხედრულის ხელით, მაგრამ ამ სიგლისა მხოლოთ შესავალი არის დარჩენილი, რომელიც ჩვენ არ მოგვყავს აქ. ეს ქვემო მოყვანილი სიგელი დაცულია მეორე გვერდზედ. აქ მოხსენებული გიორგი გურიელი უნდა იყოს გიორგი III, დედოფალი თამარი იყო მისი მეუღლე. პირველი ორი სიტყვა თარიღისა გადასულია და ჩვენ დავუმატეთ გიორგი გურიელის მოხსენების გამო. გიორგი გადაიცვალა 1684 წ.

1682...[შესა]ვალითა და გამოსავლითა, საძებრითა და[უძებ-რითა], რისაცა მქონებელი იყოს, მისის ყოვლისფერით სამართლიანის და მისის ეკლესიის სასაფლავოთ კარითა, ამისი საქმე ასრე არის . . . ბიჟუჟია დეისმისს ომზედ დაიკარგა და შაქარის ცხომარიას და . . . ყვანა ცოლად და შაქარმან დაიხსნა, და მერმე ხარაჯა ბაბადიშმან . . . ვიწყო ხომ კაცი, რადგან შენი დახსნილი არისო . . . . და ერთი მისი შვილით და მერმე ბიჟოჟი და . . . შაქარმან რომ დამიხსნაო, ის ადგილი, მას უკან ვიყიდეო და . . . და მისმან შვილმან დაუფიცა და მერმე ხუთმან ცხომარიებმან დაიფიცეს . . . ოსაფის და ამით ჩამოვიხსენით და მეორე მის . . . ქოჩუას საქმე ასრე არის, რომ მეღვინე ბიჭი გუყვანდა მაკარს . . . ღთის მშობლის ყმის შვილი და ბაბადიშმან ის გაგვიყიდა და ქოჩუა ამ ბიჟო-ჟუას შვილი იმაშიდ გამოვართვით მაგიერად, უმაგიეროდ ვრა გვაქვს რა, მას ჟამსა

ოდეს გურიელმან გიორგიმ იმერეთი დაიჭირა და ოდიში და მის ბრძანებით დიდება დართულოვებით, და ბატონის დედოფლის თამარის ბრძანებით, შემოგწირეთ. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაკისამან, ანუ მეფემან, ანუ დადიანმან, ანუ გურიელმან, ანუ დიდმან და ან მცირემან თქვენ ამის . . . ყოს, მასმც რისხავს დავად (sic) დაუსაბამო სამებით . . . ულნი და ყოველნი მისნი ანგელოსნი.... (მერე ჩვეულებრივი წყევა მოყვანილი).

[არის ამისი მოწამე] თავს ჩიჩუა ხახუ....

ჯერ საკათალიკოზო აზნაურის შვილი მსახური . . . და მოწამეცა[ვარ]. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა [ათას ექვს]ას ოთხმოც და ორსა.

ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ [კურთხევით] კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან, პატ[რონმან გრიგოლ შე]მოგწირეთ მცირე ესე და კნინი შესაწირავი . . . . ცათა უმაღლესსა და ქერაბინთა უწმინდესსა ბიჭვინტისა ღთის მშობელსა.

---

15. ფიცის პირი, 27×15 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით, თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ აქ მოხსენებული კათალიკოსი გრიგოლი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, გრიგოლ მეორე, ვინაიდგან მის მოწინავედ იხსენიება კათალიკოსი დავით ნემსაძე. ეს. რომ პირველ გრიგოლს ეკუთვნოდეს, მაშვინ დავით კათალიკოსი არ იქნებოდა ნახსენები, რადგანაც დავით გრიგოლ პირველის წინ არ ყოფილა კათალიკოსად. არ შეგვიძლია ეს ფიცის წიგნი მივაწეროთ აგრეთვე გრიგოლ მესამეს, რადგანაც დავით კათალიკოსს და გრიგოლ მესამეს შუა დიდი დროა და ამდენნანს დავა ვერ გასწევდა ჭილაძე და კათალიკოს შორის. კათალიკოსი გრიგოლ მეორე ბროსეს აფხაზეთის კათალიკოსთა სიაში მოხსენებული არ არის, მაგრამ ჩვენ ამას ქვემოთ ვბეჭდავთ თარიღიან წერილებს, რომლებშიაც ის იხსენიება (ნახ. №№ 17, 18).

1680—1710.... საბოლაოთ გასათავე[ბელი წიგნ]ი, ფიცი და პირი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჭილაძემან ჭკოინდელმან ბატონმა პეტრემ თქვენ კათალიკოზს ბატონს გრიგოლს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე კათალიკოზს დავითს გლეხები მივხიდეთ და მას აქეთ ჩვენსა და თქვენს შუა სადეოთ საქმე შეგვექნა, და აწე ბატონის გიორგი ჭილაძის პირით ასრე გავ-

რიგდით, რომ ხუცესი მჭელიძე ჩვენს სიცოცხლეშიდ საკუთარი დაგვანებეთ, რომ თქვენი ხელი არა გაქვან რა, და ამშილავას ბეგარა თევზს გარეთ, და ერთი დღის შველა ამშილავისა, და ერთი დღის შველა გელაზონიას, ჩვენს სიცოცხლეშიდ ასრე. და პირობა მოგვიცემია, და ჩვენს უკან თქვენ გიბედნიეროს ღთინ მჭელიძეც და ყველა და....

აწე ამის მოწამე და გამრიგე არის თავად ბატონი ჭილაძე გიორგი და სულ მისი აზნაურიშვილები, აზნაურები: კორძაია სეხნია, კორძაია პაპუნა, ლორთქბანიძე (sic) კანდალაკი ნიკოლაოზ, დავით ნანაიშვილი, ლონია გურველაშვილი. მე ზდივანს ოთარს დამიწერია და მოწამეც ვარ ამის. ჩვენს უკან არც არავინ მოდავე მოგადგეს და არც არა ეთხოვებოდეს ვისგან.

+

ჭილაძე პეტრემ [1]).

---

16. ფიცის წიგნი, 41,5×30,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ ნუსხმა მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ უზის ორ-ორი წერტილი. წერილი დაზიანებულია, თავში და ბოლოში მეტად. თარიღი არა სჩანს, მაგრამ ვინაიდგან ფიცის წიგნში იხსენიება ლიპარიტიანი გიორგი და კათალიკოსი გრიგოლ, ფიცის პირი უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენის აზრით, გრიგოლ მეორის დროს, ანუ 1680—1710 წლებს.

1680—1710 ? [დაუსაბა]მოსა, დაუსრულებელისა, გარე შემოუწერილისა, არსად ყოვ[ლთა] . . . ან მომქვანებელისა, ღთისა, მამისა, ღთისა ძ[ისა] . . . . . შუა მდგომლობითა ყოვლად წმიდისა უხრ[წნელისა, უფრრსად დიდებულისა ბედოფლისა], ჩვენისა ღთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა [მარიამისა] . . . [შუა] მდგომლობითა წმიდისა და ცხოველს-მყოფელისა, [რომელმან] განიპყრნა უხრწნელი მკლავნი თვისნი ქრისტ[ემან] . . . ჩვენთათვის, თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლო[ბითა]

---

[1]) ეს სხვა ხელით სწერია.

. . . თა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქაელ და გაბრი-
ელისათა . . . . შუამდგომლობითა ყოველთა დედათა [და წმიდათა]
. . . ლისა წინასწამეტყველისა, წინა მორბედისა და ნათლის-
მცემელისა [იოანესითა] . . . . . ქალწულთ მახარებელისათა, თა-
ვდებობითა მინდობითა და შუა[მდგომლობითა] წმიდათა ათორ-
მეტთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა და წმიდათა
[მღვდე]ლთ მოძღვართა, ბასილი დიდისათა, გრიგოლი ღთის მე-
ტყველისათა, იო[ანე ო]ქროპირისათა, ათანასე და კვირილესათა,
და ნიკოლაოზ მირო ქალაქისა, საკვირვე[ლთ მო]ქმედისათა და
წმიდისა მხნისა მხედრისა, ახოვნისა, შვიდწილ უძლეველისა დი-
დისა გიორგისითა, დიმიტრი, თევდორესითა, ამათი თავდებობითა
მინდობითა, რანიცა წმიდანი ღთისანი დიდსა [მას საუ]ფლოსა
სვინაქსარსა შიგან სწერია და ან მოიხსენებიან ამათ დღითი
დღე, ამათ [ყოველთა] წმიდათა ღთისათა, თავდებობითა მინდო-
ბითა და შუამდგომლობითა, ესე აუარებე[ლი, მტკი]ცე შეუცვა-
ლებელი, უტყუარი, უჩხუბარი, სიტყვით სრულ-ქმნილი და . . .
ეთა ჩვენთა სიკუდილამდის გასათავებელი ფიცი, პირი, და სა-
ფიცარის წიგნი გ[იბოძეთ] ჩვენ ლიპარტიანმან ბატონმან გიორ-
გიმ და ე[რისთავმან] . . . ბატონმან შოშიტამან და წულუკიძემ
გიორგიმ, და მიქელაძემ გიორგიმ, და მიქელაძემ პატამ და შა-
ქარმან, [და ჩჯჩუამა] გიორგიმ, და ჩიჯავაძემ ვახუშტიმ, და პა-
ტამ, და სახლის უხუცესმან ჩხეიძემ გ[იორგიმ], აბაშიძემ გიორ-
გიმ, ბოქაულთ უხუცესმან მამუკამან და იაშვილმან ქაიხოსრომ
და ბააკამ . . . . . და და მხეიძემ ქაიხოსრომ და გიორგიმ, და
ფირან და წერეთელმან . . . . მან და პაპუნამ, და სხვამ მისმან
ძმებმან, მოურავმან ოტიამ და ვახტაგ (sic) და ლოღოთქ[იფანიძემ]
ქაიხოსრომ და ხახუტამ, და ნიჟარაძენმან გიორგიმ, ბასილ, მამუ-
კამ . . . . ხეიძემ მჯავარეპისკოპოსმან და მისმან ძმამ ხოსიამ
და მისმან ძმისულმან პატამ . . . . . გიორგიმ, თქვენ ჩრდილოსა
და აფხაზეთისა ცაზს ბატონს გრიგოლს და ქუთათელს ე[ქვთი-
მეს] და გენათელს ნიკოლაოზს, ასრე და ამს პირსა ზედან, რომე
იმერეთს თათრ[ებისგან] . . . . დიაღ ძალი დამართებოდათ და
ქრისტიანობა მოუძლურებულიყო მერ . . . . [მო]გვადექით კარსა

და ერთობით საფიცარი მოგართვით, ჩვენ რომ დღეს . . . . ით იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირ[ი] მივსცეთ და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქარით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არა . . . მასთან და უწინამძღეროთ, და არც არა მათი ვიწამოთ-რა. ამ იმერეთის . . . . . საქმეზედ და კიდეცა ამ ციხის აღება და წახდენა მართლის გულით მოვიჭირვოთ, და არ უსუსტოთ ციხის აღების საქმე. თუ ამაშიდ ვინმე ვიმტყუენოთ, ჯერ რაც იმ ციხით საცოდავი ქნილა და ან აწ ამას იქით იქნება, ისიმცა, მას მეორე მოსვლამსაცა ჩვენსამც სულსა ეკითხვის, და მერმე თქვენის ბიჭვინტისა ღთის-მშობლისაგან, და თქვენის ჯვარ ხატისაგან, ამ სოფელს დღის სიმოკლისათვის გვეკითხვის, და მას საიქიოს ჩვენსამც სულს წაწყმედით ეკითხოს ამისა . . . .

მომიცემია თავად ღთი ბ ყო . . . არიან ამისნი წმიდა . . . . კორციელნი ბ უხორცონი, ამაზედ მოწერილია . . . . ჩემი . . . .

---

17. ხელწერილი, 26×16.5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მგვალი მხედრულის ხელით. აქ მოხსენებული გრიგოლ კათალიკოსი არის მეორე გრიგოლი, რომელიც ბროსეს აფხაზეთის კათალიკოსთა სიაში მოხსენებული არა ჰყავს და რომელიც, როგორც სჩანს, ყოფილა კათალიკოსათ დავით ნემსაძის შემდეგ 1680—1710 წლებში. ამას ქვემოთ იბეჭდება მეორე საბუთი, რომლის თარიღი ამავე გრიგოლს უჩვენებს 1709 წელს. აქედგან კათალიკოსობა გრიგოლ მეორისა უტყუარად მტკიცდება 1701—1709 წლების განმავლობაში მაინც. ჩვენს ხელწერილში მოხსენებული გიორგი ლიპარიტიანი არის კაცია ჩიკოვანის შვილი (H. G. II, 1, p. 648; II, 2, p. 439, 440).

1701. ქ. პირველ ღთისა და ყოველთა მისთა წმიდათა თავდებობითა ესე კელით წერილი მოგართვით თქვენ ბატონს ჯოზს გრიგოლს მე ლიპარტიანმა გიორგიმ ასე რომ, დიდი საცოდავი საქმე მომიხდა და თქვენ საკანონოდ ტყვის ყიდვის გარდაგდება გვიბძანეთ, აწე თუ გურიელი და ჩვენ გავერთდით და გავრიგდით, მასუკან ტყვის ყიდვა გარდავაგდო, და სხვა